ეროვნული ბიბლიოთეკა
1439/2
2013

ახალი თაობა

მაისი 2013 №90
ფასი 7 ლარი

მაია სუმბაძე
სპეცპროექტში „ილუსტრატორები“

ბიძინა მაყაშვილის
საავტორო რუბრიკა
ბლუზი მტკვრის პირას

ისტორია
გურამ შავდია
მაშო ოდიშელიძე

ფილიპ როთი 80

DVD ქართული ფილმების კრებული: „ნათელა“

ISSN 1512-2220



ქ. ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდ.მტკვარს შორის
თბილისი, საქართველო

+ 995 322 74 04 04

info@dirsi.com.ge

Ემაგრესი დიდესი დირსესი

ᲪᲮᲔᲚᲘ
ᲨᲝᲙᲝᲚᲐᲓᲘ
N90, მაისი 2013

ყდა: მაია სუმბაძე
ფოტო: ლელი ბლაგონრავოვა

06 რედაქტორის სვეტი

08 ავტორთა სვეტები

წარდგენა 10 სად არის შენი ბედნიერება ნათელა? *დავით ბუხრიკიძე*

ანონსი 12 10 მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც არ უნდა გამოტოვოთ *სალომე აფხაზიშვილი*

რესტორნის კრიტიკა 20 რაო და „ანტრეს“ არასამარხვო ვნებანიო... *კოლია ფხალაძე*

ისტორია 28 ქართველი მხატვრების სწავლა და გაფრენები დიუსელდორფში *ლევან შატბერაშვილი*

იუბილე 40 ფილიპ როთი: „უკვე რამდენიმე წელიწადია, მართლა არაფერი დამიწერია“

44 დაუფარავად *ავტორი დევიდ რემნიკი, ინგლისურიდან თარგმნა ქეთი ქანთარიამ*

ქალაქი 54 წვერა, მურნა, ჭანარი... *დათო ქარდავა*

61 მეთევზეები მტკვარზე *ეკა მახათაძე*

ესე 66 რეკანიბალიზაცია *პაატა ქურდაძე*

75 ორი იგავი პოლიტიკაზე *ხათუნა ცხადაძე*

76 მე ვიცი *პიერ პაოლო პაზოლინი*

79 იგავი პატიოსნებაზე გახრწნილთა ქვეყანაში *იტალო კალვინო*

სპეცპროექტი 84 ილუსტრატორები *სალომე აფხაზიშვილი*
ლევან ცუცქირიძე, მამია მალაზონია, თამაზ ვარვარიძე, სანდრო ასათიანი, დათო მაჭავარიანი (კაკადუ), მაია სუმბაძე

იდეები 98 ვიზუალური ნიშნების ენა *სანდრო ასათიანი*

საავტორო 100 ბლუზი მტკვრის პირას *ბიძინა მაყაშვილი*

პროზა 108 თანამზრახველები *ჯულიან ბარნსი, ინგლისურიდან თარგმნა ირმა ტაველიძემ*

რეცენზია 116 არის თუ არა სიყვარული ვერტიკალური და ბრუნვადი *დავით ბუხრიკიძე*

მიმოხილვა 118 წიგნები *სალომე აფხაზიშვილი*

122 მუსიკა *სალომე აფხაზიშვილი*

Part of the
ProCredit Group

პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank
Georgia

ჩვენი ახალი სათავო ოფისი

ენერგოეფექტური, კომფორტული, ოპტიმალური!

ალ. ყაზბეგის გამზ. 21

*22 22 | 220 22 22 | www.procreditbank.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი
მალხაზ ხარბედია

სტილი და კორექტურა
ინა არჩუაშვილი

დიზაინი
თორნიკე ლორთქიფანიძე

ნომერზე მუშაობდნენ:
სალომე აფხაზიშვილი, დავით ბუხრიკიძე, ლევან შატბერაშვილი, ქეთი ქანთარია, ბიძინა მაყაშვილი, პაატა ქურდაძე, სანდრო ასათიანი, ირმა ტაველიძე, ხათუნა ცხადაძე, კოლია ფხალაძე, დათო ქარდავა

ფოტო
ლელი ბლაგონრავოვა, მაკა გოგალაძე, ეკა მახათაძე, ნიკო ტარიელაშვილი

დირექტორი
შალვა ჩუბინიძე

პროექტის მენეჯერი
ქეთევან ბაბუნაშვილი

მარკეტინგის მენეჯერი
ია შენგელია

გაყიდვების დირექტორი
ქეთევან ქავთარაძე

დისტრიბუცია
მიხეილ მამუჩიშვილი

გამომცემლობა
შპს „ცხელი შოკოლადი"
მისამართი: თბილისი, აფაქიძის ქ. 11, ტიფლის ბიზნეს ცენტრი
სხვა გამოცემები
„ქართული ღვინის გზამკვლევი"

სტამბა
„სეზანი", თბილისი, წერეთლის 140, ტელ.: 235 70 02
ჟურნალი გამოდის 2004 წლის 25 დეკემბრიდან

© „ცხელი შოკოლადი" საავტორო უფლებები დაცულია. ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი ან მთლიანი გამოყენება გამომცემლობის ნებართვის გარეშე აკრძალულია.

სიცილის უფლება

ეს ჩემი პირველი „ცხელი შოკოლადია" და ამ ნომერზე მუშაობით მაგარი მძიმე თვე გადავაგორე. აპრილი. მკაცრი და პირქუში აპრილი (როგორც ტომას ელიოტი იტყოდა – April is the cruellest month...). ამ ერთი თვის მანძილზე ბევრი ვიფიქრე, ვფიქრობდი იმაზე, რაც (და ვინც) ჩემამდე იყო „ცხელ შოკოლადში", ახლანდელი შესაძლებლობებიც ბევრი ვწონე და ვახარისხე, თუმცა ყველაზე მეტი ფიქრი მაინც მომავალზე მომიწია, რომელსაც ძალიან მხნედ და იმედიანად ვუყურებ, მიუხედავად იმისა, რომ კითხვები აქაც ბევრია. დაახლოებით ასეთი კითხვები: მე უფრო შევიცვლები თუ „ცხელი შოკოლადი"? რა უფრო მნიშვნელოვანია ამ ორ სიტყვაში, ცხელი თუ შოკოლადი? ცოტა სიმწარე, უფრო მეტიც, სიცხარე ხომ არ გამოგვერია შოკოლადში? როგორ შევეყრები მე ჩემს მკითხველს და როგორ შემეყრება იგი მე?... იცი მკითხველო ეს ერთი თვე რა ერთი თვე იყო?...

ღადაობა იქით იყოს და მინდოდა ამ სვეტში ყველაზე მთავარი მეთქვა თქვენთვის, მაგრამ ვატყობ, ასე, ორი სიტყვით, არ გამოდის ეს ამბავი, ამიტომ დღევანდელ ნომერში გამოქვეყნებული ერთ-ერთი წერილიდან პატარა ისტორიას გავიხსენებ, სათქმელს რომ მივუახლოვდე. კარგი ამერიკელი რომანისტი იყო ერთი, შავკანიანი, რალფ ელისონი, ზოგიერთს შეიძლება წაკითხულიც გაქვთ მისი „უხილავი კაცი" (1952). სწორედ ამ რომანის გამო მოსდეს შარი თანამოძმეებმა, რადგან რომანში შავკანიან ოჯახში მომხდარი ინცესტი აღწერა. ხალხი აღშფოთებული იყო, როგორ გაბედა რომანში ასეთი სცენის შეტანა, მაშინ როცა შავკანიანთა მოძრაობა ქვეყანაში, ის-ის იყო, ფეხს იკიდებდა, ხალხი ფხიზლდებოდა, თავისი უფლებებისთვის ბრძოლას იწყებდა, ეს კი რაღაც საშინელებებს წერდა თავის ხალხზე. ელისონმა იცით რა უპასუხა? ,,მე სამოქალაქო უფლებებისთვის ბრძოლის მექანიზმის ჭანჭიკი არა ვარო", აი ასე უპასუხა ამ კაცმა.

ეს ისტორია ძალიან აქტუალურია დღევანდელი საქართველოსთვის, სადაც პატრიოტული ვნებები დუღან და გადმოდუღან, სადაც მთავარი მტერი რუსეთი გვყავს, უფრო მაგარი მტერი კი, როგორც წესი, განსხვავებული აზრის ადამიანები არიან. აქტუალურია ქვეყნისთვის, სადაც ძალიან ბევრი იბრძვის საკუთარი პოლიტიკური თუ რელიგიური მრწამსის გასავარჯიშებლად, ვიღაცეებს უბრალოდ სძულთ, ვიღაცა სადღაც ზემოთ მიცოცავს და ყველა ხერხს მიმართავს ამისთვის, არიან გულმხურვალე იდეალისტებიც და სამართლიანობისთვის მებრძოლი რაინდებიც. ამისგან შედგება ჩვენი აქტიური საზოგადოება და ეს აქტივობა ხშირად, სამწუხაროდ, მძევლებად გვაქცევს ხოლმე, ე.წ. „ბრძოლის მექანიზმის ჭანჭიკებად". პირადად მე ასეთი მძევლობა, რელიგიური თუ ნაციონალისტური ექსტრემიზმის ან სხვა რაღაცა იდეოლოგიების (ნებისმიერი მიმართულების) ტყვეობაში ყოფნა დღევანდელობის უმთავრეს პრობლემად მიმაჩნია. ეს იმდენად დიდი საფრთხეა, რომ შეიძლება ყველაზე მნიშვნელოვანიც კი წაგვართვას, მაგ. ჭვრეტის, ფიქრის ან სიცილის უნარი და უფლება, თუნდაც საყვარელი საქმის სიამოვნებით კეთების უფლება.

ისე, ჩვენში დარჩეს და სიცილის უფლებისთვის ბრძოლაში მეც კაი ჭანჭიკი და მძევალი გავხდებოდი.

ერთ თვეში შევხვდებით!

მალხაზ ხარბედია

მოიგე 100 000 ლარი
ოცნების სახლისთვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქცია!

JACOBS

გადაფხიჭეთ დამცავი ფენა, მიიღეთ შანსი მომენტალურად მოიგოთ იაკობსის ჭიქები და გააგზავნეთ კოდი SMS-ით მთავარი პრიზის მოსაგებად.

1. შეიძინეთ **იაკობს მონარქის 75გრ, 95გრ, 140გრ, 190გრ** შეფუთვა.
2. გადაფხიკეთ დამცავი ფენა, მიიღეთ შანსი, მომენტალურად მოიგოთ **10 000 ჭიქა.**
3. იაკობსის ჭიქის მოგების შემთხვევაში დარეკეთ **ცხელ ხაზზე - 2 14 14 34.**
4. გააგზავნეთ კოდი **SMS-ით** ნომერზე - **91 109** **100 000 ლარის** მოსაგებად.
5. პრიზების მისაღებად საჭიროა წარმოადგინოთ იაკობსის ქილა ან შეფუთვა, რომელზეც დაკრული იქნება მომგებიანი სტიკერი.

SMS ნომერი - 91 109
ცხელი ხაზი - 2 14 14 34
www.jacobs.ge

აქცია ტარდება საქართველოს ტერიტორიაზე.
აქცია დაიწყება **15 აპრილს, 00.01 საათიდან, SMS**-ების მიღება შეწყდება **26 ივნისს, 23:59 საათზე.**
100 000 ლარის გათამაშება შედგება **30 ივნისს**, საღამოს **18:30 საათზე,**
რუსთავი 2 ის პირდაპირ ეთერში.
პრიზებთან დაკავშირებით პრეტენზიები განიხილება მოგებიდან **5** დღის განმავლობაში.

წამახალისებელი გათამაშების ნებართვის ნომერი: **N 19-03/037**

ლევან შატბერაშვილი

ილუსტრატორი თავის ნამუშევარს ტექსტის მთავარი იდეის, შინაარსის ან სიუჟეტის გარშემო აგებს, რაც პირადი ამბების მოსაყოლად, ადგილს და დროს ობიექტურად აღარ ტოვებს. მხატვარი კი თავისი ემოციებისა და პირადი ამბების გამოხატვის წინაშე აბსოლუტურად თავისუფალია. მას არც ავტორის, არც რედაქტორისა და არც გამომცემლის შეკვეთა ამაში ხელს არ უშლის. ილუსტრატორი პირიქითაა. დაკვეთის მიღებისთანავე, ის სწორედ მისგან დამოუკიდებელი ამბის ან გმირის სამყაროში იწყებს ცხოვრებას. საინტერესოა როგორი გზით აგრძელებს არსებობას ასეთ დროს ილუსტრატორის პირადი ამბები, სად გადაინაცვალებს ხოლმე მისი შინაგანი სამყარო და რა დოზით ვლინდება ის ილუსტრაციებში?

ეს ის კითხვებია, რომლებიც „ცხელი შოკოლადის" სპეცპროექტის გმირებს დავუსვით, რაზეც ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული პასუხები მივიღეთ. მათ შორის მოისმენთ ისეთებსაც, რომელიც ილუსტრაციაში, პირად ამბებსა და სხვების სამყაროს შორის მკვეთრ ზღვარს ავლებს და ისეთებსაც, რომლებიც ილუსტრაციებში მხოლოდ საკუთარი თავის გამოხატვის შესახებ გვიყვება. მხატვარ-ილუსტრატორების ამოცნობაში, მათ მოსაზრებებთან ერთად, ის ილუსტრაციებიც დაგეხმარებათ, რომლებსაც აღნიშნულ სპეცპროექტში გვთავაზობენ მხატვრები.

ქართველი მხატვრების სწავლა და გაფრენები დიუსელდორფში

გვ. 28

სალომე აფხაზიშვილი

მხატვარი და თავისუფლება ორი ისეთი სიტყვაა, რომ ხშირად, ჩვეულებრივი საუბრის დროსაც, ერთ წინადადებაში, ერთმანეთის გვერდი-გვერდ აღმოჩნდებიან ხოლმე. ბევრისთვის ალბათ თავისთავად ცხადია, რომ მხატვარი თავისუფლების გარეშე ვერაფრის გაკეთებას ვერ შეძლებს. მაგალითად, მხატვრები საბჭოთა კავშირის დროს ხშირად იძულებულნი იყვენ, უარი ეთქვათ ისეთი რაღაცების დახატვაზე, რაც ოფიციალურ იდეოლოგიას ეწინააღმდეგობდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ უკვე ოც წელზე მეტი გავიდა, მაგრამ მხატვრების თავისუფლების პრობლემა მაინც პრობლემად რჩება. ბევრს საზღვარგარეთ სურს წასვლა სწავლის გასაგრძელებლად, რადგან თვლის, რომ სწავლის ის მეთოდი, რომელიც საქართველოშია დამკვიდრებული, მხატვარს არ აძლევს საშუალებას ბოლომდე გაიხსნას, გათავისუფლდეს და საკუთარი თავის რეალიზაცია მოახერხოს.

ამ პრობლემებში უკეთ გასარკვევად, ხელოვნების აკადემიის სტუდენტებს, მაშო ოდიშელიძეს და გურამ შავდიას ვეწვიე დიუსელდორფში, სადაც მრავალი რამე შევიტყვე და ვნახე. ჩემს მიერ შეგროვებული ინფორმაცია გადავწყვიტე თქვენთვისაც გამეზიარებინა, რადგან ვიფიქრობ, რომ შეიძლება ბევრი საინტერესო რამე გავიგოთ თანამედროვე ევროპული სახელოვნებო აკადემიების და იქ არსებული პედაგოგიური მიდგომების შესახებ.

ილუსტრატორები

გვ. 84

ქეთი ქანთარია

ფილიპ როთი, ყველაზე ნაყოფიერი თანამედროვე რომანისტი, რომელმაც სამწერლო კარიერის დასაწყისში საკუთარ სასქესო ორგანოსთან და ფსიქოთერაპევტთან მონაცვლეობით გასაუბრებით ხალხი ცრემლებამდე აცინა და აბრაზა, რომელსაც სიმშვიდე არ უძებნია და მგონი მთელ დასავლურ ებრაულ ტრადიციას ნერვები უშალა, დღეს თვლის, რომ მოდუნების ხანა დაიმსახურა.

„ძალიან მალე მავიწყდება რომანები, რომლებსაც ვწერ და მერე თავიდან მიხდება მათი ნაკითხვა", წერს ადამიანი, რომლის წიგნების დავიწყება უკვე შეუძლებელია და რომელმაც მსოფლიო ლიტერატურაში, ამერიკულზე რომ არაფერი ვთქვათ, თავისი დროის პირველ მწერალთა შორის დაიმკვიდრა ადგილი. არც თუ ისე დიდი ხნის წინ წერაზე საერთოდაც უარი თქვა. ფილიპ როთი ორმოცდათხუთმეტი წლის განმავლობაში „იბრძოდა", და ახლა, როცა 80 წლის გახდა, მოულოდნელად აღმოაჩინა, რომ წერის და მუშაობის გარდა, ცხოვრებაში სხვა სიამოვნებაც არსებობს, მოცალეობაში განმარტოვების, დამსახურებული უსაქმურობის, თვლემის, მჭვრეტელობის და სეირნობის საათები. ოციოდე წლის წინ სამუდამო განსასვენებლად ადგილის შერჩევაზე დაიწყო ფიქრი, მშვიდი და აუმღვრეველი კლევა-ძიების მერე აირჩია: ბარდ კოლეჯი, ადგილი, სადაც ადრე სტუდენტებს ლექციას უკითხავდა, თან ნიუ-იორკთან ახლოსაა. იქ, ასე ეჩვენება, მხიარულად თუ არ იქნება, გარშემო სულ ადამიანები იქნებიან. ალბათ მხოლოდ ერთეულები გაიგებენ ამ კანონზომიერებას: რას ნიშნავს, როცა ცხოვრებას მუშაობაში გაატარებ, საკუთარ ხელობაში მწვერვალებს მიაღწევ, ,,ღვაწლმოსილების" რეკორდს მოხსნი და არც ნაღველით, აღარც მხიარულებით, ჯერაც ჯანმრთელი და მხნე, მარადისობასთან ერთად დაიწყებ სუნთქვას.

დაუფარავად

გვ. 44

მხოლოდ სილქნეტის
ინტერნეტ აბონენტებისთვის

ნოუთბუქები

უპრეცედენტოდ დაბალ ფასად!

~~699 ლარი~~

579 ლარი

დანაზოგი: 120 ლარი

acer

~~640 ლარი~~

550 ლარი

დანაზოგი: 90 ლარი

ASUS



• ყველა ნოუთბუქზე ვრცელდება 1-2 წლამდე გარანტია
• ისარგებლეთ სილქნეტის ანტივირუსით სპეციალურ ფასად

ტექნიკური უზრუნველყოფა
მაღაზია "კამარა სისტემს"
ალ. ყაზბეგის გამზ. 19

ტექნიკური უზრუნველყოფა
მაღაზია "ულტრა"
ღვინის აღმართი 23, ალ.ყაზბეგის.9

2 100 100

www.silknet.com

ოპტიკური ტექნოლოგიები

„ცხელი შოკოლადის“ ქართული ფილმების კრებული

სად არის შენი ბედნიერება ნათელა?

ამო ბეკ-ნაზაროვის ფილმი „ნათელა“ (1926)

ავტორი დავით ბუხრიკიძე

კინოს ისტორიამ ნატო ვაჩნაძის შესახებ მრავალი ლეგენდა შემოინახა. ერთ-ერთი მათგანი მოგვითხრობს, თუ როგორ აღმოაჩინა მოსკოვიდან ჩამოსულმა ახალგაზრდა რეჟისორმა და პროდიუსერმა ამო ბეკ-ნაზაროვმა (ნამდვილი სახელი და გვარია ამბარცუმ ნაზარიანი) ქართული მუნჯური კინოს ვარსკვლავი. 1923 წელს ფილმისთვის „მამის მკვლელი“ (ალექსანდრე ყაზბეგის ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით), რეჟისორი ნუნუს როლის შემსრულებელს ეძებდა. თბილისში სეირნობისას შიხმანის ცნობილ ფოტოატელიეში ულამაზესი ახალგაზრდა ქალის ფოტო დაინახა და მაშინვე გადაწყვიტა, რომ სწორედ ასეთი გარეგნული მონაცემის ქალი სჭირდებოდა.

ბეკ-ნაზაროვი იმდენად იყო მოხიბლული, რომ გურჯაანში მცხოვრებ ახალგაზდა ქალს თავად მიაკითხა. პრაგმატულად მოაზროვნე რეჟისორი მიხვდა, რომ ნატო ვაჩნაძის საოცარი სილამაზე და უშუალობა მის ფილმებს დიდ წარმატებას მოუტანდა. მართლაც, „მამის მკვლელის“ გამოსვლას მოსკოვში წინ უძღოდა ვრცელი სარეკლამი კამპანია „ნატო ვაჩნაძე – ქართველი ვერა ხოლოდნაია“, ხოლო მისი ფოტოების სერია მთელს საბჭოეთს მოედო.

უკვე ორ-სამ წელიწადში ნატო ვაჩნაძე ნამდვილი ვარსკვლავი გახდა, რომლის ეკრანზე გამოჩენას ფილმისთვის გარანტირებული წარმატება მოჰქონდა. 1926 წელს ბეკ-ნაზაროვი საკმაოდ რთულად გადასაღებ ისტორიულ ბლოკბასტერს შეეჭიდა, რომლის სახელწოდებაა „ნათელა“. ფილმს საფუძვლად უდევს რეალური მოვლენები, კერძოდ, 1857 წელს სამეგრელოში მომხდარი გლეხთა აჯანყება, რომელსაც უტუ მიქავა ჩაუდგა სათავეში. ნატო ვაჩნაძეს პარტნიორობას აკაკი ხორავა (უტუ მიქავა), მიხეილ ჭიაურელი (ჯონდო, უტუ მიქავას მეგობარი), სანდრო ჟორჟოლიანი (ხითი, უტუ მიქავას შეგირდი), კოტე ანდრონიკაშვილი (ომარ ფაშა), დიმიტრი ყიფიანი (თავადი ჩიჩუა), ალისა ქიქოძე (სიდუ, მიქავას სატრფო) უწევენ.

საკავშირო გაქირავებას ფილმმა დიდი შემოსავალი მოუტანა, რასაც რეჟისორი ბეკ-ნაზაროვი მთლიანად ნატო ვაჩნაძეს უმადლოდა. მოსკოვში „ნათელას“ ეკრანზე გამოსვლის წინ დაიბეჭდა და გაიყიდა ნატო ვაჩნაძის დაახლოებით 50 ათასი ფოტო! ეს წარმოუდგენელი ციფრია და მუნჯი კინოს არც ერთ მსახიობს საბჭოთა დროს მსგავსი წარმატება არ ჰქონია. მნიშვნელოვანია ისტორიული კონტექსტი, კერძოდ, რუსეთისა და ოსმალეთის ომი (1953-1856 წლები). ასევე გლეხთა აჯანყების თემა, რომელიც მთლიანად ნატურაზეა გადაღებული და ეფექტური ბატალური სცენებითაა გამყარებული.

წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს მსახიობთა თამაშიც (ცხადია, იმდროინდელი კინოესთეტიკის გათვალისწინებით). აკაკი ხორავას შესრულებაში ჰეროიკული მანერა უკვე იგრძნობა, ხოლო ალექსანდრე ჟორჟოლიანი თავისი სახასიათო თუ კომიკური შტრიხებით ბურვილს უფრო მოგაგონებთ. უტყუარი სოციალური ალღოთი გამოირჩევა მიხეილ ჭიაურელის პერსონაჟი, ხოლო დედოფალ ეკატერინე დადიანის პატარა როლზე რეჟისორმა მართლაც თავადის ქალი, ელენე მაჩაბელი-ჩერქეზიშვილი მოიწვია.

ჰარამხანის სცენები, საგანგებოდ დადგმული ცეკვები თუ ეგზოტიკური აღმოსავლური ატმოსფერო უფრო მსოფლიო კინემატოგრაფიული მოდის გავლენით შეიძლება აიხსნას. ფილმის საკმაოდ ვრცელი ეპიზოდები – ნათელას გაყიდვა ომარ ფაშას ჰარამხანაში და ქალების გაქცევა უდაბნოში, გადაღებულია სამარყანდში. საინტერესოა დადიანების სასახლის ინტერიერიც. ერთი სიტყვით, ფილმში უამრავი საინტერესო ეპიზოდია, რომელიც მუნჯი კინოს ფარგლებს სცილდება.

საუკეთესო, რაც ადამიანს ძალუძს შექმნას, შვილებია

"ავერსისთვის" ქველმოქმედება დაარსების დღიდან პრიორიტეტად იქცა. ამის გამო, კომპანიის დამფუძნებელმა საქველმოქმედო ფონდი შექმნა, რომელიც მუდმივად ეხმარება ბავშვთა სახლებს, მოხუცთა პანსიონატებს და ორგანიზაციებს, მონაწილეობას იღებს სხვადასხვა საქველმოქმედო აქციებში. "ავერსი" სასულიერო პირების, ქართველი ოლიმპიელებისა და ვეტერანი სპორტსმენების ჯანმრთელობაზეც ზრუნავს, თუმცა საზოგადოებისთვის და თავად "ავერსისთვის" გამორჩეულად მნიშვნელოვანი, ისევ და ისევ, მრავალშვილიანთა დახმარების პროგრამაა, რადგან მომავალი თაობა ყოველი ოჯახისთვის იმედი, ცხოვრების დედააზრი და უმთავრესი საზრუნავია.

საქველმოქმედო პროექტი "ავერსმა" იმ ოჯახების დასახმარებლად წამოიწყო, რომლებიც ფინანსური სიდუხჭირის მიუხედავად შვილებზე უარს არ ამბობდნენ, თუმცა მრავალშვილიანთა დახმარების პროგრამა მხოლოდ ცალკეული ოჯახებისთვის განეული დახმარება არ გახლავთ; ის ყველაზე ეროვნული პროექტია, რომელიც ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობის გამოსწორებას, შვილიერების პოპულარიზაციას ისახავს მიზნად.

პროექტი "ავერსის" დამფუძნებლის ინიციატივით დაიწყო. პაატა კურტანიძე თავადაც ექვსი შვილის მამაა და არაერთხელ უთქვამს, რომ შვილები მისთვის ყველაზე ძვირფასი განძია:

- ოჯახში სამი და-ძმა ვიზრდებოდით, ასე რომ, დედმამიშვილობის ფასი ყოველთვის მესმოდა, თუმცა დაოჯახებამდე ნამდვილად არ მიფიქრია, რომ ექვსი შვილი მეყოლებოდა. არც მერე დამიგეგმავს მრავალშვილიანობა, უბრალოდ, როდესაც ჩემი უფროსი შვილის თვალებში პირველად წავიკითხე აზრი, იმდენად სასიამოვნო იყო ამის დანახვა და შეგრძნება, იმდენად საოცარი ემოცია გამიჩნდა, რომ მივხვდი: საუკეთესო, რაც ადამიანს ძალუძს შექმნას, არც ფირმაა, არც ხარისხის დაცვა ან რაიმე სხვა მატერიალური ფასეულობა - ეს არის შვილი. აქედან გამომდინარე, მივხვდი, რომ რაც უფრო მეტი შვილი მეყოლებოდა, მით უკეთესი იქნებოდა ჩემთვისაც, ჩემი ოჯახისთვისაც და ქვეყნისთვისაც.

- რა უპირატესობა აქვს მრავალშვილიან ოჯახს სხვებთან შედარებით?

- ვფიქრობ, რომ როცა ოჯახში ბევრი ბავშვია, უფრო მეტად სწავლობენ სიყვარულს, მზრუნველობას და ერთმანეთის მხარდაჭერას, ოჯახიც უფრო ძლიერია, შვილიც უფრო მყარად დგას ფეხზე, რადგან დედმამიშვილების იმედი და თანადგომა აქვს. თუმცა მიმაჩნია, რომ მხოლოდ რაოდენობა არ არის მნიშვნელოვანი; მთავარია, როგორ ადამიანად დაიზრდებიან, როგორ პიროვნებებად ჩამოყალიბდებიან, რა გზას დაადგებიან... ამიტომ მრავალშვილიანობა ძალიან საპასუხისმგებლოა, არც ერთ შვილს არ უნდა მოაკლო ყურადღება, სიყვარული... ამას კი უდიდესი ძალისხმევა, ენერგია და მონდომება სჭირდება.

- როგორი მამა ხართ?

- ამას, ალბათ, მომავალი უკეთ გვიჩვენებს, თუმცა დიდი სურვილი მაქვს, შვილების აღზრდაში საკუთარი წვლილი შევიტანო. ვცდილობ, ყოველ საღამოს გამოვნახო დრო მათთან ურთიერთობისთვის, ვეკითხები, როგორ ჩაიარა დღემ სკოლაში, ვამოწმებ, როგორ არიან მომზადებულები მომდევნო დღისთვის. კვირა დღესაც ოჯახთან ერთად ვატარებ, თუმცა ბავშვების აღზრდით უმთავრესად მაინც ჩემი მეუღლეა დაკავებული.

- "ავერსი" მრავალშვილიან ოჯახებს ეხმარება. გვესაუბრეთ, პროექტის შესახებ რომელიც საზოგადოებაში ასეთი პოპულარობით სარგებლობს

- დემოგრაფიული პრობლემა დღეს ძალზე აქტუალური საქართველოსთვის - მცირერიცხოვანი, თანაც კლებადი ერი ვართ ამიტომ მიმაჩნია, რომ ყველა ოჯახმა უნდა გაიაზროს ეს პრობლემ და რაც შეიძლება მეტი შვილი გაუზარდოს ქვეყანას. ექვსი შვილ მყავს და კარგად მესმის, ბავშვების აღზრდა დიდ ბედნიერებასთან ერთად რამხელა პასუხისმგებლობაა. ჩავთვალე, რომ შემეძლო სხვ მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალური და მორალური მხარდაჭერაც. სწორედ ამიტომ დაიწყო "ავერსის" მუდმივმოქმედ პროექტი, რომელიც კვლავაც წარმატებით გრძელდება. ამასთანავე მინდა აღვნიშნო, რომ მრავალშვილიანთა დახმარების პროგრამა არ გულისხმობს მხოლოდ მატერიალურ დახმარებას - ბევრი ასეთ ოჯახისგან მსმენია, რომ მათთვის მორალური თანადგომა უფრ მნიშვნელოვანია, ვიდრე ფინანსური; როდესაც ვიღაც მადლობ ეუბნება, რომ ქვეყანას მომავალ თაობას უზრდიან, ეს გაცილებ ღირებული რამაა მათთვის.

მართლაც, მრავალშვილიან ოჯახებს თანადგომა და დაფასებ სჭირდებათ, რადგან ასეთი ოჯახები ქვეყნის სიძლიერეა, სწორედ ა ეზრდება ქვეყანას დამცველები და მომავალი დედები...

ვესაუბრეთ ოჯახებს, რომლებმაც "ავერსის" მრავალშვილიანთ დახმარების პროექტში მონაწილეობა მიიღეს. ყოველი მათგან აღნიშნავს, რომ "ავერსის" მხრიდან ყურადღება და დაფასებ მათთვის შეუფასებლად დიდი თანადგომაა:

თოფურიძეების ოჯახში დღეს 5 ბავშვი იზრდება. როგორც ოჯახი დიასახლისმა, ქალბატონმა ვერამ აღნიშნა, "ავერსი" ერთადერთ კომპანიაა, რომელიც ეროვნულ საქმეს ასე უანგაროდ ემსახურება:

- "მრავალშვილიანი ოჯახები მომრავლდნენ - დღეს უკვე აღარავი უკვირს ოჯახში თუ 5-6 ბავშვი იზრდება... სასიამოვნოა, რომ მა ისეთი ძლიერი და ეროვნული ინტერესების მქონე კომპანია უდგა მხარში, როგორიცაა "ავერსი". მრავალშვილიანთა დახმარებ პროგრამით ის უამრავ გაჭირვებულ ოჯახს უმართავს ხელ ამასთანავე სხვებსაც შეახსენებს, რომ ბევრი შვილის ყოლა საამაყო რაც დიდია ოჯახი, მით დიდია იმედი მშობლებისთვისაც ქვეყნისთვისაც".

8 ბავშვის მშობლები არიან ზაზა და ხატია **თურმანიძეები,** როგორ მათ აღნიშნეს, "ავერსისგან" მატერიალურ თანადგომაზე მეტ მორალური მხარდაჭერა ახარებთ:

- სასიხარულოა, რომ "ავერსისთვის" ერთ-ერთი პრიორიტეტ სწორედ მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებაა, ეს იმას ნიშნავ რომ ბატონი პაატა ქვეყნის ინტერესების დამცველი და პატრიოტ პირველად "ავერსის" დახმარება მაშინ მივიღეთ, როცა მეხუთე შვილ შეგვეძინა, მას შემდეგ ყოველ მომდევნო ბავშვის დაბადებაზ სოლიდურ თანხას გვჩუქნიდა, ნაბოლარა ანდრია რომ შეგვეძინ მოვლის საშუალებებით დაგვასაჩუქრეს. ძალიან სასიამოვნოა, რო "ავერსი" მრავალშვილიან ოჯახებზე ასე ზრუნავს. როგორც ვიცი, ი ერთადერთია, რომელიც მსგავს პროექტს ახორციელებს" - აღნიშ ზაზამ

ქვეყანაში არც თუ სახარბიერლო სოციალურ-ეკონომიკურ პირობების მიუხედავად ბოლო ხუთი წლის მანძილზ მრავალშვილიანი ოჯახები მომრავლდნენ, თუმცა დემოგრაფიულ მდგომარეობა ჯერ კიდევ საგანგაშოა. ამის გათვალისწინებით, კიდ უფრო მნიშვნელოვანია ის პროექტი, რომელიც "ავერსის ინიციატივით წამოიწყო და დღემდე წარმატებით გრძელდება.

ავერსი გისურვებთ ჯანმრთელობას და გამრავლებას!

2-911-072; 2-967-227

www.aversi.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

10 მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც არ უნდა გამოტოვოთ

ავტორი სალომე აფხაზიშვილი

ფესტივალი



ფოტოგრაფიის დღეები თბილისში

ქოლგა თბილისი ფოტო

როდის: 1.05 -7.05

მაისის დასაწყისში ფოტოგრაფიის თემით დაინტერესებულ ადამიანებს მნიშვნელოვანი ღონისძიებები ელით. ფოტოკონკურსში გამარჯვებული ფოტო-ნამუშევრების გამოფენის გარდა, თბილისის საგამოფენო თუ სხვადასხვა არტ-სივრცეები არაერთი გამოცდილი უცხოელი და ქართველი ფოტოგრაფების ინდივიდუალურ და ჯგუფურ გამოფენებსაც დაეთმობა. ბოლო პერიოდში ჩატარებული რებრენდინგის შედეგად, წლევანდელ ფესტივალზე მრავლად იქნება წარმოდგენილი საგანმანათლებლო ღონისძიებებიც: ვორქშოფები, სემინარები, პორტფოლიოების განხილვა და დისკუსიები. „ქოლგა თბილისი ფოტოს“ ფარგლებში ასევე წარმოდგენილი იქნება იმ ქართველი ფოტოგრაფების რჩეული ნამუშევრები, რომელთაც ქართული ფოტო-ხელოვნების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის ალექსანდრე როინაშვილის ტრადიციული პრიზი გადაეცემათ.

„კვლევა-ძიების 125 წელი“, National Geographic

როდის: 4.05

სად: თბილისის ისტორიის მუზეუმი – ქარვასლა

გახსნის დრო: 18:00

მისამართი: სიონის ქ. №8

პროფესიონალი ფოტორეპორტიორების თვალით დანახული უცნობი სამყარო – ცხოვრება წყალქვეშ, ექსტრემალურ პირობებში ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი ექსპედიციები, იშვიათი ფლორა და ფაუნა, ისტორიის ხანგრძლივი და საფუძვლიანი კვლევა – ეს ის ძირითადი საკითხებია, რომელსაც National Geographic-ი თავის მსოფლიო აუდიტორიას სთავაზობს. „ქოლგა თბილისი ფოტოს“ ფარგლებში დაგეგმილი გამოფენა დამთვალიერებელს იმ კვლევა-ძიების ამსახველ უნიკალურ ფოტოებს სთავაზობს, რომელიც 125-წლიანი კვლევა-ძიების შედეგია. ამერიკის ეროვნული გეოგრაფიული საზოგადოების დაარსებიდან 125 წელს, National Geographic მასშტაბური გამოფენებით აღნიშნავს. საქართველო მათ შორის ერთ-ერთია.

„ცხოვრების კადრები“, *ბენედიქტ ჯ.ფერნანდესი (აშშ)*

კურატორი – თინა შელჰორნი

როდის: 3.05

სად: ზურაბ წერეთლის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი

მისამართი: რუსთაველის გამზ. №27

გახსნის დრო: 20:00

ბენედიქტ ჯ. ფერნანდესის ფოტოგრაფიები ქუჩასთან არის დაკავშირებული. 1960-იან წლებში ნიუ-იორკის ქუჩებში აღბეჭდილი კადრებით, ის სწორედ ქუჩის ფოტოგრაფად ჩამოყალიბდა. ფერნანდესის სახელს უკავშირდება მარტინ ლუთერ კინგის ცხოვრების ამსახველი უამრავი დოკუმენტური კადრის, ასევე ამერიკაში 60-იან წლებში განვითარებული ქუჩის პროტესტის ამსახველი ფოტოების არსებობა.

თხევადი სარეცხი საშუალება

ფესტივალი

ახალი ღვინის ფესტივალი

როდის: 11.05
სად: თბილისის ეთნოგრაფიული მუზეუმი
მისამართი: კუს ტბის ასახვევი

თუ მაისი ჯერ არ დაგიგეგმავთ, თუმცა ხვდებით, რომ გაზაფხულის მიწურულს ერთი-ორი გამამახნევებელი და ხალხმრავალი ღონისძიება არ გაწყენდათ, აუცილებლად მონიშნეთ თქვენს კალენდარში მაისის მეორე შაბათი. 11 მაისს ქართული ღვინის მოყვარულებს ღვინის დღესასწაული გელით; ფესტივალი, რომელიც, „ღვინის კლუბის" ინიციატივითა და ორგანიზებით, წელს უკვე მეოთხედ ტარდება და ათასობით სტუმარს მასპინძლობს. ფესტივალის მიზანიც სწორედ ესაა – ქართული ღვინის ცნობადობისა და კულტურის ამაღლება.

„ახალი ღვინის ფესტივალი" ერთადერთი ღონისძიებაა, სადაც ღვინის დიდი საწარმოებით დაწყებული, გლეხით დამთავრებული, ყველას ეძლევა მონაწილეობის საშუალება. წელსაც, საქართველოში არსებული ათობით მსხვილი ღვინის კომპანია და, ბოლო პერიოდში, სულ უფრო გააქტიურებული ოჯახური მარნები, სტუმრებს ახალ, 2012 წლის მოსავლიდან დაყენებულ ღვინოებს გააცნობენ.

ფესტივალზე დასწრება იმითაც საინტერესოა, რომ უკვე ნაცნობი საღვინე ვაზის ჯიშების გარდა, აქამდე უცნობ, იშვიათი სახეობის და ახალ ღვინოებსაც დააგემოვნებთ. ღვინის გაცნობის სურვილს ის გარემოც შეგიქმნით, რომელიც ღია ცის ქვეშ, თბილისის ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაგხვდებათ – ფოლკლორული ანსამბლების გამოსვლა, ქართული კერძები, ღვინის სუვენირების გამოფენა და, რაც მთავარია – საუკეთესო საშუალება იმისთვის, რომ ღია ცის ქვეშ სასიამოვნო უიკ-ენდი გაატაროთ.

თბილისის წიგნის XV საერთაშორისო ფესტივალი

როდის: 23.05 – 26.05
სად: საგამოფენო ცენტრი „ექსპო-ჯორჯია", მე-11 პავილიონი
მისამართი: წერეთლის გამზ. №118

მაისის ბოლოს წიგნის მოყვარულებს წლის ყველაზე მასშტაბური ლიტერატურული ღონისძიება ელით. საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის ორგანიზებით, თბილისის წიგნის მე-15 საერთაშორისო ფესტივალი, წინა წლების მსგავსად უამრავ საინტერესო ღონისძიებას უმასპინძლებს: გაიმართება შეხვედრები ქართველ მწერლებთან და მთარგმნელებთან, წიგნის პრეზენტაციები და ბევრი სხვა საინტერესო ღონისძიება, რომლის შესახებაც, მოგვიანებით ფესტივალის ფეისბუქის გვერდიდან შეიტყობთ. ფესტივალის ერთ-ერთი ყველაზე სასიამოვნო ტრადიცია, რა თქმა უნდა, წელსაც გაგრძელდება, რომლის მიხედვითაც, მკითხველებს საშუალება ექნებათ სასურველი წიგნები რამდენიმე პროცენტიანი ფასდაკლებით შეიძინონ. მათ წინაშე წლევანდელ წიგნის ფესტივალზე 70-მდე გამომცემლობა და წიგნის გამავრცელებელი კომპანია წარსდგება.

კონფერენცია

საერთაშორისო კონფერენციების ციკლი „კავკასიიდან ოსმალეთის ჰარამხანებში. დამონებული ქალების ბედი ოცნებებსა და რეალობას შორის".

როდის: 2.05
სად: საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია
დასაწყისი: 18:00
მისამართი: ა.ფურცელაძის ქ. №1
კონფერენცია ჩატარდება ფრანგულ ენაზე ქართული სინქრონული თარგმანით

საქართველოს ფრანგული ინსტიტუტი, საზოგადოების კვლევის ცენტრთან და საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან თანამშრომლობით საერთაშორისო კონფერენციების ციკლს („კავკასიური სივრცე-მუდმივობა და ევოლუციები") მასპინძლობს. 2 მაისს, კონფერეციის მომხსენებელი სოციალური მეცნიერებების პარიზის უმაღლესი სკოლისა და აღმოსავლეთის კვლევების ინსტიტუტის წარმომადგენელი ჟულიეტ დიუმა იქნება, რომელიც საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორიაში ოსმალურ ჰარამხანებში მოხვედრილი კავკასიელი ქალების ცხოვრების ამბებსა და მათ ოცნებებზე ისაუბრებს. ჟულიეტ დიუმა ოსმალეთის ისტორიის დოქტორია და ამჟამად სტამბოლის ანატოლიის კვლევების ფრანგულ ინსტიტუტში მოღვაწეობს. „სილამაზით განთქმული კავკასიელ ქალიშვილები ხშირად ხვდებოდნენ ოსმალურ ჰარამხანებში. დასავლეთის ხალხები ქალებითა და საჭურისებით დასახლებულმა ჰარამხანამ მიიზიდა თავისი ეგზოტიკური ცხოვრების წესით. ეროტიკული ასოციაციებით გაჯერებული ამ მითების მიღმა კი, ჰარამხანა პირველ რიგში მკაცრი აღზრდისა და სოციალური წინსვლის ადგილია, ძალაუფლების არენა და ინტრიგებისა და დაპირისპირებების სამყარო. ჩვენ მივყვებით მოვაჭრეთათვის მონად მიყიდული კავკასიელი ახალგაზრდა ქალების ისტორიას. ოსმალეთის სასახლეების კარები იღებოდა ამ მზეთუნახავების წინაშე, ხოლო მათ შორის ყველაზე იღბლიანები სულთნის ხასები ხდებოდნენ იმ იმედით, რომ ერთ დღეს მომავალი სუვერენის დედობა მათ დედოფლობამდე მიიყვანდა" – აღნიშნულია საკონფერენციო თემის ანოტაციაში.

ᲘᲒᲘᲫᲔᲜᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲑᲐᲜᲙᲘ
BANK OF GEORGIA

EXPRESS PAY

EXPRESS BONUS

EXPRESS ONLINE

ᲡᲐᲩᲣᲥᲠᲐᲓ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲑᲐᲜᲙᲘ
BANK OF GEORGIA

EXPRESS PAY

EXPRESS CARD

1 ᲬᲔᲚᲘ ᲑᲐᲠᲐᲗᲘᲡ ᲡᲐᲙᲝᲛᲘᲡᲘᲝᲡ ᲒᲐᲓᲐᲮᲓᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ

ᲩᲥᲐᲠᲔᲗ,

1 ᲘᲕᲜᲘᲡᲐᲛᲓᲔ ᲔᲬᲕᲘᲔᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ

ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠ ᲡᲔᲠᲕᲘᲡᲪᲔᲜᲢᲠᲡ

ᲓᲐ ᲛᲘᲘᲦᲔᲗ ᲡᲐᲩᲣᲥᲠᲐᲓ EXPRESS CARD-Ი!

www.expresscard.ge | 2 444 444

გამოფენა

ეთერ (ეთო) თედიაშვილის პერსონალური გამოფენა

როდის: 7.05 – 18.05
სად: გალერეა „ვანდა“
მისამართი: დ. ჭონქაძის ქ. №14
გახსნა: 19:00

გერმანიაში მცხოვრები ხელოვანის, ეთერ (ეთო) თედიაშვილის პერსონალურ გამოფენას გალერეა „ვანდა“ უმასპინძლებს. გამომწვარ მინაზე თხევადი საღებავებით შესრულებული ნამუშევრების რეტროსპექტივა 40-მდე ნამუშევარს აერთიანებს. მის მიერ შესრულებული ავანგარდული კომპოზიციები, ძირითადად აბსტრაქციებს, პორტრეტებსა და გრაფიკულ ელემენტებს აერთიანებს. გერმანიაში მისი შემოქმედებითი საქმიანობა ვიტრაჟების მოხატვასა და გამოყენებითი ნივთების დიზაინს უკავშირდება. ორწლიანი პაუზის შემდეგ, ქართველი ემიგრანტი პერსონალურ გამოფენას საკუთარ ქვეყანაში გამართავს.

ვლადიმერ კანდელაკის პერსონალური გამოფენა

როდის: 26.04 – 12.05
სად: შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი
მისამართი: ლადო გუდიაშვილის ქ. №11

ვლადიმერ კანდელაკის ნამუშევრები მისივე რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე ხასიათის თვისებებს ავლენს, რაც პირველ რიგში პლასტიკისა და დინამიკის, რეალურობისა და ირეალურობის სინთეზში ვლინდება. მხატვარი, ბოლო წლებში შექმნილ თავის ასამდე გრაფიკულ და ფერწერულ ნამუშევარს, შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში 12 მაისამდე გამოფენს.

„სიმულტანისტური ბუტიკი“

როდის: 8.05
სად: გამრეკელი-გალერეა
დასაწყისი: 19:00
მისამართი: ინგოროყვას ქ. №14

„სიმულტანისტური ბუტიკი“ მულტიმედიური პროექტია, რომელშიც მონაწილეობას ახალგაზრდა მხატვრები – ანდრია დოლიძე და კოტე კაკაბაძე იღებენ. მულტიმედიური ხასიათის გამოფენის ინსპირაცია ცნობილი ფრანგი მხატვარ-ექსპერიმენტატორის, სონია დელონის შემოქმედებამ განაპირობა, რის შემდეგაც ქართველმა არტისტებმა ამ იდეის გარშემო ერთმანეთისგან დამოუკიდებლად იმუშავეს. ფერწერული ტილოები, ვიდეო-პროექციები და „ტიუნინგის“ ტექნოლოგიით შესრულებული ობიექტი „სიმულტანისტური ბუტიკის“ ქართველი წარმომადგენლების ხედვას გაგვაცნობს.

ანტონ ბალანჩივაძის პერსონალური გამოფენა

როდის: 28.04 – 08.05
სად: ბაია-გალერეა
მისამართი: შარდენის ქ. №10

თითქმის ათწლიანი პაუზის შემდეგ, საფრანგეთში მოღვაწე ქართველი მხატვარი ანტონ ბალანჩივაძე ბოლო წლებში შექმნილ ფერწერულ ნამუშევრებს ქართველ დამთვალიერებელს წარუდგენს. უჩვეულო გულწრფელობით, სისადავითა და გულუბრყვილობით გამორჩეული გმირები, რომლებიც მხატვარის ფერად სამყაროში ცხოვრობენ, ორი კვირის განმავლობაში „ბაია-გალერეაში“ გადმოინაცვლებენ.

უძველესი ეგვიპტური მეთოდით შექმნილი სამკაულების გამოფენა-გაყიდვა

როდის: 11.05 – 12.05
სად: ბაია-გალერეა
მისამართი: შარდენის ქ. №10

მაისის შუა რიცხვებში „ბაია-გალერეა“ ანი დოგრიშვილის ხელნაკეთი ნივთების პერსონალურ გამოფენა-გაყიდვას უმასპინძლებს. თვითნასწავლი ხელოვანი ხელნაკეთი აქსესუარების შესაქმნელად უძველეს ეგვიპტურ ტექნოლოგიას – მაკრამეს იყენებს, რომელიც საქართველოში თითქმის უცნობია. ამ მეთოდს ეგვიპტელები სხვადასხვა მიზნით იყენებდნენ – ამზადებდნენ სათევზაო ბადეებს და ასევე ქმნიდნენ დეკორატიული პანოებს. ხელოვნური, დამუშავებული თოკებით შექმნილი ფერადი და საუცხოო ნივთების დათვალიერება და შეძენა მსურველებს მხოლოდ ორი დღით – 11 და 12 მაისს შეეძლებათ.


ეროვნული ბიბლიოთეკა
აძლიერებს თქვენს ბუნებრივ სილამაზეს
მე ვარ
განსაკუთრებული
MERZ
SPEZIAL
DRAGEES
Skin | Hair | Nails
60 dragees
MERZ
დეგზალდებულია მერცანიში
www.merz-spezial.com
მერცის სპეციალური დრაჟე
გლუვი კანი, მაზინვარე თმა
უნიკალური კომბინაცია
და მტკიცე ფრჩხილები
ABC PHARMACIA
ABC PHARMACIA
www.abc-pharm.com
გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას. პრეპარატის უკუჩვენებისა და გვერდითი მოვლენების შესახებ, დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

IRON MAN 3 / რკინის კაცი 3 3D

რეჟისორი შეინ ბლეკი

როლებში რობერტ დაუნი უმცროსი, გვინეტ პელტროუ, ბენ კინგსლი...

ჟანრი ფანტასტიკა, მძაფრსიუჟეტიანი

მესამე ნაწილში რკინის კაცს მოუწევს დაუპირისპირდეს მოწინააღმდეგეს, რომლის ძალაუფლებასაც საზღვრები არ აქვს. როდესაც მტერი ანადგურებს ყველაფერს, რაც ეკუთვნის სტარკს, ის გაემგზავრება დამნაშავის საპოვნელად. მოგზაურობა მისთვის იქცევა გამოცდად. ყოველგვარი დახმარების გარეშე დარჩენილ ტონი სტარკს მოუწევს დაეყრდნოს მხოლოდ თავის ინსტინქტს, გამომგონებლობის გენიალურ ნიჭსა და, რა თქმა უნდა, თავის მექანიკურ ქმნილებებს, რომ დაიცვას მისთვის ძვირფასი ადამიანები და გადაირჩინოს თავი.

STAR TREK INTO DARKNESS 3D

რეჟისორი ჯეი ჯეი აბრამსი

როლებში კრის პაინი, ზაკარი კუინტო, ზოი სალდანა

ჟანრი მძაფრსიუჟეტიანი, სათავგადასავლო, ფანტასტიკა

დედამიწაზე დაბრუნების შემდეგ, ხომალდ „ენტერპრაიზის“ გუნდი ამჩნევს, რომ მათი ორგანიზაციის საქმიანობა და პრინციპები შიგნიდან იხრწნება. ფლოტი შებოჭილია გაუაზრებლობის შიშით და უმოქმედობით. მსოფლიო კი ნელ–ნელა მიექანება წყვდიადისაკენ. კაპიტანი კირკი თავის თავზე იღებს ვალდებულებას ებრძოლოს დასადგურებულ ქაოსს და ბოროტებას.

FAST AND FURIOUS 6

რეჟისორი ჯასტინ ლინი

როლებში ვინ დიზელი, პოლ უოკერი, ჯეისონ სტეიტემი

ჟანრი კრიმინალური, დრამა, თრილერი

მას შემდეგ, რაც დონი და ბრაინი იყვნენ რიოში და გაძარცვეს ერთი ძლევამოსილი დამნაშავე, ისინი და მათი ჯგუფი დაიშალნენ მთელ მსოფლიოში. მათ, რაღა თქმა უნდა, გაინაწილეს 100 მილიონი დოლარი და ყველაფერი დაიწყეს თავიდან, მაგრამ, სამწუხაროდ, მათ არ შეეძლოთ მშობლიურ ადგილებში დაბრუნება ...

THE GREAT GATSBY

რეჟისორი ბაზ ლურმანი

როლებში ლეონარდო დი კაპრიო, ტობი მაგუაერი, კერი მალიგანი

ჟანრი დრამა, მელოდრამა

ფილმში მოქმედება მეოცე საუკუნის ოციანი წლების ნიუ–იორკში ვითარდება . ის გამოუცნობი მილიონერის დრამატულ ცხოვრებაზე, წარმატებასა და სიყვარულის ისტორიასზე მოგვითხრობს.

რა მოხდა კიევში

რეჟისორი ირაკლი ჩხიკვაძე

როლებში მერაბ ჭიქაშვილი, თორნიკე გოგრიჭიანი, გიორგი ლორია, სანდრო გაბილაია

ჟანრი კომედია

ოთხი მეგობარი უიქენდის გასატარებლად გუდაურში წასვლას გადაწვეტს, თუმცა ერთი შეხედვით ჩვეულებრივი დროსტარება, უცნაურ და დაუვიწყარ თავგადასავლად შემოუტრიალდებათ. მეგობრები მეორე დღეს იღვიძებენ კიევში და ვერაფრით იხსენებენ, რა მოხდა წინა ღამით. მათი ცხოვრება დანგრევის პირასაა, რადგან მათ დაკარგეს ბავშვობის მეგობარი და საქართველოს ნაკრების მეკარე – გიორგი ლორია, რომელსაც რამდენიმე საათში უმნიშვნელოვანესი თამაში აქვს ეროვნულ ნაკრებში.

FROM **BAZ LUHRMANN**, THE DIRECTOR OF **ROMEO + JULIET** AND **MOULIN ROUGE**

LEONARDO **DiCAPRIO** TOBEY **MAGUIRE** CAREY **MULLIGAN** JOEL **EDGERTON**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაო და „ანტრეს“ არასამარხვო ვნებანიო...

იაფი ლობიანი გადარბენაზე თუ ძვირი ფრეში კარგი ფილოსოფოსის თანხლებით?!

ავტორი კოლია ფხალაძე

შენ ძალიანაც რომ გრძნობდე, სხვები მაინც ვერ ამჩნევენ... თუ, რასაკვირველია, თავადაც არ გასინჯეს. „ანტრეს“ ქსელში გამეფებულ სიამტკბილობაზედ მოგახსენებთ, რომელიც უკვე დიდი ხანია ფრანგული პურ-ფუნთუშეულისა და საკონდიტრო ნაწარმის ლიდერია მშობლიურ ქვეყანაში და მის გარეთაც.

საქართველოს დედაქალაქში დახვეწილი ცხობა-ქმნადობის ხელოვნება ფრანგმა კულინარებმა 2008 წლის ნოემბრიდან დაიწყეს, როცა თბილისში პირველი „ანტრე“ გაიხსნა. გადატანილი ომის დეპრესიული დროიდან მოყოლებული, ყური ნელ-ნელა ეჩვეოდა უჩვეულოდ მჟღერი ფრანგული თანხმოვნებით წარმოთქმული ტკბილეულობისა თუ ნამცხვრების სახელწოდებებს: „ტარტი, პენ ო' შოკოლა“, „კრუასანი“, „მაფინი“, „ორანე“... და კიდევ უამრავ სხვას, რომელთა წარმოთქმასაც გაცილებით დახვეწილი პრონონსი ჭირდება.

ევროპიელობა რომ ხარისხიანი კაფეების რაოდენობითაც იზომება, ჩემზე უკეთ ყოფილმა მდგრადმა ეკონომისტმა, მშვენიერმა ვერა ქობალიამ უწყის, რომელმაც თბილისში 2012 წელს მარჯანიშვილის მოედანზე „ანტრეს“ ქსელის რიგით მეექვსე კაფე გახსნა. სხვათა შორის, საფრანგეთის სრულუფლებიან ელჩთან, რენო სალენსთან ერთად, და არც მიკვირს. ფრანგულად ხომ სახელმწიფო ლამის კულინარიასაც ნიშნავს. დღეს ჩვენს დედაქალაქში გაბნეული გემრიელი ექვსეულის, ანუ „ანტრეს“ მისამართები ასეთია:

1. აბაშიძის და თაქთაქიშვილის კუთხე (აბაშიძის 13);
2. ჭავჭავაძის გამზირი N78;
3. პეტრიაშვილის ქუჩა N19;
4. რუსთაველის გამზირი N20;
5. გამსახურდიას გამზირი N7;
6. აღმაშენებლის გამზირი N86.

ფრანგული საკონდიტრო ნაწარმის პრემიუმ-კლასის შემოწმება მაინც რუსთაველზე მდებარე კაფედან დავიწყე. სპეციალური რეცეპტებით დამზადებული პურ-ფუნთუშეულის


FIRST DRUG STORE IN GEORGIA
სითი ფარმა
CITY PHARMA
სითი ფარმა CITY PHARMA
დიდმის მასივი III კვარტალი
საბურთალოს 32
წერეთლის 11
პოსტავას 75
იმოგზაურე სითი ფარმაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაოდენობა იქ შთამბეჭდავია, თუმცა შთამბეჭდავია ფასებიც. საშუალო ზომის ბაგეტი „ანტრე“ – 1,5 ლარი, „პარიზული“ – 1,5 ლარი, მარცვლეულის ბაგეტი – 2 ლარი, ძალიან გემრიელია ჭვავის პური (ასევე 2 ლარი), რომელიც საკმაოდ პატარაა და ახალი თონის პურივით სწრაფად შემოგეჭმებათ.

საუზმის დრო 8 სათიდან 12 საათამდეა. მსუბუქი საუზმის მენიუ 5 ლარიდან იწყება, რაც მხოლოდ ესპრესოსა და კრუასანს გულისხმობს. „ანტრე“ – 10 ლარი და ის გაცილებით შთამბეჭდავია (ლორის ნაჭერი, ყველი, მწვანე სალათი, პურის ნაჭერი, პატარა იოგურტი და რძიანი ყავა). ცხადია, მენიუშია საფირმო „კონტინენტალიც“. 15 ლარად ომლეტის, ლორის, ყველის ნაჭრის, მწვანე სალათის, პომიდვრის, თეთრი პურის, კარაქის, მარწყვის იოგურტის, რძიანი ყავის, მინი „პენ-შოკოლას“ და ფორთოხლის წვენის დაგემოვნება შეიძლება. შთამბეჭდავი სიის მიუხედავად, ეს ყველაფერი ზომიერად მკვებავ ადამიანსაც კი შეიძლება მინიატურულად მოეჩვენოს.

რუსთაველზე მდებარე „ანტრეში“ საყვარელი კაპუჩინო გავსინჯე, პლუს საფირმო „პენ შოკოლა“ და შოკოლადის კრუასანი. ეს ყველაფერი 11 ლარად. თავად განსაჯეთ, ცოტაა თუ ბევრი. ყავა ნორმალურია, ყოველ შემთხვევაში უცხოეთში, საფირმო კაფეების („კარასი“ და „ბალზაკ კაფე) კაპუჩინოზე უარესი არ არის. საფირმო კრუასანი გემრიელია, მაგრამ საკმაოდ პატარაც. „პენ შოკოლა“ არც ისე შთამბეჭდავია, როგორც წარმომედგინა. „კულინარიული ბაროკოს“ ნიმუშია „შანტალი“ (6,5 ლარი) შოკოლადის მუსით და კრემით, ასევე „გილფეი“ (4.5 ლარი) შოკოლადით, კრემითა და ხილით.

სანიმუშო რეკლამას უწევენ ახალ ნამცხვრებსაც, მაგალითად, „ამელის“, რომელიც 5 ლარი ღირს. ის მშვენივრად გამოიყურება, მსუბუქია, არაკალორიული და სწრაფად შეჭმადი. კლასიკური ნამცხვრის მოყვარულთ ალბათ ხილის ტარტები უფრო მოეწონებათ, გარგარით, ანანასით და ვაშლით (4-4,5 ლარი). ჩემი დაკვირვებით, ყველა ზემოხსენებულ საკონდიტრო ნახევარშედეგრს ქართველი გურმანი გაცილებით უფრო სწრაფად „აითვისებს“, ვიდრე დეიდა ბელას საფირმო ტორტის თუნდაც ერთ, საშუალი ზომის ნაჭერს. მაგრამ ბელას ტორტი სრულიად სხვა „ოპერის“ თემაა...

რუსთაველზე მდებარე „ანტრეში“ მრავლად დადიან თბილისში მომუშავე უცხოელები (მიუხედავად იმისა, რომ ახლოა მოდური „პროსპერო“, სადაც მათ ჩამოჯდომა, ყავის სმა და წიგნის კითხვა უყვართ). ასევე, საშუალოდ

ფრანგული საკონდიტრო ნაწარმის პრემიუმ-კლასის შემოწმება მაინც რუსთაველზე მდებარე კაფედან დავიწყე. სპეციალური რეცეპტებით დამზადებული პურ-ფუნთუშეულის რაოდენობა იქ შთამბეჭდავია, თუმცა შთამბეჭდავია ფასებიც.

კარგი ხელფასებით უზრუნველყოფილი ქართველები, ტურისტები და ნაწილობრივ არტისტული ბომონდიც. მაგალითად, დავლანდე ჯგუფურად მოსაუზმე ეროვნული კინოცენტრის თანამშრომლები, მოგვიანებით შემოვიდნენ აკადემიის სტუდენტებიც. დახლოებით ოცი მაგიდის ორი მესამედი სავსე იყო და როგორც მთავარი მენეჯერი ამბობს, „მთელი დღის განმავლობაში დაახლოებით ასეა“.

უცნაურია, მაგრამ პეტრიაშვილისა და ბარნოვის გადაკვეთზე ასეთი მისვლა-მოსვლა და ხმაური არ არის. იქაური „ანტრე“ გაცილებით პატარაა, სულ ექვსი მაგიდა და გრძელი ჩამოსაჯდომი. პატარა და კამერული სივრცე სიმყუდროესაც განაპირობებს, რომელიც ერთდროულად გასართობად და სამუშაოდ განაწყობს კლიენტებს. შევნიშნე ლეპტოპს ჩაღრმავებული რამდენიმე ახალგაზრდა. მოგვიანებით შემოვიდა ფილოსოფოსი და პუბლიცისტი გიგა ზედანია უცხოელ კოლეგასთან ერთად, რომელიც თურმე „ანტრეს“ ხშირი და სასურველი სტუმარია.

საზაფხულო ტერასა ბოლომდე ათვისებული არ არის სიცივისა და ქარის გამო. სამაგიეროდ, ზაფხულში ყოველთვის სავსეა. ადმინისტრაცია ნაკლებად ოფიციალურია და კლიენტების უმრავლესობას კარგად იცნობს. ზოგიერთებს გასაკუთრებულადაც ესალმება. რუსთაველსა და აღმაშენებელზე მდებარე „ანტრესგან“ განსხვავებით, მცირე პარკინგის საშუალება მაინც არსებობს. მშობლებს ბავშვები სკოლის შემდეგ მოჰყავთ და როგორც გავარკვიე, ლანჩი პეტრიაშვილზე ორივესთვის სულის მოთქმას ჰგავს.

სიახლეა რუხი პურის სენდვიჩი ძეხვითა და პარმეზანით (5 ლარი) და რატომღაც მოდური სენდვიჩი ინდაურის შაშხით (ასევე 5 ლარი). თანაც გამყიდველი განუწყვეტლივ გახსენებთ, რომ რუხი პური ჭვავის მთლიანი მარცვლებისგან მზადდება და არ შეიცავს საფუარს. ბავშვებს, ცხადია, ჭვავის მარცვლების სარგებლიანობას და ე.წ. მუავე ცომის ეგვიპტურ მეთოდს ტკბილეული და ნაყინი ურჩევნიათ.

შეიძლება ითქვას, რომ „ანტრეს“ ნაყინი ცნობილი იტალიური მაღალხაროსხოვანი ნაყინის საამო ანარეკლია, რომლის თითო ბურთულა 2,5 ლარი ღირს. სულ 12 სახეობაა, თუმცა ამ ტკბილ საქმეში კარგად ჩახედულები მეუბნებიან, რომ თბილისში ცნობილი ბრენდის, „ანჯელატოს“ გამოჩენის შემდეგ, „ანტრეს“ ნაყინი ისე ყოჩაღად აღარ იყიდება. ამაში არის გარკვეუ-

PAPILLON
პაპილონი

ევროპული ავეჯი განახლებულ პაპილონში

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისი აკ. ბაქრაძის 6 (მტკვრის მარჯვენა სანაპირო, დიღმის ხიდთან); ტელ: +99532 2540990
ქუთაისი წერეთლის 163, ტელ: 0431 235025; ბათუმი ბაგრატიონის 109; ტელ: 0422 220348
WWW.PAPILLON.GE

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ლოგიკა: თუ კარგი ნაყინი ძალიან გინდა და თანაც ფასში განსხვავება მნიშვნელოვანი არ არის, მაშინ უფრო ხარისხიან და ფართო ასორტიმენტის მქონე სანაყინეში სიამოვნებით წახვალ.

გამყიდველის რეკომენდაციის მიუხედავად, ინდაურის შაშხის მაგიერ კლასიკური და გაუცხელებელი სენდვიჩი ვამჯობინე – ლორით, ყველით და სალათის ფურცლებით (5 ლარი); ხოლო 7-ლარიან ლატეს, ისევ 7-ლარიანი ფრეში, ანუ ჩემ თვალწინ გამოწურული ფორთოხლის წვენი. უცნაური გასტრონომიული განტოლება მეუბნება, რომ არაზარმაცი დიასახლისი იმავე 7 ლარად იყიდის დახლოებით 2,5 კილო ფორთოხალს, რომლისგანაც თუნდაც მექანიკური საწურით, სულ მცირე, 7-8 ჭიქა ფორთოხლის წვენს გამოწურავს, რაც შვიდმაგი თანხის დაზოგვას ნიშნავს... კი მაგრამ ბრენდი, ატმოსფერო, თავისუფლება, სიამოვნება? ეს ხომ ფული ღირს.

ნებისმიერ შემთხვევაში არჩევანი მაინც თქვენზეა: გინდათ ხარისხიან პროდუქტსა და სიამოვნებაში ძვირი გადაიხადეთ, გინდათ თონეში გამომცხვარი, ლარად ღირებული ლობიანი შეჭამეთ გაჩერებაზე (რასაც დიდი ხანია მივეჩვიე). და თუ გსურთ 80-თეთრიანი „კოკა-კოლაც“ დააყოლეთ (რასაც თითქმის არასოდეს ვაკეთებ).

მგონია, რომ მაინც შევცდი. სადილზე, უფრო ზუსტად, ლანჩზე, აშკარად უკეთესი იქნებოდა „ანტრეს“ ახალი სახეობის ორი ცხელი კერძიდან ერთ-ერთი მაინც ამერჩია: ორაგული ბრინჯისა და ბოსტნეულის გარნირით (10 ლარი), ან „მელანზანე“ (ბადრიჯანი ბოსტნეულის გარნირით, რომელიც 7 ლარი ღირს). შეცდომა საღამოს „გამოვასწორე“ და ლანჩად წოდებული სამარხვო ორაგული ბოსტნეულით ვახშმად ვაკეში მდებარე „უძველესად“ შერაცხულ „ანტრეში“ ვიგემე, აბაშიძისა და თაქთაქიშვილის ქუჩების გადაკვეთაზე.

უნდა გამოვტყდე, რომ „სამარხვო ორაგული“ (ასე ეწერა პოსტერზე და ნამდვილად არ ვიცი, ამ გაგანია მარხვაში ორაგული სამარხვოა თუ არა?!) ბრინჯისა და ბოსტნეულის გარნირით, ყველა ჯურის სენდვიჩსა და „კონტინენტალზე“ გემრიელი მეჩვენა. თუმცა ყველაფერი შედარებითია და, დანარჩენისთვის, როგორც წესი, „მასტერკარდი“ არსებობს, რომელიც არ გამაჩნია.

ამასობაში ვიხილე კაფეს გარეთ ნამდვილი (თუ განგებ) მათხოვრები და შიგნით განგებ (თუ ნამდვილად) მხიარული არტისტები; აგრეთვე, გადამდგარი სპორტსმენები, ირანელი თუ არაბი ბიზნესმენები დაბურული ცოლებით, უცნაური საერთაშორისო ორგანიზაციის სერიოზული თანამშრომლები, აიპადიანი თინეიჯერები, ხვლიკ-ტატუირებული, შავად ჩაცმული შეყვარებულები. მალე დაღამდა და „ანტრეს“ კიდევ ერთი სიახლე გამახსენდა – ტარტი ალუბლისა და ნუშის კრემით (2,5 ლარი), რომელსაც დავაყოლე ჟასმინის ჩაი (3,5 ლარი). სამწუხაროდ, ჩაი ყავასთან შედარებით უხარისხოდ მომეჩვენა.

საზაფხულო ტერასა ბოლომდე ათვისებული არ არის სიცივისა და ქარის გამო. სამაგიეროდ, ზაფხულში ყოველთვის სავსეა.

„ანტრე“ Take away-ის პრინციპითაც მუშაობს, რაც იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერი პროდუქტის თან წაღება შეგიძლიათ. მაგალითად, ნაქები და გემრიელი ორაგული ბოსტნეულით ან „მელანზანე“ შეგიძლიათ გააცხელებინოთ და ადგილზე მიირთვათ, ან მართლაც საოცარი თერმორეგულაციის და შეფუთვის საშუალებით შინ წაიღოთ.

გასაგებია, რომ „ანტრეს“ მენეჯმენტი გამოცდილი ფრანგი ტექნოლოგებითაა დაკომპლექტებული, რომლებიც ქსელის აწყობისა და გამართვისთვის სამხრეთ საფრანგეთიდან მოიწვიეს. ისინი მომხმარებელს 250-მდე სხვადასხვა დასახელების პროდუქტს შესთავაზებენ. ასე რომ, სახელგანთქმული ფრანგული „ბულანჟერია“ საქართველოში უკვე მეხუთე წელია არსებობს. წლის ბოლომდე „ანტრეს“ ქსელი უფრო გაფართოვდება და თბილისში კიდევ რამდენიმე კაფე გაიხსნება, რომელშიც 200-მდე ადამიანი დასაქმდება. და ეს რეალური პერსპექტივაა, მთავარია ხალხს ფული გაუჩნდეს...

თბილისურ „ანტრეს“ ორი მთავარი ჯადოქარი-კულინარი განაგებს: ალან ჟონე (იგი ორცხობილებს, პურის გამოცხობასა და კრუასანებს კურირებს) და ქსავიე ჟირარდინი, რომელიც უმთავრესად საკონდიტრო მიმართულებას ხვეწს (ნამცხვრები, ნაყინი, ტკბილეული, კანფეტები). ორივეს უყვარს ქართული სამზარეულო, თუმცა ბატონი ალანი ფიქრობს, რომ ის ზედმეტადაა გაჯერებული ცხიმიანი და ხორციანი კერძებით, ხოლო ბატონი ქსავიე იმერულ ფხალებსა და კარგად შეკმაზულ ლობიოში კარგად ერკვევა.

P.S. დახლოებით ღამის 9 საათზე, ანუ ვაკეში მდებარე „ანტრეს“ დაკეტვამდე და მუცლის სრულ ამოყორვამდე ერთი საათით ადრე, თავი ლუარსაბისა და დარეჯანის სიმბიოზი მეგონა. ფსიქიკა თითქმის გახლეჩილი მქონდა. ხან მოგებულ „ბაიერნზე“ ვფიქრობდი, ხან „ცხელი შოკოლადის“ ახალ ნომერზე, ხან ბუნუელის საცოდავ ბურჟუაზიაზე, ვერაფრით რომ ვერ ჭამს რესტორანში, ხან პედაგოგ ედიკო რუსიშვილის მოწაფე-პიანისტებზე, ხან პრეზიდენტისა და პრემიერის ნაკვალევზე აღმოცენებულ ახალგამოჩეკილ პაროდისტებზე...

creative home

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეკორატიული აქსესუარები თქვენი ინტერიერისათვის

თბილისი, ჭავჭავაძის 34 , სავაჭრო ცენტრი პიქსელი
ტელ: +995 32 2183507
ქავთარაძის 1, ჰიპერმარკეტი გუდვილი
ტელ:+995 32 2145014

ბათუმი, მემედ აბაშიძის 44
ტელ: 422 2359004

http://www.facebook.com/pages/Creative-Home/

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფეისბუქი

ავტორი ანა გელბახიანი

ადამიანების ერთ-ერთი საყვარელი საქმიანობა ცხოვრების პერიოდების შედარებაა. ხშირად გვჩვევია before/after შედარებების გაკეთება, როგორ გამოვიყურებოდით ვარცხნილობის შეცვლამდე და როგორები ვართ ახლა, როგორი იყო ჩვენი ცხოვრება ფეისბუქამდე და მას შემდეგ, რაც ფეისბუქზე დავრეგისტრირდით. ალბათ ყველას, ვინც მეტ-ნაკლებად ხშირად იყენებს ამ უკანასკნელს, გასჩენია კითხვა, „რას ვაკეთებდი მაშინ, როცა არ მქონდა ფეისბუქი?"

ზოგიერთს არც კი გაახსენდება, რომ ოდესღაც ფორუმების და სხვა სოციალური ქსელების მომხმარებელი იყო, მაგრამ არც ერთ მათგანზე ასე დამოკიდებული არ გამხდარა. აშკარაა, ფეისბუქი იმაზე მეტს გვთავაზობს, ვიდრე უბრალოდ გასართობად ფოტოების ატვირთვა და ვირტუალური მეგობრების შეძენაა. მიუხედავად იმისა, რომ უამრავი სტატისტიკა ქვეყნდება იმის შესახებ, თუ როგორ გავხდით დამოკიდებულები ფეისბუქზე, ფაქტია, რომ ამ სოციალურმა ქსელმა უამრავი ადამიანის ცხოვრება შეცვალა უკეთესობისკენ, გაამარტივა ურთიერთობები და კომფორტი შემოიტანა ჩვენს ცხოვრებაში.

როგორ? რამდენიმე მაგალითს მოვიყვან, რომელზეც შესაძლოა, არც კი გიფიქრიათ ფეისბუქზე ყოფნის დროს, მაგრამ თავს გადაგხდენიათ.

ვირტუალური მეგობარი – გარდა იმისა, რომ ყველას გვყავს რეალური მეგობრები, რომლებსაც კვირაში რამდენჯერმე ვხვდებით, ვიძენთ ვირტუალურ მეგობრებსაც, რომლებთან ურთიერთობაც ხშირად ე.წ „ნამდვილ" მეგობრებზე სასიამოვნოა: ალბათ ყველას გვსმენია და გამოგვიცდია კიდეც, რა იოლია უცნობი ადამიანისთვის გულის გადაშლა და პრობლემების გაზიარება, ვირტუალური მეგობრები კი სწორედ ამისთვის არიან ☺. ისეც ხდება, რომ მეგობრობა მხოლოდ ფეისბუქზე არ რჩება და რეალურ ცხოვრებაშიც გრძელდება. პირადი მაგალითით იმის თქმა შემიძლია, რომ უამრავი კარგი მეგობარი შევიძინე ფეისბუქიდან და, ვფიქრობ, მომავალშიც ბევრ სასიამოვნო ადამიანთან ურთიერთობა მელის წინ.

კონტაქტი საზღვრების გარეშე – რამდენ თქვენგანს ჰყავს მეგობარი/ოჯახის წევრი უცხოეთში? როგორ მოვიქცეთ, როცა გვენატრებიან? ალბათ დამეთანხმებით, მათ პროფილში შესვლა, სტატუსების, ფოტოების დათვალიერება თითქოს მათი ცხოვრების მონაწილეს გვხდის და მანძილს ამცირებს.

დაკარგული ბავშვობის მეგობარი – სკოლისდროინდელი დღიურების თვალიერებისას ბავშვობის მეგობარი რომ გაგახსენდებათ, ალბათ მიხვდებით, სად უნდა ეძებოთ. მათი ფეისბუქის თვალიერებისას ყველაფერს ვიგებთ: თურმე გათხოვდა/ცოლი მოიყვანა, უკვე ორი შვილი ჰყავს, თურმე რამდენი დრო გასულა, არა? მეგობრობის განახლება არასდროსაა გვიანი: გაუგზავნეთ მას მეგობრობის თხოვნა ☺.

ინფორმაციის გაზიარება – რას ვაკეთებთ როცა მეგობრებისთვის და ნაცნობებისთვის ახალი ამბის გაზიარება გვსურს? რა თქმა უნდა, ვწერთ სტატუსს/ვავრცელებთ ლინკს, ან ვტვირთავთ ფოტოს. და თუ არ გვინდა, თქვენმა ბოსმა/მშობელმა/საქმრომ ეს ამბავი შეიტყოს, მარტივად ვფილტრავთ აუდიენციას. დამეთანხმებით, ფეისბუქი ამ საკითხშიც შეუდარებელია – შეტყობინება მარტივად და სწრაფად მიდის სასურველ აუდიტორიამდე.

ფეისბუქი საქმიანი ადამიანებისთვის – თუ რომელიმე ორგანიზაციის წარმომადგენელი ხართ და გსურთ, რაც შეიძლება ბევრ ადამიანს გააგებინოთ თქვენი ღონისძიების/პროდუქტის შესახებ, რამდენი-



მე მარტივი კლიკით შეიძლება ამის გაკეთება – ზემოხსენებული ფეისბუქ ფეიჯი ხომ ამისთვის საუკეთესო საშუალებაა, მით უმეტეს, თუ გამოვიყენებთ რეკლამას, რომელიც სატელევიზიო რეკლამაზე გაცილებით იაფია და თუ გავითვალისწინებთ, რომ ინტერნეტმა ტელევიზია გარკვეულწილად ჩაანაცვლა, საკმაოდ ეფექტურიცაა.

ინფორმაციის მიღება – გქონიათ შემთხვევა, როცა დედა გიყვებათ რომელიმე მნიშვნელოვანი სატელევიზიო სიუჟეტის შესახებ და თქვენ ეს ამბავი გუშინწინ შეიტყვეთ ფეისბუქიდან? ალბათ გქონიათ. თუ მინიმუმ 5 საინფორმაციო სააგენტოს გვერდი გაქვთ გამოწერილი, შეგიძლიათ ტელევიზორი საერთოდ დაივიწყოთ. რომელიმე კომპანიაზე გვსურს ინფორმაციის მიღება? პირველ რიგში მის ოფიციალურ გვერდს ვეძებთ და ვეცნობით სიახლეებს. ძალიან ხშირად მიმიღია სწრაფი და ამომწურავი პასუხი კომპანიის ფეისბუქის ფეიჯიდან ჩემთვის საინტერესო საკითხებზე. ხშირად ნივთებიც კი შემიძენია ონლაინ მაღაზიების ფეიჯებიდან.

ფეისბუქი და პოლიტიკა – პოლიტიკური მოწოდებების გასავრცელებლად ფეისბუქი რომ არაჩვეულებრივი საშუალებაა, ეგვიპტის მაგალითმაც გვიჩვენა: ამბობენ, მუბარაკი დღემდე ხელისუფლებაში იქნებოდა, რომ არ ყოფილიყო წვდომა ფეისბუქზე, რადგან მაშინ, როცა ყველა მედიასაშუალება გათიშული იყო, ინფორმაცია ფეისბუქით ვრცელდებოდა. აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ შვილს „ფეისბუქიც“ კი დაარქვა .

ფეისბუქგამარჯვებულები – იღბლიანი ადამიანი არ ვარ, თორემ აუცილებლად მოვიგებდი რამეს ფეისბუქზე: უამრავი კომპანია აწესებს პრიზებს ერთგული და აქტიური მომხმარებლებისთვის, აწყობს კონკურსებს და აკეთებს გასართობ აპლიკაციებს. ერთ-ერთი ასეთი გვერდი ეკუთვნის ალდაგს, რომელმაც ორი წლის განმავლობაში 200-ზე მეტი ადამიანი გაახარა სასიამოვნო სიურპრიზებით. წარმოიდგინეთ, დისნეილენდის საგზური რომ მოიგოთ და ბავშვობის ოცნება აიხდინოთ, ან ძალიან გსურთ უახლესი მოდელის ტელეფონი. ასეთი სიურპრიზები ალდაგის გვერდზე უცხო არაა და თუ ამ გვერდის 120 000 ლაიქერიდან ერთ-ერთი ხართ, შესაძლოა თქვენც აღმოჩნდეთ სიურპრიზის ადრესატი.

კიდევ გიკვირთ, რატომაა ფეისბუქი ასე მაცდური? წართმეული დროის სანაცვლოდ კომფორტს და სარგებელს გვთავაზობს. ისევ პირად მაგალითს დავეყრდნობი და ვიტყვი, რომ უამრავი საქმიანი წინადადება მიმიღია ფეისბუქიდან და ჩემი პირველი სამსახურიც ერთ-ერთი ასეთი წინადადებით დაიწყო. ზოგიერთები ოჯახებსაც კი ქმნიან უბრალო ფეისბუქით დაწყებული ნაცნობობიდან. ასე რომ, თუ აქტიური მომხმარებელი ხართ, თქვენც იპოვით უამრავ მიზეზს იმ მიჯაჭვულობის ასახსნელად, რაც ამ „ჯადოსნურ“ ქსელთან გაკავშირებთ.

რუბრიკას წარმოგიდგენთ „ალდაგი ბისიაი“
www.facebook.com/aldagi

ALDAGI BCI

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველი მხატვრების სწავლა და გაფრენები დიუსელდორფში

ავტორი ლევან მახბერაძვილი

„აქ არავინ არ გეტყვის „ნუ აფრენ, ჯერ ისწავლე და მერე გააფრინე“, პირიქით, აქ შეგიძლია გააფრინო, ბოლომდე შეყვე ამ პროცესს“.

შარშან, ბონში ახალი ჩამოსული ვიყავი, როცა ჩემს სანახავად დიდი ხნის უნახავი მეგობრები, მაშო და გურამი ჩამოვიდნენ. **მაშო ოდიშელიძე** და **გურამ შავდია** დიუსელდორფში სწავლობენ. გურამი დაახლოებით ექვსი წელია, მაშო ორი წლით ნაკლები. ორივე დიუსელდორფის ხელოვნების აკადემიის სტუდენტია და ორივე მხატვარი.

მაისი იყო და, ჩვენდა საბედნიეროდ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველაზე საინტერესო კი ის იყო, რომ ჩვენ არასდროს არ ვიცოდით, თუ რატომ გვეკუთვნოდა კარგი ან ცუდი ნიშანი და არც არასდროს იმართებოდა დიკუსია ამის შესახებ.

„გურამი", მაშო ოდიშელიძე

„ხე", მაშო ოდიშელიძე

კარგი ამინდი დაგვემთხვა. ბონის ცენტრში, რეინიგბის ცალ-გურიდან არც თუ ისე მოშორებით, ერთი კარგი ადგილი ვიცი, რომელიც დილით სპორტსმენებისთვისაა ზედგამოჭრილი, შუა დღეს გარუჯვის მოყვარულებისთვის, საღამოს კი ღვინის ან ლუდის მწრუპველების, მოპიკნიკეებისა და შეყვარებული წყვილებისთვის. ამ ადგილს პოპელსდორფის ხეივანი ეწოდება. ხოდა ჩვენც სწორედ ამ ხეივანში შევედით. გზად თეთრი, გერმანული რისლინგის ღვინო ვიყიდეთ და მიზნად დავისახეთ ხეივნის მოლზე წამოწოლილებს ლაპარაკსა და განცხრომაში გამოგვეცალა სამივე ბოთლი. მაშომ და გურამმა მაშინ კარგი სიურპრიზი მომიწყვეს – როგორც კი მწვანე ბალახზე მოვკალათდით, კალათიდან სულ ნუგბარ-ნუგბარი საჭმელები ამოაგლაგეს – ხაჭაპურები, ნაირ-ნაირი სალათები, შემწვარი ქათამი და ა.შ.

ბევრს აღარ გავაგრძელებ, მაგრამ ის საღამო ძალიან კარგ მოგონებად ჩამებეჭდა მეხსიერებაში, რისი მიზეზიც არა მარტო ღვინო და გემრიელი მისაყოლებელი იყო, არამედ ჩვენი გრძელი და საინტერესო საუბარი. ბევრი ვილაპარაკეთ – მე ბონის უნივერსიტეტის ამბებს ვყვებოდი, რომელსაც ლაიტმოტივად გასდევდა ქართული და გერმანული უნივერსიტეტების შეპირისპირებითი დახასიათება, მაშო და გურამი თავიანთ გამოცდილებაზე მიყვებოდნენ – დიუსელდორფის აკადამიაზე, იქაურ სტუდენტებზე; მაგრამ, სიმართლე ითქვას, იმ დღეს დალეული ღვინო, ამბების სიგრძე, მათი უკვე თითქმის ერთწლიანი სიძველე თუ თემების სიმრავლე ჩემს გონებას საშუალებას არ აძლევდა ზუსტად აღედგინა საუბრის დეტალები. ამიტომ, ავდექი და გასულ კვირას კიდევ ერთხელ ვესტუმრე მაშოს და გურამს. 15 აპრილს, შუადღისით ჩავედი დიუსელდორფში და პირდაპირ აკადემიაში მივაკითხე მათ.

აკადემია, რომელიც 1773 წელს დაარსდა და ამჟამად სულ 371 სტუდენტს ითვლის, ქალაქის ძველ ნაწილში მდებარეობს და სულ ორი შენობისგან შედგება (გერმანული უმაღლესი სასწავლებლების ფონზე 371 სტუდენტი თითქმის არაფერია. მაგალითად, ჩემი უნივერსიტეტი, რომელიც სტუდენტების რაოდენობით საშუალოზე უფრო ოდნავ დიდ უნივერსიტეტად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ითვლება, 30 000 სტუდენტზე მეტს ითვლის). შეხვედრა შესასვლელთან გვქონდა დანიშნული, მაშო და გურამიც გერმანული პუნქტუალობით მოვიდნენ დათქმულ დროს.

როგორც კი ჩემი მეგზურობა დაიწყეს, მაშინვე მივხვდი, რომ ორივეს გულწრფელად უყვარს ეს ადგილი. ერთმანეთს ლაპარაკსაც არ აცლიდნენ, კამათობდნენ, ჯერ სად წავეყვანე, რომელი ოთახი ეჩვენებინათ და ა.შ. საბოლოოდ შეთანხმდნენ, რომ ჯერ თავიანთ სამუშაო ოთახებს მაჩვენებდნენ. მესამე სართულზე ავედით, სადაც გრძელ დერეფანს მწკრივად მიუყვება სამხატვრო სახელოსნოები. ჯერ მაშოსთან შევედით ოთახში, რომელიც დიდი, ნათელი სახელოსნოა და მასში მაშოს გარდა კიდევ სამი სტუდენტი მუშაობს. ოთახი სავსეა ტილოებით, ხის ნაჭრებით და, რაც მთავარია, ეტყობა, რომ აქ მუშაობა არ წყდება. ეტყობა, რომ ვინც აქ მუშაობს, მუდმივად ექსპერიმენტირებს, მუდმივ ძიებაშია და თუკი ატმოსფეროს უკეთ ჩაუკვირდები, მიხვდებით, რომ აქ დავალებებს არავინ არ ასრულებს, აქ საკუთარ იდეებზე უფრო მუშაობენ.

ცოტა ხანში მაშოს ოთახი დავტოვეთ და გურამის სახელოსნოსკენ წავედით. გურამის ოთახი ცოტათი უფრო პატარა აღმოჩნდა. იქ გურამის გარდა კიდევ ერთი მხატვარი, ოლივია მუშაობს – ძალიან სასიამოვნო და კეთილი სახის გოგო. ოთახში რომ შევედი, გურამმა ჩემი თავი ქართველ ჟურნალისტად წარუდგინა, თან აუხსნა, რომ დიუსელდორფის აკადემიაზე ვწერდი სტატიას. ოლივიამ საპასუხოდ გერმანული თავაზიანობით ჩაი შემომთავაზა, რაზეც მე ქართული თავაზიანობითვე ვუთხარ უარი – არადა რატომ? დილიდან საშინლად მწყუროდა. ცოტა ხანში გურამის ოთახიც დავტოვეთ და სხვენისკენ წავედით. სხვენი საკმაოდ საინტერესო ადგილია, სწორედ სხვენზე ხდება „ჩარჩოების დაჩარჩოება“, ტილოების დაჭიმვა, შემდეგ კი დაგრუნტვა. ძალიან საინტერესო და ხმაურიანი სიტუაციაა. ჩაქუჩებით და სტეპლერებით შეიარაღებული მხატვრები ჯერ შიდა ჩარჩოებს ამზადებენ, მერე მასზე სტეპლერის პისტოლეტების დახმარებით ტილოს ჭიმავენ, შემდეგ კიდევ დიდი ფუნჯით გრუნტავენ მას.

თან ფოტოებს ვიღებთ, შეთავსებით, ხან მე – ხან გურამი. სიმართლე ითქვას, მე მხოლოდ მაშინ ვიღებ, როცა გურამი არ იღებს (ანუ მე მაშინ ვიღებ, როცა გურამს ვუღებ). ბევრი სტუდენტი უარს გვეუბნება, რომ ფოტოზე აღვბეჭდოთ; ასე რომ, არ იფიქროთ, თითქოს მხოლოდ ქართველების სენი იყოს კამერის შიში.

დაგრუნტვა-დაჭიმვა-დაჩარჩოებისთვის განკუთვნილი სივრციდან, უკვე შენობის უდაბლეს წერტილში – ნახევარსარდაფში ვეშვებით, სადაც ლითოგრაფიის და ქანდაკების სახელოსნოებია. დერეფანს მივუყვებით და ლითოგრაფიის სახელოსნოში შევდივართ. გურამს კიდევ ერთხელ უწევს ჩემი წარდგენა. საბოლოოდ, არც აქ მხვდებიან გულღიად (ისეთი განცდა მაქვს, თითქოს კუდში დამყვება უარყოფილი და აბეზარი პაპარაცი ჟურნალისტის აჩრდილი). ჩარხების ხმაურში მაშო ცდილობს ამიხსნას ზოგიერთი დანადგარის მუშაობის პრინციპი, მაგრამ უშედეგოდ. იმის დასტურად, რომ ყველაფერი გავიგე, დამაჯერებლად ვუქნევ თავს, მაგრამ თითქმის არაფერი არ მესმის. ჩარხები და დაზგები ცალკე „მეცნიერებაა“ ჩემთვის.

ლითოგრაფიის შემდეგ, უკვე მოქანდაკეებთან გადავდივართ. ოთახები სავსეა უცნაური ფიგურებით და გაუგებარი ქანდაკებებით, საკმაოდ რთულია გაერკვე, რა რა არის. ჩემნაირ არიფს კი, საერთოდ, სამკითხაოდ აქვს საქმე. რას არ ნახავს კაცი, სტალაქტიდების მსგავს წარმონაქმნებს, ცელოფნის გორებს, ლითონის ლენტებით დამზადებულ კოსმიურ ცხოველებს. შემდეგ გვერდით ოთახში გადავედით, სადაც ასევე მოქანდაკეები არიან, მაგრამ გარდა ქანდაკებისა, კიდევ ერთი საინტერესო რამე გვხვდება – დიდი ინსტალაციის გამოგნებელი ნაწილი, მომავლის ან, თუნდაც დროის მანქანა. იქვე მისი ავტორებიც სხედან. განსხვავებით სხვებისაგან, კამერას არ ერიდებიან და არც თავიანთი ნამუშევრის დამალვა სურთ.

როგორც გითხარით, აკადემია ორი შენობისგან შედგება და რადგან ერთი უკვე მოვიარეთ, ჩემი მასპინძლები მეორე შენობისკენ მიმიძღვებიან. მეორე შენობას „Orientierungbereich“, ანუ საორიენტაციო განყოფილება ეწოდება. აქ აკადემიის პირველი წლის სტუდენტები იყრიან თავს, ანუ ის ხალხი, რომლებსაც ჯერ კიდევ არ აურჩევიათ თავიანთი მიმართულება, ან არ-

„პატარა კაცი“, მაშო ოდიშელიძე

„ჯუნგლები“, მაშო ოდიშელიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩეული აქვთ და აქ ერთწლიანი მუშაობის შემდეგ გადაწყვეტილება უნდა მიიღონ, დარჩნენ და გააგრძელონ თავდაპირველად არჩეული მიმართულებით სწავლა თუ ხელოვნების სხვა დარგს მოჰკიდონ ხელი. მოკლედ, სტუდენტებს აქ საშუალება ეძლევათ გაერკვიონ თავიანთ ინტერესებში. მართლაც, აქ ძალიან მკაფიოდ იგრძნობა ის, რომ სტუდენტებს, რომლებიც ამ შენობაში სწავლობენ, ჯერ არ გადაუწყვეტიათ თავიანთი სამომავლო პერსპექტივები. ყველაფერი ერთმანეთშია არეული – ქანდაკება, ინსტალაცია, ლითოგრაფია, ფერწერა, გრაფიკა და ა.შ.

შენობის პირველივე სართულზე კიდევ ერთი ქართველი მხატვარი შეგხვდა – ლევან სვანიშვილი. გაგანია მუშაობაში დავადექით თავს. გურამმა მას ახლა უკვე მშობლიურ ენაზე წარმოუდგინა ჩემი თავი. თბილისის აკადემიის დამთავრების შემდეგ ლევანს თურმე ჯერ ბონში დაუწყია სწავლა და მერე აქ გადმობარგებულა. როგორც ამბობს, აქ ისეთი თავისუფალი გარემოა, რომ ადვილად „იხსნები“ და ბევრი რამის სწავლა შეგიძლია. სამწუხაროდ, ლევანთან დიდი ხნით გასაუბრება ვეღარ შევძელი, რადგან, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, უკვე კარგა ხანია ძალიან მწყუროდა და, რაც მთავარია, ამ წყურვილს თან ერთვოდა შიმშილიც. რადგან აკადემიის ყველა მნიშვნელოვანი კუთხე მოვიარეთ, გადავწყვიტეთ სუფთა სინდისით წავსულიყავით რომელიმე დიუსელდორფულ ბარში – ცოტა ალტი (ლუდის ნაირსახეობაა ერთგვარი) დაგველია, ცოტა გვეჭამა და ბევრი გელაპარაკა აკადემიაზე თუ მხატვრობაზე.

დიუსელდორფის ქუჩებში მცირეხნიანი სეირნობის შემდეგ, ერთი პატარა მორესტორნო-მობარო ადგილი შევარჩიეთ, გარეთ გამოტანილ მაგიდას მივუსხედით და ლუდი შევუკვეთეთ. როგორც მოსალოდნელი იყო, ჩვენი საუბარი საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა. ძალიან ბევრ რამეს შევეხეთ: ქართული სამხატვრო სასწავლებელების სპეციფიკას, დიუსელდორფის აკადემიის სასწავლო მიდგომებს, თანამედროვე ხელოვნების საკითხებს და ა.შ. მაშოც და გურამიც ძალიან შთაგონებული ყვებოდნენ თავიანთი გამოცდილებისა და შეხედულებების შესახებ, იმდენად საინტერესოდ, რომ რამდენჯერმე ვინანე კიდეც, რომ თან არ მქონდა ვიდეოკამერა, რათა ცოცხლად აღმებეჭდა გურამის და მაშოს აზრები, მათი ლაპარაკის მანერა... ერთი სიტყვით, ლაპარაკის მთელი ის მომხიბვლელობა, რომელიც ხშირად ფურცელზე გადმოტანისას უფერულდება.

ცნობილი ამბავია, თუკი რაიმეს გარკვევა გსურს, დასაწყისიდანვე უნდა გაარკვიო და ამიტომ ჩემი პირველი შეკითხვაც იმის შესახებ დავსვი, თუ როგორ მივიდნენ მხატვრობასთან და როგორ გადაწყვიტეს მხატვრები გამხდარიყვნენ.

მაშო: ბავშვობიდან ჩემი ნამდვილი ინტერესი მხატვრობა იყო და არც ერთი საგანი არ მიზიდავდა ისე, როგორც მხატვრობა. სიმართლე ითქვას, სხვა ყველაფერი მეზარებოდა კიდეც და რაც მართლა სიამოვნებას მანიჭებდა, ხატვა იყო. მერე დროთა განმავლობაში უფრო და უფრო გამიღრმავდა ეს ინტერესი და საბოლოოდ ისე აღმოჩნდა, რომ ნიკოლაძეში ჩავაბარე. თავიდან ძალიან მომწონდა, მაგრამ ნელ-ნელა ვხვდებოდი, რომ პრობლემა, რომელიც ამ სკოლას ჰქონდა, თავისუფლების შეზღუდვა იყო.

შეიძლება ითქვას, აკადემია დროს არასდროს არ ჩამორჩება და არასდროს იჭედება ტრადიციის ტყვეობაში. მუდმივად ჩნდება ახალი სასწავლო მიმართულებები, ინსტალაციები იქნება ეს, ფოტოგრაფია, თუ თეატრალური მხატვრობის ფაკულტეტი.

ისტორია
ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ნეროვანის ლტოვლილთა დასახლება“, გურამ შავდია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველი სტუდენტი და პროფესორი ცდილობს გამოხატოს თავისი აზრი და არ არსებობს არანირი ზღვარი, რომ პროფესორმა კოლოკვიუმზე უფრო მეტი უნდა ილაპარაკოს, ვიდრე სტუდენტმა.

„ნითელი ოთახი“, გურამ შავდია

გურამი: მე და მაშო ერთ კლასში ვიყავით ნიკოლაძეში და ჩაბარების შემდეგ მეც დაახლოებით იმავე პრობლემის წინაშე დავდექი. სირთულე ის იყო, რომ ბავშვობიდან ვხატავდი და, ასე რომ ვთქვათ, გემო უკვე მქონდა გაგებული იმ სიამოვნებისა, რაც ხატვას მოაქვს. რა თქმა უნდა, ეს ჯერ კიდევ არ იყო სტილი, მაგრამ ის უკვე ნამდვილად ვიცოდი, თუ რა გრძნობებთან არის დაკავშირებული, როცა რაღაცას შექმნი. ნიკოლაძეში როცა ჩავაბარე, აღმოჩნდა, რომ ძალით უნდა მესწავლა ძალიან ბევრი რაღაც: ფორმა, სიბრტყე, განათება, შუქ-ჩრდილი... ამის გამო მეგონა, რომ ეს არ იყო მხატვრობა. ალბათ უფრო რაღაც ჰუმანიტარულ საგანს ჰგავდა და არ უკავშირდებოდა თავისუფლების იმ განცდას, რაც აქამდე ასე მომწონდა მხატვრობაში. ყველაფერი ისე იყო მოწოდებული და წინასწარ დადგენილი, თითქოს გეუბნებოდნენ: „აი, ეს ესეა და ესე უნდა იყოს დახატული – სხვანაირად არა! აი, შენ რასაც აკეთებ ის არის...“ და როგორც კი ამას ამბობდნენ, უკვე იჭედებოდნენ, არ შეეძლოთ ეთქვათ რას ვაკეთებდი. ან შეიძლებოდა ეთქვათ, რომ რასაც ვაკეთებდით, ის „არასერიოზული“ ან „გაფრენა“ იყო. სხვათა შორის „გაფრენა“ ყველაზე ხშირი გამონათქვამი იყო და ხშირად გვეუბნებოდნენ კიდეც, ჯერ ნიკოლაძეში და შემდეგ უკვე აკადემიაში, – ჯერ ისწავლე და მერე გააფრინეო.

თუკი რომელიმე სკოლას შეიძლება შეედაროს ეს ყველაფერი, ალბათ უფრო რუსული აკადემიური სკოლისთვის დამახასიათებელი სწავლების სტილით გვასწავლიდნენ. მოკლედ, ნატურიდან ხატვა, ორნამენტების გადმოხატვა და მსგავსი საგნები გვქონდა. თან ეს საგნები ისე იყო განაწილებული, რომ კარგად იყო დაგეგმილი რომელ დღეს რას ხატავდი. საკმაოდ მკაცრად გაწერილი რეჟიმი იყო და არავის არ აინტერესებდა, რამდენად შეიძლებოდა, რომ შენ ამ რეჟიმს მისადაგებოდი. რაც მთავარია, ამ რეჟიმის მთავარი მიზანი ის გახლდათ, რომ თუკი ამ ყველაფერს „პირნათლად“ შეასრულებდი, მიიღებდი ქულას. კარგ შეფასებას თუ მიიღებდი – ხუთიანს დაგიწერდენ. ყველაზე საინტერესო კი ის იყო, რომ ჩვენ არასდროს არ ვიცოდით, თუ რატომ გვეკუთვნოდა კარგი ან ცუდი ნიშანი და არც არასდროს იმართებოდა დიკუსია ამის შესახებ. არავინ არ

„შადრევანი“, გურამ შავდია



„კრიზისი“, გურამ შავდია

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვეუბნებოდა – „შენ ეს შეგეშალა“ ან „ეს უნდა გამოასწორო“ – ჩვენ უბრალოდ გარეთ ვიცდიდით და პროცესიც იმით მთავრდებოდა, რომ უბრალოდ გვიცხადებდნენ ნიშნებს.

მე ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ ნიკოლაძე ან აკადემია გავაკრიტიკო, უბრალოდ მინდა ავხსნა, თუ რატომ გამიჩნდა სურვილი, მესწავლა ისეთ ადგილას, სადაც არ იქნებოდა მსგავსი ჩარჩოები. მინდოდა ისეთ ადგილას მოხვედრა, სადაც არ მეტყოდნენ – „შენ ამ საგნებს თუ არ ისწავლი, ცუდი მხატვარი იქნები“. თბილისის აკადემიაში ეს ხდებოდა, მიხედავად იმისა, რომ ვიღაცეები კარგად აზროვნებდნენ კომპოზიციაში, ვიღაცეებს კი ფერის გრძნობა ჰქონდათ კარგად განვითარებული. აკადემიისა და ნიკოლაძის სისტემაში გვასწავლიდნენ „სწორად ხატვას“ – ანუ იმას, რაც, ჩემი აზრით, დაუშვებელია ხელოვნებაში. აქ სწორი და არასწორი არ არსებობს. ნიჭის ის მარცვალი, რომელიც შეიძლებოდა რომელიმე ჩვენგანს ჰქონოდა, დაწიწყებული იყო და ხაზი არ ესმებოდა მას. ყველა ერთ ქვაბში ვიყავით ჩაყრილები და წინასწარ გვეუბნებოდნენ, თუ სად იყო „იდეა“. ვის რა ჭირდებოდა, არავის არ აინტერესებდა. შეიძლება ითქვას, ამით ჩვენს ცნობირებაზე ხდებოდა ძალადობა. ძალადობას იმიტომ ვამბობ, რომ შეუძლებელი იყო, რომ ყველას ერთნაირად გვეფიქრა, მაგალითად, ფორმაზე ან შუქჩრდილზე. სინამდვილეში ხომ ყველა ინდივიდუალურია, აი, მაგალითად, ჩვენი მეგობარი სერგო ძალიან მაგარი იყო ფორმაში, მეორე მეგობარი დათო – კომპოზიციაში და აგებაში – თვალი ჰქონდა ძალიან მაგარი და ხელი.

მაშო: ისეთი სიტუაცია იყო, რომ პროტესტიც არ გამოითქმებოდა ამაზე. იმდენად თავისთავად მისალებ ფაქტებად ითვლებოდა ეს ყველაფერი, რომ დიდად არც არავინ ებრძოდა, იმდენად გამჯდარი იყო ამგვარი დამოკიდებულება (სახლშიც ამას გვეუბნებოდნენ და აკადემიაშიც), რომ რაღაცნაირად იჯერებდი კიდევაც, რომ ეს იყო „ჭეშმარიტი ხელოვნება“.

ლ.შ.: რატომ გადაწყვიტეთ, რომ მაინცდამაინც აქ ჩამოსულიყავით? უბრალოდ ამ დახურული სივრცის რაიმე სხვა თავისუფალი სივრცით შეცვლა გინდოდათ და სულ ერთი იყო სად წამოხვიდოდით, თუ დიუსდელდორფის აკადემია იყო ზუსტად ის ადგილი, სადაც გინდოდათ მოხვედრა?

გურამი: დედაჩემის მეგობრისგან გავიგე, რომ არსებობდა ისეთი სივრცე, სადაც უნდა გეხატა არა ის, რასაც გიბრძანებდნენ, არამედ სადაც მთავარი საქმე იყო ხატვის უწყვეტი პროცესი და, რაც მთავარია, იყო გარემო, სადაც ყველაფერი თავისუფალია. ამან ძალიან დამაინტერესა და გავგზავნე ჩემი ოცდახუთი ნახატი. ყველაზე მეტად კი ის მომეწონა, რომ მიღება ხდებოდა არა მოსწრების და ნიშნების ფურცლის საფუძველზე, არამედ ნიჭის იმ მარცვლიდან გამომდინარე, რომელიც შენშია ჩადებული.

ლ.შ.: ხო, მაგრამ ნიჭი ხომ ძალიან სუბიექტური რამეა? როგორაა შესაძლებელი რომ რაიმე კრიტერიუმებით განისაზღვროს მხატვრის ტალანტი? თქვენივე მაგალითის მიხედვით, აკადემიაში და ნიკოლაძეში არსებობდა საკმაოდ კარგად განერილი კრიტერიუმები ნიშნების დაწერისთვის. აქ როგორ ხდება ის, რომ რომელიმე პროფესორი შენში ნიჭს ხედავს?

მაშო: აქ ნიშნები საერთოდ არ იწერება. ნიშნების მხრივ საერთოდ არანაირი შეფასება არ არსებობს. შეფასება გამოიხატება პროფესორებისა და სტუდენტების დამოკიდებულებაში შენ მიმართ. მხატვრობა იმდენად ვიზუალური რამაა, რომ პირდაპირ ჩანს ვინ კარგია და ვინ ცუდი – შედეგი ყოველთვის ძალიან თვალსაჩინოა. საქართველოდან სულ იყო შეკითხვები ამასთან დაკავშირებით, თუნდაც მშობლებისგან. სულ აინტერესებდათ რა ნიშნებს, რა შეფასებებს ვიღებდით და ძალიან უკვირდათ, რომ აქ მსგავსი სისტემით არ მუშაობდნენ. მართლაც, როგორ შეიძლება, რომ ვან გოგს მაღალი ნიშანი დაუწერო და გოგენს კიდევ ნაკლები. ეგ იგივეა, პიროვნებები რომ შეაფასო და გარკვეული ნიშნები მიანიჭო, მაგალითად ლევანი უკეთესი ადამიანია თუ გურამი. აქ საუბარი შინაგანი სამყაროს გამოხატვაზეა და, როცა შინაგან სამყაროს ნიშნებით აფასებ ძალიან ძნელი ხდება მისი ნამდვილობის, მისი არსის გაგება.

ლ.შ.: მაშინ რა არის დიუსდელდორფის აკადემიის პრინციპი? რა არის აქაური სწავლების ამოსავალი წერტილი?

გურამი: ეს აკადემია 1773 წელს დაარსდა, შესაბამისად ძალიან ბევრი პერიოდი გამოიარა და ბევრი დიდი მხატვარიც გამოზარდა. შორს რომ არ წავიდეთ, მეოცე საუკუნეში ისეთი მხატვრები და არტისტები გამოვიდნენ აქედან, როგორებიც გერჰარდ რიხტერი და ჯოზეფ ბოისი არიან; ისეთი ხალხი ასწავლიდა, როგორიცაა, მაგალითად პაულ კლეე. მოკლედ რომ ვთქვათ, ამ აკადემიაში ძალიან კარგად იცნობენ ტრადიციას და ასევე კარგად ერკვევიან თანამედროვეობაში. დღეს რაც ხდება აქ, ამ აკადემიაში, არის იმ ყველაფრის მემკვიდრეობა და შედეგი, რა განვითარებაც აქ წლების განმავლობაში მიმდინარეობდა. გარდა ამისა, აქ მუდმივად ხდება განახლება. შეიძლება ითქვას, აკადემია დროს არასდროს არ ჩამორჩება და არასდროს იჭედება ტრადიციის ტყვეობაში. მუდმივად ჩნდება ახალი სასწავლო მიმართულებები, ინსტალაციები იქნება ეს, ფოტოგრაფია, თუ თეატრალური მხატვრობის ფაკულტეტი. მოკლედ, თანამედროვეობის ყველანაირი კრიტერიუმის დაკმაყოფილებას ცდილობენ. მუდმივად თანამედროვეობას უწყობენ ფეხს და არ არის მიმართულება ან ნოვაცია თანამედროვე ხელოვნებაში, დიუსდელდორფის აკადემიას რომ არ ჰქონდეს მასში თანამონაწილეობის სურვილი.

იმის გამო, რომ ჩვენ მოკლებულები ვიყავით ამ ყველაფერს, თან ძალიან გვაინტერესებდა კიდეც ის ყველაფერი, რაც აქ ხდებოდა; ჩვენ სწორედ ის ადგილი გვაინტერესებდა, სადაც თანამედროვე ხელოვნების პროცესები მიმდინარეობდა და არა რენესანსის ან კლასიკური პერიოდის. მიზანი ის იყო, რომ იმ ენაზე გვესაუბრა, რა ენაზეც თანამედროვე ხელოვნება საუბრობს. გვაინტერესებდა ის, თუ როგორ იყო შესაძლებელი განვითარება მასწავლებლის უხეში ჩარევის გარეშე, სადაც მასწავლებელი არ გეტყოდა: „შენ ეს არასწორად დახატე, რადგან თავი აქ ექვსჯერ ჩადის და ფეხი კი მოღრეცილია“. გვაინტერესებდა მოგვეძებნა ის სისტემა, სადაც მხატვარს შეეძლო თავისი პრაქტიკის საშუალებით მიეღწია კომუნიკაციის იმ ენისთვის, რომლის საშუალებითაც მოახერხებდა თანამედროვე ხელოვნებაში თავის დამკვიდრებას და არ იქნებოდა, ვთქვათ, ნატურმორტით მოლაპარაკე მხატვარი. არ იქნებოდა ის, ვინც ნატურის საშუალებით გადმოატრიალებდა ადამიანის ყოველ კუნთს, შეისწავლიდა მის ყოველ ფორმას და ამ ყველაფრის

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმისდა მიუხედავად, რომ ჯერ კიდევ სტუდენტები ვართ და აკადემია არ დაგვიმთავრებია, მხატვრის სტატუსს დიპლომთან ერთად კი არ მივიღებთ, არამედ ჩვენ უკვე ვართ მხატვრები. კარგები ვართ თუ ცუდები, ამას, ამ შემთხვევაში, მნიშვნელობა არა აქვს. მთავარი ისაა, რომ ჩვენ მხატვრები ვართ და აკადემიაშიც მხატვრები გვქვია.



უსათაურო, გურამ შავდია

მარადიულ გამეორებას ხელოვნებას დაარქმევდა. ამის გამო, თბილისში ხანდახან ვფიქრობდი, რომ აკადემიაში კი არა სამედიცინოზე ვსწავლობდი. მიქელანჯელოსა და რაფაელის დროს ნატურის ზუსტად აღბჭდვის ტენდენცია არსებობდა, მაგრამ ამჟამად ეს აღარ არის მთავარი. დღეს სულ სხვა რაღაცეები არსებობს და აუცილებელია გავიგოთ, რომ ესეც კი არა, ესაა ახლა ძალიან მნიშვნელოვანი. რასაც ჩვენ საქართველოში ვსწავლობდით, ნამდვილად მნიშვნელოვანია, მაგრამ ამის გარეშეც შეიძლება გადმოსცე ის ემოცია და შენი შინაგანი სამყარო, რაც შენს შიგნითაა. ამისთვის კი არ არის საჭირო კუნთებსა და ბოთლებს ხატავდე გადასარევად. თუ ადამიანს მაინცდამაინც ამგვარი ნატურალიზმისკენ აქვს მიდრეკილება, მას შეუძლია ხატოს ნატურალისტურად, მაგრამ ყველას სხვადასხვანაირი ნიჭი ეძლევა და მთავარი ამ ნიჭის გახსნაა და არა ყველაფრის ერთ ჩარჩოში მოქცევა.

მაშო: მე გურამზე ორი წლით გვიან ჩამოვედი აქ და, სიმართლე გითხრა, იმისდა მიუხედავად, რომ ვიცოდი აქაური მიდგომების შესახებ, ჩემთვის მაინც დიდი აღმოჩენა იყო ის ფაქტი, რომ შესაძლებელი იყო ამხელა თავისუფლება დამხვედროდა. მახსოვს, მაშინ რაღაც აფეთქებასავით მოხდა ჩემში – თურმე რაც მჭირდებოდა ზუსტად ის მომეცა აქ. დამხვდა ფანტასტიკური პირობები, ძალიან მაგარი სახელოსნოები, მასალა, მილიონი გამოფენა, ინფორმაცია და გარემო, რომელიც გაძლევს საშუალებას, რომ აკეთო ის, რაც გინდა. ის თავისუფლება, რომელიც აქ მოგვეცა, ერთი შეხედვით ძალიან მარტივია, რადგან არ არსებობს არანაირი დავალება. აქ უბრალოდ გეუბნებიან, რომ არაფრისგან გამოვიყვანო რაღაც. აქ ჩვენვე უნდა მოვძებნოთ ის თემა, რომელსაც ჩავეჭიდებით და ჩვენვე უნდა შევქმნათ ყველაფერი. სწორედ ეს არის აქ სწავლის ყველაზე დიდი სირთულე და ასევე ის, რაც ყველაზე დიდ ინტერესს ბადებს ჩემში.

ლ.შ.: მაგრამ გარდა იმისა, რომ ამ აკადემიაში არსებობს მთავარი წესი, რომ ხატო რაც შეიძლება თავისუფლად და ამ თავისუფლებაში გამოხატო თავი როგორც მხატვარმა, ალბათ არსებობს გარკვეული სისტემა და სტრუქტურაც.

ისტორია
ეროვნული
ბიბლიოთეკა

„მე და სმაილი“, გურამ შავდია

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშო: რა თქმა უნდა – აქ არსებობს ეგეთი წესი, რომ ყველა, ვინც აბარებს, პირველ წელს ავტომატურად ხვდება Orientierungsbereich-Si, ანუ საორიენტაციო განყოფილებაში. აქ იკრიბება ყველა ის, ვინც ახალი ჩარიცხულია აკადემიაში. ყველა სტუდენტი, მიუხედავად იმისა, თუ რა მიმართულებით უნდა მას სწავლის გაგრძელება. ამით მათ შესაძლებლობა ეძლევათ „მიედ-მოედონ" ყველაფერს – მხატვრობით და ქანდაკებით დაწყებული, ფილოსოფიით და სოციოლოგიით დამთავრებული. ერთი წლის შემდეგ ყველა სტუდენტი აბარებს გამოცდას, ანუ წარმოადგენს წლის განმავლობაში შესრულებელ თავის სამუშაოს და თუკი პროფესორები ჩათვლიან, რომ სტუდენტი უკვე მზადაა აირჩიოს თავისი მიმართულება, მას საშუალება ეძლევა გააკეთოს ის, რაც სურს და, რაც მთავარია, ის ცდილობს მოძებნოს პროფესორი, რომელიც იქნება მისი ხელმძღვანელი სწავლის დანარჩენი პერიოდის განმავლობაში. აქედან უკვე იწყება რთული და საინტერესო პროცესი, რომელსაც შეიძლება ბრძოლაც კი დავარქვათ. შენთან არავინ მოდის და არ გთავაზობს, რომ მის კლასში იყო. სტუდენტმა თავად უნდა წარუდგინოს პროფესორს თავი ისე, რომ მოეწონოს. შეიძლება ითქვას, საორიენტაციო განყოფილების შემდეგ იწყება ომი და კონკურენცია სტუდენტებს შორის. მერე, როცა პროფესორთან ხვდები სახელოსნოში, ძალიან განსხვავებული პროცესის თანამონაწილე ხდები. მიუხედავად იმისა, რომ ყველა პროფესორს თავისი მიდგომა აქვს, მაინც თავისუფალი რჩები განრიგის ამბავში და შეგიძლია ნებისმიერ დროს მიხვიდე და ხატო.

გარდა ამისა, კვირაში ერთხელ, ან ორ კვირაში ერთხელ, არის კოლოკვიუმი, სადაც პროფესორებთან ერთად იკრიბებიან სტუდენტები და ორი-სამი სტუდენტი წარმოადგენს თავის ნამუშევრებს. ამის შემდეგ უკვე ხდება ამ ნამუშევრების კრიტიკა. პრინციპში ეს არის კიდეც ის ერთადერთი შეფასება, რომელიც კეთდება სწავლის დროს. სტუდენტები და პროფესორები გამოთქვამენ აზრს იმის შესახებ თუ რა გააკეთე ცუდად, რა იყო საინტერესო, რა აკლდა ნახატს და ა.შ. ეს პროცესი ძალიან გეხმარება იმაში, რომ წინ წახვიდე, მაგრამ ამ კრიტიკაში არ იგულისხმება ის, რომ სტუდენტი რამენაირად უნდა დაემსგავსოს თავის პროფესორს და თუ ეს ასე ხდება, მაშინ ეს ძალიან უარყოფითად არის ხოლმე აღქმული სხვა პროფესორების და საერთოდ, აკადემიის მხრიდან, რადგან ეწინააღმდეგება აკადემიაში სწავლის პრინციპებს. პროფესორის მოვალეობა ისაა, რომ საკუთარი თავის პოვნაში მოგეხმაროს და არა ის, რომ თავისი ორეული შექმნას.

კიდევ, რაც მნიშვნელოვანია, აკადემიაში მუდმივად ტარდება სხვადასხვა გამოფენები, ჩამოდიან ცნობილი არტისტები, რომლებიც ატარებენ სემინარებს, რაც ძალიან დიდ ცოდნას გვაძლევს – როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული კუთხით. ხოლო წელიწადში ერთხელ ტარდება ე.წ. Rundgang-ი, რაც შეიძლება ქართულად ითარგმნოს როგორც „შემოვლა". რუნდგანგის დროს აკადემია გარდაისახება დიდ საგამოფენო სივრცედ, სადაც სტუდენტები საკუთარ ნამუშევრებს წარმოადგენენ. ეს ერთგვარი დღესასწაულიცაა ჩვენთვის, რადგან ამ დროს ბევრი რაღაცის შანსი ჩნდება – მთელი გერმანიიდან ჩამოდის ხალხი, რათა ეს გამოფენა ნახოს. გვიგროვდება დიდი გამოცდილება, თუ როგორ უნდა მოაწყო გამოფენა, რა არის მისი ორგანიზების სირთულეები და როგორ უნდა იყოს ის დაგეგმილი.

გურამი: ცოტას კრიტიკაზე მეც ვიტყვი – აკადემიის სწავლების მთავარი პრინციპი არის ის, რომ არსებობს კონსტრუქციული კრიტიკა. ყოველი სტუდენტი და პროფესორი ცდილობს გამოხატოს თავისი აზრი და არ არსებობს არანირი ზღვარი, რომ პროფესორმა კოლოკვიუმზე უფრო მეტი უნდა ილაპარაკოს, ვიდრე სტუდენტმა. მთავარი ამოსავალი პრინციპი არის ის, რომ ყველა ადამიანი პიროვნებაა და აბსოლუტურად იგივე უფლებები აქვს რაც სხვას.

მაშო: ჩვენთან, საქართველოში, ხშირად არის ხოლმე, რომ ლექტორი სტუდენტს ზემოდან უყურებს და ეს არა მარტო აკადემიაშია, არამედ სხვა სასწავლებლებშიც ასეა და საერთოდ, მთელ საქართველოში ასე ხდება. აქ კი, როგორც სტუდენტს, საკმაოდ დიდი წონა გაქვს და შენი უფლებებიც დაცულია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თქვენობით მოგმართავენ, რაშიც ფორმალურად მაინც გამოიხატება, რომ პიროვნება ხარ. იმისდა მიუხედავად, რომ ჯერ კიდევ სტუდენტები ვართ და აკადემია არ დაგვიმთავრებია, მხატვრის სტატუსს დიპლომთან ერთად კი არ მივიღებთ, არამედ ჩვენ უკვე ვართ მხატვრები. კარგები ვართ თუ ცუდები, ამას, ამ შემთხვევაში, მნიშვნელობა არა აქვს. მთავარი ისაა, რომ ჩვენ მხატვრები ვართ და აკადემიაშიც მხატვრები გვქვია.

გურამი: აქ არავიან არ გეტყვის უცებ, „აი, შენ, რაღაცას რომ ჯღაბნი, ესე კი არ უნდა დაჯღაბნო..." და ა.შ. პროფესორი აქ ისედაც ავტორიტეტია და სრულებითაც არ სჭირდება, რომ მსგავსი ხერხებით დაამტკიცოს თავისი უპირატესობა. იდეა იმაში მდგომარეობს, რომ სტუდენტმა, რომელზეც არის აკადემიის ფოკუსი მიმართული, თავი პიროვნებად იგრძნოს და გაიგოს ის თავისუფლება, რომელსაც აკადემია აძლევს მას. ამით იქმნება ის განცდა, რომ ხარ თავისუფალი, მაგრამ ამ თავისუფლებაში მუდამ უნდა იცოდე, რომ გაგაკრიტიკებენ. თუმცა ეს კრიტიკა მიმართულია არა დამცირებაზე, არამედ იმაზე, რომ განვითარდე. აქ არავინ არ გეტყვის: „ნუ აფრენ, ჯერ ისწავლე და მერე გააფრინე", არამედ, პირიქით – თუ გინდა გაგიჟდი კიდეც, ბოლომდე შეყევი ამ პროცესს.

მაშო: კოლოქვიუმის შემდეგ, როცა გაგაკრიტიკებენ, ბევრად უფრო კარგია, ვიდრე მაშინ, როდესაც მხოლოდ შეგაქებენ. იმიტომ, რომ შექების შემდეგ არ იცი რა უნდა გამოასწორო. ქების შემდეგ, თითქოს იძულებული ხარ, რომ იმავე ადგილას დარჩე.

გურამი: ქება იგივეა, გაქცეულ კაცს ფეხი რომ დაუდო. შექება არანაირად არ ემსახურება უმთავრეს პრინციპს, იმას, რომ პრობლემა გადაიჭრას. კრიტიკით, რომელიც სხვადასხვა ადამიანისგან მოდის, ხდება იმ სიძნელეების დაძლევა, რომელიც კონკრეტულ ნახატში შეიძლება წარმოიქმნას. შენ, რა თქმა უნდა, შეგიძლია არ მოუსმინო მათ და არც არაფერი გაითვალისწინო, მაგრამ ასე შორს ვერ წახვალ, ჩაიკეტები. ჩაკეტვას კიდევ თავისუფლებასთან არაფერი აქვს საერთო. თავისუფალი ისაა, ვისაც შეუძლია კრიტიკა მოისმინოს, იმიტომ, რომ მას სურს, რომ კიდევ უფრო გათავისუფლდეს.



„დირსი“ - ყველაფერი აუცილებელი უკვე აქ არის!

დედაქალაქში მიმდინარე უამრავი სამშენებლო პროექტის ფონზე, განსაკუთრებით რთულია იმ შემოთავაზების მიგნება, რომელიც მაქსიმალური კომფორტისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ყოველდღიური ცხოვრებისთვის აუცილებელ ყველა პირობას გვთავაზობს.

სწორედ ასეთი დილემებისგან გათავისუფლებას სთავაზობს საქართველოში მცხოვრებ ადამიანებს ახალი სამშენებლო პროექტი - „დირსი“, რომლის განხორციელება თბილისში 2012 წელს დაიწყო. პროექტი აზერბაიჯანულ კომპანიას „AS Group Investment“-ს ეკუთვნის, რომლის საქმიანობის სფერო - სამშენებლო სექტორის, ბეტონის, რკინა-კონსტრუქციებისა და აგურის წარმოებას აერთიანებს. აღნიშნულმა კომპანიამ საკუთარი წარმომადგენლობა საქართველოში 2011 წელს, „AS Georgia“-ს სახელით დააფუძნა და საქართველოსა და ამიერკავკასიის მასშტაბით უმსხვილესი პროექტის განხორციელებას ჩაუყარა საფუძველი.

სამშენებლო პროექტი თბილისის ისტორიულ ნაწილში 20 ჰექტარზე გაშენებულ ულამაზეს საცხოვრებელ კომპლექსს მოიცავს და ერთადერთი ადგილია დედაქალაქში, რომელიც თანამედროვე და უსაფრთხო ცხოვრების შესაბამის პირობებს ქმნის. მასში განთავსებულია 22 საცხოვრებელი შენობა, რომელიც 5 228 ბინას (დასრულებული რემონტით) აერთიანებს. ბინების კეთილმოწყობის უზრუნველსაყოფად, საცხოვრებელი კომპლექსი აღჭურვილია თანამედროვე აბაზანით, სამზარეულოს იტალიური ავეჯით, ცენტრალური გათბობით, საკაბელო ტელევიზიითა და მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით. თანამედროვე დიზაინით გამორჩეული საცხოვრებელი კომპლექსი ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდინარე მტკვარს შორის მდებარეობს და მობინადრეებს ძველი თბილისის შთამბეჭდავ პანორამულ ხედებს სთავაზობს.

„დირსის“ უნიკალურობა კი იმაშია, რომ მისი მობინადრეები ყოველდღიური კომფორტისთვის საჭირო ყველა პირობას ერთ სივრცეში იღებენ: თანამედროვე სკოლები, საბავშვო ბაღები, სამედიცინო, სავაჭრო და გასართობი ცენტრები, სპორტული მოედნები, აუზები, კაფე-ბარები და რესტორნები. აქვეა ავტოსადგომები და მიწისქვეშა ავტოფარეხებიც, რომლებიც საცხოვრებელ ბინას მაღალსიჩქარიანი ლიფტით უკავშირდება. ჯანსაღი ცხოვრებისთვის აუცილებელი სპორტული ობიექტების გარდა, საცხოვრებელი კომპლექსის ტერიტორიაზე ბულვარია გაშენებული, რომელიც მდინარე მტკვრის სამკილომეტრიან სანაპიროს მოიცავს.

საცხოვრებელი გარემოს შერჩევასთან დაკავშირებული პრობლემების გადასალახად, კომპანია მომხმარებლებს ფასდაკლებების, შიდა განვადებისა და იპოთეკური სესხების მოქნილ პირობებს სთავაზობს. დამატებითი ინფორმაციის მიღების მიზნით დაინტერესებულ პირებს “დირსის გაყიდვების ოფისი მასპინძლობს, რომელიც თბილისში, ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდინარე მტკვარს შორის მდებარობს. (ტელ: + 995 322 74 04 04; ელ.ფოსტა: info@dirsi.com.ge, www.dirsi.com.ge)

Dirsi

AS GROUP GEORGIA

ეროვნული ბიბლიოთეკა

Philip Roth 80



ფილიპ როთის 80 წლისთავს მთელს ამერიკაში აღნიშნავენ, მაგრამ ყველაზე გულის ამაჩუყებელი ალბათ ის დღე იქნებოდა, როცა მწერალს ზეიმი მშობლიური ნიუარკის მაცხოვრებლებმა მოუწყვეს და მარშით მოსიარულე კამერული ორკესტრი და წიგნების გროვად გამომცხვარი უზრმაზარი ტორტი დაახვედრეს. როთი, კარგა ხანია, ხან კონექტიკუტის შტატის ერთ-ერთ სოფელში ცხოვრობს, ხანაც ნიუ-იორკში, ზედა უესტ საიდზე, მაგრამ მაინცდამაინც ნიუარკია ის ადგილი, რომლისკენაც ცოცხალთა შორის ამერიკის ყველაზე დიდ პროზაკოსად აღიარებული მწერლის ფანებისა და „მომლოცველების" ნაკადი არასდროს წყდება. ეს ის ქალაქია, რომელიც როთმა დიდი ხნის წინ დატოვა, და რომელშიც დაუსრულებლად ბრუნდებოდა საკუთარ რომანებში. აქ დაიბადა თავად როთიცა და მისი სახელგანთქმული პერსონაჟიც, ფსიქოთერაპევტებთან მოსიარულე კინო თუ ლიტერატურულ გმირთაგან უდავოდ უდიდესი ალექს პორტნოი („პორტნოის სინდრომი"), ებრაულ ტრადიციას, დემოკრატიის იდეალებსა და ძირითად ინსტინქტს შორის „გაჭედილი'" ებრაელი ლიბერალი. იუბილარი ფილიპ როთი დღეს ჩვენი ნომრის გმირია, „პორტნოის სინდრომი" კი ამიერიდან ქართველი მკითხველის კუთვნილებაც გახდა – ერთი კვირის წინ, აპრილში, ქეთი ქანთარიას მიერ თარგმნილი რომანი გამომცემლობა „დიოგენემ" გამოსცა.

ფილიპ როთი ის ერთადერთი მწერალია, რომელსაც ამერიკის ნაციონალურმა ბიბლიოთეკამ განსაკუთრებული პატივი არგუნა, და 1959 წელს დაწერილი „მშვიდობით, კოლამბუსიდან" 2010 წელს გამოცემულ „ნემეზიდამდე" უკლებლივ ყველა რომანი გამოუცა. გასულ წელს მწერალმა განაცხადა, რომ ლიტერატურასთან სამოცდახუთწლიან „ჭიდილზე" უარს ამბობს და ამიერიდან აღარაფრის დაწერას აღარ აპირებს. ჯერჯერობით მწერალი სიტყვას არ გადასულა.

დიდი ამერიკელი მწერლის იუბილეს აღსანიშნავად დღევანდელ ნომერში გთავაზობთ **NPR**-ის (**National Public Radio**) მიერ 2013 წლის მარტში ჩაწერილ ინტერვიუს, რომელშიც ფილიპ როთს სკოტ საიმონი ესაუბრება. ასევე გთავაზობთ დევიდ რემნიკის მიერ 2000 წელს დაწერილ ვრცელ ესეს.

ფილიპ როთი:

„უკვე რამდენიმე წელიწადია, მართლა არაფერი დამიწერია“

საიმონი: დაბადების დღეს გილოცავთ, მისტერ როთ. როგორ იგრძენით თავი, როცა ნახეთ, როგორ იზეიმა ეს დღე მთელმა ნიუარკმა, და ვთქვათ სიმართლე, არამარტო ნიუარკმა?

როთი: არაჩვეულებრივი იყო. დარბაზი ერთიანად გაივსო, მოსულთა შორის ბევრი იყო ისეთი, ვისთან ერთადაც სკოლაში ვსწავლობდი. იყვნენ გოგონები, რომლებსაც მაშინ ვხვდებოდი ხოლმე. გადასარევი იყო, დიახ.

წავიკითხე, თითქოს მანჰეტენზე, თქვენს ბინაში, წარწერა გაგიკრავთ, სადაც წერია, რომ მწერლობასთან ჭიდილი დაამთავრეთ.

დიახ, დიახ, დიახ.

კი ბატონო, მაგრამ ეს სიმართლეა?

დიახ, დიახ, დიახ. მანამდე არ ვიცოდი, რომ თურმე წერა შემიწყვეტია, ეს აზრი თავისით მომიმწიფდა. კაცმა რომ თქვას, უკვე სამი წელია, რაც „ნემეზიდა“ დავასრულე. არც ის ვიცოდი, რომ „ნემეზიდა“ ჩემი უკანასკნელი რომანი იქნებოდა, თვეების განმავლობაში ვცდილობდი რაღაც ახლის დაწყებას და არაფერი გამომდიოდა. ბოლოს მივხვდი, რომ ვალდებული არ ვიყავი, რამე დამეწერა. 1955 წლის შემდეგ ვწერ. მაშინ 22 თუ 23 წლის ვიყავი. თანდათანობით ამ საქმეს თავი ვანებე და აღმოვაჩინე, რომ თურმე ეს ძალიან სასიამოვნო ყოფილა. უკვე რამდენიმე წელიწადია, მართლაც არაფერი დამიწერია.

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ცხოვრებას აღარ აკვირდებით, რომ ისეთს ვერაფერს ხედავთ, რაზეც წერა ღირს? ალბათ, რომ წერდეთ, რაღაცას უნდა მოეჭიდოთ ცხოვრებაში, ამბავი იქნება ეს, პერსონაჟი თუ სახეები?

დიახ, სწორედ ამას ნიშნავს. უფრო ხშირად ასე ხდებოდა. ვიღაც ამბავს მიამბობდა თუ არა, ადრე მაშინვე მასზე ვიწყებდი ფიქრს, ხვდებით ალბათ, რასაც ვგულისხმობ, თუ საინტერესო ამბავი იყო, მაშინვე ვუღრმავდებოდი, რა იყო მასში ყურადღების ღირსი. შინ მივიდოდი, ჩავიწერდი და შევინახავდი, შევეთამაშებოდი, გონებაში მის ტრიალს დავიწყებდი. ეს მართლა დაუსრულებლივი გონებრივი მუშაობის პროცესი იყო. ახლა კი მთხრობელს უბრალოდ ვუსმენ და ეს შესანიშნავია. მერე შინ მივდივარ და ვიძინებ.

გაქვთ იმის შეგრძნება, რომ რაღაც ტვირთი მხრებიდან მოიშორეთ? თუ...

ძალიან ჰგავს ამას, ძალიან. იცით, ზოგიერთი საქმიანობა ძალიან მძიმე სამუშაოს გულისხმობს. წერა ერთ-ერთია მათ შორის. მე ისეთ მწერალს არ ვიცნობ, ვისაც ეს საქმე თამაშ-თამაშით გამოსდის. შესაძლოა, მხოლოდ ჯონ აპდაიკი – აპდაიკს ამბავი ერთიანად, მთლიანად მოსდიოდა თავში, პირადი გამოცდილებიდან უტივტივდებოდა, მაგრამ ჩვენ, დანარჩენები, ასეთი იღბლიანები ვერ ვართ და დიახ, მე წერა მძიმე სამუშაოს ფასად მიჯდებოდა.

როგორი გავლენა მოახდინა თქვენზე იმ წარმატებამ და ყურადღებამ, რომელიც 1969 წელს „პორტნოის სინდრომის“ გამოსვლამ მოიტანა?

ამ რომანმა მკვეთრად შეცვალა ჩემი ცხოვრება. ძალიან საფუძვლიანად. მგონი ცხოვრებაში პირველად გამიჩნდა ფული. საკმაო სახელიც მომიტანა და თან სახელი გამიფუჭა. ვერ გეტყვით, ქუჩაში ყველა გამვლელ-გამომვლელი მაჩერებდა-მეთქი, მაგრამ თვეების განმავლობაში რომანი ბესტსელერების სიის თავში იყო მოქცეული, ცნობილი ხომ იმით გახდა, რომ „ბინძური“ წიგნი იყო, და უამრავი ადამიანი ცდილობდა ქუჩაში ჩემთან მასზე გამოლაპარაკებას. ხანდახან მანქანებიდან მიყვიროდნენ, „პორტნოი, შეეშვი მაგ საქმეს...“

(იცინიან)

მოკლედ, ამ ხუმრობების ობიექტი მე ვიყავი. და ეს ნორმალურია. ესეც ამ ყველაფრის ნაწილია, ალბათ გესმით. მაგრამ ბოლოს, ცოტა არ იყოს, მომბეზრდა და საცხოვრებლად სოფელში გადავედი.

ნება მომეცით, ნათან ცუკერმანზე შეგეკითხოთ, პერსონაჟზე, რომელიც მგონი თქვენს ცხრა რომანში ჩნდება. რა გაქვთ საერთო თქვენ ორს?

ნათან ცუკერმანმა ბევრი რამ მასწავლა. სასარგებლო ინსტრუმენტი გამოდგა ჩემთვის. მისი აზროვნება გამოდგა სასარგებლო. ბევრ ჩემს რომანში ის იყო გონიერების ხმა, გონიერი მთხრობელი.

რამდენად გონივრული გეჩვენებათ ზოგიერთის აზრი, თითქოს თქვენ და ნათან ცუკერმანი ლამის ერთი და იგივე პიროვნება იყოთ?

ჩემი აზრით, ეგ უგუნურებაა, მაგრამ როგორც ჩანს, მე მანდ ვერაფერს გავაწყობ. ადამიანი, რა თქმა უნდა, საკუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

Philip Roth 80

თარ გამოცდილებას ეყრდნობა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ რაც ყოველდღიურად შეგემთხვევა, ყველაფერზე წერდე. მაშინ მწერალიც აღარ გქვია. მაგრამ გამოცდილება გასწავლის, მისი მეშვეობით იგებ, როგორია ცხოვრება. და მერე აწონ-დაწონი, არჩევ შენს გამონაგონსა და აქტუალობის განცდას შორის. მაგალითად, ხანდახან ისეთი რამ შეგემთხვევა, რაც ინტერესს იმსახურებს, მაგრამ მე ასე ვიტყვი, ვიღაცის თავს გადამხდარი შემთხვევების 80 პროცენტი მაინც ვიღაცას საინტერესო ეჩვენება.

მგონი არსებობს ადამიანი, სახელად ბლეიქ ბეილი, რომელიც თქვენი ბიოგრაფია. ეხმარებით მას მუშაობაში?

გამოიცანით. რასაც ახლა ვწერ, სწორედ მისთვისაა განკუთვნილი. მგონი დღეში ორი საათი მაინც მიხდება მუშაობა, რომ მის ყველა კითხვას პასუხი გავცე.

როგორ გრძნობთ თავს, როცა ეს ადამიანი, ამაში დარწმუნებული ვარ, თქვენი ცხოვრების ყველაზე პირად მომენტებში ცდილობს გარკვევას?

ეს ჩვენი შეთანხმების ნაწილია. ხვდებით ალბათ, არსებობს შეთანხმება, რომლის პირობებსაც იღებ, ან არ იღებ. მაინცდამაინც დიდი საიდუმლოებები არც მაქვს. თქვენ გაქვთ დიდი საიდუმლო? მე, სიმართლე გითხრათ, არა.

რამდენადაც ვიცი, ამერიკის ბიბლიოთეკამ თქვენი ნაწერების სრული გამოცემა ათი წლის წინ დაიწყო, მერე, შესაძლოა, ისინი გააკვირვეთ კიდეც, როცა, სამოცდაათ წელს გადაცილებულმა, მხოლოდ ახალ-ახალი რომანები კი არა, თქვენს ნაწერებს შორის საუკეთესოებიც კი დაწერეთ.

უბრალოდ იმის კეთებას ვაგრძელებდი, რაც მანამდე მიკეთებია. ძალ-ღონე და ენერგია მყოფნის, კარგად ვარ ნავარჯიშევი. და ამ საქმის მიმართ თავდადება გამაჩნდა. მთელი ჩემი ცხოვრება წერას მივუძღვენი. ჩემი დიდი პრობლემა ეს იყო ხოლმე – როგორ დამეწერა წიგნი. ერთ წიგნს რომ დაწერ, მერე მეორე უნდა დაწერო, საკუთარ თავს ხომ უნდა დაუმტკიცო, რომ ამის გაკეთება ხელახლა შეგიძლია. ასე რომ, ჩემი 70 და მას მოყოლებული წლები 60 და 50 წლის ასაკისგან დიდად არც განსხვავდებოდა. მძიმე პერიოდი ერთადერთხელ მქონდა, 60-იანი წლების დასაწყისში, იმიტომ კი არა, რომ ცხოვრება გამიჭირდა, სწორედ მაშინ ვიმაგრებდი ფეხს ამ სარბიელზე, და ჯერ არ ვიცოდი, როგორი მწერალი ვიყავი. დავწერე ერთი წიგნი, „ნახვამდის, კოლამბუს“, და ეს ერთი ტიპის რომანი იყო. მერე დავწერე უზარმაზარი „Letting Go“ – დიდი, სერიოზული რომანი. მესამე ყაიდის რომანი, ჩემი განსხვავებული ხმა „როცა ის კარგი და კეთილი იყო“ („When She Was Good“) გახლდათ, „პორტნოის სინდრომი“ კი ამათგან განსხვავებული, მეოთხენაირი რომანი იყო. ხვდებით ალბათ: ვერ გავერკვიე, რომელი ხმა იყო ჩემეული. ამით იმის თქმა მინდა, რომ პირველი ათი თუ თხუთმეტი წელი გზას შენი ტიპის ლიტერატურაში იკაფავ, მაგრამ წინასწარ ვერ გეცოდინება, რანაირი ლიტერატურაა ეს. ახლა ვფიქრობ, რომ თავიდან ბევრი ცრუ სტარტიც შეიძლება იყოს, ასეთი რამ ხომ მეც გამოვიარე. ნახევარ-რომანებიც - დაბეჭდილნი, შეკვეცილი ფორმის რომანებიც და ასე შემდეგ. მაგრამ დრო გადიოდა, და თანდათანობით ცოტა უკეთ გავერკვიე, როგორი იყო ჩემი საკუთარი ტერიტორია და როგორი ჟღერადობა უნდა მქონოდა. ამიტომ, სიმართლე გითხრათ, არც კი ვიცი, რა მოხდა ახალი მას შემდეგ, რაც 70 წლის გავხდი. საუზმედ იმავე ფაფას ვჭამ, რომელსაც ადრეც გეახლებოდით.

ალბათ უჩემოდაც კარგად გეცოდინებათ: ზოგი მკითხველი, უმეტესად ქალები, ამბობენ ხოლმე, თითქოს ზოგიერთი თქვენი რომანი უსიამოვნო განცდას უჩენს; ბრალად იმას გიყენებენ, რომ თქვენი ქალი პერსონაჟების უმეტესობა უსიმპათიოდ, კარიკატურულადაა შექმნილი.

ეს დაუფიქრებელი განზოგადებებია და ამგვარი მკითხველის არსებობას დიდად არ ვუღრმავდები.

მაშასადამე, პრობლემა მათეულ წაკითხვაშია, თქვენ ასე ფიქრობთ?

აბსოლუტურად. რასაკვირველია.

საკმარისია, წიგნს თქვენი სახელი ეწეროს – თქვენ კი შეიძლება შემეწინააღმდეგოთ, მაგრამ ასეა – რომ მას მკითხველი დიდი პატივით იღებს, და თქვენც იცით, რომ ასე იქნება, როცა მომდევნო რომანს დაწერთ. მაგრამ როგორც თავადვე თქვით, როცა წერას იწყებდით, უფრო ძნელი იყო იმის თქმა, რომ თავს საკუთარი ნაწერები გაგატანინებდათ.

ამისგან სამუშაოს სირთულე არ დაკლებია. ახლაც ისეთივე სამუშაო მაქვს შესასრულებელი, როგორიც უწინ. თავშიც ვთქვი: როცა დამწყები მწერალი ხარ, გარკვეულ პრობლემათა ერთობ-

ახლაც ისეთივე სამუშაო მაქვს შესასრულებელი, როგორიც უწინ. თავშიც ვთქვი: როცა დამწყები მწერალი ხარ, გარკვეულ პრობლემათა ერთობლიობა აუცილებლად იჩენს თავს. მაგრამ საქმე არც მერე იოლდება.

ბლიობა აუცილებლად იჩენს თავს. მაგრამ საქმე არც მერე იოლდება. შეიძლება, იმ წიგნის მთავარი პრობლემატიკა, რომელსაც წერ, მოხელთებული გქონდეს, მაგრამ მძიმე სამუშაო მძიმე სამუშაოდვე რჩება. შეიძლება წიგნი ორი წელი წერო. ხანდახან დღეში თითო გვერდს წერ, ხანდახან – არც ერთს; შეიძლება, სამი გვერდი დაწერო, მაგრამ მერე მოისროლო. ყოველი წინადადება ახალ პრობლემას წამოჭრის. შენი ამოცანა ისაა, ერთი წინადადება მომდევნოს გადააბა. წერ ამ წინადადებას, და მერე უნდა გაიაზრო, რა შეიძლება მოსდევდეს მას, და რა არ უნდა მოსდევდეს.

ყველა იმ პრემიას არ ჩამოვთვლი, რაც წლების განმავლობაში გაქვთ მიღებული, მაგრამ მაინტერესებს, იყო თუ არა აღიარების ფორმა, რომელიც თქვენთვის ახლაც ბევრს ნიშნავს.

რა გითხრათ, ასეთი ბევრი იყო და ალბათ უკვე საკმარისია. ბოლოს და ბოლოს, ისე ხდება, რომ პრემიები ბევრს აღარაფერს ნიშნავს შენს ცხოვრებაში. თუმცა ზოგი ჯილდო უფრო მნიშვნელოვანი გეჩვენება, ასეც არის. და როცა ჯილდოთი იმ წიგნს გამოარჩევენ, რომელიც განსაკუთრებით მოგწონს – უნდა გითხრათ, ეს არაჩვეულებრივია. იცით, ჯილდოს მიღება ადამიანში ბავშვს აღვიძებს. და მეორე დღეს სამუშაოს ახალი ძალით უბრუნდები.

არის თუ არა ისეთი რამ თქვენს ცხოვრებაში, რასაც ახლა მეტ დროს უთმობთ?

დიახ, ხანმოკლე წაძინებებს. მოდი, ორიოდ სიტყვას გეტყვით ამაზე. ეს სრულიად ფანტასტიკური რამეა. პატარა რომ ვიყავი, მამაჩემი სულ ცდილობდა, ჩემთვის კაცად ყოფნა ესწავლებინა. და ერთხელ მითხრა – მაშინ ალბათ ცხრა წლის ვიქნებოდი – ფილიპ, წაძინება რომ მოგინდება, ტანზე გაიხადე, პლედი ან საბანი დაიფარე და უკეთ დაგეძინებაო. ახლა სხარტად ასე ვიქცევი. როგორც სხვა დანარჩენში, მამაჩემი აქაც მართალი იყო. წამოვწვები, წავუძინებ ხოლმე, აუზიდან რომ ამოვდივარ, წავიხემსებ, გაზეთს წავიკითხავ და ისევ ამ შესანიშავ რამეს ვაკეთებ – თვალს ვატყუებ. თვალს რომ ახელ, პირველი თხუთმეტი წამის განმავლობაში ვერც ხვდები, სად ხარ. უბრალოდ ცოცხალი ხარ, სული გიდგას. ნეტარება სხვა კი არაფერია. აი ესაა აბსოლუტური ნეტარება. თქვენ ალბათ ჯერ კარგა ხანს იმუშავებთ, მაგრამ მერე ამის დროც დაგიდგებათ.

მგონი არაჩვეულებრივი რჩევა მომეცით.

და ტანზე გახდა არ დაგავიწყდეთ.

მისტერ როთ, ძალზე სასიამოვნო იყო თქვენთან საუბარი. დიდი მადლობა.

გმადლობთ, სკოტ.

ინგლისურიდან თარგმნა ქეთი ქანთარიამ

დაუფარავად

ფილიპ როთი: ზფოთვიდან წესრიგისკენ

ავტორი დევიდ რემნიკი
ინგლისურიდან თარგმნა ქეთი ქანთარიამ

URGERS - STEAKS
Coca-Cola
MOGEN
DAVID

ეროვნული ბიბლიოთეკა

Philip Roth 80

შარშანწინ, ზაფხულში, ფილიპ როთმა კონექტიკუტში თავისი სოფლის სახლის კარი გამოიხურა და „ბაბილონში“ მორიგი „რეიდის“ შესასრულებლად გამოვიდა. რამდენიმე მეგობარი მოინახულა, თმა შეიჭრა და შინ დაბრუნებამდე „ნიუ იორკერის“ ოფისში შემოგვიარა. სანამ სენდვიჩებს გეახლებოდით, ჯერ „იანკებზე“ ვისაუბრეთ, რომლებსაც ბრწყინვალე სპორტული მიღწევების ზაფხული გამოუვიდათ, მერე, ნაკლებ ხალისიანად ვილაპარაკეთ კლინტონებზე, რომლებსაც, მათგან განსხვავებით, დასაკვეხნი არაფერი ჰქონდათ. დაახლოებით ერთი წლის შემდეგ, როცა ნიუ-იორკში და კონექტიკუტის სახლში ხელახლა შევხვდით, როთი ზუსტად ისეთი არაჩვეულებრივი მოსაუბრე გამოდგა, როგორადაც მისი მეგობრები ახასიათებდნენ. „ფილიპი მძვინვარე ტემპერამენტის ადამიანია“, მითხრა ბიოგრაფმა ჯუდით თარმანმა, „დაუყოვნებლივ და შეულამაზებლად რეაგირებს ყველაფერზე – ფლეგმატიკოსის სრულიად საპირისპირო ტიპია“. თუ როთი კარგ გუნებაზეა, განუმეორებელი იმიტატორი ხდება (შეუძლია განასახიეროს ნებისმიერი ხმა – მაიკის და მედ დოგის რადიოგუნდის ციებცხელებიანი ღრიანცელიდან ჰაროლდ პინტერის მსუყე ანტიამერიკანიზმებამდე). ისეთი სასაცილო შეუძლია იყოს, როგორც რომელიმე დიდ კომედიანტს, რომელიც თან ბრწყინვალე ლინგვისტური ნიჭით იქნება დაჯილდოებული. მაგრამ ზაფხულის იმ მშფოთვარე დღეს, როცა ქვეყანაში დინჯ განსჯასა და დამცინავ ხითხითს შუა მდგომი განწყობა სუფევდა, ვერც როთი იყო მაინცდამაინც გუნებაზე. მუქ თვალებში სერიოზული გამომეტყველება ედგა. ეს მონიკას (მონიკა ლევინსკი იგულისხმება – მთარგ.) ზაფხული იყო, ორალურ სექსზე აგებული ანეკდოტების, „ღალატისა და სუბვერსიული სიამოვნების სეზონი: ფარისევლობის ექსტაზი“, ასე უწერია თავად როთს. უეცრად მისი რომანების არაერთი თემა ამოტივტივდა: ღალატი, მოჩვენებითი მწუხარება, და, როგორც ჩანს, იმაზე დაფიქრებული, როგორ უნდა გამოსულიყო კლინტონი ამ საჩოთირო სიტუაციიდან, როთი უცებ წელში გაიმართა და ნახევრად ხუმრობით თქვა, „იქნებ ტელევიზიით გამოვიდეს და ცოლქმრულ ღალატზე ალალად დაგველაპარაკოს“. შეიძლება იმას გულისხმობდა, რა სირთულეები ახლავს თან ხანგრძლივ, არცთუ უღრუბლო ქორწინებას. არანაირი პოლიტიკური მიზანშეწონილობა მისი ფრაზის უკან არ იდგა. მერე გვითხრა, „არ გინდათ, მწერლების ჯგუფს ამ ამბავზე დააწერინოთ? რა საჭიროა მორალის პრობლემაზე დაწყებული ნაციონალური დისკუსიის დაყვანა პრიმიტიულ თემებამდე?“ თუმცა, ბოლოს, ერთ-ერთი იმ იშვიათ მწერალთაგანი, ვინც ამ საკითხის გარშემო აზრის გამოთქმას მოერიდა, თავად როთი გამოდგა.

როგორც გაირკვა, მაშინ დროის დაკარგვა ენანებოდა, რადგან რომანს წერდა, რომანს, რომელშიც მოქმედება იმ ზაფხულში ხდება, როდესაც „ამერიკის სიწმინდე შეიბღალა“, როცა „ტერორიზმი, რომელმაც, როგორც ქვეყნის თავზე აღმართულმა მუდმივმა საფრთხემ, თითქოს სამუდამოდ ჩაანაცვლა კომუნიზმი, უეცრად ორალურ სექსად გარდაისახა“. როთი მაშინ „ადამიანურ ლაქას“ წერდა, წიგნს, რომელიც შემდეგ ომისშემდგომი ამერიკული რეალობისადმი მიძღვნილ ტრილოგიაში შევა. მას წინ „ამერიკული პასტორალი“, ვიეტნამის თემაზე დაწერილი რომანი და მაკარტის პერიოდისადმი მიძღვნილი „როგორ გავყევი ცოლად კომუნისტს“ უძღოდა. როთი ისეთი მთხრობელია, რომელსაც პრობლემაზე ჯიქურ გადასვლა და პერსონაჟისთვის დანიშნულების მოძებნა არ უჭირს, და „ადამიანურ ლაქაში“ შეუცდომლად აღწერს იმ ზნეობრივ და პოლიტიკურ ამინდს, რომელშიც მის გმირებს უწევთ არსებობა:

„ამერიკაში ის ზაფხული იდგა, როცა გულისრევის შეგრძნება დაბრუნდა, როცა ენის ყაგილს და ანეკდოტების გაცვლა-გამოცვლას, განსჯის, თეორეტიზირების და ჰიპერბოლიზების სურვილს ბოლო არ უჩანდა, როცა ბავშვებისთვის ზრდასრული ცხოვრების გაცნობის მორალური ვალდებულება მის შესახებ ილუზიების შენარჩუნების საჭიროებამ გადაფარა, როცა ადამიანების უნამუსობამ დამანგრეველი ძალა შეიძინა, როცა ერს სულში რომელიღაც აწყვეტილი დემონი ჩაუსახლდა, როცა ორივე მხარეს, აქეთაც და იქითაც, ხალხი კითხულობდა, ეს რა შეშლილობამ დაგვრია ხელიო, როცა დილაობით ქალებიცა და კაცებიც იმ შეგრძნებით იღვიძებდნენ, რომ ღამით, მძინარე მდგომარეობაში, რომელსაც ისინი, წესით, შურისა და სიძულვილის განცდისგან უნდა გაეთავისუფლებინა, ბილ კლინტონის უსირცხვილო საქციელი ესიზმრებოდათ. მე თვითონ, მაგალითად, თეთრი სახლის ერთი კიდედან მეორემდე ყოვლად დადაისტურად, ქრისტესავით გადაჭიმული ბანერი მესიზმრა, რომელიც ყველა იმ ადამიანის ცხოვრების აღწერილობას იტევდა, რომელთაც ოდესმე იქ უცხოვრიათ. ეს ის ზაფხული იყო, როცა გონებაში ყველას პრეზიდენტის ასო ჰქონდა გაჩხერილი, და სიცოცხლე, მთელი თავისი უსირცხვილო უწმინდურობით, ხელახლა აოცებდა და აწითლებდა ამერიკას“.

დონ დე ლილოსგან განსხვავებით, რომელმაც „სასწორში“ ლი ჰარვი ოსვალდის, ხოლო რომანში Underworld – ედგარ ჰუვერის სრული სახეები შექმნა, როთი ისტორიული პერსონაჟების მხატვრულ „დამუშავებას“ სულაც არ ცდილობს. პირიქით, მისი ტრილოგიის თითოეულ რომანში ისტორია ყოველგვარი რაციონალური ახსნა-განმარტების გარეშე იჭრება ჩვეულებრივი ადამიანების ცხოვრებაში.

ფილიპ როთი ისეთ ქალაქში ცხოვრობს, რომელიც, შეულამაზებლად რომ ვთქვათ, ქალაქს არც ჰგავს. იქ არის ფოსტა, და მორჩა, სხვა არც არაფერი არ არის. ქალაქი ჩრდილო-დასავლეთ კონექტიკუტში მდებარე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობს, შერონის, ლიჩფილდის, კენტის მსგავსი ქალაქების სიახლოვეს, იქ რესტორნებია, ანტიკვარიატის მაღაზიები, ბიბლიოთეკები, სკოლები. „აქ, ჩვენთან, არც პლაჟია, არც ქალაქია, საერთოდ არაა ადგილები, სადაც შეიძლება ადამიანი წავიდეს, ამიტომ, ერთადერთი, რაც შეიძლება გააკეთო, სახლში ჯდომაა“, ამბობს როთი. საუბრისას მანქანაში ვისხედით და მდინარე ჰუსეტონიკის ნაპირს მივუყვებოდით, როცა როთი უცებ გამოცოცხლდა: „უჰ, თუმცა მდინარე გვაქვს, რასაკვირველია, გვაქვს, რაც გვაქვს, გვაქვს, კი ბატონო!“ მერე ჩვენი მანქანა მთაგორიან გზას გაუყვა. ნიუ-იორკში წვრილად და ყოვლად გულისგამაწვრილებლად ცრიდა, აქ კი მდინარის ზედაპირი ყინულისას წააგავდა, ჯინივით კამკამა იყო. ტყე, ცალკე მდგომი ხეები თოვლს დაეფარა. როთი მხიარული სოფლელის როლიდან არ გამოდიოდა, „გვაქვს ხიდიც. გინდათ ნახოთ, როგორია ნამდვილი ხიდი? კი ბატონო!“ ხიდს რომ მივუახლოვდით, სახელდახელოდ რაღაც წყალდიდობის ამბავი გამოიგონა, „ამან მთელი ქალაქი დატბორა და დააჭაობა, დიახ!“

როთი ნიუარკში გაიზარდა (აღმოსავლეთ ჯერსის ურბანული ნაწილი მისი იოკნაპატოფა და მისი კომბრეა), დროდადრო და ხანგრძლივად უცხოვრია ჩიკაგოში, მანჰეტენზე, აივა სითიში, რომში და ლონდონში. მისი სახლი, ნაცრისფერი, ორსართულიანი, ხის ფიცრებისგან ნაგები შენობა, 1790 წელსაა აშენებული. მის მფლობელს თუ არ ჩავთვლით, გაუჭირდება აქ თვალს რამე განსაკუთრებულის მოძებნა. არც ისე დიდი ხნის წინ როთმა ორასი აკრი მიწა შეიძინა და მანამდე კუთვნილ ორმოც აკრს მიამატა. მას შემდეგ, რაც შვიდი წლის წინ კლერ ბლუმს, ინგლისელ მსახიობ ქალს დაშორდა, აქ სრულიად მარტო ცხოვრობს. სტუმრებიც ძალზე იშვიათად ჰყავს ხოლმე. რომანში „ტექსტების მთხზველი“ (The Ghost Writer) უფროსი ასაკის მწერალი, გვარად ლონოფი, როთის რომანის ხშირ პერსონაჟს, ნათან ცუკერმანს ეუბნება, რომ მოუწესრიგებელი პირადი ცხოვრება მწერალს გაცილებით მეტ სამსახურს უწევს, ვიდრე ტყეში სეირნობა და ირმების ცქერა. „მის სამუშაოს ტურბულენტობა სჭირდება, აი, რას სჭირდება მოფრთხილება, ტყეებს რა თავში ვიხლი“. როთის ცხოვრებაში ეს ყველაფერი დასრულდა. არანაირი მოუწესრიგებლობა. თუ მშფოთვარება მაინც რჩება განმსაზღვრელ ტონად მის ნაწერებში, ახლა მის ცხოვრებისეულ კრედოდ „წესრიგი ცხოვრებაში“ ქცეულა. დილაობით როთი სეირნობს, ასე იქცევა კვირაში შვიდი დღე. წინა ოთახში ბუხარი, საწერი მაგიდა, კომპიუტერის კუთხე და რაღაც ბარ-მაგიდასავით აქვს, რომელთანაც წერა ფეხზე მდგომს შეუძლია, თუ ზურგი აწუხებს ხოლმე. კედლებზე აქა-იქ საოჯახო სურათები უკიდია: აქ არის მამამისი, ჰერმანი, რომელიც „მეტროპოლიტენ ლაიფში“ დაზღვევის აგენტად მუშაობდა. დედამისი ბესი. უფროსი ძმა – სენდი, რომელიც ადრე სარეკლამო ბიზნესში იყო, ახლა კი მხატვრობისთვის მოუკიდნია ხელი. სახლის ძირითად ნაწილში თავისი რომანების თითქმის ყველა გამოცემა აქვს, ყველა ოთახში უწყვია, ანბანური თანმიმდევრობით აქვს დაწყობილი.

მას რომ ვსტუმრობდი, ზამთრის მიწურული იყო, ადრიანი დილა. სტუდიოს გარშემო თოვლის გროვები იდგა, როთს „შეთლანდის“ ცისფერი ჯემპრი ეცვა და მწვანე ველვეტის შარვალი. საერთოდაც, ორმოცდაათიანების ბოლო წლების სტუდენტივით იცვამს. მერე უკანა ოთახში შემიყვანა. იქ, სხვა ნივთების შორის, ბრუკლინის „დოჯერსის“ 1947 წლის ფოტო ვნახე. როთს თერთმეტი წლის წინ გულის შუნტირება აქვს გაკეთებული და სხვა გზა არ აქვს, თავს უნდა მოუაროს, ფორმა უნდა შეინარჩუნოს. მთელი დღე სახლშია, არც ტელეფონი აქვს შინ, არც ფაქსი. საღამოობით დიდხანს სეირნობს. ამ დროს ხშირად იმ რომანის პერსონაჟების ურთიერთკავშირებს „ჩარხავს“, რომლითაც მოცემულ მომენტშია ატანილი.

„მარტო ვცხოვრობ, არც პასუხისმგებლობა მაწევს ვინმეს გამო, არც



ფილიპ როთი ისეთ ქალაქში ცხოვრობს, რომელიც, შეულამაზებლად რომ ვთქვათ, ქალაქს არც ჰგავს. იქ არის ფოსტა, და მორჩა, სხვა არც არაფერი არ არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Philip Roth 80

ვინმე მყავს ისეთი, ვისთან ერთადაც დრო მექნება მოსაკლავი“, ამბობს როთი, „აბსოლუტურად ჩემი საკუთარი გეგმით და სქემით ვცხოვრობ. როგორც წესი, მთელი დღე ვწერ, მაგრამ თუ უკან, სტუდიოში მომინდება საღილის შემდეგ დაბრუნება, ჩემი ნებაა. სასტუმრო ოთახში ჯდომა არ მიწევს, ვიღაცის გართობის ვალდებულება არ მაქვს, შემიძლია, საწერ მაგიდას მივუბრუნდე და ისევ ორი-სამი საათი ვიმუშაო. თუ დილის ორ საათზე გამეღვიძა – რაც ძალიან იშვიათად ხდება, მაგრამ მაინც ხდება ხოლმე – და თავში რამე აზრი მომივიდა, შუქს ვანთებ და საძინებელშივე ვწერ. ეს პატარა ყვითელი რამეები მთელ ბინაში მაქვს. თუ კითხვის გუნებაზე ვარ, იმდენი საათი ვკითხულობ, რამდენიც თავად მინდა. თუ დილის ხუთზე გამეღვიძა, არ მეძინება და მუშაობის განწყობაზე ვარ, მივდივარ და ვმუშაობ. ისე ვმუშაობ, ვითომ გამოძახებაზე ვარ. ვითომ ექიმი ვარ, სასწრაფო ოპერაცია მაქვს ჩასატარებელი და საოპერაციოში ვიმყოფები. მე თვითონ ვარ სასწრაფოსავით“.

იმ დღემდე არც ისე დიდი ხნით ადრე, სანამ ფილიპ როთთან კონექტიკუტში ჩამოვიდოდი, იმ საუბრის ტექსტის წაკითხვა მომიხდა, როთსა და ფრანგ ფილოსოფოს ალენ ფინკელკრაუს შორის რომ შედგა. როცა ის ცნობილი კითხვა – „თქვენს რომანებში ის ტიპი თქვენ ხართ?“ ოდნავი სახეცვლილებით და მემილიონეჯერ ახლა მისგან მოისმინა, როთმა ვირჯინია ვულფის 1915 წელს დაწერილი რომანი „The Voyage Out“ შეახსენა. მომავალი მწერალი იქ ამბობს, „რომანს თქვენ იმისთვის კითხულობთ, რომ გაიგოთ, რას წარმოადგენს მისი დამწერი მწერალი, თუ მას იცნობთ, მაშინ იმისთვის, რომ გამოიცნოთ, რომელი თავისი მეგობარი ჰყავს იქ გამოყვანილი. რაც შეეხება თვით რომანს, მის მთლიან კონცეფციას, იმას, თუ როგორ ხედავს ავტორი საგნებს და მოვლენებს, რას განიცდის მათ გამო, როგორ უკავშირებს მათ ერთმანეთს, ეს მილიონში ერთ კაცსაც არ აინტერესებს“.

იმის გათვალისწინებით, რა ინტენსივობით აქვს გამოყენებული საკუთარი ცხოვრების მომენტები, ან საკუთარი თავი (ამ მხრივ სელინთან, ჟენესთან და გომბროვიჩთან ძალზე ბევრი აქვს საერთო), იმ მითქმა-მოთქმის და ვერსიების ფონზე, მისი და მისი პერსონაჟების გამოცდილების მსგავსებაზე რომ არსებობს, გასაგები ხდება, რატომ შეიძლებოდა მოსწონებოდა ვირჯინია ვულფის ეს პასაჟი. ერთ საღამოს როთს მისი მეგობრისა და რომანისტის, დევიდ პლანტის ლიტერატურულ სემინარზე წავყევი, რომელიც მას კოლუმბიის უნივერსიტეტში სტუდენტებისთვის მიჰყავდა. „ოპერაცია „შაილოკს“ კითხულობდნენ, რომელშიც პერსონაჟი, სახელად „ფილიპ როთი“ ისრაელში იმ წელს ჩადის, როცა ივან დემიანჩუკის ცნობილი სასამართლო პროცესი მიმდინარეობს. ამ დროს იერუსალიმში ერთი პერვერსიული ჯეელი, ვინმე პიპიკი აცხადებს, რომ სინამდვილეში თავად გახლავთ ფილიპ როთი. კოლუმბიის უნივერსიტეტის რომელიღაც სტუდენტმა არც აცია, არც აცხელა და როთს კითხვით მიმართა, ნამდვილია თუ არა ეს ამბავიო.

„არა, ნამდვილი ამბავი არ არის“, უპასუხა როთმა საკმაოდ რბილად, „ამ ამბავში მე ავტობიოგრაფიული არაფერი მეჩვენება. მე მეჩვენება, რომ ეს უფრო მხატვრული ლიტერატურაა. იმაზე აღარაფერს ვამბობ, რომ აუცილებელი არაა, ადამიანი მაინცდამაინც საკუთარი ცხოვრების ფაქტებზე წერდეს. მისთვის მთავარია წაკითხულიდან რამე სარგებელი გამოიტანოთ“. ცხოვრება დიდი ამორფული რამაა, და ხელოვანისთვის არაფერია შექმნილზე, გამონაგონზე უფრო ნამდვილი და მნიშვნელოვანი. ცხოვრებაშიც და „შაილოკშიც“, როთს ნერვული აშლილობა მას მერე დაეწყო, რაც დამამშვიდებელი საშუალება „ჰალციონი“ მიიღო, მაგრამ თუ რეალურ ცხოვრებაში მსგავს კრიზისს კარგი არაფერი მოაქვს, რომანში ავტორმა ეს მდგომარეობა იმ შფოთვის და დაბნეულობის გამოსაკვეთად გამოიყენა, რომელიც ნარატორს ისრაელთან პირველი შეხვედრისას ემართება. როთი ამ ყველაფერს მშვიდად ხსნიდა, მაგრამ როცა საუბარი შექმნილ რეალობას, გამონაგონს გადაწვდა, აქ კი გამოიდარა: „როთის პერსონაჟს დინებასავით მსჭვალავს ებრაული უკიდურესობები, წინააღმდეგობრივი ბუნება, ებრაული ტკივილი“, უთხრა სტუდენტებს. „ფინეგანის ქელეხში“ ერთი პერსონაჟია, ჰამფრი ს. ერვიკერი, რომელსაც, სანამ სძინავს, მის გონებასაც ასე მსჭვალავს მსგავსი განცდები, და ჯოისი მის ინციალებს H. C. E. fraza Here Comes Everybody-ს (დაახ. „აქ შემოდის ყველა“) უკავშირებს. ახლა ჩათვალეთ, რომ „ოპერაცია „შაილოკში“ „აქ შემოდის ყველა ებრაელი“ უნდა ამოიკითხოთ. ლეონ კლინგჰოფერი, ჯონათან პოლარდი, მენაჰემ ბეგინი, მეირ კაჰანე – ეს სახელები იმ დროს სწორედ ასე „მსჭვალავდა“ კოლექტიურ ებრაულ ტვინს, მე კი ამ ებრაულ ტვინში შეღწევა მინდოდა“.

როთის ლიტერატურული კარიერა ორმოცდასამი წლის წინ დაიწყო, დაახლოებით ზემოთ ნახსენების მსგავსი პროექტით: მას ებრაელებზე უნდოდა წერა. მისი გაბედულება თუ გამომწვევი ბუნება გახდა იმის მიზეზი, რომ მისი მწერლური რეპუტაცია თავიდანვე სკანდალით, ფაქტების დამახინჯებითა და მტკივნეული თავდასხმებით განისაზღვრა. სკანდალი თავიდან მასშტაბური არ ჩანდა, მაგრამ მალე მძლავრი ქარიშხალივით დაატყდა თავს, რომლის გახსენება დღეს უკვე მხოლოდ კურიოზულ ისტორიად შეიძლება მოგვეჩვენოს.

წლების შემდეგ სოლ ბელოუმ აღნიშნა, რომ კრიტიკოსები მას, ბერნარდ მალამუდსა და ფილიპ როთს პატარა მავნე ებრაულ კამპანიად აღიქვამდნენ, ამერიკული ლიტერატურის ჰარტად, შაფნერად და მარქსად. მაგრამ გავლენა მიბაძვითა თუ გენეტიკური მემკვიდრეობის იმ პრინციპით არ მოქმედებს, როგორც ეს კრიტი-

ისტორია
ეროვნული
ბიბლიოთეკა





ეროვნული ბიბლიოთეკა

Philip Roth 80

კოსებს ჰგონიათ. როთი, ჯერ ბუკნელის, შემდეგ კი ჩიკაგოს უნივერსიტეტების კურსდამთავრებული, მალამუდსაც ნამდვილად კითხულობდა და სოლ ბელოუსაც. მალამუდში ებრაული იმიგრაციის თემაზე დაწერილი „დაუნდობელი იგავების“ ავტორს ხედავდა, ეს იგავები მის თანამედროვეებზე ბევრად უფროსი, იდიშზე მოლაპარაკე ებრაელების თაობის იგავები იყო, რომლებიც თავად როთსაც კარგად ახსოვდა. მათ უფრო მინორულ ტონალობაში დაწერილი ამბები ეთქმოდა, ვიდრე სი მაჟორული, ამერიკული სულისკვეთებით გაჯერებული მოთხრობები. სოლ ბელოუში, კონკრეტულად, მის „ოგი მარჩის თავგადასავლებში“ როთი სულიერად უფრო ახლობელ ატმოსფეროს გრძნობდა, უფრო მხნე, ამერიკულ, მათავისუფლებელ ხმად აღიქვამდა, ეს უკვე იმიგრანტი ებრაელის ხმა აღარ იყო. რომანიც ხომ ამერიკის მოქალაქის განაცხადით იწყება, იქ ნოსტალგიის ადგილიც არ რჩება: „ამერიკელი ვარ, ჩიკაგოში დაბადებული და გაზრდილი“. როთისთვის მეოცე საუკუნის ამერიკული ლიტერატურის ხერხემალს ფოლკნერი და ბელოუ ქმნიან, და იმის მიუხედავად, რომ როთი ბელოუსავით არასდროს წერდა – მკითხველს ეს ორი ხმა ერთმანეთში არასდროს აერევა – სწორედ „ოგი მარჩი“ იყო ის წიგნი, რომელმაც მას სილაღე მიანიჭა, რომელმაც მიახვედრა, რომ ევროპიდან იმიგრირებული ვიქტიმური თაობის ჩრდილქვეშ კი არ უნდა ეგმინა, ამერიკაში ამერიკელებად ნაშობი თაობის ხმა, მისი თავისუფლება და მისი ინტონაცია, მისი ენერგია და სიმძლავრე უნდა აერჩია.

ფილიპ როთს, ორმოციან წლებში ნიუ-ჯერსიში დაბადებულ და გაზრდილ ადამიანს ჩაგვრის, „პოგრომების“, ნაცემ-ნატანჯი წვრილი მევაჭრეების ბედ-იღბლისა არაფერი გაეგებოდა. „მე უფრო სხვა გამოცდილება მქონდა“, მითხრა როთმა, „ნიუარკში მე ჩვენს საკუთარ აგრესიას ვხედავდი. სამი ან ოთხი მეგობარი ღამღამობით ნიუარკის ქუჩებში დავეხეტებოდით... სიდის ბარში ან ჩენსელორ ევენიუზე გავიდოდით და სექსთან დაკავშირებულ ჩვენ-ჩვენს ამბებს ვყვებოდით. იქ იყო იქაურების თავშეყრის ადგილი. იქ მეტყველება უხეში გამოთქმებით იყო სავსე, მაგრამ ადამიანები დასაცემი იუმორით ყვებოდნენ ამბებს, ბურთს თამაშობდნენ, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, იქ ენერგია ჩქეფდა... ცხოვრებას გემო ნამდვილად ჰქონდა. გემო – ალბათ ეს იქნება სწორედ შესაფერი სიტყვა. ცხოვრების მადაზე ვიყავით და ეს მადა აგრესიასაც მოიცავდა“.

მერე, 1959 წლის მარტში „ნიუ იორკერმა“ „რწმენის დამცველი“ გამოაქვეყნა, მეორე მსოფლიო ომის ბოლოსკენ მისურის სამხედრო ბაზაზე აღმოჩენილი ებრაელი ახალწვეულის ამბავი. სკანდალის მიზეზი, პირველ რიგში, ის გახდა, რომ მოთხრობის მთავარი გმირი, ახალწვეული, ერთი შებერტყილი ვინმეა, რომელიც ნაწილის ოფიცრებში დანაშაულის გრძნობის გაღვიძებას ცდილობს. მეორე მიზეზი ის იყო, რომ მოთხრობა ჯერ ებრაულ ჟურნალში ან ალმანახში არ გამოქვეყნდა. როთს, რა თქმა უნდა, ებრაელებზე მოთხრობები ადრეც ჰქონდა დაწერილი, მაგრამ ისინი ommentary-Si da Paris Review-ში დაიბეჭდა, ჟურნალებში, რომელთა მკითხველი გაცილებით მეტ რადიკალიზმს და ასეთსავე იუმორს იყო ნაჩვევი. „ნიუ იორკერი“ ცოტა სხვა რამე იყო. აქ ბევრი ებრაელი მწერლის ნაწერები გამოქვეყნებულა, ჯ.დ. სელინჯერის, ს.ჯ. პერელმანის, ირვინ შოუს ჩათვლით. მაგრამ 1959 წელს იქ ატმოსფერო უფრო ბრონქსული იყო, ვიდრე ზედა უესტსაიდური.

როთი ამ ადრეული პუბლიკაციისგან სიამოვნების მეტს არაფერს მოელოდა: ისთ ვილიჯის ნახევარსარდაფში, პატარა ოროთახიან ბინაში ცხოვრობდა, და იმ დღეს, როცა მისი მოთხრობით ნომერი უნდა გამოსულიყო, სახლიდან გამოვიდა და კიოსკისკენ გაემართა. როცა, როგორც იქნა, იმდღევანდელი „ნიუ იორკერი“ ბიც“ მოიტანეს, ოთხი ცალი შეიძინა.

„ნომერი გადავშალე, მერე დავხურე, მერე ალაგ-ალაგ კითხვა დავიწყე, ხან იქ ვკითხულობდი, ხან აქ, მერე ხელახლა დავიწყე გადაკითხვა, იმდენი ვიკითხე, რომ ბოლოს სიტყვები თავში არ მიჩერდებოდა და მათი მნიშვნელობა აღარ მესმოდა. საშინლად ამაღელვებელი მომენტი იყო“. რამდენიმე დღის შემდეგ ჟურნალის რედაქტორმა, რეიჩელ მაკენზიმ დაურეკა და უთხრა, რომ მისი მოთხრობის გამო უამრავ წერილს იღებდნენ, რომლებიც უფრო ხშირად – მრისხანებით იყო სავსე. მერე მოვიდა წერილი ებრაელთა ანტიდეფამაციის ლიგიდან, მერე გაირკვა, რომ ქალაქის რაბინები თავიანთ ქადაგებებში მის მოთხრობას გმობდნენ და მინასთან ასწორებდნენ. როთის ბრალი შემდეგში მდგომარეობდა: რომ თავხედობა ეყო და ებრაელი ახალგაზრდა მანკიერ, აგრესიულ, ზერელე და ფულს დახარბებულ ტიპად გამოიყვანა – და თან მოთხრობა ისეთ ჟურნალში გამოაქვეყნა, რომელსაც მთელი ამერიკა კითხულობს. ესე იგი, ებრაელთა უსიტყვო ტომობრივი შეთანხმება დაარღვია: ოღონდ გოიმების წინაშე არა! წერილები ჟურნალსაც მისდიოდა და თავად როთსაც:

„მისტერ როთ,

ამ თქვენი ერთი მოთხრობით, რომელსაც „რწმენის დამცველი“ ჰქვია, ებრაელობას უფრო მეტი ზიანი მიაყენეთ, ვიდრე მთელმა ორგანიზებულმა ანტისემიტიზმმა. თქვენ ადამიანებს არწმუნებთ, რომ ებრაელები გაიძვერა, მატყუარა ხალხია. თქვენი ერთი მოთხრობის გამო ადამიანებს – მთელს ჩვენს საზოგადოებას – დაავიწყდათ ყველა ის ებრაელი ყმაწვილი, ვინც სამხედრო სამსახური პირნათლად მოიხადა, ყველა ის ებრაელი, ვისაც მთელს მსოფიოში პატიოსნად, მძიმე შრომით უცხოვრია“.

ანტიდეფამაციის ლიგიდან მოსული ერთი წერილი ერთ ძალიან ცნობილ რაბინს ეკუთვნოდა, რომელიც წერდა: „რა შეიძლება გაკეთდეს ამ კაცის გასაჩუმებლად? შუა საუკუნეებში ებრაელებმა კი იცოდნენ, რო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

SOBRANIE
LONDON

სობრანიე
ლონდონი

სერტიფიცირებულია

ლონდონი სინს 1879 სობრანიე
ლონდონი სინს 1879 სობრანიე
ლონდონი სინს 1879 სობრანიე
გოლდი ლურჯი ბლექი სობრანიე

მოწევა კლავს
მოწევა იწვევს კანის ნაადრევ დაბერებას

გორ მოევლოთ მისნაირებისთვის“.

ამ მტრულმა და აგრესიულმა თავდასხმებმა როთი იმდენად არ შეაშინა, რამდენადაც ინტერესით აღავსო. მთლად პირყვითელაც აღარ ეთქმოდა: ოცდაექვსი წლის იყო – ამბიციური, განათლებული, ჩიკაგოს უნივერსიტეტდამთავრებული ახალგაზრდა, რომელსაც იმ დროს უკვე საკმაოდაც ემოგზაურა და ჯარში სამსახურიც კი მოესწრო. იყო რაღაც გამახალისებელი ამ მოულოდნელ რეაქციაში, რომელიც მისი მეგობრების, მისი რედაქტორების წრის მიღმა სამყაროდან წამოვიდა. „მაინტერესებდა, ვინ იყო ეს ხალხი,“ მითხრა როთმა, „მოულოდნელად ამ რაბინებისთვის რაღაც ცენტრად გადავიქეცი, რომლისთვისაც წინააღმდეგობა უნდა გაეწიათ“.

მერე სკანდალი გარკვეულწილად განელდა. კრებულმა „ნახვამდის, კოლამბუს“, რომელშიც ავადსახსენებელი მოთხრობა „რწმენის დამცველი“ შედიოდა, 1960 წელს წიგნის ნაციონალურ პრემიას იღებს, და როთს სხვადსხვა ჰილელებში და სინაგოგათა კონგრეგაციებში სასაუბროდ იწვევენ. კითხვები, რომლებსაც როთს უსვამდნენ, როგორც წესი, თავაზიანი და ადვილი საპასუხო იყო, მაგრამ მერე, 1962 წელს, როთი, რომელიც იმ დროს აიოვას უნივერსიტეტში ასწავლიდა, იეშივას უნივერსიტეტში ორთოდოქსული იუდაიზმის აკადემიურ ბასტიონში მიიწვიეს. „ვგრძნობდი, რომ ვალდებული ვიყავი, წავსულიყავი, მინდოდა კიდეც, რაღაცნაირად ამასაც მწერლობას ვუკავშირებდი, არც ვიცი, ოცდარვა, ოცდაცხრა, ოცდაათი წლის ასაკში ნეტავი სხვანაირი რეაქცია მექნებოდა? ახლა კი ვიცი, როგორც მოვიქცეოდი: ამ ნაწერს მივუშვებდი, საკუთარ თავზე თვითონ ელაპარაკა.

ღონისძიებას, რომლის ფარგლებშიც ჩვენი შეხვედრა უნდა შემდგარიყო, ერქვა „სინდისიერების კრიზისი უმცირესობათა მწერლებს შორის“. ჩემ გარდა, სხვა განსახილველი ავტორები გახლდნენ პიეტრო დი დონატო, პროლეტარული რომანის „ქრისტე ცემენტში“ ავტორი, და რალფ ელისონი, რომლის 1952 წელს დაწერილი რომანი „უხილავი კაცი“ რადიკალი შავკანიანი ნაციონალისტების თავდასხმების ობიექტი შეიქნა. იმ საღამოს იეშივაში ლამის სისხლი დაიღვარა. სტუდენტებს უცხოები, ანუ ელისონი და დი დონატო თითქმის არც გახსენებიათ და როთი, ანუ „თავისიანი“ ამოიღეს სამიზნეში. ამ როთზე დაუღალავად მიჰქონდათ იერიში, დაუსრულებლად, სხვადასხვა ფორმით, მისვამდნენ ერთსა და იმავე კითხვას: „მისტერ როთ, დაწერდით თუ არა ასეთსავე მოთხრობას, ნაცისტურ გერმანიაში რომ გეცხოვრათ?“ ეს დაახლოებით ის კითხვაა, რომელსაც შეუვალი ნიუარკელი მოსამართლე ლეოპოლდ ვაპტერი როთის არაერთი რომანის მუდმივ პერსონაჟს, ნათან ცუკერმანს უსვამს: „შეგიძლიათ, პატიოსნად მოგვახსენოთ, არის თუ არა თქვენს მოთხრობაში რამე ისეთი, რაც იულიუს შტრაიხერს და იოზეფ გებელსს გულს გაუთბობდა?“... „მაგრამ ჩვენ ნაცისტური გერმანიის საპირისპირო საზოგადოებაში ვცხოვრობთ“, პასუხობდა მათ როთი, თუმცა ვერაფერს გახდა.

„ბოლოს, მეთერთმეტე რაუნდში“, იხსენებს როთი, „როცა რალფმა იგრძნო, რომ მეთორმეტეს ვეღარ გადავიტანდი, ჩემთან მოვიდა და მითხრა, „რა ხდება აქ, ბოლოს და ბოლოს?“ რალფს ამასობაში შავკანიანი ამერიკელებისგან უამრავი წერილი ჰქონდა მიღებული იმის გამო, რომ თავის რომანში შავკანიან ოჯახში მომხდარი ინცესტი აღწერა. ესეც ტიპური წერილები იყო, რომლებშიც მას ეკითხებოდნენ, როგორ გაბედა რომანში ასეთი სცენის შეეტანა, როცა შავკანიანთა მოძრაობა ქვეყანაში, ის-ის იყო, ფეხს იკიდებდა. ელისონი აუდიტორიის წინაშე გამოვიდა და ერთადერთი შესაძლო პასუხი გასცა: რომ მწერალი დამოუკიდებელია, და რომ ეს უნდა იყოს ამოსავალი პოზიცია. „მე სამოქალაქო უფლებებისთვის ბრძოლის მექანიზმის ჭანჭიკი არ ვარ“, თქვა მან“.

იეშივას სტუდენტებმა ელისონს თავაზიანად მოუსმინეს – და მერე ისევ საკუთარ როთს მიუბრუნდნენ. შეხვედრის დასრულების შემდეგ,



როთის ბრალი შემდეგში მდგომარეობდა: რომ თავხედობა ეყო და ებრაელი ახალგაზრდა მანკიერ, აგრესიულ, ზერელე და ფულს დახარბებულ ტიპად გამოიყვანა – და თან მოთხრობა ისეთ ჟურნალში გამოაქვეყნა, რომელსაც მთელი ამერიკა კითხულობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Philip Roth 80

როცა როთი სცენიდან გასასვლელად წამოდგა, ის სტუდენტები, რომლებიც დისკუსიის დროს ყველაზე მეტად ეკამათებოდნენ, გარს შემოეხვივნენ და ყვირილი დაუწყეს. ერთმა მუშტი მოუღერა და უყვირა:

„თქვენ ანტისემიტურ ლიტერატურაზე ხართ გაზრდილი!"

„მართლა? უთხრა როთმა, „და რომელია ეგ ლიტერატურა?"

„რომელი და ინგლისური ლიტერატურა", მიიღო პასუხად, „ინგლისური ლიტერატურა ანტისემიტური ლიტერატურაა!"

იმ ღამით „სთეიჯ დელიკატესენში" როთმა პასტარამიანი სენდვიჩის ზემოდან თავის მეგობრებს გახედ-გამოხედა და თქვა, „მორჩა, ებრაელებზე არასდროს არაფერს აღარ დავწერ".

მართლაც, მისი ორი მომდევნო რომანი, „Letting Go" და „როცა ის კარგი და კეთილი იყო", მისი ყველაზე ნაკლებად „ებრაული" რომანები იყო. თუმცა თავშეკავებამ დიდხანს ვერ გასტანა. იეშივას უნივერსიტეტის ინციდენტმა, მოთხოვნილებამ, საკუთარი მწერლური ხმისთვის მეტი ნიუარკულობა მიენიჭებინა, კვლავ იმ ენერგიით მჩქეფარე პროზას დაბრუნებოდა, როგორსაც 60-იანი წლების დასაწყისში წერდა, თავისი ქნა. ასე დაიწერა „პორტნოის სინდრომი". ამჯერად რომანში შემთხვევითი არაფერი ყოფილა. მაშ, მკითხველი განრისხებული იყო? „მრისხანებას ახლა ნახავთ", თითქოს თქვა როთმა. „პორტნოი" დიდხანს, რთულად და ქაოტურად იწერებოდა. მისი პირველი ინკარნაცია ორასგვერდიანი „ებრაელი ბიჭი" გახდა, რომელიც მთლიანად ნიუარკში გატარებული ბავშვობით იყო ნასაზრდოები. 1966 წელს როთმა გრძელი მონოლოგი დაწერა, „რომელთან შედარებით ,პორტნოის სინდრომი" ლუიზა მეი ოლკოტის უმანკო თხზულებად გამოჩნდებოდა". მოთხრობა სლაიდშოუს დახმარებით წაკითხული ლექციასავით იყო, რომლის თემაც ზრდასრულთა მასტურბაცია გახლდათ. მერე გაჩნდა კიდევ ერთი ხელნაწერი – მას „ხელოვანის პორტრეტი" ერქვა – რომელშიც ებრაული ოჯახის, გვარად პორტნოი, ამბავია მოთხრობილი, ბოლოს კი მოთხრობა „ებრაელი პაციენტი თავის გაანალიზებას იწყებს". მოთხრობაში მოქმედება ფსიქოთერაპევტის კაბინეტში ვითარდებოდა, იქვე, სადაც „პორტნოის სინდრომის" მთავარი გმირი ყვება თავის ამბავს.

რომანს, რომელიც ამ ეტაპობრივი სამუშაოს შედეგად 1969 წელს დაიბადა, არაფერი ჰქონდა საერთო იმ პერიოდის აქტუალურ პრობლემებთან, ვიეტნამთან, ადამიანის უფლებებისათვის ბრძოლასთან და ა.შ., მაგრამ თავისი აბსოლუტური ღიაობით, შეუდარებელი კომიკურობით და სილაღით ეს უდავოდ თავისი დროის წიგნი იყო. პორტნოი ფსიქოთერაპევტს დაუფარავად უყვება მასტურბაციასთან დაკავშირებული საკუთარი გამოცდილების შესახებ. ესაა ვაშლში, რძის გაურეცხავ ბოთლში, ლინორ ლაპიდუსის წარმოსახულ ლიფში და ბოლოს, ყველაზე ცნობილი – ჩარლზ ლინდბერგის მიერ შესრულებული ტრანსატლანტიკური ფრენის შემდეგ ყველაზე საოცარი – ღვიძლის ნაჭერში (რომელიც მერე პორტნოის ოჯახის სადილად იქცევა) ეაკულაციის გასაოცარი ამბავი. პორტნოი თავდაუზოგავად ცდილობს, რესპექტაბელური მოქალაქის მდგომარეობა შეირგოს, მაგრამ ამავე დროს, ბრაზი ახრჩობს, ბრაზი ოჯახის, რელიგიის, ტაბუს მიმართ:

„ყური მიდგეთ, გგონიათ, ვაჭარბებ, როცა ვამბობ, რომ მარტო სასწაულის ძალით გამოვედი ნორმალური ადამიანი? მე, მუდმივი ისტერიისა და ცრურწმენების გარემოში გაზრდილი ბიჭი! ამდენი „ფრთხილად" და ამდენი „არ შეიძლება" როგორი ასატანია? ...შემეშვით! „არ შეიძლება!" „ამწუთას ძალიან მნიშვნელოვან წესს არღვევ!" "ჩვენს ჩვეულებებს ღალატობ!" კარგი ერთი, რა, რა წესი, რის ჩვეულება! ვინ მოიგონა ეგ წესები! ხომ შეიძლებოდა, ამ ხალხს ყელზე რგოლები ჰქონოდა ასხმული, ან – მთელი ტანი ლურჯად შეღებილი, ნოგიერთ ტომში ეგეც ძალიან ნორმალურ რამედ ითვლება! ...ოჯახში ანეკდოტივით ვიხსენებდით ამ ამბავს: ერთხელ, პატარაობისას, ფანჯრიდან ქარბუქს ვადევნებდი თვალს, მერე თურმე მოვბრუნებულვარ და იმედიანად მიკითხავს, „დე, ჩვენ, ებრაელებს, ზამთრის არსებობა გვჯერა, ხო?" გესმით, რას ვამბობ? ღმერთო ჩემო! ჰოტენტოტების და ზულუსების გაზრდილი ვარ! ჭიქა რძე და ძეხვიანი ბუტერბროდი არ შემრგებია, სულ იმის მეშინოდა, რომ სანამ ჩემთვის, წყნარად ვილუკმებოდი, მამაზეციერს ვაყენებდი შეურაცხყოფას! ახლა წარმოიდგინეთ, როგორი დანაშაულის გრძნობა უნდა მქონოდა ამ ჩემი დაუსრულებელი ნძრევის გამო?"

„პორტნოის სინდრომი" გამოცემისთანავე ბესტსელერად იქცა (1969 წელს, წიგნის მაღაზიების თაროებზე დადებისთანავე მისი 400 000 ეგზემპლარი გაიყიდა) და მაშინვე პოპკულტურის ისეთივე ნაწილი გახდა, როგორებიც ვუდსტოკის ფესტივალი და „მეტსები" იყვნენ. ფილიპ როთმა მნიშვნელოვანი მწერლის რეპუტაცია შეიძინა: დაამტკიცა, რომ მხოლოდ მსუბუქი ფარსის კი არა, მაღალი დრამის შექმნაც ხელეწიფებოდა. და მაინც, ამ რომანის გამოქვეყნებას თავისი შედეგები მოჰყვა, რომელთა ჩამოშორება როთმა ათწლეულების განმავლობაში ვერ მოახერხა. „პორტნოის" განუზომელმა წარმატებამ მას ამერიკელი „სელებრითის" დეფორმირებულ და დამაბნეველ სამყაროში შეაბიჯებინა (ჭორების ცნობილი სვეტის ავტორი, ლეონარდ ლაიონზი, მაგალითად, წერდა, რომ როთი ბარბარა სტრეიზანდის საყვარელია; სინამდვილეში ეს ორი ადამიანი ერთმანეთს არასდროს შეხვედრია) და მეორე: რომანის წაკითხვის შემდეგ ხელს არავის! – პრაქტიკულად არავის! – არაფერი უშლიდა, ამიერიდან როთი ერთგვარ ეროტომანად აღექვა, რომელიც ბროდვეიზე შიქსეების მოსანადირებლად გამოდის. როთის მშობლებს, ალექს პორტნოის მშობლების მსგავსად, გაზეთებიდან ამოჭრილ სტატიებზე ვიშვიში

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ნაცნობ-მეგობრების ათასნაირი კომენტარების სმენა უხდებოდათ, ვთქვათ, იმის თაობაზე, რომ მთავარი გმირის მშობლების პროტოტიპები ისინი არიან, და რომ ანტისემიტი შვილი გაზარდეს.

საბოლოოდ, წიგნი მაინც უყურადღებოდ იქნა წაკითხული. „პორტნოის" ბრწყინვალე იუმორს მიღმა მკითხველს და კრიტიკოსებს კომიზმით შენიღბული ტკივილი გამოეპარათ. ხალხს გამოეპარა პორტნოის პარადოქსი, მისი სურვილი, ყოფილიყო არასრულყოფილი – მაგრამ თავისუფალი. სულისმხუთველი რეალობისგან თავის დაღწევის სურვილი.

დღეს ალბათ ძნელია უკვე იმის წარმოდგენა, რამდენად შფოთიან რომანად შეიჭრა ამერიკულ ლიტერატურაში „პორტნოი" ოცდაათი (წერილი თორმეტი წლის წინაა დაწერილი, – მთარგმნ.) წლის წინ. როთის გავლენა და როლი ამ ლიტერატურაში დღეს უზარმაზარია. რასაკვირველია, ეს არ მოხდებოდა, მრავალი წლის დაუზოგავი შრომა რომ არა, სწორედ ასევე, ვერც პარკერის საოცარი იმპროვიზაციები იარსებებდა მუშაობაში გატარებული იმ ათასობით საათის გარეშე, რომელიც მან აკორდებისა და გამების ცვლას და ექსპერიმენტირებას მოანდომა. „არამგონია, როდესმე ფილიპი ამაზე ბედნიერი ყოფილიყო, ვიდრე ახლაა", ამბობს ჯუდით თარმანი. „ახლა ისეთი ცხოვრებით ცხოვრობს, როგორზეც ყოველთვის ოცნებობდა, სხვა ადამიანების მზერას მიფარებულ ცხოვრებაზე. საყვარელი ადამიანები, რასაკვირველია, არ ითვლება. ის ახლა სწავლადამთავრებული სტუდენტივით და ბერივითაა. მის ცხოვრებაში დიდად აღარაფერი იცვლება. რთული ოჯახური კონფლიქტები, ოჯახის საჭიროებები, მოვალეობები მის წინაშე – ახლა ფილიპი ამ ყველაფრისგან თავისუფალია. როცა ახალგაზრდა ხარ, უამრავი ლაგამამოუდებელი მისწრაფება გაქვს. ახლა თუკი არის რამე, რაც მას მოსვენებას არ აძლევს, მხოლოდ ეს: მუშაობის სურვილი.

„მინდა, მხოლოდ ჩემს სამუშაოზე ვრეაგირებდე. სხვა დანარჩენ რამეებზე რაგირება აღარ მინდა. ეს ყველაფერი არაა მნიშვნელოვანი. ადრე იყო, და ყოველთვის იქნება, როდესმე, ვიღაცისთვის, გარკვეული დროის განმავლობაში, მაგრამ შეუძლებელია, ბოლოს მნიშვნელოვნება არ დაკარგოს.

თუ ჯანზე ვარ და ყოველდღე წერა შემიძლია, ვისი რა საქმეა? როგორი პრობლემის წინაშეც უნდა ვიდგე წერის დროს, მაგაზე ნუ სწუხართ, ყველაფერს მოევლება: მხოლოდ დროა საჭირო. დრო, სხვა არაფერი. ახლა ხელს არაფერი მიშლის. დრო თავზე საყრელად მაქვს. დრო ჩემს მხარეზეა".

გაილამაზე გაზაფხული

Sheraton Batumi HOTEL

shine spa for Sheraton

საგაზაფხულო შემოთავაზება ქვენი სიამოვნებისთვის!

- გადაიხადეთ მასაჟის საფასური და ისიამოვნეთ "შაინ სპა" და "შერატონ ფიტნეს"-ის მომსახურებით დღის მანძილზე უფასოდ
- სპა წევრებისათვის – დაჯავშნეთ 100 ლარის ზემოთ ღირებულების მასაჟი და მიიღეთ ერთჯერადი უფასო საშვი მეგობრისათვის
- ერთთვიანი აერობიკის კურსი 3 - ჯერ კვირაში – 60 ლარი
- სპა წევრებისათვის ერთთვიანი აერობიკის კურსი 3 - ჯერ კვირაში – 30 ლარი
- ერთთვიანი აბონემენტი შეზღუდული დროით - ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით დილის 7 საათიდან საღამოს 5 საათამდე - 160 ლარი

შეხვდით ზაფხულს გაბრწყინებული! აირჩიეთ სხეულის მოდელირებისა და კორექციის პროგრამებთ:

499 ლარი:
- სკრაბი ან ჰამამ მასაჟი
- პროგრამა "ლიპოსტოკი"
- ღვინის თერაპია
- გოლდენ შაინი

საჩუქარი შერატონისგან ერთთვიანი სპა აბონემენტი

250 ლარი:
- ჰამამის პროცედურა "Stretch and Glow"
- პროგრამა "ლიპოსტოკი"

საჩუქარი შერატონისგან ორკვირიანი სპა აბონემენტი

ამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით 995 422 22 9000 sheraton.com/batumi

SHERATON FITNESS CORE PERFORMANCE

FM
ცნობი
98.0

წვერა, მურწა, ჭანარი...

წიგნიდან „მტკვარი და მისი ორი ნაპირი"

დათო ქარდავა



ყველა დიდი ქალაქი დიდი მდინარის პირასაა გაშენებული. შესაბამისად, გადახლართულია ქალაქისა და მდინარის თავგადასავლებიც. ცხადია, ამ მხრივ გამონაკლისი არც მტკვარ-თბილისის წყვილია, თუმცა ამის მიუხედავად მტკვარს – საქართველოს უპირველეს მდინარეს, სხვა დიდი მდინარეებისგან განსხვავებით, დღემდე არ ღირსებია მეტ-ნაკლებად სრულყოფილი აღწერა, გამოკვლევა და, თუ გნებავთ, ბიოგრაფია. **დათო ქარდავას** წიგნი **„მტკვარი და მისი ორი ნაპირი"**, რომელსაც სულ მალე **ბაკურ სულაკაური** გამოსცემს, ამ ხარვეზის გამოსწორების მცდელობაა. ეს არის მტკვრის ერთგვარი ილუსტრირებული ბიოგრაფია, მდინარის კულტურული თავგადასავალი თბილისის ფარგლებში: ავჭალიდან ორთაჭალამდე, დაარსებიდან დღემდე.

მრავალი საუკუნის განმავლობაში მტკვარი იყო თბილისის (მისი ყოფისა და კულტურის) ნაწილი, მისი სასიცოცხლო ძარღვი. მტკვრის წყლით იკლავდნენ წყურვილს, რწყავდნენ თბილისის სახელგანთქმულ ბაღებს. მტკვარში იჭერდნენ თევზს, გრილდებოდნენ ზაფხულის ხვატში; მტკვარი და მისი ორივე ნაპირი შეუცვლელი ადგილი იყო ქეიფისა და დროსტარებისთვის, ანუ როგორც გრ. ორბელიანი იტყოდა „ლაზათიანი ჩასხდომისათვის". გარდა ამისა, მტკვარზე გამართული წისქვილებით ფქვავდნენ ხორბალსა და სხვა მარცვლეულს. მტკვრის კალაპოტში მოპოვებული რიყის ქვით იკირწყლებოდა ქუჩები და შენდებოდა სახლები. მტკვრის საშუალებით გადაჰქონდათ ტვირთი და მტკვარზე (როგორც ქართველთა იორდანეზე) სრულდებოდა მნიშვნელოვანი რელიგიური რიტუალები, თუმცა ასეთი ვითარება იყო მანამ, ვიდრე კომუნისტებმა მტკვარი „გრანიტის აკვანში" არ ჩააწვინეს და საავტომობილო მაგისტრალებით არ ჩახერგეს მდინარემდე მისასვლელი გზები. შედეგად მტკვარი დაიკარგა, გაქრა თბილისელთა ყოფიდან, რასაც ხელი შეუწყო წყლის დაბინძურებამ. მასში ჩაღვრილი საწარმოო თუ საყოფაცხოვრებო ნარჩენებით. „მტკვარი და მისი ორი ნაპირი" – ეს არის მცდელობა, დაუბრუნოს თბილისელებს „დედა მდინარე", როგორც მიხეილ ჯავახიშვილი უწოდებდა მტკვარს.

გთავაზობთ მეთევზეებისადმი მიძღვნილ თავს დათო ქარდავას წიგნიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ზის მტკვარსა შინა თევზნი მრავალნი და გემოიანნი, რომელსა იპყრობენ ბადით, ციბრით, ფაცრით, ნევს-კავითა, საფიჩხულითა და ოჩხითა; ჟამად იპყრობისცა ზუთხი“.

ვახუშტი ბაგრატიონი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“

„წინ შეეგებეთ, წვიმაში გადით,
შფოთიან მტკვარში ჩასძახეთ თევზებს,
მებადურები მოდიან ბადით
და კალმახები უსხედან მხრებზე!“

ილო მოსაშვილი, „თბილისის წვიმა“

„თუ შენ, ჩემო ძმაო და ტოლო, ტყეში გიყვარს ნადირობა შველებზედ და ხოხბებზე, – თბილელი ყარაჩოღელი მტკვარში ნადირობს! თუ შენ, თავიდან ფეხებამდე იარაღში ჩამჯდარს, მაინც გეშინიან გაუდაბნოვებულ ნადირისა და ყოველი ხის ჭახაჭუხი ქაღალდის ფერს გაძლევს, თბილელის კარაბადინში შიში არ არსებობს. იგი თამამად გადაისვრის ხოლმე ტყვიებით შემძიმებულ ბადეს წყალში, ხოლო თუ ამას საჭიროება მოითხოვს, – თითონაც ზედ გადაჰყვება და უვნებლად ჩაიყურყუმალავებს შიგ“.

იოსებ გრიშაშვილი, „საიათნოვა“

„მიღელავს მტკვარი, ძლიერი დევზე,
გაურკვეველი საყვედურებით
და გამალებით იჭერენ თევზებს
ორთაჭალელი მებადურები“.

ხარიტონ ვარდოშვილი, „მუხრანის ხიდი“

ძველი ტფილისისა და მისი ყოველდღიური ყოფის ნაწილი იყო მებადურთა საძმო – გაბერილ ტიკებზე შემდგარი გაწუწული მეთევზეები, რომლებიც მხოლოდ ერთმანეთისა და მტკვრის იმედად იყვნენ. ტფილისელ მებადურთა ღირსეული წარმოადგენელია არჩილ სულაკაურის მოთხრობის („წყალდიდობა“) პერსონაჟი – მეთევზე ლადო, რომელიც „მიწაზე თითქოს გაუბედავად დადიოდა, თითქოს რაღაცას ეკრძალებოდა, ხოლო როდესაც ნავში იდგა... აქ ვერაფერი შეედრებოდა. ნავი თითქოს განუყოფელი ნაწილი იყო მეთევზის სხეულისა. ისინი ერთმანეთს ავსებდნენ. თავისი ბრტყელძირიანი ნავით ლადო ყოველთვის ჩაგრავდა მტკვარს, როგორი მშფოთვარე და გახელებულიც უნდა ყოფილიყო მდინარე“.

ტფილისელ მეთევზეებზე საუბრისას ძნელია ფიროსმანისათვის გვერდის აქცევა. ალბათ, ხატვისას ფიროსმანასაც სცემდა თევზისა და მდინარის სუნი, რომელიც ნადავლით ხელდამშვენებულ წითელპერანგა მებადურს ასდიოდა. პოზირებისას ჯერ კიდევ წყალში მდგომი მებადური, ალბათ ცოტა ხნის წინ მთვარის შუქით აელვარებულ მდინარეს მიუყვებოდა ნავით და სწრაფად აკეცილ ბადეს მარჯვედ აფენდა მტკვრის მოვერცხლილ ტალღებს. ვინ იცის, ეგება ფიროსმანის ეს მებადური ირჯებოდა ოვანეს თუმანიანიანის ერთ-ერთ მოთხრობაშიც?

„ხიდქვეშ მტკვარი ემსხვრევა ქარვასლის კედლებს. მორევთან ტალღა ტალღას ატრიალებს და ყრუ ხმაურობით იწევს მეორე ხიდისკენ. ნაპირთან შორიახლოს ტორტმანობს მწვანე ნავი, რომელშიც მოჩანს ორი კაცი. ერთი ბადეს ეწევა. ხოლო მეორე დგას ნიჩბით ხელში და ნავს ყარაულობს“ *(ო. თუმანიანი, „გიქორ“).*

მეთევზე (მებადური) იყო გაბრიელ სუნდუკიანცის ყველაზე ცნობილი პიესის „პეპოს“ მთავარი პერსონაჟი, რომლის შესახებაც იოსებ გრიშაშვილი („გაბრიელ სუნდუკიანცი და ქართველი საზოგადოებრიობა“) წერდა:

„პეპო ქალაქის ტიპია, პეპო ალალმართალი ადამიანია თავისი შრომით მცხოვრები, პეპო მეთევზეა, მებადური, მისი ქონება – ბადეა, მისი შემნახავი – მტკვარი. მართალია, პეპოს მამას თავის კვალობაზე ცოტაოდენი თანხაც ჰქონია ზიმზიმოვზე გასესხებული (კეკეს მზითევი), მაგრამ თვითონ პეპო ყოველდღიურად გამოსული მუშაკია: სწორედ პეპოს ასეთმა მდგომარეობამ მიკარნახა მეთქვა შემდეგი სტრიქონები:

„სისხამ დილით თევზებს ვიჭერ,
ბადით ხელში მივალ წყალზე,
ვენაცვალე ჩემ ძმა-ბიჭებს –
არ ფიქრობენ მომავალზე.
დღეს მოგებულს, დღესვე ვხარჯავ,
შესანახად ვის აქვს თავი?
ბადე – ჩემი ქონებაა,
მტკვარი ჩემი შემნახავი.
გაიშალე,
ბადევ, მალე,
გენაცვალე!
როცა წყალში ვისვრი ბადეს, –
თითქოს ახლად დავიბადე.
მთვარე მტკვარზე აფენს სხივებს
და თევზებიც – ჯან – ლივლივებს.
მდიდრებივით არ ვარ უქმად,
მე ღია მაქვს ყველგან კარი.
ვენაცვალე ალალ ლუკმას,
ტკბილია და უწყინარი!“

ღამით დაჭერილი თევზი დილით ბაზარში ხვდებოდა, სადაც თევზის დიდი რიგი

ქალაქი
ეროვნული
ბიბლიოთეკა



ტფილისელ მეთევზეებზე საუბრისას ძნელია ფიროსმანისათვის გვერდის აქცევა. ალბათ, ხატვისას ფიროსმანასაც სცემდა თევზისა და მდინარის სუნი, რომელიც ნადავლით ხელდამშვენებულ წითელპერანგა მებადურს ასდიოდა.

იდგა, რადგან თბილისი უთევზოდ ვერ ძლებდა:

„ქალაქ თბილისში ძველ დროიდანვე სანოვაგის უმთავრეს ბაზარად ითვლებოდა რიყე. მხოლოდ 1880 წლიდან თევზის ბაზარი გადმოიტანეს პუშკინის ბაღის ადგილას, სადაც ურმებით იდგნენ და აუწონრათ იაფ თევზს ყიდდნენ. თევზს მაღალ თვლებიან თათრის ურმებით შეუწყვეტლათ სალიანიდან მოეზიდებოდნენ, თევზეულში მარტო ორაგული იყიდებოდა წონით, რადგანაც მეტათ დიდია და ერთი ადამიანი ვერ იყიდის. ახალი თევზი, სუდაკა, საზანი, კუტუმი ზუთხი, იშხანი, შამაია და სხვა ესენი სულ იყიდებოდა აუწონრათ. ორაგულის თავი ღირდა ორი შაური, კარგი ადგილი გირვანქა სამი შაური, კუტუმი მთელი სამი შაური, საზანი ერთი აბაზი, იშხანი და გელაქნური წყვილი ერთი აბაზი, შამაია წყვილი სამი შაური, ზურგიელი და დოში გირვანქა ორი შაური, ხიზილალა ათი შაური.“ *(კარაპეტ გრიგორიანცი, „ძველი თბილისის დაუჯერებელი ამბები“).*

გიორგი კაკაბაძეც, ფიროსმანის ცხოვრებაზე დაწერილი წიგნის ავტორი ამბობს, რომ ზოგ ქალაქში იმდენ პურს არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭამდნენ, რამდენსაც თბილისში თევზს გეახლებოდნენ, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ტფილისის ბაზრებში მხოლოდ მტკვარზე დაჭერილი თევზი იყიდებოდაო:

„კასპიის ზღვიდან, ალაზნიდან, სევანიდან, მტკვრიდან და არაქსიდან შემოჰქონდათ. სავაჭროებში როფები იდგა, რომელშიც კალმახი ცურავდა, ირგვლივ ჭილობებზე ლოქო, მურწა, ქორჭილა, სვია, ჭანარი, შამაია, ტარაღანა და ხრამული ეწყო. კასრებში დამარილებულ ქაშაყს ინახავდნენ. დუქნის ყველაზე მშრალ ადგილას კი ჭერში ზუთხის, ორაგულისა და თართის დოშები ეკიდა. მათ ქვემოთ პატარა ლამბაქები ჩაემწკრივებინათ, რომ ჩამოწვეთებული ცხიმი არ დაღვრილიყო. ყველაზე თვალსაჩინო ადგილას, რა თქმა უნდა, რამდენიმე სახეობის ხიზილალა ეწყო, რომელიც მაშინ ერთი გირვანქა აბაზი ღირდა“.

„სახალხო ფურცლის“ 1915 წლის №211-ში განთავსებულია თევზის მრეწველი ძმ. ძეგველოვების (პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახლი №7 ტელეფ. №712, განყოფილება ავლაბარში კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი №7 ტელ. 712) სარეკლამო განცხადება:

„ყოველდღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ „ლ. მაილოვ-შვილებით“ სრულებით ცოტა მარილიანი, შავი მეშოჩნი ხიზილალა. აგრედვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო. გვაქვს აგრედვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთისა საზღვარგარეთის ფორმებისა. ხანგრძლივ ინახება.“

თუ მწერალ კონსტანტინე ლორთქიფანიძეს ვერწმუნებით, ყველა თბილისელმა იცოდა ზნე-ჩვეულება ორთაჭალელი მეთევზეებისა, რომლებიც მთელი დღე მტკვარში ბადესა შლიდნენ, საღამოს კი თევზით სავსე ვედროს ხელში დაიჭერდნენ და თბილისის ქუჩებს მოედებოდნენ.

„ისინი ყველგან თამამად შედიოდნენ, სადაც კი დაფა-ზურნის ხმას გაიგონებდნენ. სუფრას მტკვრის ცოცხალით დალოცავდნენ, ოჯახს გაახარებდნენ და ისევ თავის გზას გაუდგებოდნენ“ *(„ორთაჭალელი მეთევზეები“).*

მეთევზეთა შრომას დიდად აფასებდა ძველი თბილისის არისტოკრატია, რომელსაც თევზის საჭერად საგანგებო კაცები ჰყოლია. მეთევზენი ბადით, კონით, ფაცრით, ნემსკავით, საფიჩხურითა და ოჩხით იჭერდნენ სხვადასხვა სახის თევზეულს და პატრონებთან მიჰქონდათ.

ზაქარია ჭიჭინაძის ცნობით ნიკოლოზ ბარათაშვილის მამას – მელიტონს „ორი ყმა კაცი გლეხი მიჩენილი ყავდა ყოველდღე ზამთარ-ზაფხულს თევზი ეჭირნათ მტკვარში“ *(ზ. ჭიჭინაძე „სოლომონ დოდაშვილი და ნიკოლოზ ბარათაშვილი“).*

ცნობილია, რომ გრიგოლ ორბელიანს თევზით ამარაგებდა ორთაჭალელი „მეჩანგლე და მოკრივე“ მიხუა – მეტსახელით ლოპიანა, რომელსაც, როგორც იოსებ გრიშაშვილი ამბობს, ერთი ძველი მოქალაქის, გრიგოლ მამრაძის სიტყვით, ყოველდღე მიჰქონდა გრიგოლ ორბელიანთან „ცოცხალი“ (თევზი): „თვითონვე გამოშიგნავდა, შეამზადებდა „ორთაჭალურად“ და მერე ერთად შეექცეოდნენ სადილს საზანდრებითო! წელინადი-თორმეტი თვე სულ ერთად იყვნენ და, ჩემის თვალით მინახავსო, დასძენს ციხისუბნელი მამრაძე: ორბელიანს „პარადის“ დროსაც კი თან დაჰყავდა ლოპიანა და ეს ვეება ვაჟკაცი ყველას ხიბლავდა თავის სიტყვა-პასუხით, ნაკვთიერობით, ბუდაღი ფერით და ნიკაპზე აყვავებული ცნობილი ხალითო!“ *(ი. გრიშაშვილი „საიათნოვა“).* აკი, უკვდავყო კიდეც თბლისელი მეჩანგლე პოეტმა-გენერალმა თავის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ლექსში, როცა დაწერა:

„ჩემს დარდებსა ვინ ინაღვლის, ვინ არის...
ვის რათ უნდა ლოპიანა, ვინ არის,
მკვდარია თუ ცოცხალია, ვინ არის...“
(გრ. ორბელიანი, „მუხამბაზი“)

იოსებ გრიშაშვილი „საითანოვაში“ იმასაც ამბობს, რომ თბილელებმა იცოდნენ თავის პატივი და „პირის გემო“. მათ უყვარდათ, რომ სუფრაზე ხორაგეული ნაირნაირობდა. აკი, გრიგოლ ორბელიანიც იგონებდა: „მოთალი, თევზი, მწვანილი აგვიჭრელებდნენ წინ სუფრასო...“ თუმცა, იმავე გრიშაშვილის თქმით, თბილელები განსაკუთრებით ეტანებოდნენ ცოცხალ თევზს, რომელშიაც შედიოდა ყველა ჟიუმატი (წვრილი) თევზი: ფიჩხული, თხუნელა, ლურჯა, მურწა, ჭიჭყინა, ნაფოტა, ღონა და სხვ...

თევზის სიმრავლე სათანადოდ აისახებოდა თბილისელთა კულინარიულ მიდრეკილებებზეც. სუფრა წარმოუდგენელი იყო თევზეულის გარეშე, განსაკუთრებულად განთქმული იყო ორთაჭალაში დაჭერილი და „ორთაჭალურად“ მომზადებული თევზი.

აკი, ლადო ასათიანიც თბილისის ყველაზე ცნობილი მხატვარის შესახებ წერდა:

„უყვარდა მტკვარი, მტკვარზე ტივი, ტივზე ტიკები,
გოჭი, მწვანილი და ფრთიანი ორაგულები!“
(„ფიროსმანის მეგობრებთან“)

თბილისურ ქეიფსა და დროსტარებაზე ოცნებობენ კახის ბატონის დატყვევებული მოციქული დიაკვნები დავით გურამიშვილის „ქართლის ჭირშიც“:

„ერთმან იხუმრა: ვიბანებ თიფლის აბანოს ნურითა,
მეორემ – თევზით გავძღები ზურგიელ გელაქნურითა,
მესამემ – მივიბრუჟები ღვინითა ატენურითა“
(„დავითიანი“, „კახის ბატონის მოციქულების დაჭერა ქართველის ბატონისაგან“).

ცხადია, შეძლებულ თბილისელ მოქალაქეებს ზუთხისა და ხიზილალისგან მომზადებულ კერძებზეც მიუნვდებოდათ ხელი, ხელმოკლეებისთვის კი ნოყიერ საზრდოდ თევზის შიგნეულიც გამოდგებოდა. შემთხვევით არაა, რომ ბარბარე ჯორჯაძის „სრულ სამზარეულოში“ თევზეული შთამბეჭდავადაა წარმოდგენილი. 1874 წელს გამოცემული ამ წიგნის მიხედვით, შვინდის ჩურჩით გელაქნურის მოსამზადებლად საჭირო იყო ერთი აბაზი (წყვილი გელაქნურის შესაძენად), შვინდის ჩურჩა – ერთი სტაქანი, ხახვი – ორი თავი და დანაყილი ნიგოზი – ორი სტოლის კოვზი.

„გელაქნური თუ დიდი არის, სამად გასჭერით და პატარა – ორად; მერმე კარგად გარეცხეთ და თავის შესაფერს ქვაბში აადუღეთ კილოთ მარილ-წყალი, გემოთ გასინჯეთ, როგორც მლაშე არ ვარგა, ისე უმარილოც არ უნდა იყოს და ის გელაქნური ჩაყარეთ; რომ წამოდუღდეს, ქაფი მოხადეთ, ერთი რიგობა ისე ძალიან უნდა აადუღოთ, რომ რძესავით გადმოვიდეს და რაც ჭუჭყი აქვს თან გადმოიტანოს; მოხარშვა რომ შეატყოთ, ბლუდზე ამოაწყეთ და წვენი ამ რიგად მოუმზადეთ: ერთი სტაქანი შვინდის ჩურჩა გარეცხეთ, ჩაყარეთ ქვაბში, ორი თავი ხახვი წვრილად დაჭრილი, დანაყილი ნიგოზი, დაასხით ერთი ჯამი წყალი და კარგად მოხარშეთ; მერე გელაქნურს

მოასხით ეს წვენი ან მარტო დანაყილი ნიგოზი წყალში გახსნილი“.

ტფილისური სამზარეულო თევზეულის სხვა არაერთ კერძს იცნობს, თუმცა მათ შორის ყველაზე ეგზოტიკური ალბათ „ორაგულის შიგანურებია“. მასალად საჭიროა: ორაგულის შიგნეულობა – ერთი, დაფნის ფოთოლი, ქინძი, ძმარი – ერთი სტაქანი, პილპილი – ხუთი მარცვალი, მარილი:

„ისინი ყველგან თამამად შედიოდნენ, სადაც კი დაფა-ზურნის ხმას გაიგონებდნენ. სუფრას მტკვრის ცოცხალით დალოცავდნენ, ოჯახს გაახარებდნენ და ისევ თავის გზას გაუდგებოდნენ.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ერთი ორაგულის შიგნეულობა კუჭ-
-ღვიძლით და ნაწლავებით კარგად გარეცხეთ, ნაწლავები ქინძის თავის წვერით დახიეთ, კიდევ კარგად გარეცხეთ; შიგანურები დასჭერით წვრილად, ჩაყარეთ ქვაბში, დაასხით იმდენი წყალი, რომ დაჰფაროს; შიგ ჩააყარეთ მარილი, პილპილი, დაფნის-
-ფოთოლი; დულილში ქაფი მოხადეთ; როცა მოიხარშოს, ქვაბი გადმოდგით, სიმსუქნე მოხადეთ და ცალკე შეინახეთ; სხვა წვენი გადაწურეთ, ერთი სტაქანი ძმარი დაასხით და თან დაუმატეთ მოწვნეული სიმსუქნე, წვრილად დაჭრილი ქინძი. ასე გაკეთებული სამი დღე შეინახება“.

კიდევ უფრო მეტად ეგზოტიკურ კერძებს ამზადებდნენ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ თბილისში ჩამოყვანილი ტყვეები, რომელთა შრომას, როგორც საქართველოს მაშინდელი პირველი კომუნისტი კანდიდ ჩარკვიანი იხსენებს, თბილისის საქალაქო მშენებლობებზე იყენებდნენ:

„ტყვეთა დიდი უმრავლესობა გერმანელი იყო, მაგრამ მათში საკმაოდ ერივნენ რუმინელები და უნგრელებიც... ორთაჭალაში სამუშაოზე მყოფმა რუმინელმა ტყვეებმა კრწანისის მიდამოებში კუ სულ გაწყვიტეს. ისინი კუს კვერცხის ერბო-
-კვერცხსაც ამზადებდნენ და მადიანად შეექცეოდნენ. ვაკეში მომუშავე იაპონელმა ტყვეებმა კი კუს ტბის გზა ისწავლეს, წყლის კუს მოხერხებულად იჭერდნენ და მისგან საყვარელ კერძს იმზადებდნენ. სხვათაშორის, იაპონელები კუს ტბაში მალარიის კოღოს კვერცხების მშთანთქავ პატარა თევზ გამბუზიასაც დახვრეტილი ვედროებით იჭერდნენ.“

სხვათა შორის, კანდიდ ჩარკვიანის გადმოცემით, იყო დრო (1951 წ.), როცა კუს ტბა მტკვრის წყალით ივსებოდა. ფრაგ*მენტი კ. ჩარკვიანის წიგნიდან „განცდილი და ნაგზრევი“:*

„ვაკის პარკს, ტყეპარკთან ერთად, 120 ჰა ფართობი უნდა დაეკავებინა, თუმცა მცირეკვეთიანი გვირაბით ვარაზის ხევის ჩამონადენი კუს ტბაში ჩავუშვით, აქ იმდენი წყალი არ გროვდებოდა, რომ ასეთი ფართობი მოერწყო. გადავწყვიტეთ წყალი ისევ მტკვრიდან მოგვეყვანა. იყო ვერეს ჩამონადენის გამოყენების წინადადებაც, მაგრამ ის უარვყავით, რადგან ვფიქრობდით, რომ ეს მდინარე პარკის საიმედო წყალმომარაგებას ვერ უზრუნველყოფდა. მაშინდელი ბაქტერიოფაგის ინსტიტუტის ახლოს, მტკვართან, დაიდგა სატუმბავი სადგური, რომელიც მილსადენით წყალს კუსტბამდე აწვდიდა. ტბის დონე ამაღლდა, მისი სარკე რამდენჯერმე გადიდდა. ამით პარკი უფრო დამშვენდა და ტბაც სარწყავი წყლის საკმაოდ ტევად რეზერვუარად იქცა. რაკი მტკვრის წყალი მოხვდა, ნარგაობამ თითქმის უკლებლივ გაიხარა“.

თუმცა მტკვრით ნასაზრდოები კუს ტბა და მისი ბინადარი კუ და გამბუზიები იქით იყოს. უშუალოდ მტკვრის აუზში გავრცელებული 12 სახეობის თევზიდან, მტკვრისა და მისი შენაკადების ენდემი ყოფილა 9 სახეობა. მათ შორის აღსანიშნავია მტკვრის წვერა (Barbus lacerta), მურნა (Barbus mursa), ჭანარი (Barbus capito) და სხვ. გარდა ამისა, იხტიოლოგების თქმით, მტკვრის აუზში ასევე გვხვდება: მტკვრის ციმორი და ტობი, ნაფოტა, შამაია, ქაშაყი, ხრამული, მტკვრის გოჭალა, ღორჯო, კობრი, კაპარჭინა და სხვა *(„მდინარე მტკვრის ჰიდრობიოლოგიური რეჟიმი და იხტიოფაუნა“. ავტ. ცისკარიშვილი, სუპატაშვილი, მგელაძე, 1980.).*

ცხადია, იხტიოფაუნის ასეთი მრავალფეროვნება მანამდე იყო, ვიდრე ბრაკონიერობისა და კაშხლების აშენების გამო თევზაობის ალო წავიდოდა. საქმე ის არის, რომ მტკვარსა და სხვა მდინარეებზე ჰიდროტექნიკური ნაგებობები სპეციალური თევზსასვლელების გარეშე აშენდა. ამ პრობლემის შესახებ ჯერ კიდევ ნახევარი საუკუნის წინ წერდა გაზეთი „თბილისი“ სტატიაში „თევზს გზა უნდა“:

„...აი, რას ამბობს საქართველოს თევზდაცვის სამმართველოს უფროსი მიხეილ თოდრაძე: „განცვიფრებული დარჩებით იმ გულმავიწყობით, რომელსაც ვიჩენდით ჩვენს რესპუბლიკაში მდინარეებზე ჰიდროტექნიკური ნაგებობების, განსაკუთრებით კაშხლების მშენებლობისას. ჩვენი მდინარეები „თეთრი ნახშირის“ უამრავი ენერგიის გარდა, მეტად მნიშვნელოვან და საჭირო სხვა დოვლათსაც გვინახავენ თევზის მდიდარ მარაგის სახით. მურნა, ჭანარი, ხრამული, თევზების დედოფალი – კალმახი, შამაია, სვია, რიპუსი, კობრი, ზუთხი, ლოქო და სხვა, მაგრამ ბოლო წლებში საქართველოს მდინარეებსა და წყალსაცავებში თევზის მარაგს აშკარად დაეტყო კლების ტენდენცია. მაგალითად: 1946-1950 წწ.-ში ჩვენი მეთევზეობის მეურნეობები რესპუბლიკის მდინარეებში საშუალოდ ყოველწლიურად იჭერდნენ 1,800 ცენტნერ თევზს, 1958 წელს მხოლოდ 873 ცენტნერი ამოიყვანეს წყლიდან, ხოლო შარშან თითქმის იმდენივე. საქართველოს მდინარეებში გაიშვიათდნენ ისეთი ძვირფასი თევზები, როგორიც არის ორაგული და ლოქო. რა მოხდა, რამ გამოიწვია ჩვენი მდინარეების ტალღებქვეშ ბუნების მიერ შემონახული ამ სახალხო საუნჯის დაკნინება?

...კასპიის ლოქოს სახელი აქვს განთქმული. ისიც ქვირითის დასაყრელად მტკვარს გამოჰყვება ხოლმე სათავისკენ. ეძებს მყუდრო, სუფთა, დაწმენდილ ადგილს. ერთმა იხტიოლოგმა გვირჩია, ორთაჭალჰესის კაშხალთან თევზების ბრძოლის სეირისთვის გვეცქირა. მართლაც განსაცვიფრებელ სურათს წააწყდება ხოლმე ადამიანი აქ ხანდახან, როცა მდინარეში წყალი დაწმენდილია და თევზები ქვემო მხრიდან ზედა მიმართულებით დაიძვრებიან. უამრავი თევზი გროვდება კაშხლის ქვედა ბიეფში. ბადის ნაცვლად თოკმობმული კალათაც რომ ჩაუშვათ წყალში, თევზით სავსეს ამოიღებთ.

თევზის დაუსრულებელი ჯოგი სათავის მიმართულებით მიილტვის, კაშხალი ვერ გადაულახავს და უმწეოდ ფართხალებს, ხტება, უნდა ჩანჩქერზე ახტეს, მაგრამ საამისო ძალა ყველას არ შესწევს. მართლაც კარგი სანახაობაა, მაგრამ მარტო ორთაჭალის კაშხალთან როდი იმართება ხოლმე თევზის ასეთი ალიაქოთი. არცერთ მდინარეზე, არცერთ კაშხალთან, ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა არცერთ კომპლექსში არ არის გაკეთებული თევზსასვლელი გზა. ...ასე იყო დღემდე, მაგრამ აღარ იქნება ამიერიდან. შეუდარებელ ჩვენებურ კალმახს, მურნას, ჭანარს, ხრამულს მალე გაუხსნიან გზას. პირველი ასეთი თევზსასვლელის გაკეთება განზრახულია ნლეულს ორთაჭალჰესის კაშხალზე“ *(„თევზს გზა უნდა“, „თბილისი“, 1960 წ. 12 თებერვალი).*

ბოლო დროს სანაპიროზე კვლავ მომრავლდნენ თბილისელები, რომლებიც თევზის ჭერით ირჩენენ (თუ იქცევენ) თავს და თბილისსაც, ძველი მებადურების მსგავსად, მტკვრის ნაპირიდან აჰყურებენ. კვლავ არჩილ სულაკაურს დავესესხოთ: „მეთევზეს ქალაქი მხოლოდ მტკვრის ნაპირიდან ჰქონდა დანახული და განცდილი, დაბლიდან შესცქეროდა ხეებს, სახლებს, ხიდებს, მტკვრის ნაპირიდან ყველაფერი მაღალი იყო, დიდი...“

მეთევზეები მტკვარზე

ფოტო: ეკა მახათაძე

ეს ფოტოპროექტი დათო ქარდავას წიგნის თემატური გაგრძელებაა. მტკვრის შესახებ დაწერილი ამ პირველი „ბიოგრაფიული“ წიგნიდან დღევანდელ ნომერში დასაბეჭდად სწორედ ის თავი ავარჩიეთ, რომელიც ქალაქთან დაკავშირებულ ცოცხალ ტრადიციას ეძღვნება, თევზაობა კი ჩვენი ქალაქის ერთ-ერთი ყველაზე ცოცხალი ტრადიციაა. მეთევზეები ყოველთვის იყვნენ თბილისში და დღესაც მტკვრის ნაპირებსა თუ ხიდებზე არაერთ გამოცდილ თუ ახალბედა მეთევზეს ნახავთ.

დღეს მტკვარს, სამწუხაროდ, აღარა აქვს ის დატვირთვა, რაც მას საუკუნეების მანძილზე ჰქონდა. ქვეყნისა და დედაქალაქის მთავარ მდინარეს მხოლოდ თითო-ოროლა კულტურული ნიშანი თუ შემორჩა, ისეთი ნიშნები, რომლებიც მდინარის სიცოცხლეზე მეტყველებენ. მტკვარზე, სამწუხაროდ, ბრაკონიერიც ბევრია და ამ მტკივნეულ თემაზე სხვა დროსაც არაერთხელ ვისაუბრებთ, ეს ცალკე განხილვის თემაა. დღევანდელ ფოტოპროექტში კი ჩვენს დაბინძურებულ, ჯებირებში მოქცეულ, მაგრამ მაინც ცოცხალ მდინარეში მოთევზავე რამდენიმე ადამიანს გაგაცნობთ, მათ, ვინც „თბილისს მტკვრის ნაპირიდან აჰყურებენ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარჯვნივ: ნოდარ ფეიქრიშვილი, 65 წლის, მტკვარზე თევზაობს 1984 წლიდან

ბეჟან ყვირილიანი, 60 წლის, მტკვარზე თევზაობს ღრმა ბავშვობიდან

ქალაქი
ერთიანული
ბიბლიოთეკა



ავთო მირიანაშვილი, 60 წლის, მტკვარზე თევზაობს 14 წლიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნოდარ დათუაძე, 52 წლის,
მტკვარზე თევზაობს მას შემდეგ, რაც ფეხი აიდგა

ივანე ელიზბარაშვილი, 42 წლის,
მტკვარზე თევზაობს 12 წლიდან

ტარიელ ძებისაშვილი,
63 წლის, მტკვარზე თევზაობს 11 წლიდან



ალექსანდრე მაილოვი,
45 წლის, მტკვარზე თევზაობს 35 წელია

ქალაქი
ეროვნული
ბიბლიოთეკა



ნოდარ ცინცაძე, 77 წლის, მტკვარზე თევზაობს 6 წლის ასაკიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეკანიბალიზაცია

ავტორი პაატა ქურდაძე

ბოლო ოცი წლის მანძილზე საქართველოში დღემდე არსებული ყველა პოლიტიკური ძალა, თავისი არსებობის ძალიან ადრეულ ეტაპზევე, გამუდმებით რელიგიური და ნაციონალისტური ექსტრემიზმის მძევალი ხდება.

რენესანსის ჰუმანისტების მიხედვით, კულტურა იბადება მაშინ, როდესაც მთავრდება კანიბალიზმი. თუმცა შეგვიძლია პირიქითაც წარმოვიდგინოთ: კანიბალიზმი იწყება იქ, სადაც მთავრდება კულტურა. კანიბალიზმისა და კულტურის მონაცვლეობა წარმოადგენს ორ ძირითად ფაზას, რომელიც ქმნის კაცობრიობის ისტორიას.

ჩვენ, ადამიანებს, ჩვენი არსებობისა და განვითარების ყოველ ეტაპზე, დღევანდელის ჩათვლით, გაგვაჩნია უნიკალური უნარი, ყველაზე მაღალი კულტურული ფაზიდან საოცრად ადვილად და სწრაფად დავეცეთ უკიდურესად დაბალში. უკუ, ანუ კვლავ გაადამიანურების პროცესი კი ძალიან მძიმე, რთული და ხანგრძლივია, მას თაობების ცვლა სჭირდება

ფაზების ეს მონაცვლეობა ადამიანად დაბადების საფასური, ჩვენსავე სხეულსა და გონებაში ინტეგრირებული მძიმე ჯვარია, რომელსაც კანიბალიზმისა და კულტურის ნაწიბურზე დავათრევთ მთელი ჩვენი ისტორიის მანძილზე. მისი სიმძიმე გამუდმებით უკან გვექაჩება არაერთხელ დაძლეული პრიმიტიული, ბარბაროსული საწყისისკენ, რომელშიც დროდადრო ვვარდებით, რომ მერე კვლავ მოვკლათ ჩვენში კანიბალი და ისევ ვშვათ ბესტიალური ხანგრძლივი ორსულობიდან მშობიარობის აუტანელ ჭინთვებსა და ჯოჯოხეთურ ტკივილებში კულტურა... ანუ ადამიანი.

***

ჩვენ ყველანი კანიბალიზმიდან მოვდივართ – განურჩევლად ეროვნებისა, რასისა და კულტურისა. ჩვენი შორეული წინაპრები, მაგალითად, ჩვენი ევროპულობის უტყუარი და საამაყო გარანტები, ჩვენი მზია და ზეზვა, უკეთეს შემთხვევაში, პატიოსანი ეგზოკანიბალები იყვნენ; ანუ ჭამდნენ თავიანთ მტრებს, რომლებიც, თავის მხრივ, როგორც კი ხელთ ჩაიგდებდნენ, დიდი პატივითა და მოწიწებით მიირთმევდნენ ჩვენს დიდ ბებიებსა და ბაბუებს. ყველაფერი დღესავით ნათელი იყო. ყველა კმაყოფილი გახლდათ: ისინი, ვინც ჭამდნენ, და ისინიც – ვისაც ჭამდნენ. როგორც ცნობილია, შამფურზე აგების წინ, მათ შესანიშნავად ექცეოდნენ – კარგად აჭმევდნენ, ნებისმიერ სურვილს უსრულებდნენ და, რაც მთავარია, ღირსებას არ ულახავდნენ. ღირსება, მოგეხსენებათ, ისეთი რამ არის, ბევრ რამეზე დაგახუჭვინებს თვალს; ცოტას როდი ნიშნავს, როცა ასეთ დროსაც კი პატივით გეპყრობიან, და არა ისე, როგორც დღევანდელი „სოციო-პოლიტიკური კანიბალები“ ვეპყრობით ერთმანეთს.

ქართველებმა მაინც განსაკუთრებულად მოვინდომეთ: ჩვენ ანთროპოფაგიის სრულიად ახალი და განსაკუთრებულად პერვერსული ფორმა მოვიგონეთ, რომელსაც კოჰაბიტაცია დავარქვით და რომელიც ბევრად უფრო ახლოა „ევროპულ ენდოკანიბალიზმთან“ (ენდოკანიბალიზმი – ადამიანის მიერ საკუთარი ჯგუფის წევრის ჭამა), ვიდრე ჰუმანისტების მიერ აღწერილ ტუპინამბას ტომის პატიოსან ეგზოკანიბალიზმთან (ეგზოკანიბალიზმი – უცხო ადამიანთა ჯგუფის წევრის ჭამა).

***

ჩვენი ტანჯვის შარავანდედით მოსილი სამშობლოს ისტორია, რომელიც ათასწლეულებს ითვლის, არაფერს ამბობს ჩვენში ანთროპოფაგიის შემთხვევებზე. ეს, ერთი შეხედვით, თითქოს ეწინააღმდეგება ადამიანში ბუნებისგან ჩადებული კანიბალის დემონური გენის არსებობის ლოგიკას... თუმცა, თუ მცირეოდენ ძალას დავატანთ ჩვენს დაღლილ გონებას, უმალ მივხვდებით, რომ ჩვენში ანთროპოფაგიის სრულიად უნიკალური ფორმაა გავრცელებული, რომელსაც მე პირობითად ნერვოფაგიას დავარქმევდი. ზემოხსენებული კოჰაბიტაცია, სწორედ კანიბალიზმის ამ განსაკუთრებით სასტიკი ფორმის ერთ-ერთი მძიმე გამოვლინებაა.

***

ნერვოფაგები ძირითადად საკუთარი მოყვასის ნერვებით იკვებებიან და არა მათი ხორცით. ისინი ადამიანს უსისხლოდ ჭამენ, ყოველგვარი კულინარული კრეატიულობის გარეშე. ნერვოფაგია თავის თავში მოიცავს ანთრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოფაგიის ყველა ცნობილ ფორმას, ენდო და ეგზოკანიბალიზმს, აგრეთვე ნეკროფაგიას (ნეკროფაგია – საკუთარი ოჯახის გარდაცვლილი წევრის ამა თუ იმ ფორმით საკვების სახით მიღება)...

ნერვოკანიბალები, ვოლტერის მიერ აღწერილი ბრაზილიელი თავაზიანი კანიბალებისგან განსხვავებით, განსაკუთრებული სისასტიკითა და პერვერსიულობით გამოირჩევიან. ისინი საკუთარ და უცხო ჯგუფის წევრს იმ რაოდენობით მიირთმევენ, რამდენიც ხელში ჩაუვარდებათ. მათი უმრავლესობა ქრონიკული აგრესიული ბულემიითაა დაავადებული და ამ სენისთვის დამახასიათებელ ყველა ნიშანს ატარებს: ის ადამიანებს ჭამს არა იმიტომ, რომ შია... მისთვის ჭამა შორს წასული ნარკომანიაა, რომელიც კონტროლს არ ექვემდებარება. მას უბრალოდ არ შეუძლია არ ჭამოს... განუწყვეტლივ – დღე და ღამე, დღე და ღამე, ღამე და დღე...

ამასთან, როგორც ხშირად ხდება ბულემიის შემთხვევაში, „ნერვოკანიბალიზმს“ თან ახლავს საკუთარი პერსონის მიმართ ძლიერი სიძულვილი. შესაძლოა უფრო ძლიერიც კი, ვიდრე მსხვერპლის მიმართ. ამიტომ, დროდადრო განსაკუთრებულად აგრესიულნი, საკუთარი თავის ჭამას იწყებენ.

ქართველი ერი მორიელის ნიშნის ქვეშ არის დაბადებული.

***

19 თებერვალი, 2013 წ.

პოლიციის მიერ ბუტა რობაქიძის მკვლელობის ამსახველი ნატურალური კადრების ჩვენების შემდეგ ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის“ მიერ გაკეთებული ოფიციალური განცხადება მედიაში:

„კიდევ ერთხელ გვსურს საზოგადოებას, განსაკუთრებით, ამირან რობაქიძის ოჯახს და მის ახლობლებს ბოდიში მოვუხადოთ ამ მძიმე კადრების საჯაროდ ჩვენებისთვის. კიდევ ერთხელ განვმარტავთ, რომ გადაწყვეტილება ვიდეომასალის ეთერში გაშვების შესახებ, ამ კონკრეტული საქმისადმი **საზოგადოების განსაკუთრებულად მაღალი ინტერესიდან** გამომდინარე მივიღეთ“.

რა ცერემონიულობაა „რუსთავი 2-ის“ მხრიდან! რა ელეგანტური მანერულობა!.. ნუთუ მისი გენერალური დირექტორი და პროდუსერები მე-15 საუკუნეში ბრაზილიაში რომ დაბადებულიყვნენ და სადმე გაუვალ ჯუნგლებში ამერიკო ვესპუჩის გადაჰყროდნენ, მას შამფურზე ააგებდნენ და გემრიელად შესანსლავდნენ? ალბათ, სავარაუდოდ, ასეც მოხდებოდა და ამაში შოკის მომგვრელი არაფერი იქნებოდა მოცემულ კონტექსტში. ამიტომაც ვოლტერი აუცილებლად ივარაუდებდა, რომ დღევანდელი ქართული ტელებარბაროსობის ხარისხი ბევრად აღემატება ტუპინამას ტომის მშვენიერი ინდიელებისას, რომლებმაც „ერთხელ“ ელდორადოსკენ მიმავალ გზაზე იეზუიტებად გადაცმული მისი პერსონაჟები, კანდიდი და მისი მსახური კაკამბო დაიჭირეს ჯუნგლებში, და როდესაც შეჭმა დაუპირეს, კაკამბომ მათ ასეთი შესანიშნავი სიტყვით მიმართა:

„ბატონებო, თქვა კაკამბომ, თქვენ აპირებთ დღეს შეჭამოთ იეზუიტი! ეს ძალიან კარგია. არაფერი ისეთი სამართლიანი არ არის, ვიდრე ასე მოექცე საკუთარ მტერს. მართლაც, ბუნების კანონები გვასწავლის მოვკლათ მოყვასი, ჩვენც სწორედ ასე ვიქცევით დედამიწის ყველა კუთხეში. და თუ მათი ჭამის უფლებით არ ვსარგებლობთ, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ სხვა შესანიშნავი ხორცი გაგვაჩნია საკვებად. მაგრამ თქვენ არ გაქვთ იგივე რესურსი რაც ჩვენ, ამიტომ, რასაკვირველია, სჯობს საკუთარი მტერი შეჭამო, ვიდრე გამარჯვების ნაყოფი ყვავებსა და სვავებს დაუტოვო საჯიჯგნად. მაგრამ, ბატონებო! თქვენ არ მოისურვებთ შეჭამოთ თქვენი მეგობრები! თქვენ ფიქრობთ, რომ იეზუიტს წამოაცვამთ შამფურზე, სინამდვილეში კი ის, ვის მოხრაკვასაც აპირებთ, თქვენი დამცველი, თქვენი მტრების მტერია...“ და ა.შ... (***კანდიდი, ანუ ოპტიმიზმი. ვოლტერი***)

***

მართლაც, რაში ვხედავთ უფრო მეტ სისასტიკეს? მე-18 საუკუნეში თავიანთი ტრადიციების ერთგული ინდიელების მიერ იეზუიტის ჭამაში, თუ აგრესიული ბრიყვი პოლიციელის მიერ მოკლული ცხრამეტი წლის ახალგაზრდის მკვლელობის მიჩქმალვის მცდელობაში მთელი სახელმწიფო სისტემის მიერ?

ადგილობრივი მოსახლეობის პერვერსული დაუოკებელი სურვილი – უყუროს ძალადობას პირდაპირ ეთერში, საკუთარი თვალით იხილოს ყველა მომხდარი ტრაგედიის შედეგების ყოველი გადაღებული სანტიმეტრი, ყოველი დეტალი, მტკიცებულება, ალიბი, სისხლი, გვამები... ნუთუ ნაკლებად შემზარავად გამოიყურება?!

რაც შეიძლება მეტი, მეტი გვამები!...

განა სახელმწიფოს მიერ მოსახლეობის ამ სანახაობის ნახვის გარყვნილი სურვილის დაკმაყოფილების ლეგიტიმაცია უფრო ცივილურად გამოიყურება, ვიდრე ტიპინამბას რომელიმე ბელადის მიერ დატყვევებულის შესაწვავად გაცემული ლეგიტიმაცია?! ცივილურობის რომელ ხარისხს

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეესაბამება კანონმდებლობა, რომელიც ქართულ არხებს უფლებას აძლევს რიტუალურად კვებოს ადამიანთა ეს აბსოლუტურად პარანოიდული ცნობისმოყვარეობა, რომელიც არანაკლებ ბარბაროსულად გამოიყურება, ვიდრე პრიმიტივი კანიბალების მიერ მტრად მიჩნეული იეზუიტის შეჭმის მათთვის სრულიად ბუნებრივი სურვილი?!

ჩგანა „რუსთავი 2-ის" მიერ ბუტა რობაქიძის ნერვებგაშიშვლებული მშობლების მაყურებლისთვის საჯიჯგნად მიგდება, ვინმეს ბესტიალური ინსტინქტების ნაკლებ გამოვლინებად მიაჩნია?!

***

აჰ, ვოლტერი რომ ცოცხალი ყოფილიყო! და პატივი ჰქონოდა ეხილა, თუ სამი ათასი კილომეტრის სიშორიდან როგორ ისრუტავენ გადახარშული სპაგეტივით ჩემს ნერვებს ქართველი ტელეკანიბალები; რომ შესძლებოდა ენახა „რუსთავი 2-ის" ეს ექსკლუზიური ბარბაროსობა! და ამასთან, ერთგვარი ბონუსის სახით, წინა დღით, ტელეკომპანია „იმედის" ყოფილი დირექტორის მიერ თავის ახალ საიტზე გაშვებული ასევე ექსკლუზიური რეპორტაჟი კახური ჯოჯოხეთიდან – ქვევრში დამხრჩვალი ჩვილის შესახებ, რომელიც, რეპორტაჟის ავტორი-მონსტრის მიხედვით, ასევე ***საზოგადოების მაღალი ინტერესის*** დასაკმაყოფილებლად იქნა გადაღებული და ნაჩვენები...

ქვევრში მოტივტივე პატარა გოგონა... გაშეშებული, გაშლილი პაწაწინა ხელები და ფეხები... მისი თოჯინასავით გვამის რეანიმირების უსარგებლო, ისტერიული მანიპულაციები... ახლობლების შემაძრწუნებელი, არაადამიანური გოდება, კომენტარები, კომენტარები... რეპორტაჟის წამყვანი ქალის მანიაკალური, დემონური ხმა, ოფფ!

***

ანთროპოფაგია ამა თუ იმ გამოხატულებით მთელს მსოფლიოში გვხვდება. კაცობრიობის განვითარების ყველა ეტაპზე, ყველა ეპოქაში, ყველა კონტინენტსა თუ ქვეყანაში, ყველა კულტურის ჩანასახში. განსაკუთრებით კი – ყველა კულტურის აგონიისას, როგორც დიდის, ისე, პატარის. კანიბალიზმი სწორედ კულტურის აგონიისას იღვიძებს ჩვენში. მიზეზი ყველა ეპოქაში ერთი და იგივეა: ომი, აგრესია, სისასტიკე, სიღატაკე, უსამართლობა, შიმშილი...

ერთგვარი „სამართალი" კანიბალიზმსაც აქვს. ის ძალიან მარტივია და სახელად შიმშილი ჰქვია. არაფერი ისე არ აკარგვინებს ადამიანს თავის სახეს, არაფერი ისე არ აჩქარებს ბესტიალურ მდგომარეობაში ჩავარდნის პროცესს, როგორც ხანგრძლივი და უიმედო შიმშილი.

***

შიმშილი სულ რამდენიმე დღეში აშიშვლებს ადამიანს საუკუნეების მანძილზე წინაპართა მრავალი თაობის მიერ ნაქსოვი სამოსისგან, რომელსაც კულტურა ჰქვია, და თავის პრიმიტიულ საწყისს უბრუნებს. რეკანიბალიზაციის ძირითადი გამომწვევი მიზეზი სწორედ შიმშილი და მისი შიშია. ჩვენ, რასაკვირველია, სრული უფლება გვაქვს ვილაპარაკოთ ერთგვარ სოციალურ კანიბალიზმზე, რომელთანაც კულტურულ შიმშილს მივყავართ; ამ უკანასკნელამდე კი, როგორც ვთქვით, ფიზიკურ შიმშილს; თუმცა ფიზიკურ შიმშილსაც არა იმდენად, რამდენადაც ფიზიკური შიმშილის შიშს. სწორედ ეს უკანასკნელი გახლავთ ყველაზე ბესტიალური გრძნობების მკვებავი ელემენტი და არა თავად რეალური შიმშილი. ეს არის ფაზა, როდესაც ადამიანი, მიუხედავად უკიდურესი გაჭირვებისა, მაინც არ არის იძულებული, პირდაპირი გაგებით შეჭამოს სხვა ადამიანი, თუმცა რაღაც გაუგებარი მიზეზის გამო მაინც „ჭამს" მას, თან განსაკუთრებული სისასტიკით, შეიძლება ითქვას – ცოცხლად და სხვადასხვა აგრესიული ფორმით: ომით, რევოლუციით, სიხარბით, ბრიყვული კანონებითა და მათი კიდევ უფრო ბრიყვული ინტერპრეტაციების აპლიკაციებით.

ბულემიის შემთხვევაში, „ნერვოკანიბალიზმს" თან ახლავს საკუთარი პერსონის მიმართ ძლიერი სიძულვილი. შესაძლოა უფრო ძლიერიც კი, ვიდრე მსხვერპლის მიმართ. ამიტომ, დროდადრო განსაკუთრებულად აგრესიულნი, საკუთარი თავის ჭამას იწყებენ. ქართველი ერი მორიელის ნიშნის ქვეშ არის დაბადებული.

ეს სწორედ ის ევროპული „კანიბალიზმია", რომელზეც ვოლტერი მიგვანიშნებდა ფონტენბლუში ბრაზილიელ ქალბატონთან მეგობრული გასაუბრების შემდეგ. ეს არის ადამიანების თვისება, ცივილიზაციის ფასი, რომელიც შესაძლოა თავისი უგუნურებითა და ბესტიალური სისასტიკით აღემატებოდეს კიდეც ინდიელთა პრიმიტიულ ანთროპოფაგიას.

***

ჩვენ გამუდმებით უნდა გვახსოვდეს კანიბალი, რომელიც ჩვენში თვლემს! უნდა გვახსოვდეს, რომ სულ რამდენიმედღიანი შიმშილი გვაშორებს მის გაღვიძებასთან; რომ ამ დღეების რაოდენობა პირდაპირპროპორცულია ჩვენში კულტურის მარაგისა, რომელიც ერთმანეთის ჭამისგან თავის შეკავებას გვაიძულებს. კულტურა ჩვენი ერთადერთი თავდაცვის საშუალებაა ჩვენივე საკუთარი ბარბაროსობისგან, ჩვენივე კანიბალიზმისგან, მძინარე დემონისგან, რომელსაც ნებისმიერ დროს შეუძლია გაიღვიძოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, როგოც ზემოთაც აღვნიშნეთ, ჩვენივე პირველყოფილ, ბესტიალურ ფაზაში ისეთი სისწრაფით მოგვისროლოს, რომ გონზე მოსვლაც ვერ მოვასწროთ...

***

ჩვენ გაცილებით უფრო გვძულს ერთმანეთი, ვიდრე მტრის სახე. მიუხედავად იმისა, რომ მისი შექმნის უაღრესად დიდი კრეატიული ნიჭით ვართ დაჯილდოებულნი. მხოლოდ გარეშე მტრის მიმართ სიძულვილის იდეოლოგიად გარდაქმნას, მის ინსტიტუტიონალიზაციას ვერ ვასწრებთ, რადგან შიდა პრობლემები სიძულვილის მოთხოვნილების დაკმაყოფილების უფრო იოლ გზას გვიხსნის და ერთმანეთის სიძულვილით ვკმაყოფილდებით. გარეშე მტერს ერთმანეთზე ნადირობისას ვიყენებთ როგორც სატყუარას. საერთაშორისო მორალით ეს ჩვენ ლეგიტიმური ენდოკანიბალიზმის ჩარჩოებში გვტოვებს – ბოლოს და ბოლოს, ერთმანეთს ვჭამთ, და არა სხვებს, და კიდევ: ეს ჩვენი საშინაო საქმეა!...

თუკი ამ ჩვენს „კანიბალიზმში“ ნამდვილი კულტურა არ იბადება, ეს, რა თქმა უნდა, სულაც არ გახდებოდა ვოლტერის შეშფოთების მიზეზი, ის რომ ჩვენი თანამედროვე ყოფილიყო. ისევე, როგორც თავის ეპოქაში ტუპინამბას ინდიელებთან, მას შესაძლოა ჩვენშიც აღმოეჩინა რაღაც თავისთვის სასარგებლო მარცვალი, რომლის კულტივაციასაც ზუსტად ისევე მოახმარდა თავის ფრანგულ კულტურას, როგორც „მშვენიერ“ მისისიპელ კაციჭამია ქალბატონებთან გასაუბრებას ფონტენბლუს სამეფო სალონში... სხვათა შორის, მათ რომ 2012 წლის ჩვენი წინასაარჩევნო გრძელი და ღრმად მანიაკალურ-დეპრესიული საარჩევნო მარათონი და არჩევნების შემდგომი კოჰაბიტაციის პაროდია ენახათ, ალბათ კეთილ რჩევას მისცემდნენ დღევანდელ ქართველებს. ეტყოდნენ, რომ აჯობებდა ერთმანეთი პატიოსნად შეეჭამათ ფიზიკურად, ვიდრე ფრანგული ტერმინით შენიღბული პოლიტიკური ანთროპოფაგიით გამხეცებულებს ერთმანეთი ეძიძგნათ და ეკორტნათ როგორც სვავებს – მტანჯველად და სასტიკად.

***

ბრაზილიური მოდერნის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი, ტუპინამბების, ან შემოკლებით ტუპების ტომის ღირსეული შთამომავალი ოსვალდ დე ანდრადე, თავის ცნობილ „ანთროპოფაგიის მანიფესტში“, რომელიც მან 1925 წელს გამოსცა, წერს: „ჩვენ მხოლოდ ანთროპოფაგია გვაერთიანებს. სოციალურად, ეკონომიკურად და ფილოსოფიურად. ეს ერთადერთი ჯადოსნური სამყაროში. ნებისმიერი ინდივიდუალიზმისა და კოლექტივიზმის, ყველა რელიგიისა და მშვიდობის დეკლარაციის შენიღბული გამოხატულება.

Tupi, or not tupi that is the question?!

ჩვენ გვსურს კარიბის რევოლუცია. უფრო დიდი, ვიდრე საფრანგეთის რევოლუცია იყო! უნიფიკაცია ადამიანისგან მომდინარე მთელი ამბოხისა... ჩვენ რომ არა, ევროპას თავისი ადამიანის უფლებების უბადრუკი დეკლარაციაც კი არ ექნებოდა...“

***

მართლაც, ადამიანის უფლებების დეკლარაცია სამოქალაქო ომებმა და რევოლუციებმა შექმნეს და არა საერთაშორისო კონფლიქტებმა. დამეთანხმებით, შუა საუკუნეებში, ისევე როგორც დღეს, ადამიანის უფლებებს ძირითადად ჩვენივე ვარღვევთ – პირველ რიგში საკუთარ ოჯახში, და მხოლოდ შემდეგ მეზობელთან კონფლიქტებში. ევროპული ცივილიზაციის ამ შემადუღაბებელი „ცემენტი დეკლარაციის“ შექმნის აუცილებლობაში ამაზონელმა კანიბალებმა თავისდაუნებურად მართლაც გარკვეული როლი შესრულეს. რენესანსის ჰუმანისტები მათ აკვირდებოდნენ როგორც ლაბორატორიის თაგვებს... დაახლოებით ისე, როგორც ჩვენ გვაკვირდება დღეს ზოგიერთი მათი შთამომავალი. ალბათ გახსოვთ, სულ ახლო წარსულში ჩვენი დემოკრატიის „ქვეყანა – ლაბორატორიის“ ექსტრავაგანტურ კონცეფციაზე გამუდმებით საუბრობდნენ საერთაშორისო ფორუმებსა და დასავლურ მედიაში პრეზიდენტი სააკაშვილი და მისი ერთობ უცნაური მრჩეველი-ლაბორანტები...

***

ისევე როგორც დიდი ომები, გარკვეული რევოლუციებიც – შესაძლოა უფრო ხანგრძლივი პერიოდით და განსაკუთრებული ეფექტურობით – კლავენ კულტურას და საზოგადოება სწორედ ენდოკანიბალიზმის ფაზაში შეჰყავთ, რომლის დროსაც ადამიანი საკუთარი ჯგუფის, საკუთარი ოჯახის წევრის ჭამას იწყებს. ეს სწორედ ის ფაზაა, რომელშიც საქართველო იმყოფება უკანასკნელი 22 წლის მანძილზე.

***

ჯერ კიდევ 1989 წლის 9 აპრილმა, ლეგიტიმური უფლება მოგვაპოვებინა, მტრის სახის დეფინიცია გაგვეკეთე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბინა, ანუ პატიოსან ეგზოკანიბალებად გვაქცია. მტერს – წითელ არმიას, რა თქმა უნდა, სიამოვნებით შევსანსლავდით, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს მთელ რიგ სრულიად გასაგებ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. ამიტომ, ჩვენ ისევ ერთმანეთს დავერიეთ, განსაკუთრებით სიამოვნებით რუს და ოს თანამოქალაქეებს ვახრამუნებდით, სანამ მათმა უმრავლესობამ თავს არ უშველა და არ გადაიხვენა კავასიის ქედს გადაღმა. ამის შემდეგ, ჩვენი მენიუ ექსკლუზიურად ეთნიკურად ქართული გახდა. მალე სამოქალაქო ომიც დაიწყო, ჩვენ საბოლოოდ ჩამოვყალიბდით ენდოკანიბალებად.

აფხაზეთის ომის პერიოდი აბსოლუტური ჯოჯოხეთია საქართველოს ისტორიაში, და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ზოგადად ყველა ომი დაუნდობელი და სასტიკია. იმ წლებში ჩვენი წინაპრების მიერ ათასწლეულების მანძილზე დაგროვილმა სიბრიყვემ თავის კულმინაციას მიაღწია. ყოველ ერს საერთოდ თავისი უნიკალური და განუმეორებელი სიბრიყვისა და სიბრძნის ზუსტად განსაზღვრული მარაგი აქვს. ჯოჯოხეთი კი კუპრითა და ცეცხლით წამების გარდა უიმედო სიბრიყვეცაა... რაღაცნაირი ბედსშეგუებული, დეპრესიული სიბრიყვე; ასევე წინაპრების მიერ დაგროვილი სიბრძნის, კულტურის მარაგი ნულის ნიშნულს ჩამოსცდა... ეგზო- და ენდოკანიბალები ერთდროულად გავხდით. გვძულდა ყველა და ყველას ვძულდით. თუმცა ამას მალე შევეგუეთ, და იმ დროიდან დღემდე მხოლოდ ერთმანეთს ვჭამთ.

***

2008 წელს ერთგვარი ახალი, დაკანონებული, სახელმწიფოს მიერ რეზოლუციადადებული და ბეჭედდასმული მოღალატეების ერა დაიწყო; ბევრად უფრო მასშტაბური, ვიდრე გამსახურდიას დროს. პატრიოტიზმი ჩვენთვის ჭეშმარიტების მთავარ არგუმენტად და კანიბალური მენიუს მთავარ, ფავორიტ კერძად იქცა.

***

ადამიანებს ძირითადად სძულთ ისინი, ვისაც იცნობენ. სიძულვილი ერთგვარი „არისტოკრატული“ გრძნობა, საკუთარ თავთან დაუნდობელი ბრძოლით მოპოვებული უფლებაა.

***

საქართველოში დღესაც ძირითადად იმავე მიზეზითა და მადით შეექცევიან ერთმანეთს, რომლითაც სისხლიან 90-იანებში. მხოლოდ სხვა, უფრო მეტი მანერულობითა და ცერემონიულობით... მაშინდელი მთავარი ვულგარული ინგრედიენტი – ფული – დელიკატურად შეზავდა და შეიკაზმა პატრიოტიზმით და, შესაბამისად, ღალატით.

***

ჩვენ ვერაფრით მივაღწიეთ განვითარების ისეთ დონეს, როდესაც ერთმანეთთან კონფლიქტის სინონიმი აღარ იქნება სიტყვა – ღალატი: სამშობლოს, მეგობრის, ღმერთის... ის ხელისუფლება, რომელიც შექმნის პოლიტიკურ კონტექსტს, რომელიც ქართულ საზოგადოებას საშუალებას მისცემს ამ ბრიყვული სიტყვის ტყვეობიდან გათავისუფლდეს, ადამიანების შეხედულებების ხარისხი, კრიტერიუმი, სამშობლოსთან და ღმერთთან კი არა, ადამიანის მთავარ უფლებასთან, პიროვნულ და სხვისი თავისუფლების პატივისცემასთან მიმართებაში შეფასდეს – საქართველოს ისტორიას ჭეშმარიტი რეფორმატორის სახელით შემორჩება. მომდევნო ხელისუფლებები კი ისე მოვლენ და წავლენ, რომ მათ არსებობას მხოლოდ პოლიტოლოგებიღა თუ გაიხსენებენ...

ჩვენ გაცილებით უფრო გვძულს ერთმანეთი, ვიდრე მტრის სახე. მისი შექმნის უაღრესად დიდი კრეატიული ნიჭით ვართ დაჯილდოებულნი. მხოლოდ გარეშე მტრის მიმართ სიძულვილის იდეოლოგიად გარდაქმნას ვერ ვასწრებთ, შიდა პრობლემები სიძულვილის მოთხოვნილების დაკმაყოფილების უფრო იოლ გზას გვიხსნის.

***

2003 წლის თვითმარქვია რევოლუციამ ვერ შეძლო დაემთავრებინა კანიბალიზმი, და მას მხოლოდ სახე შეუცვალა. მან ვერ შექმნა კულტურა, რადგან თავად კანიბალი კულტურას ვერ ქმნის. 2003 წლის ნოემბერი მხოლოდ ადმინისტრაციული ძიძგილაობა გახლდათ და არა რევოლუცია.

დიდი ოქტომბრის რევოლუციამ, რომელმაც მიწასთან გაასწორა უზარმაზარი კულტურები, მსოფლიოს მნიშვნელოვანი ნაწილი, და მათ შორის საქართველო, კანიბალიზმის ერთერთ ყველაზე სასტიკ ფაზაში შეგვიყვანა. თუმცა მაშინვე, პირველივე სისხლიანი წლებიდან შექმნა საკუთარი კულტურა, ხშირად მაღალი ხარისხისაც, რამაც ამ აბსურდულ, უსუსურ და მშიერ უზარმაზარ მონსტრს სამოცდაათი წელი გააძლებინა.

ნამდვილი კულტურის არსებობის ყველაზე ნათელი დასტური გახლავთ კონტრკულტურა. ის არასდროს არ ჩნდება ცარიელ ადგილზე. წითელ იმპერიაში ის რაღაც დოზით ყოველთვის არსებობდა, თავის კულმინაციას კი სწორედ იმ პერიოდში მიაღწია, რომელსაც მოგვიანებით „ზასტოი“ – უძრაობა შეარქვეს.

ჩვენ მიჩვეულები ვართ ვეძებოთ დასავლური ანდერგრაუნდის ანალოგი საბჭოთა კავშირში, და რადგან ანდერგრაუნდი როკვარსკვლავების კლუბი გვგონია, მას, რა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქმა უნდა, ვერ ვპოულობთ. სინამდვილეში საბჭოთა ანდერგრაუნდი, რა თქმა უნდა, არსებობდა, და მას თავისი უნიკალური სახე გააჩნდა, არანაკლებ საინტერესო, ვიდრე დასავლურს; მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ყველა დასავლური ანდერგრაუნდი შოუბიზნესში ამთავრებდა თავის განვითარებას, საბჭოთა კი – გულაგში, ან საკუთარი დეპრესიით გაჟღენთილ „კომუნალკაში“, ნაგანის ლულით პირში. „ზასტოის“ დროს, სწორედ ამ დაუნდობელი ანდერგრაუნდიდან აღმოცენდა პატარა მახინჯი მონსტრი, საბჭოთა კონტრკულტურა, რომელმაც ამ ბოროტ იმპერიას და მის ბრიყვულ კულტურას ბოლო მოუღო. სწორედ ეს საბჭოთა კონტრკულტურაა, რომელიც პოსტსაბჭოთა 90-იან წლებში უკვე კულტურად ტრანსფორმირებული შევიდა და, რომელიც, თავის მხრივ, ადვილად მოკლეს, რადგან მისი ენერგიის წყარო საბჭოთა კულტურის სიძულვილი, მისგან გათავისუფლებისთვის ბრძოლა გახლდათ, და არა თავად თავისუფლება...

აი ასე დამთავრდა საბჭოთა კულტურა და დაიწყო პოსტსაბჭოთა კანიბალიზმის გრძელი ეპოქა თავისი ასევე საბჭოთა კულტურისა და კონტრკულტურის უდღეური, მახინჯი ნაყოფებით, რომლებმაც მხოლოდ საკუთარი თავის დაგესვლა მოახერხეს ნარკოტიკით, ალკოჰოლით, სიძულვილით... მათი კულტურის მარაგი მალე დამთავრდა, თავად იქცნენ კანიბალებად, და როდესაც შესაჭმელი აღარავინ დარჩათ, საკუთარი სხეულის ნაწილების, ბოლოს კი საკუთარი ღირსების, საკუთარი სულის ჭამა დაიწყეს...

***

საბჭოთა კავშირის მოულოდნელმა ხავერდოვანმა დაშლამ ქართველ ერში გაუთვალისწინებელი კულტურული სიცარიელეები შექმნა, რომელთაგან ერთ-ერთი, ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი, ეკლესიამ დაიკავა. არა იმიტომ, რომ სულიერებაზე ფიქრი ნებადართული გახდა (სულიერება კანონს მიღმაა და ის კონსტიტუციურ ცვლილებებს არ ემორჩილება). მიზეზი უფრო ის არის, რომ ქვეყანაში არ აღმოჩნდა არც სახელოვნებო, არც ინტელექტუალური, არც პოლიტიკური ან ნებისმიერი სხვა რაიმე სერიოზული ძალა, რომელიც მთელი ოთხმოცდაათიანი წლების განმავლობაში უპატრონოდ მიგდებულ ამ ცარიელ სივრცეს დაიკავებდა. ამიტომ ის ეკლესიამ დაიკავა. დღეს ქართული ინტელექტუალური ელიტა დაკარგულ სამოთხეს მისტირის, თვლის, რომ ეკლესიამ პირწმინდად ასწაპნა ცხვირწინ მისთვის განკუთვნილი სივრცე და მრევლი. ეკლესიას, რა თქმა უნდა, არაფერიც არ აუწაპნია, ხაკეთოდ განსაკუთრებული არც არაფერი გაუკეთებია საამისოდ. უბრალოდ ადგა და შევიდა ცარიელ, უპატრონო „საერო ეკლესიაში“, დაეპატრონა და ზუსტად ისე ეწევა მის „ექსპლუატაციას“, როგორც ესმის... როგორც მას ყოველთვის ესმოდა – თავისი არსებობის ოციდან ყოველ სისხლიან საუკუნეში. მას თავისი ათი მცნება აქვს, რომელთაგან საჭიროების მიხედვით ხან ერთს აყენებს პრიორიტეტად, ხან მეორეს, არც ამაშია რაიმე გასაკვირი და ახალი... ამაში საინტერესოც კი არაფერია მეტ-ნაკლებად განათლებული პატიოსანი კაცისთვის.

გაცილებით ყურადსაღებია 21-ე საუკუნის ქართული ინტელექტუალური და კულტურული ელიტის, და ზოგადად საზოგადოების უუნარობა, მისი კულტურული, პოლიტიკური ცვედანობა... რაც ამ სივრცის დაკარგვის უპირველესი მიზეზია და, რისი აღიარებაც ამ ელიტებს ისევე უჭირთ, როგორც მათ წინამორბედ „წითელ ინტელიგენციას“ საბჭოთა სისტემაში მოღვაწეობისას, თავისი ინტელექტუალური სიმხდალის აღიარება. როგორც მოსალოდნელი იყო, საბჭოთა იმპერიის რღვევამ ამ უკანასკნელთა შორის ყველაზე უნიჭონი ნიჭიერებად ვერ გადააქცია, და ეს ფაქტია: 22-წლიანი სრული, უტოპიის ხარისხში ასული ანარქიული თავისუფლების პირობებში მათ ფასეული თითქმის არაფერი შეუქმნიათ; სამაგიეროდ შექმნეს საკუთარ თავზე მორგებული ისტორია – საკუთარი წარსული კიდევ უფრო ბნელი და სახიფათო გახადეს, ვიდრე სინამდვილეში იყო. დღეს ლამის ათიდან ცხრა საშუალო ასაკის ადამიანი თავისი დისიდენტური წარსულით ამაყობს; ასეთები მეორე ჭიქის მერე როკისა და ჯაზის ჩუმად და გმირულად მოსმენისთვის მარად ფხიზელი „კაგებეს“ აგენტების თვალთვალსა და დევნაზე უპრობლემოდ მოგიყვებიან რამე სულისშემძვრელ ისტორიას... საკუთარ უნიჭობასა და უბადრუკობას ხან „კაგებეთი“ „გაათეთრებენ“, ხან ეროვნული მოძრაობით, ხან მხედრიონით, ხანაც სააკაშვილის „პირსისხლიანი“ რეჟიმით.

***

საბჭოთა იმპერიის რღვევამ პოლიტიკური გემოვნების თავისუფალი სივრცეებიც შექმნა. ისინიც ოც წელიწადზე მეტია უპატრონოდ არიან მიგდებულნი. მათი დაკავება დღემდე, ფაქტობრივად, ვერავინ შეძლო, რადგან პოლიტიკური გემოვნების ცარიელი სივრცისკენ გზა უკვე ეკლესიისა და ჰიპერპატრიოტთა მიერ დაკავებულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კულტურულ სივრცეზე გადის. ამ გზას მუჯლუგუნების გარეშე დღეს უკვე ვეღარ გაივლი. ამისთვის ძალაა საჭირო, რაც, როგორც ჩანს, საქართველოში ძალიან ცოტას აქვს. არადა, ასეთი სივრცეები დიდხანს არ რჩება ცარიელი, მით უმეტეს, როდესაც წინამორბედი სივრცე უკვე თითქმის სავსეა ზღვარს გადასული პატრიოტული ვნებათაღელვით, რომლის შხეფები აუცილებლად მოხვდება პოლიტიკური გემოვნების სივრცეში, მის შევსებას დაიწყებს მოწამლული სითხესავით, და ეს სითხე სხვა არაფერია, თუ არა ფაშიზმი... ეს გაუფასურებული სიტყვა, რომელსაც დღეს საქართველოში უფლებადამცველები ეგრეთ წოდებული „ცნობადი ინტელექტუალები“ და მათი „მიმდევრები“ სრულიად არაადეკვატურ კონტექსტებში იყენებენ, ბოლოს და ბოლოს, თავის რეალურ კონტექსტში მოხვდება და იმ ნამდვილ ინსტიტუციონალურ მნიშვნელობას შეიძენს, როგორიც მას, საბედნიეროდ, ჯერ არასდროს ჰქონია ჩვენს ქვეყანაში.

ფაშიზმი ბევრად უფრო ცოცხალი და საშიში სიტყვაა, ვიდრე უბრალოდ მაკომპრომეტირებელი რაღაც „ვინთიჯ“ შეურაცხყოფა. ის კანიბალიზმის ერთ-ერთი ფორმის ეტიმოლოგიური დასტურია და მისი პრიმიტიული, ბესტიალური ჩანასახი მეტ-ნაკლები დოზით, ყოველ ჩვენგანში ცოცხლობს, განსხვავებით აბსოლუტურად ხელოვნური და უტოპიური კომუნისტური იდეოლოგიისა, რომელსაც დღეს საკუთარი საბჭოთა წარსულის მოდელირებით დაკავებული ინტელექტუალებად ტრანსფორმირებული ინტელიგენტები ხშირად ფაშიზმისა და ნაციზმის ეკვივალენტ ბოროტებად წარმოაჩენენ.

კომუნიზმისა და ბოლშევიზმის მოწამლული თესლი არ დევს ადამიანში, მას მხოლოდ ძალადობით ან მოტყუებით თუ მოახვევ ადამიანს თავს. სამაგიეროდ, ფაშიზმის ბუნებრივად თანდაყოლილი თესლი ექსტრემალურ გარემოში მოხვედრისას ძალიან ადვილად იღვიძებს ისეთი პრიმიტიული გამოხატულებით, როგორითაც მაგალითად საქართველოს დამოუკიდებლობის გარიჟრაჟზე მოგვევლინა, და რომელსაც ედუარდ შევარდნაძემ სავსებით შესაფერისი ტერმინი მოუძებნა – პროვინციული ნაციონალიზმი.

ეს უკანასკნელი ძალიან განსხვავდება „ინსტიტუციონალური კანიბალიზმისაგან“ – ფაშიზმისგან. ჩვენი სამშობლოს ფაშიზმით ორსულობა ადრეულ ეტაპზევე ყოველთვის დიდი და პატარა უდღეური ნაყოფებით მთავრდება. ფაშიზმი პირველ რიგში შიდა ოჯახური საქმეა. სისხლის განწმენდა-პურიფიკაცია უცხო რასის სისხლისგან, და მხოლოდ ამის მერე – საერთშორისო პრობლემა, ფაშიზმი – ენდოკანიბალიზმია. აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ის „მარტივ“ ადამიანში არ იბადება, რადგან ასეთ ადამიანს საკუთარი ნაციონალისტური სიბრიყვის ინსტიტუციონალიზაციისთვის არც ინტელექტი გააჩნია და არც მეთოდი.

ფაშიზმი ყოველთვის ინტელექტუალ-ინტელიგენციის მხდალ ტვინებში ისახება, ნაყოფიერდება, იზრდება იფურჩქნება... ბოლოს ნაყოფს ისხამს, რომელსაც მარტივი ადამიანები წყვეტენ, მიირთმევენ... ისინი ნელ-ნელა კანიბალებად ტრანსფორმირდებიან, ჯერ სხვის, მერე ერთმანეთის ჭამას იწყებენ. კულტურა მთავრდება. ხოლო კულტურის მონოპოლისტებს მელანქოლია იპყრობს, და ისევ ამ საცოდავი უგნური კანიბალებისგან საკუთარი უბადრუკი პერსონების დისტანცირებით ცდილობენ თავიდან აირიდონ საზოგადოების ბესტიალურ მდგომარეობამდე დაცემის პასუხისმგებლობა, რათა ამით ბინძური, სველი ქუჩიდან დაბალ, ასევე ჭუჭყიან ტროტუარამდე მაინც ამაღლდნენ.

რევოლუციებიც – შესაძლოა უფრო ხანგრძლივი პერიოდით და განსაკუთრებული ეფექტურობით – კლავენ კულტურას და საზოგადოება სწორედ ენდოკანიბალიზმის ფაზაში შეჰყავთ, რომლის დროსაც ადამიანი საკუთარი ჯგუფის, ოჯახის წევრის ჭამას იწყებს. ეს ის ფაზაა, რომელშიც საქართველო იმყოფება უკანასკნელი 22 წლის მანძილზე.

დღეს ქართული საზოგადოების დიდი ნაწილი, შესაძლოა, როგორც არასდროს, ისე ახლოს არის ფაშიზმთან. რა თქმა უნდა, აქ არ იგულისხმება ფაშიზმი – სახელმწიფო მოწყობის მოდელი.

თითქმის ყველა სოციალურ ფენაში ადვილად იპოვით იდეებს, რომელთაც მსოფლიოს იმ ნაწილში, სადაც ფაშიზმი დაიბადა და სადაც მას ძალიან კარგად იცნობენ, სათანადო კვალიფიკაციას მიანიჭებდნენ. ყველას თავისი შესაფერისი სიძულვილის ობიექტი ჰყავს. დღეს საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობის ადამიანებზე ისევე მსჯელობენ, როგორც ავად სახსენებელი 90-იანი წლების დასაწყისში; მათ სულ უფრო და უფრო ხშირად მოიხსენებენ უცხო ტომელებად, ჩამოთესლებულებად... კიდევ სხვა ეპითეტებსაც აწებებენ სომხებს, ჩინელებს, ინდოელებს დავითის ყვითელი ვარსკვლავივით. ყოველივე ამას მკაცრად ადევნებს თვალყურს და აკონტროლებს ზემოთ ხსენებული ერთგვარი ინტელექტუალური ელიტა და ნებისმიერი სიძულვილის ენის გამოვლინებაზე ის „უმკაცრესად“ რეაგირებს. ამ კლასმა კარგად შეისწავლა ადამიანის უფლებების რამდენიმე პუნქტი, დაშანტაჟების საერთაშორისოდ აღიარებული და ცნობილი რამდენიმე ხერხი და ახლა ოსტატურად იყენებს მას. ამასთან, მას თავისი საკუთარი ინტელექტის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესაფერისი სიძულვილის ობიექტი გააჩნია – პუშკინი, „დასტაევსკი“, ბომჟი კაცები, ქერა, იაფფასიანი ქალები... რომლებიც, მათი აზრით, იმ ქართველ მამაკაცებზე კარგავენ ჭკუას, რომლებსაც თავად ვერ იტანენ მაჩოობის, აგრესიულობისა და უამრავი სხვა მიზეზის გამო... მორალის მხრივ თავი ქუდში აქვთ: რუსეთი ოფიციალური მტერია, და მათ მიმართ სიძულვილის ენის გამოყენება, მათი აზრით, სრულიად ლეგალურია, მით უმეტეს, ბოლო დროს კიდევ ერთი ახალი ილეთი ისწავლეს: ოჰ, ისეთი არაფერი, ვისაც ევროპაში უცხოვრია, ეს ილეთი ყველამ მშვენივრად იცის, და მას გამუდმებით იყენებენ ძველი ყაიდის მორასისტო ბურჟუა ბებიები. ძალიან მარტივია: რუსებზე ნათქვამ ათას სისაძაგლეს, ხანდახან დაამატებენ ხოლმე, რომ მათ რუსული სახელმწიფო სძულთ და არა ხალხი. მიუხედავად იმისა, რომ ზუსტად იცი, სულ ცოტა ხნის წინ რუს ხალხს ღორებად მოიხსენებდა... ასეთებს ძნელია გააგებინო, რომ ფუნდამენტალისტი ებრაელი, რომელიც გერმანელ ერს ბინძურ ღორებად მიიჩნევს, არაფრით არ არის უკეთესი ვიდრე ის გერმანელი ნაცისტი, რომელიც მის საბრალო წინაპრებს აწამებდა ოსვენცემში. ძნელია გააგებინო იმიტომ, რომ მან ეს უშენოდაც მშვენივრად იცის, მხოლოდ ვერაფრით ვერ ერევა საკუთარ პულსაციებს. მას სჭირდება სძულდეს ვინმე... ეს კი, კაცმა რომ თქვას, ადამიანურია და არც არის გასაკვირი. ჩვენ ისევე ვიბადებით სიძულვილის რაღაც განსაზღვრული მარაგით, როგორც სიყვარულის, გააჩნია რომლის კულტივირებას ვახდენთ შედგომ.



საქართველოში ბოლო ოცი წელია პერმანენტული სიძულვილის კულტივაცია მიმდინარეობს.

***

საქართველოში შიმშილი, თავისი ნებისმიერი მნიშვნელობით, უკვე ორი ათეული წელია ვერა და ვერ აღმოიფხვრა. ამიტომ, სულაც არ არის გასაკვირი, რომ ექსტრემალურ სიტუაციაში მოხვედრილი საზოგადოების ელიტების ბევრ წარმომადგენელს თავად „დაუმთავრდა კულტურა“ და თავად იქცა კანიბალად. მით უმეტეს, ყველა პოლიტიკური ელიტისთვის ამომრჩეველთა კანიბალიზმი დღემდე ამომრჩეველთა ყველაზე ადვილად მანიპულირებად სუსტ წერტილს წარმოადგენს და, ამდენად, ყველანაირად უწყობს მის შენარჩუნებას ხელს – განსაკუთრებით ხელისუფლებაში მოსვლის, ან ძალაუფლების განმტკიცების კრიტიკულ მომენტში. მოკლედ რომ ვთქვათ, მას არავითარ შემთხვევაში არ ანყობს. მასზე მაღალი კულტურის ამომრჩეველი.

***

ბოლო ოცი წლის მანძილზე საქართველოში დღემდე არსებული ყველა პოლიტიკური ძალა, თავისი არსებობის ძალიან ადრეულ ეტაპზევე, გამუდმებით რელიგიური და ნაციონალისტური ექსტრემიზმის მძევალი ხდება. რადგან მათი სანაცვლო და საპირწონე იდეოლოგია თავად არ გააჩნია, ზუსტად ისე იყენებს თავისი პოლიტიკური ეგზისტენციალური პრობლემების გადასაწყვეტად, როგორც მაფიოზ ნთლიმამებს, შემდეგ კი იძულებული ხდება ხარკი გადაუხდოს.

სწორედ ამიტომ, დიდი სურვილის შემთხვევაშიც კი, ვერც ერთი მათგანი ვერ იწყებს რეალურ „კულტურას“, ვერც ერთი მათგანი ვერ ხდება რეალურად პროგრესული რეფორმატორი, ძალა, რომელიც ქვეყანას ბევრად უფრო საშიში სიბნელიდან ამოიყვანს, ვიდრე ეს უბრალოდ უშუქობაა. ამ სიბნელიდან ქვეყნის ამოყვანას შეძლებს მხოლოდ ის პოლიტიკური ძალა, რომელსაც ეყოფა პრინციპული „არას“ თქმის გამბედაობა მაშინ, როდესაც ამის რეალური საჭიროებაა – თუნდაც ასჯერ, ათასჯერ თქვას,იმდენჯერ, რამდენჯერაც საჭირო იქნება; რომელიც არ შეუშინდება საკუთარი პოლიტიკური კარიერის ეჭვქვეშ დაყენებას პრინციპების, იდეის სასარგებლოდ, რადგან თუ პოლიტიკოსს, ან პოლიტიკოსთა გუნდს, არ გააჩნია იდეა, რომლისაც სჯერა, არა აქვს მეთოდი, რომლითაც მას განახორციელებს, და სიმამაცე, რომლითაც მას დაიცავს, ის ვერასდროს ვერავის ვერ გადაარჩენს, და მით უმეტეს სახელმწიფოს, რომელიც თავის მხრივ უდიდეს როლს ასრულებს საზოგადოების ჩამოყალიბებაში.

საზოგადოება და სახელმწიფო არასდროს არ იზრდება ერთმანეთისგან დამოუკიდებლად. ისინი სიამის ტყუპებივით ერთმანეთს ზრდიან, ან ღუპავენ. შეცდომაა ყველაფრის ერთისთვის, ან მეორესთვის გადაბრალება. სახელმწიფოს მიერ დაშვებულ შეცდომას, ნებისმიერ ცუდად დაწერილ კანონს, მის აპლიკაციას, შეუძლია გამოუსწორებელი შედეგები მოიტანოს, რაც შემდეგ ბუმერანგივით უკანვე უბრუნდება მას, შემდეგ კი ისევ საზოგადოებას. ამ ურთიერთობის ჰარმონია არის სწორედ კულტურა, რომელიც იბადება იქ, სადაც მთავრდება კანიბალიზმი.

21 აპრილი, 2013, Nice

ლიკვიდაციის დღიურები

მარტინ მაგდონაჰ

ქუთაისის
მარჯანიშვილის
სახელობის
სახელმწიფო
დრამატული **თეატრი**

რეჟისორი გურამ ვაშაკიძე

ორი იგავი პოლიტიკაზე

ერთი მხრივ, ძალიან ლოგიკურია ამ ორი ტექსტის ერთად დაბეჭდვა, მაგრამ მიჭირს მათზე ერთად წერა, თქმა, რა აერთიანებთ მათ. ისევე, როგორც გამიჭირდებოდა, მეთქვა, რა აკავშირებთ კალვინოსა და პაზოლინის. ამ პატარა წერილით, რომელიც 1980 წლის 15 მარტს დაიბეჭდა „ლა რეპუბლიკაში", იტალო კალვინომ სამუდამოდ დაუსვა წერტილი სოციალურ და პოლიტიკურ თემებს თავის შემოქმედებასა თუ საჯარო გამოსვლებში. ამ გადაწყვეტილებისთვის კალვინოს არასოდეს უღალატია. პაზოლინის ტექსტმა „მე ვიცი" ისევე შეარყია პოლიტიკური სივრცე იტალიაში 1974 წლის 14 ნოემბერს, როგორც მალევე – მისმა უკანასკნელმა ფილმმა „სალო" – იტალიური საზოგადოება. ბევრი მკვლევარი პაზოლინის სიკვდილს პირდაპირ უკავშირებს ამ წერილს და მასში გაჟღერებულ ბრალდებებს.

არ ვიცი, კმარა იმის თქმა, რომ ორივე მათგანი სულით ხორცამდე მემარცხენე იდეოლოგიის ერთგული იყო სიცოცხლის ბოლომდე? რომ პრაქტიკულად არ დარჩენილა ინტელექტუალური, სოციალური თუ შემოქმედებითი თვითგამოხატვის ფორმა, ამ ორ ადამიანს რომ არ ეცადა? რომ სრულიად უნიკალურია მათი ენობრივი ექსპერიმენტები თანამედროვე იტალიური ენის განვითარებაში? რომ მათი თითოეული სიტყვა დღეს ასე შემაშფოთებლად აქტუალურია? კალვინოსა და პაზოლინის ალბათ ბევრი რამ აკავშირებთ, მაგრამ, ვფიქრობ, ეს ორი პატარა წერილი ყველაზე მეტად მაინც იმითაა შთამბეჭდავი, რომ გვიჩვენებს პოლიტიკისადმი ორ კარდინალურად განსხვავებულ დამოკიდებულებას, ინტელექტუალის მოქალაქეობრივი ვალდებულებისა და ფუნქციის ორ სრულიად განსხვავებული ხედვას. კალვინოსი, რომელმაც სურეალისტური, ნახევრად ფანტასტიკური განზომილება არჩია თვითგამოხატვის ნარატიულ ფორმად, იგავის, ზღაპრის არარსებული, ანონიმური დრო და სივრცე, რომელსაც სამხრეთამერიკული ლიტერატურის მისტიური სურნელი გადაკრავს. და – პაზოლინი —ნამდვილის, რეალურის, ავთენტურის ხარბი მაძიებელი ყველაფერში: „მინდა, ადამიანებს კამერით ვსდიო დილიდან საღამომდე, არ გამომრჩეს მათი არცერთი მიმიკა, მიხრა-მოხრა, ღიმილი, გამოხედვა" - ეს პაზოლინის სიტყვებია, პაზოლინისა, რომელიც ქუჩაში ეძებდა ფილმების პერსონაჟებს, რადგან იქ ეგულებოდა ყველაფერი ნამდვილი, კონფორმიზმით დაღდაუსმელი. რომელიც ეთაყვანებოდა ადამიანის სხეულს, როგორც ერთადერთს, რასაც „ხელისუფლებამ, პოლიტიკამ ვერაფერი მოუხერხა".

შოკისმომგვრელად განსხვავებულია კალვინოსა და პაზოლინის ემოციური და ინტელექტუალური განწყობა პოლიტიკისადმი და ამავე დროს – საფუძველმდები პრინციპების სრული გაზიარება. პაზოლინის არ ასვენებდა ინტელექტუალის სოციალური როლი და პასუხისმგებლობა, აგიჟებდა კონფორმიზმი, ნებისმიერი სახის ინტელექტუალური კომპრომისი. ის ამხელს და ბოლომდე ცდილობს, გაარღვიოს კედელი, რომელიც წინ აღუმართეს, მოიპოვოს ინფორმაცია, რომელიც დაუმალეს, აღიდგინოს ინტელექტუალური ღირსება, რომელიც შეულახეს, დაიბრუნოს ფუნქცია, რომელიც წაართვეს. მაგრამ ამხელს არა იმიტომ, რომ გმობს პოლიტიკას, არამედ – პირიქით: „მე მწამს პოლიტიკის, მწამს დემოკრატიის ზოგადი პრინციპების, მწამს პარლამენტის, მწამს პარტიების."

კალვინოს მხილება იმედგაცრუებით, გულისტკივილით, უარით, უკანდახევითაა სავსე და თან უცნაური, თითქმის გულისამაჩუყებელი ოპტიმიზმითაა ნაზავი. ძნელია, ემოციის გარეშე წაიკითხო მისი წერილის ბოლო სიტყვები პატიოსანი ადამიანების მარგინალ ქვესაზოგადოებაზე, რომელიც უბრალოდ ვალდებულია, კაცობრიობის წინაშეა ვალდებული, გადარჩენისთვის იბრძოლოს.

პუბლიკაცია მოამზადა ხათუნა ცხადაძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიერ პაოლო პაზოლინი

მე ვიცი

„კორიერე დელა სერა“, 1974 წლის 14 ნოემბერი



მე ვიცი მათი სახელები, ვინც პასუხისმგებელია სახელმწიფო გადატრიალებაზე (თუმცა სინამდვილეში ეს „სახელმწიფო გადატრიალებათა“ მთელი სერიაა, რომელიც ხელისუფლების დაცვის ერთგვარ სისტემადაც კი ჩამოყალიბდა).

მე ვიცი, ვისი ნახელავია 1969 წლის 12 დეკემბრის აფეთქება მილანში.

მე ვიცი 1974 წლის დასაწყისში ბრეშასა და ბოლონიაში მომხდარი ტერაქტების ავტორთა სახელები.

მე ვიცი მათი სახელები, ვინც ამ ყველაფერს მართავდა. ყველას სახელი ვიცი: ძველი ფაშისტების, სახელმწიფო გადატრიალების სულისჩამდგმელების, პირველი ტერაქტების მომწყობი ნეო-ფაშისტებისაც და ბოლოდროინდელი აფეთქებების ფიზიკური შემსრულებლებისაც.

მე ვიცი მათი სახელები, ვინც დაძაბულობის ორ განსხვავებულ, უფრო სწორად, ურთიერთდაპირისპირებულ ფაზას მართავდა: ანტიკომუნისტურს (მილანი, 1969) და ანტიფაშისტურს (ბრეშა და ბოლონია, 1974).

მე ვიცი მათი სახელები, ვისაც ძალაუფლების სადავეები უჭირავს, ვინც, ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ხელშეწყობით (შემდეგ კი მაფიოზი ბერძენი პოლკოვნიკების დახმარებით) ჯერ ანტიკომუნისტური ჯვაროსნული ლაშქრობა წამოიწყო (რომელშიც სამარცხვინოდ დამარცხდა) 1968 წლის ტალღის შესაკავებლად, შემდეგ კი, კვლავ ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს შთაგონებითა და შემწეობით, ანტიფაშისტური უმანკოება აღიდგინა, რომ როგორმე დაეხშო რეფერენდუმზე *(იგულისხმება 1974 წლის 12 მაისის ცნობილი რეფერენდუმი, რომელიც ქრისტიან-დემოკრატებისა და მემარჯვენე ძალების ოთხწლიანი მცდელობის შემდეგ ჩატარდა 1970 წელს მიღებული „განქორწინების კანონის“ გაუქმების მიზნით. რეფერენდუმი ჩავარდა: იტალიის მოსახლეობამ უარი განაცხადა კანონის გაუქმებაზე. – მთარგმ. შენ.)* მომხდარი კატასტროფა.

მე ვიცი მათი სახელები, ვინც წირვასა და წირვას შორის სახელდახელოდ გამომცხვარი განკარგულებებით პრაქტიკულად უზრუნველყოფდა ძველი გენერლების პოლიტიკურ უსაფრთხოებას (ისე, ყოველი შემთხვევისთვის, სათადარიგოდ, პოტენციური სახელმწიფო გადატრიალების საყრდენი ბირთვის შესანარჩუნებლად); ვინც ხელს აფარებდა ახალგაზრდა ნეოფაშისტებს, უფრო სწორად, ნეონაცისტებს (ანტიკომუნისტური დაძაბულობის შესაქმნელად კონკრეტულ მომენტში) და ბოლოს, ვინც მფარველობდა ჩვეულებრივ, უსახელო კრიმინალებს, ვინც დღესაც იცავს მათ და ალბათ მუდამ დაიცავს (ანტიფაშისტური დაძაბულობის შესაქმნელად მომავალში). მე ვიცი მნიშვნელოვანი ადამიანების სახელები, რომლებიც ისეთ უსუსურ, კომიკურ ტიპებს ეფარებიან, როგორიც სატყეო პოლიციის გენერალი იყო, ოპერეტის პერსონაჟივით რომ ფაციფუცობდა ჩიტადუკალეში (მაშინ, როცა იტალიის ტყეებს ცეცხლი ეკიდა), ან ისეთ უსახურ, არაფრისმთქმელ, წმინდად ადმინისტრაციული ფუნქციის მქონე ტიპებს, როგორიცაა გენერალი მიჩელი.

მე ვიცი იმ მნიშვნელოვანი ადამიანების სახელები, ტრაგიკული ახალგაზრდების ზურგს რომ ეფარებოდნენ, ნორჩ გოგო-ბიჭებს, რომლებმაც შემზარავი ფაშისტური თვითმკვლელობა არჩიეს სიცოცხლეს; ვიცი, ვინც იმალება ჩვეულებრივი კრიმინალების, სიცილიელებისა თუ სხვების უკან, წვრილფეხა ავაზაკების, დაქირავებული მკვლელების უკან.

ყველას ვინაობა ვიცი, ვიცი მათი სა-

ხელები, ვიცი ფაქტები (თავდასხმებსა და ტერორისტულ აქტებზე), რომლებშიც მათ მიუძღვით ბრალი.

ვიცი. მაგრამ ვერ ვამტკიცებ. სამხილებიც კი არ მაქვს.

ვიცი, რადგან ინტელექტუალი ვარ, მწერალი, რომელიც ცდილობს, თვალი ადევნოს ყველაფერს, რაც მის ირგვლივ ხდება, იცოდეს ყველაფერი, რაზეც წერს, წარმოიდგინოს ის, რაც საზოგადოებისთვის უცნობია, რაზეც არავინ ლაპარაკობს; ინტელექტუალი, რომელიც ცდილობს, ძველი მოვლენები დაუკავშიროს ერთმანეთს, დაფანტული, დაქუცმაცებული ფაქტებით შეაკოწიწოს ერთიანი და თანმიმდევრული პოლიტიკური სურათი; ლოგიკა შეეტანოს იქ, სადაც ბუნდოვანება, სიგიჟე, გაუგებრობა გამეფებულა.

ეს ყველაფერი ჩემი ხელობის, ჩემი პროფესიული ინსტინქტის ნაწილია. და არა მგონია, ვცდებოდე. არა მგონია, ჩემი მოსაზრებები „რომანის სიუჟეტი" იყოს და მეტი არაფერი, არა მგონია, შორს იყოს რეალობისგან. არ მგონია, ჩემი ეჭვები კონკრეტულ ფაქტებსა და ადამიანებზე უსაფუძვლო იყოს. მჯერა, რომ ბევრმა სხვა ინტელექტუალმა და მწერალმაც იცის ის, რაც მე ვიცი, როგორც ინტელექტუალმა და მწერალმა. არც ისეთი რთულია სიმართლის დადგენა იმაზე, რაც 1968 წლის შემდეგ მოხდა იტალიაში.

ეს სიმართლე მხოლოდ წარმოსახვასა და ფიქციაში როდი აისახება, ისეთში, როგორიც ჩემი პროფესიაა: ეს სიმართლე – და ეს აბსოლუტური სიზუსტით იგრძნობა – კონკრეტულ პოლიტიკურ და ჟურნალისტურ ქმედებებში ირეკლება. უკანასკნელი მაგალითი: ცხადია, რომ სიმართლე უნდა თქმულიყო *კორიერე დელა სერას* რედაქტორის სვეტში 1974 წლის 1 ნოემბერს. იქნებ ჟურნალისტებსა და პოლიტიკოსებს მაინც ჰქონდეთ მტკიცებულებები. თუ მტკიცებულებები არა – სამხილები მაინც.

პრობლემა ისაა, რომ ჟურნალისტები და პოლიტიკოსები, მიუხედავად იმისა, რომ მტკიცებულებებს და სამხილებს ალბათ, ალბათ კი არა, უეჭველად, ფლობენ, დამნაშავეებს არ ასახელებენ.

მაშ, ვისი მოვალეობაა სახელების თქმა? ალბათ მისი, ვისაც გამბედაობაც ჰყოფნის და არც ხელისუფლებასთან ალიანსით გაუსვრია საკუთარი თავი, ვინც სუფთაა და თან დასაკარგიც არაფერი აქვს: ინტელექტუალის.

ინტელექტუალს თავისუფლად შეუძლია დამნაშავეთა დასახელება, მაგრამ მას არც მტკიცებულებები გააჩნია და არც სამხილები.

ხელისუფლებამ, მისმა მოკავშირეებმა და მათაც კი, ვინც უშუალოდ არ ზის ხელისუფლებაში, თავისუფალ ინტელექტუალს არანაირი საშუალება არ მისცეს, რომ მტკიცებულებები და სამხილები ჰქონოდა.

შეიძლება ვინმე შემედავოს, მითხრას, რომ როგორც ინტელექტუალსა და მწერალს, მეც შემეძლო, შემეღწია პოლიტიკის სამყაროში (ხელისუფლებაში, ან ხელისუფლებასთან დაახლოებულ წრეებში), გავრეულიყავი მასში და ასე მომეპოვებინა საკუთარი უფლება (ალბათ ამის დიდი შანსიც მექნებოდა), მეც მქონოდა მტკიცებულებები და სამხილები.

ვუპასუხებდი, რომ ეს სრულიად შეუძლებელია, რადგან სწორედ ეს – რომ პოლიტიკის სამყაროში გარევაა ჩემთვის მიუღებელი – მაძლევს პოტენციურ ინტელექტუალურ გამბედაობას, სიმართლე ვთქვა, ანუ დამნაშავეები დავასახელო.

ინტელექტუალური გამბედაობა და პოლიტიკური საქმიანობა იტალიაში ერთმანეთთან სრულიად შეუთავსებელი ცნებებია.

ჩვენში ინტელექტუალს – რომელიც სულით ხორცამდე სძულს მთელ იტალიურ ბურჟუაზიას – ძალად აწებებენ ვითომ ამაღლებულ და კეთილშობილ, სინამდვილეში კი დამამცირებელ მოვალეობას: ილაპარაკოს მხოლოდ მორალურ და იდეოლოგიურ პრობლემებზე.

და თუ ის ამ ფუნქციას გაემიჯნება, საკუთარი მოვალეობის ღალატს აბრალებენ: მაშინვე აყვირდებიან (თითქოს სწორედ ამას ელოდნენ) „მრწამსის ღალატზე". პოლიტიკოსებსა და ხელისუფალთ ხომ მეტიც არ უნდათ.

მაგრამ არსებობს არა მხოლოდ ხელი-

მაშ, ვისი მოვალეობაა სახელების თქმა? ალბათ მისი, ვისაც გამბედაობაც ჰყოფნის და არც ხელისუფლებასთან ალიანსით გაუსვრია საკუთარი თავი, ვინც სუფთაა და თან დასაკარგიც არაფერი აქვს: ინტელექტუალის.

tro di potere contro un altro centro di potere. Cos`ì che
difficile stabilire se le leggi fossero vecchi armai cultura

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუფლება: არსებობს ხელისუფლების ოპოზიციაც. იტალიაში ეს ოპოზიცია იმდენად მრავალრიცხოვანი და ძლიერია, რომ თავადაც სერიოზულ ძალას წარმოადგენს: ცხადია, იტალიის კომუნისტურ პარტიას ვგულისხმობ. რა თქმა უნდა, დღეს ოპოზიციაში ასეთი მასშტაბის პარტიის არსებობა იტალიისა და მისი უსუსური დემოკრატიული ინსტიტუტების ხსნაა.

იტალიის კომუნისტური პარტია სუფთა ადგილია ბინძურ სამყაროში, პატიოსანი – უნამუსოში, გონიერი – რეგვენებში, განათლებული – უბირთა შორის, ჰუმანისტური სივრცე კონსუმერიზმის მორევში. ამ ბოლო წლებში იტალიის კომუნისტურ პარტიას (ვგულისხმობ „მმართველების, უბრალო წევრებისა და ამომრჩევლების კომპაქტურ ერთიანობას") და დანარჩენ იტალიას შორის ერთგვარი ორმხრივი ურთიერთობა დამყარდა. იტალიური კომუნისტური პარტია მართლა იზოლირებულ ქვეყნად, კუნძულად იქცა და სწორედ ამიტომ მას დღეს (ისე, როგორც არასდროს აქამდე) შეუძლია, მჭიდრო კავშირი ჰქონდეს რეალურ ხელისუფლებასთან: კორუმპირებულთან, გახრწნილთან, დეგრადირებულთან. ეს ორ ქვეყანას შორის დიპლომატიურ ურთიერთობას უფრო ჰგავს. სინამდვილეში ეს ორი მორალი სრულიად შეუთავსებელია ერთმანეთთან, ზოგადადაც და კონკრეტულ გამოვლინებებშიც. სწორედ ამ საძირკველზე შეიძლება იმ რეალური „კომპრომისის" წარმოდგენა, რომელიც ალბათ სრული გახრწნისაგან იხსნიდა იტალიას: „კომპრომისი", რომელიც სინამდვილეში ორი მოსაზღვრე ქვეყნის „მოკავშირეობა" იქნებოდა; უფრო სწორად, ორი ქვეყნისა, რომელთაგან ერთი მეორეში მდებარეობს.

მაგრამ რაც კომუნისტურ პარტიაზე დადებითი ვთქვი, სწორედ ისაა მისი უარყოფითი მხარეც. ქვეყნის ორ ქვეყნად გახლეჩა, რომელთაგან ერთი კისრამდე ჩაფლულია ხრწნასა და დეგრადაციაში, მეორე კი სუფთაა და არაკომპრომეტირებული, მშვიდობისა და კონსტრუქციულობის საწინდარი ვერ იქნება. გარდა ამისა, ისეთ სივრცეში, როგორიც მე აღვწერე (ვფიქრობ, ობიექტურად), ქვეყანა ქვეყანაში, ოპოზიციაც ძალაუფლებასთან იდენტიფიცირდება,სხვაგვართან, მაგრამ მაინც ძალაუფლებასთან. შესაბამისად, ამგვარი ოპოზიციის პოლიტიკური ფიგურებიც ისევე იქცევიან, როგორც ხელისუფლებაში მყოფი ადამიანები. სხვაგვარად შეუძლებელიცაა.

დღეს უკვე (და ეს უაღრესად დრამატულად ეხება თითოეულ ჩვენგანს) მათაც მიაკრეს ინტელექტუალის მათ მიერვე შეთითხნილი ფუნქცია და დანიშნულება. და თუ ინტელექტუალი ამ როლს – წმინდად მორალურსა და იდეოლოგიურს – არ შეასრულებს, აი ისიც (და ყველა რა ბედნიერია, როცა ამ სიტყვას ყვირის): მოღალატე!

რატომ ხდება, რომ ოპოზიციის პოლიტიკური ფიგურები, თუ მათ აქვთ – და ალბათ აქვთ – მტკიცებულებები, ან სამხილები მაინც, არ ასახელებენ ნამდვილ დამნაშავეებს, ანუ პოლიტიკოსებს, სახელმწიფო გადატრიალებისა და ბოლო წლების შემზარავი ტერაქტების მომწყობებს? პასუხი მარტივია: ისინი იმიტომ არ ამბობენ სახელებს, რომ მიჯნავენ – ინტელექტუალისგან განსხვავებით – პოლიტიკურ სიმართლეს პოლიტიკური ქმედებებისგან. და, მაშასადამე, ცხადია, ისინიც არასოდეს ჩაუგდებენ ხელთ მტკიცებულებებსა და სამხილებს ინტელექტუალს, რომელიც ხელისუფლების სამსახურში არ დგას: არც კი გაივლებენ ამას გონებაში, და ეს ჩვეულებრივი ამბავია, თუ კონკრეტულ ობიექტურ სიტუაციას გავითვალისწინებთ.

ინტელექტუალმა უნდა განაგრძოს დაკისრებული მოვალეობის შესრულება და საკუთარი, კოდიფიცირებული საშუალებებით იმოქმედოს.

კარგად ვიცი, ახლა იმის დრო არაა – ახლა, როცა იტალიის ისტორიაში სრულიად განსაკუთრებული მომენტი დგას – საჯაროდ გამოვუცხადო უნდობლობა იტალიის მთელ პოლიტიკურ კლასს. არც დიპლომატიური იქნება და არც მართებული. დიახ, დიპლომატიურობა და მართებულობა: უძლური ინტელექტუალი იძულებულია, სწორედ პოლიტიკის ამ კატეგორიებს ემსახუროს და არა – პოლიტიკურ სიმართლეს.

და ვინაიდან დამნაშავეთა დასახელება არ შემიძლია, ვერ ვამბობ მათ სახელებს, ვისაც ბრალი მიუძღვის სახელმწიფო გადატრიალების მცდელობასა და ტერორისტულ აქტებში (სწორედ **ამიტომ** და არა **ამის სანაცვლოდ**) არ შემიძლია, საჯაროდ გამოვუცხადო ჩემი უსუსური, მაგრამ სრული უნდობლობა იტალიის მთელ პოლიტიკურ კლასს, საჯაროდ დავდო მას ბრალი.

იმიტომ, რომ მე მწამს პოლიტიკის, მწამს დემოკრატიის ზოგადი პრინციპების, მწამს პარლამენტის, მწამს პარტიების. ცხადია, ჩემებურ, განსხვავებულ ჭრილში, რომელიც არსებითად კომუნისტურია.

მზად ვარ, უკან წავიღო საკუთარი ბრალდება (მეტსაც გეტყვით, ერთი სული მაქვს, როდის გავაკეთებ ამას), თუკი ერთი პოლიტიკოსი მაინც – არა იმიტომ, რომ „საჭიროა", ანუ „ამის დრო დადგა", არამედ იმიტომ, რომ გადაწყვეტს, თავად შექმნას ასეთი შანსი – ხმამაღლა წარმოთქვამს სახელმწიფო გადატრიალების მცდელობასა და ტერაქტებში დამნაშავეთა სახელებს, რომლებიც უეჭველად იცის, ისევე, როგორც მე; მაგრამ მას ხომ, ჩემგან განსხვავებით, შეუძლებელია, არ ჰქონდეს მტკიცებულებები, ან სამხილები მაინც.

შესაძლებელია – თუ ამერიკა დაუშვებს ამას და ერთ მშვენიერ დღეს „დიპლომატიურად" გადაწყვეტს, სხვა დემოკრატიებსაც მისცეს იმის უფლება, რისი უფლებაც ამერიკულმა დემოკრატიამ მისცა საკუთარ თავს ნიქსონთან დაკავშირებით – ადრე თუ გვიან მაინც ითქვას დამნაშავეთა სახელები. და მაშინ გამოჩნდება, რომ ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც ხელისუფლებასთან იყოფდა ძალაუფლების ბერკეტებს: ნაკლებად დამნაშავეები მეტად დამნაშავეებთან (და ისინი არაფრით იქნებიან მათ მიერ დასახელებულ დამნაშავეებზე უკეთესები). აი, ეს კი საბოლოო, ნამდვილი სახელმწიფო გადატრიალება იქნება.

იტალო კალვინო

იგავი პატიოსნებაზე გახრწნილთა ქვეყანაში



> მათი ნუგეში იყო, ეფიქრათ, რომ საუკუნეების მანძილზე, მუდამ, ყველა საზოგადოებასთან თანაარსებობდა ქურდბაცაცების, ავაზაკების, ნაძირლების მარგინალი კონტრსაზოგადოება, რომელსაც არასოდეს ჰქონია სურვილი, საზოგადოებად ქცეულიყო

იყო ერთი, უკანონობაზე დამყარებული ქვეყანა. განა კანონები აკლდა, არა. პოლიტიკური სისტემაც ისეთ პრინციპებს ეფუძნებოდა, რომელთაც, მეტ-ნაკლებად, ყველა იზიარებდა. მაგრამ ძალაუფლების ცენტრებისგან შემდგარ ამ სისტემას საარსებოდ დიდძალი ფული სჭირდებოდა (დიახ, სჭირდებოდა, რადგან დიდი ფულის განკარგვას ნაჩვევს ცხოვრება სხვაგვარად ვეღარ წარმოუდგენია), ამ ფულის შოვნა კი მხოლოდ უკანონოდ შეიძლებოდა. ანუ საჭირო იყო ფულის თხოვნა მისთვის, ვისაც ფული ჰქონდა, პასუხად კი უკანონო სამსახურის შეთავაზება. მას, ვინც რაღაც-რაღაცების საფასურად ფულს იძლეოდა, ეს ფული ადრე მიღებული უკანონო შეღავათებით ჰქონდა ნაკეთები, და ასე შემდეგ. მოკლედ, ამ ქვეყანაში ერთგვარი წრიული და სავსებით ჰარმონიული ეკონომიკური სისტემა მუშაობდა. ერთიმეორის უკანონოდ დაფინანსების გამო ძალაუფლების ცენტრებს დანაშაულის გრძნობა სულაც არ აწუხებდათ, რადგან ერთგვარი „შიდა“ მორალის თანახმად ის, რაც ჯგუფის ინტერესებისთვის კეთდებოდა, კანონიერი, უფრო მეტიც, მართებული იყო: და ვინაიდან თითოეული ჯგუფი საკუთარ ძალაუფლებას საერთო კეთილდღეობასთან აიგივებდა, ფორმალური უკანონობა სულაც არ გამორიცხავდა ერთგვარ უზენაეს, არსებით კანონიერებას. კოლექტიური ერთეულების სასარგებლოდ განხორციელებული თითოეული უკანონო ფულადი ოპერაციიდან, როგორც წესი, გარკვეული წილი ცალკეული ინდივიდების ხელში რჩებოდა, როგორც დამსახურებული ანაზღაურება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისთვის: საქმის გაჩარხვის, შუამავლობისთვის და ა.შ. ამრიგად, ჯგუფის შიდა მორალით დაშვებულ უკანონობას უკანონობათა მთელი ასხმა ებმოდა. კერძო პირი, რომელიც კოლექტიური ქრთამიდან თავის ინდივიდუალურ წილს იჯიბავდა, დარწმუნებული იყო, რომ კოლექტიური ანგარიშის სასარგებლოდ მოქმედებდა, ანუ საკუთარ ქცევას გულწრფელად მიიჩნევდა არა მხოლოდ კანონიერად, არამედ — მართებულადაც.

ამ ქვეყანას ჰქონდა მდიდარი ბიუჯეტი, რომელიც ყოველგვარი კანონიერი საქმიანობიდან ამოღებული გადასახადებით საზრდოობდა და კანონიერად აფინანსებდა ყველას, ვინც, კანონიერად თუ უკანონოდ, მოახერხებდა, ბიუჯეტიდან თავი დაეფინანსებინა. ამ ქვეყანაში გაკოტრება არავის უნდოდა, გაკოტრება კი არა, კაპიკის გაღებაც არ სურდათ საკუთარი ჯიბიდან (და გაუგებარიც იყო, რისი სახელით უნდა მოეთხოვა ვინმეს ვინმესთვის, საკუთარი ჯიბიდან გაეღო რამე) და ამიტომ საჯარო ფული აუცილებელი იყო, რომ კანონიერად შევსებულიყო ჯგუფური კეთილდღეობის სახელით აღსრულებული უკანონო ქმედებების შედეგად შექმნილი დანაკლისები. გადასახადების ამოღების პროცესი, რომელიც სხვა ეპოქებსა და ცივილიზაციებში სამოქალაქო ვალდებულებით იქნებოდა გამართლებული, ამ ქვეყანაში თავის პირვანდელ, წმინდა სუბსტანციას დაბრუნებოდა, ძალისმიერი ქმედებისა (ზოგან სახელმწიფო ბეგარას განგსტერული და მაფიოზური დაჯგუფებებისთვის გადასახდელი ხარკიც ემატებოდა), რომელსაც გადასახადის გადამხდელი ვერსად გაექცეოდა, თუ სურდა, უარესი უბედურება აეცილებინა თავიდან. მაგრამ წესიერი გადამხდელი მშვიდი სინდისით მოგვრილ შვებას როდი განიცდიდა: მას უსიამოვნო შეგრძნება ღრღნიდა, რადგან გრძნობდა, რომ პასიურად მონაწილეობდა საჯარო სახსრების ცუდ განკარგვაში და უკანონობის ხელშემწყობად მიაჩნდა თავი, იმ

otere. Cos`ì che era difficile stabilire se le leggi fossero
bili ormai soltanto come armi tattiche e strategiche nella

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანონო საქმიანობების თანამონაწილედ, რომლებიც, როგორც წესი, საერთოდ არ იბეგრებოდა.

ხანდახან, მაშინ, როცა ადამიანი ყველაზე ნაკლებად ელოდა ამას, რომელიღაც სასამართლო რომელიღაც კანონის გამოყენებას გადაწყვეტდა და პატარ-პატარა რყევებს გამოიწვევდა ძალაუფლების რომელიმე ცენტრში; ამას ზოგიერთი ისეთი ინდივიდის დაპატიმრებაც მოჰყვებოდა ხოლმე, რომელსაც იქამდე ყველა მიზეზი ჰქონდა საიმისოდ, რომ დაუსჯელი ჰგონებოდა საკუთარი თავი. ასეთ შემთხვევებშიც, მოსახლეობაში დომინანტური გრძნობა იყო არა კმაყოფილება (სამართალმა გაიმარჯვა...), არამედ ეჭვი, რომ ეს სამართლის ზეიმი კი არა, რაღაც ანგარიშსწორების მაგვარი იყო ძალაუფლების სხვადასხვა ცენტრებს შორის. მოკლედ, რთული გასარკვევი იყო, კანონის გამოყენება უკვე მხოლოდ ტაქტიკური და სტრატეგიული იარაღის სახით შეიძლებოდა უკანონო ინტერესების შიდა ბრძოლებში თუ სასამართლოებს თავიანთი ინსტიტუციური მოვალეობის ლეგიტიმაციისთვის სჭირდებოდათ იმ აზრის განმტკიცება, რომ ისინიც ძალაუფლებისა და უკანონო ინტერესების ცენტრებს წარმოადგენდნენ.

ბუნებრივია, იგივე ხდებოდა ტრადიციულ დანაშაულებრივ სამყაროშიც, რომელიც ადამიანების გატაცებითა თუ ბანკების ძარცვით (ან, თუნდაც, ჯიბის ქურდობით) არაპროგნიზირებადი ელემენტის სახით ჰარმონიულად ეწერებოდა მილიარდების კარუსელში და მისი სვლის დევიაციას ახდენდა სხვადასხვა, ფარული მიმართულებებით; მერე კი, სადმე, ოდესმე, აუცილებლად ამოტივტივდებოდა ხოლმე კანონიერი თუ უკანონო ფულის ათასნაირი, სრულიად მოულოდნელი ფორმებით.

სისტემისადმი დაპირისპირებით საქმეს იკეთებდნენ ტერორისტული ორგანიზაციები, რომლებიც დაფინანსების იმავე მეთოდებს იყენებდნენ, რომლებსაც ტრადიციული კანონგარეშე სამყარო და კარგად გათვლილი, მოქალაქეთა ყველა კატეგორიაზე თანაბრად გადანაწილებული მკვლელობებით (ცნობილი პიროვნებები, კრიმინალური წარსულის მქონე სუბიექტები) თავს სისტემის ერთადერთ გლობალურ ალტერნატივად წარმოაჩენდნენ. სინამდვილეში კი ტერორისტული ორგანიზაციები მხოლოდ აძლიერებდნენ სისტემას, იმდენად ამყარებდნენ მას, რომ თავად ხდებოდნენ სისტემის განუყოფელი ნაწილი და არწმუნებდნენ მას, რომ სწორედ ის იყო საუკეთესო შესაძლებელი სისტემა და რომ ის არანაირად არ უნდა შეცვლილიყო.

ასე მტკიცდებოდა და ფესვს იდგამდა სისტემაში უკანონობის ყოველგვარი ფორმა, ყველაზე ფარული თუ ყველაზე აღვირახსნილი; სისტემაში, რომელიც თავისებურად სტაბილური, შეკრული, თანმიმდევრული იყო, რომელშიც უამრავი ადამიანი ნახულობდა საკუთარ პრაქტიკულ სარგებელს ისე, რომ არ კარგავდა მშვიდი ძილისთვის აუცილებელ მორალურ კომფორტს. მოკლედ, შეიძლებოდა გვეთქვა, რომ იმ ქვეყნის მცხოვრებლები ერთნაირად ბედნიერები იყვნენ, რომ არა მოქალაქეთა კიდევ ერთი და საკმაოდ მრავალრიცხოვანი კატეგორია, რომელთა როლიც ვერავის განესაზღვრა: პატიოსანი ადამიანები.

ისინი პატიოსნები იყვნენ არა რამე განსაკუთრებული მიზეზის გამო (ისინი არანაირ დიად პრინციპებს არ ემსახურებოდნენ, არც პატრიოტულს, არც სოციალურს და არც რელიგიურს), არამედ უბრალოდ მენტალური ჩვევით, ხასიათის წყობით, გნებავთ, ნერვული ტიკებით. მოკლედ, ვერაფერს გააწყობდნენ, ასეთები იყვნენ და ის, რაც მათ უყვარდათ, პირდაპირ ვერაფრით აისახებოდა ფულად ერთეულში. ვერაფერს გააწყობდნენ იმასთან, რომ მათი გონება იმ მოძველებული მექანიზმით მუშაობდა, რომელიც თავისთავად უკავშირებს შრომას შემოსავალს, პატივისცემას — დამსახურებას, საკუთარ კმაყოფილებას — სხვა ადამიანების კმაყოფილებას. იქ, იმ ადამიანების ქვეყანაში, სადაც ყველა მშვიდი სინდისით ცხოვრობდა, ისინი მუდამ საკუთარ სინდისში ჩხრეკით იტანჯებოდნენ და თავს იმტვრევდნენ იმაზე ფიქრით, რისი გაკეთება შეეძლოთ. იცოდნენ, რომ სხვისთვის მორალის კითხვა, აღშფოთება, კეთილშობილების ქადაგება (გულწრფელი თუ ყალბი) ადვილად მოაპოვებინებდათ სხვათა მოწონებასა და მხარდაჭერას, მაგრამ მათ ძალაუფლება იმდენად არ იზიდავდათ, რომ მასზე ეოცნებათ (ყოველ შემთხვევაში, ის ძალაუფლება, რაზეც სხვები ოცნებობდნენ); არც თავს იტყუებდნენ, რომ სხვა ქვეყნებსაც იგივე სენი არ ხრავდა, თუმცა ზოგან უფრო ფარულად; უკეთესი საზოგადოებისა აღარ სჯეროდათ, რადგან იცოდნენ, რომ უარესი ყოველთვის უფრო შესაძლებელი და უფრო ადვილად მოსალოდნელია.

გადაშენებას უნდა შეგუებოდნენ? არა, მათი ნუგეში იყო, ეფიქრათ, რომ საუკუნეების მანძილზე, მუდამ, ყველა საზოგადოებასთან თანაარსებობდა ქურდბაცაცების, ავაზაკების, ნაძირლების მარგინალი კონტრსაზოგადოება, რომელსაც არასოდეს ჰქონია სურვილი, საზოგადოებად ქცეულიყო, რომელიც დომინანტი საზოგადოების ნაოჭებში ცხოვრებით კმაყოფილდებოდა და ცდილობდა, საკუთარი არსებობა შეენარჩუნებინა საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების საწინააღმდეგოდ და თავი თავისუფლად, ცოცხლად წარმოეჩინა (და ახერხებდა კიდეც, სანამ კარგად არ დააკვირდებოდი); იქნებ ასევე მოეხერხებინა წესიერი ადამიანების კონტრსაზოგადოებას, საუკუნეებისთვის გაეძლო, არსებული დომინანტური საზოგადოების კიდეზე ეარსება უჩუმრად, ყოველგვარი პრეტენზიის გარეშე და მხოლოდ საკუთარ განსხვავებულობას გაფრთხილებოდა, გამიჯვნოდა ყოველივეს, რაც ირგვლივ ხდებოდა; ასე, შეიძლება, ოდესმე გაიგივებულიყო კიდეც რაღაც არსებითთან ადამიანთა უმრავლესობისთვის, რაღაც ისეთთან, რისი გადმოცემაც სიტყვებით უკვე შეუძლებელია, რაც ჯერ არ თქმულა და რაც ჯერ კიდევ არ ვიცით, რა არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

MANGO.COM
თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №16 პეკინის გამზ. №19
TBILISI, 16 CHAVCHAVADZE AVE. 19 PEKINI AVE.

MANGO

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გადარჩენილი სპეროუ

ტონია და მარვინ მორისები მისურის შტატის ერთ-ერთ სოფელში ცხოვრობდნენ. ეზოში საცურაო აუზი ჰქონდათ, სადაც მათი ხუთი შვილი ხშირად თამაშობდა ხოლმე. ერთხელ 2 წლის სპეროუს სარწყავისთვის აუზიდან წყლის ამოღება მოუნდა, ბავშვს ფეხი დაუცდა, აუზში ჩავარდა და გონება დაკარგა. შეშინებულმა ბავშვებმა მშობლებს დაუძახეს. ტონიამ ნაბოლარა გოგონა წყლიდან უგონო მდგომარეობაში ამოიყვანა. ბავშვი მთლიანად გალურჯებული იყო, აღარც პულსი ესინჯებოდა და აღარც სუნთქავდა. დედა სასწაფო დახმარების ბრიგადის მოსვლამდე შვილს ხელოვნურ სუნთქვას უტარებდა. ადგილზე მოსული ექიმები რეანიმაციულ ღონისძიებებს 47 წუთის განმავლობაში ატარებდნენ, ბავშვი გონს ვერ მოდიოდა, ამიტომ სასწრაფოდ უახლოეს საავადმყოფოში გადააფრინეს.

სპეროუს უუანგბადობის გამო ტვინი ძალიან დაუზიანდა. თავდაპირველად ექიმები ფიქრობდნენ, რომ ის უმძიმესი მდგომარეობიდან ვერ გამოვიდოდა და მშობლებს მისი გადარჩენის იმედს არ აძლევდნენ, თუმცა, საბედნიეროდ, პატარა გადარჩა. ბავშვი სახლში გაწერეს, მაგრამ მის გამოჯანმრთელებამდე ჯერ კიდევ შორი იყო: სპეროუს წამოჯდომა არ შეეძლო, საკვების მისაღებად ზონდი ესაჭიროებოდა. ექიმებმა პატარას რეაბილიტაციის კურსები დაუნიშნეს, რომელიც დღეში რამდენჯერმე უტარდებოდა, თუმცა ერთი წლის შემდეგაც ბავშვის მდგომარეობა მხოლოდ უმნიშვნელოდ გაუმჯობესდა.

ამ დროს ტონიასა და მარვინს გაახენდათ, რომ მათ სპეროუს ჭიპლარის სისხლის უჯრედები ჰქონდათ შენახული. ამ შესაძლებლობის შესახებ მათ მაშინ გაიგეს, როცა გოგონას დაბადებას ელოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ჯანმრთელი შვილები ჰყავდათ, უჯრედების შენახვა მაინც გადაწყვიტეს: ხომ შეიძლებოდა ისინი რომელიმე ბავშვს მომავალში დასჭირვებოდა და შეინახეს კიდეც.

სპეციალისტებისთვის ეს ფაქტი სასიამოვნო სიურპრიზი აღმოჩნდა. მშობლებს სასწრაფოდ აცნობეს, რომ ბავშვის ჯანმრთელობაზე ჭიპლარის ღეროვან უჯრედებს უაღრესად პოზიტიური გავლენის მოხდენა შეეძლო. სპეროუ სასწრაფოდ ჩრდილოეთ კაროლინაში, დიუკის უნივერსიტეტში გადაიყვანეს და უბედური შემთხვევიდან 13 თვის შემდეგ საკუთარი ჭიპლარის სისხლის ღეროვანი უჯრედები გადაუსხეს.

მედიკოსებმა ოპერაციიდან მომდევნო რამდენიმე დღის განმავლობაში დაუჯერებელი შედეგები მიიღეს: ბავშვმა ლაპარაკი დაიწყო, სახეზე ღიმილი ისევ დაუბრუნდა, თამაშობდა, მერე კი სიარულიც შეძლო. ყველაფერი ელვის უსწრაფესად განვითარდა. თუ გამოჯანმრთელება ტრანსპლანტაციამდე თითქმის შეუმჩნეველი იყო, ოპერაციის შემდეგ პროცესი ყველა მიმართულებით პროგრესულად განვითარდა და ზოგიერთი პარამეტრით ბავშვი ასაკის ნორმას დაუბრუნდა.

ახლა ტრანსპლანტაციიდან უკვე 3 წელია გასული. სპეროუ 5 წლისაა. მას რეაბილიტაცია აღარ სჭირდება, უპრობლემოდ გადაადგილდება, სირბილი და ხტუნვა შეზღუდვის გარეშე შეუძლია. ბავშვი კარგად ხატავს, ხელსაქმეც ეხერხება, წერა-კითხვასაც ახლა იწყებს. მეტყველება ჯერ კიდევ უჭირს, მაგრამ წინადადებების წარმოთქმას ახერხებს.

„როდესაც ჭიპლარის სისხლს ვინახავდი, ცხადია, ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ჩემი შვილი ოდესმე ასეთი მძიმე განსაცდელში აღმოჩნდებოდა. მხოლოდ ჰიპოთეტურად, მომავალში გამოსაყენებლად, ყოველი შემთხვევისათვის შევინახეთ“, - ამბობს ტონია. ახლა კი ის და მისი ქმარი საკუთარი გადაწყვეტილებით ამაყობენ: მათ ხომ მხოლოდ ჭიპლარის სისხლის შენახვით შეძლეს შვილი უმძიმესი მდგომარეობიდან ეხსნათ და მისთვის სიცოცხლის ხალისი დაებრუნებინათ!

სადღეისოდ ჭიპლარის სისხლის ღეროვანმა ათასობით სიცოცხლე იხსნა, მრავალი პაციენტი სასიკვდილო დაავადებებისაგან განკურნა, ბევრს კი მძიმე მდგომარეობა მნიშვნელოვნად შეუმსუბუქა. ყოველწლიურად ფართოვდება იმ დაავადებების ჩამონათვალი, რომელთა სამკურნალოდ ჭიპლარის სისხლი გამოიყენება და ეს მხოლოდ დასაწყისია. ღეროვანი უჯრედების ფიზიოლოგიური როლი ორგანიზმის თვითგანახლებაში, ანუ რეგენერაციაში მდგომარეობს, ამიტომ, ბუნებრივია, ყველაზე ნორჩი, აღდგენის უდიდესი პოტენციალის მქონე ჭიპლარის სისხლის ღეროვანი უჯრედების გამოყენება აღდგენით ანუ რეგენერაციულ მედიცინაში სულ უფრო და უფრო წარმატებულია. მსოფლიოს კერძო ბანკებში შვილებს ჭილარის სისხლი, მათი ჯანმრთელი მომავლის უზრუნველსაყოფად, მილიონობით მშობელმა შეუნახა.

ავტორი ნინო ბერძენიშვილი

ილუსტრაცია: მაია სუმბაძე

ილუსტრატორები

ავტორი: სალომე აფხაზიშვილი
იდეის ავტორი: ქეთი ქანთარია
ფოტო: მაკა გოგალაძე

ილუსტრაცია ძალიან მნიშვნელოვანი თანამედროვე კულტურული მოვლენაა და მისი ე.წ. მეორადობა და ტექსტზე ბრმა დამოკიდებულება უკვე დიდი ხანია არააქტუალურ თემად იქცა. რა თქმა უნდა, ყველაზე მრავალფეროვანი დღეს საბავშვო ილუსტრაციებია, ასე იყო ყოველთვის და ახლაც, ალბათ ყველაზე მეტი ილუსტრატორი საბავშვო წიგნებზე მუშაობს, თუმცა აუცილებლად უნდა ვახსენოთ ის ილუსტრატორებიც, რომლებიც განსაკუთრებული ენერგიულობით უდგებიან თავიანთ საქმეს და ვისი წყალობითაც, ილუსტრირება თვითგამოხატვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან თანამედროვე ხერხად იქცა.

ჩვენი დღევანდელი სპეცპროექტი სწორედ თვითგამოხატვას ეძღვნება, ილუსტრატორების მე-ს, და ამ პროექტში სხვადასხვა თაობის ქართველი ილუსტრატორების მოსაზრებებსა და ნამუშევრებს გაეცნობით. საქართველოში წიგნის ილუსტრირების დიდი ტრადიცია არსებობს, უძველესი ხელნაწერი წიგნებიდან მოყოლებული – დღემდე, ჩვენი რუბრიკის ზოგიერთი პერსონაჟი ძალზე აქტიურად და ნაყოფიერად მუშაობს ტრადიციასთან, ზოგიერთი კი ამჯობინებს სრულიად ახალი გზებით იაროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევან ცუცქირიძე

მხატვარი, ილუსტრატორი

„ვეფხისტყაოსანი“, ვაჟა-ფშაველას პოემები, „შუშანიკის წამება“, „დათა თუთაშხია“, გალაკტიონ ტაბიძე და ქართული ლიტერატურის სხვა ილუსტრირებული გამოცემები 1960-80-იან წლებში სწორედ ლევან ცუცქირიძის სახელს უკავშირდება. „ვეფხისტყაოსანის“ გერმანულენოვანი თარგმანი, რომელიც 1960-იან წლებში გერმანიაში გამოიცა, სწორედ მის მიერაა დასურათებული. მხატვრის პირველი პერსონალური გამოფენა 1961 წელს, თბილისის ხელოვნების მუშაკთა სახლში მოეწყო, რის შემდეგაც მის შემოქმედებას მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში, მათ შორის – გერმანიაში, იაპონიაში, რუსეთსა და სომხეთშიც გაეცნენ. გრიგოლ ორბელიანის პოემა „სადღეგრძელოს“ გაფორმებისთვის, საბავშვო წიგნის საერთაშორისო კონკურსში, 1974 წელს მას ანდერსენის სახელობის დიპლომი გადასცეს. 2004-2005 წლებში ლევან ცუცქირიძის პერსონალურ გამოფენას თბილისის გოეთეს ინსტიტუტმა და საჯარო ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზმა უმასპინძლა.

ლიტერატურული ნაწარმოების გაფორმებაში, ლევან ცუცქირიძე ილუსტრატორს განსაკუთრებულ როლს ანიჭებს. შედარებისთვის მას „ვეფხისტყაოსანი“ მოჰყავს და ამბობს, რომ ამ პოემის შინაარსი სამ გვერდში შეგიძლია ჩაატიო, თუმცა არის მასში ის სპეციფიკა, რომელიც მხოლოდ ილუსტრატორს შეუძლია აღმოაჩინოს და გადმოსცეს. მისი თქმით, ილუსტრაცია ილუსტრატორის შინაგანი სამყაროდან გადმოსული ტექსტია, რომელიც თავისთავად იმეორებს ილუსტრატორის ხასიათს. შინაგანი ენერგიის მნიშვნელობასა და საკუთარ თავში ჩაღრმავებაზე საუბრობს უხუცესი ილუსტრატორი თავის დღიურებშიც:

„დიდი განცდა, დიდ ქმედებას იწვევს; მშვენიერი რომ განიცადო, ეს უნდა მოხდეს დიდი შინაგანი წვის შედეგად! ადამიანის ტრაგიკული სული, მისი აქ გაცხადება, მისი ჩაღრმავება საკუთარ ინტელექტში და აქედან გამომდინარე, უწყვეტი ჯაჭვი აზროვნებისა აღსრულებამდე, არის შედეგი მუდმივი ძიებისა იდეათა საუფლოში...“

სპეცპროექტი
ეროვნული
ბიბლიოთეკა



მამია მალაზონია

მხატვარი, ილუსტრატორი

მამია მალაზონიას ილუსტრაციებში მსოფლიო ლიტერატურის უნიკალურ ბიბლიოთეკას ამოიკითხავთ – სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“, იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამება“, „ვეფხისტყაოსანი“, უილიამ შექსპირი, ჰენრიკ იბსენი, გიიომ აპოლინერი, ეჟენ იონესკო, გოეთე, ვლადიმირ ნაბოკოვი, გოგოლი, მიხაილ ბულგაკოვი და ა.შ. ლიტერატურული შედევრების დასურათების გარდა, მისი შემოქმედებითი მოღვაწეობა ქართულ თეატრსა და კინოს უკავშირდება. საქართველოსა და უცხოეთში გაფორმებული აქვს 150-მდე მუსიკალური თუ დრამატული სპექტაკლი. დღეს ის საკუთარ გამოცდილებას თბილისის სახელმწიფო სამხატვარო აკადემიის სტუდენტებს უზიარებს.

ერთ ილუსტრაციაში მოთხრობილი მთელი სიუჟეტი და სიუჟეტის უმნიშვნელოვანეს დეტალებზე ხაზგასმა – მამია მალაზონიას ილუსტრაციებისთვის დამახასიათებელი აუცილებელი თვისებაა. ის ამბის განვითარებას ერთმანეთისგან დამოუკიდებელი კადრების საშუალებით წარმოგვიდგენს, რომელიც ერთი ამბის ნაწილია და ერთ ილუსტრაციაში ერთიანდება. მისი თქმით, ილუსტრაციაზე მუშაობა, სხვა მხატვრულ ნამუშევართან შედარებით, ილუსტრატორისგან განსაკუთრებულ დაკვირვებას მოითხოვს, რაშიც მხატვარი; პირველ რიგში ტექსტის დეტალურ გააზრებას და მასში მოცემული ფაქტებისა და ცნობების უზუსტეს გადმოცემას გულისხმობს. თვალსაჩინოებისთვის მას პოემა „ვეფხისტყაოსანი“ მოჰყავს:

„დაუშვებელია, ვეფხისტყაოსნის გმირებს ქართული კულტურის ნიშნები შესძინო. ტექსტში პირდაპირ წერია, რომ კონკრეტული ამბავი ხატაეთში, გულანშაროში, არაბეთში ვითარდება, საგარეჯოდან-სამტრედიაში კი არ მომხდარა, ჩვენს საზღვრებს გარეთ მოხდა“, – მამია მალაზონიას ამ სიტყვებიდან ნათლად ჩანს, რომ ის თავის ილუსტრაციებში არათუ საკუთარი თავის, არამედ ნაციონალური ნიშნების წარმოჩენასაც ერიდება. ამბობს, რომ მის ხასიათსა და პიროვნებაზე, ილუსტრირების მისეული ხელწერა მეტყველებს. მამია მალაზონიას ერთადერთი ილუსტრაცია, რომლის გმირიც თავადვე გახლავთ, „ვეფხისტყაოსნის“ საიუბილეო დასურათებულ გამოცემაშია და აქაც პოემის ის ადგილი მონიშნა, სადაც მხატვრის სამუშაო პროცესზეა საუბარი.



ეროვნული ბიბლიოთეკა



თამაზ ვარვარიძე

მხატვარი, დიზაინერი

თამაზ ვარვარიძის ნამუშევრებს დღეს ასობით წიგნის გარეკანზე შეხვდებით. თანამედროვე და კლასიკური ლიტერატურის ქართულენოვანი შედევრების გაცნობა სწორედ თამაზ ვარვარიძის დიზაინით შექმნილი გარეკანიდან იწყება. 1976 წლიდან, თამაზ ვარვარიძე მონაწილეობს ათობით საერთაშორისო, თუ ადგილობრივ გამოფენებში. 2002 წელს, წიგნის მე-4 საერთაშორისო ფესტივალზე მას გადაეცა პრიზი წიგნის საუკეთესო მხატვრული გაფორმებისთვის, 2001 წელს კი, რეკლამის კავკასიის საერთაშორისო ფესტივალის პრიოზიორი გახდა. მისი ნამუშევრები დაცულია თბილისის ეროვნულ გალერეაში, ზიმერლის ხელოვნების მუზეუმში (აშშ), კანაგავას თანამედროვე გრაფიკული ხელოვნების მუზეუმში (იაპონია) და მსოფლიოს კიდევ რამდენიმე ქვეყანაში. დღეს ის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში, გრფიკის კათედრას ხელმძღვანელობს და ამავე დროს არის გრაფიკული დიზაინის ასოციაციის პრეზიდენტი.

ილუსტრაციებში საკუთარი თავის წარმოჩენაზე საუბრისას, თამაზ ვარვარიძე სტალინისა და ლენინის ჩინურ პორტრეტებს იხსენებს, რომელთა ავტორებიც ამ ნამუშევრებში ისტორიული პირების გააზრებას ნაციონალურ ჭრილში გვთავაზობენ. მხატვარი დარწმუნებულია, რომ ილუსტრაციებზე მუშაობა საკუთარ თავთან და კულტურასთან მიმსგავსების ინსტინქტური პროცესია. თამაზ ვარვარიძე, როგორც წიგნის დიზაინერი, ამ იდეას შემოქმედებითი თავისუფლების კონტექსტში განიხილავს:

„ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი შემოქმედებითი თავისუფლებაა, ჩვეულებრივი მოვლენის ან ობიექტის სრულიად მოულოდნელი კუთხით წარმოჩენა, იდეაც, მაშინ ხდება სხარტი და ადამიანზე ზემოქმედებას ახდენს. ამიტომ პარადოქსული აზროვნება და არასტანდარტული ხედვა პირად თვისებად უნდა გადაიქცეს. ამ შემთხვევაში უფრო სრულად ხდება საკუთარი პოტენციალის გამოვლენა და ინდივიდუალური ხედვის, თუ მეთოდების რეალიზაცია. საუკეთესო სინთეზია, როდესაც ერთდროულად ხარ მხატვარიც და დიზაინერიც, განსაკუთრებით დღეს, როდესაც შემოქმედებითი თვალსაზრისით წიგნი გათავისუფლდა გარკვეული სტანდარტებისგან და შეიძინა ჭეშმარიტად დემოკრატიული უფლებები. და მაინც, დიზაინერი თითქმის ყოველთვის ასრულებს დაკვეთას და ამდენად დამოკიდებულია გამომცემელზე და ავტორზე, გამომცემელი თავის მხრივ დამოკიდებულია ბაზარზე, რომელიც ხშირად განსაზღვრავს მოთხოვნას, როგორც თემატურად, ასევე გაფორმების კუთხით. თუმცა მე მაქვს ფუფუნება, ისეთი წიგნები გავაფორმო, რომელიც მომწონს. მაგალითად აკა მორჩილაძის წიგნები, ან სხვა ავტორები“.

სპეცპროექტი
ეროვნული
ბიბლიოთეკა



სანდრო ასათიანი

ილუსტრატორი, ვებ-დიზაინერი

თბილისის სამხატვრო აკადემიის დასრულების შემდეგ, სადაც მან წიგნის ილუსტრაციის მიმართულებით საბაკალავრო საფეხური გაიარა, სანდრო ასათიანმა სწავლა ფლორენციის სახელოვნებო აკადემიაში, მოგვიანებით კი – მინეაპოლისის ხელოვნებისა და დიზაინის კოლეჯში განაგრძო. დღეს მისი სახელი რამდენიმე პოპულარული ვებ-პორტალის დიზაინთან ასოცირდება. წერს და ინტერნეტშივე აქვეყნებს საკუთარ წიგნებს ვირტუალური გამომცემლობის („სანდროს წიგნები") სახელით. იგი მკითხველს სოციალურ მედიასთან დაკავშირებულ წიგნებს და თავის ზღაპრებსაც სთავაზობს. შემოქმედებითი საქმიანობის გარდა, ის რამდენიმე ქართულ – კერძო და სახელმწიფო უნივერსიტეტთანაც თანამშრომლობს, სადაც სოციალური მედიის და გრაფიკული დიზაინის მიმართულებით სალექციო კურსებს უძღვება.

სანდრო ასათიანი ბევრი სხვა ილუსტრატორისგან განსხვავებით, ილუსტრაციებს, არა რომელიმე გამომცემლობის დაკვეთით, არამედ საკუთარი წიგნებისთვის ქმნის. ამბობს, რომ მისდაუნებურად, ყველა მისი ილუსტრაცია მცირედით, მაგრამ მაინც თავად მას ჰგავს. ამას იმით ხსნის, რომ ხშირად მისი ილუსტრაციები ბავშვობის მოგონებებისა და ილუზიების გაგრძელებას წარმოადგენს. იმას, რასაც უფროსები ილუზიებს უწოდებდნენ, სანდრომ მოზრდილ ასაკში თავის წიგნებში გააცოცხლა. უფრო მეტიც, მან მეუღლის შესახებ დაწერილ წიგნში თავის თავზე ისაუბრა და საკუთარი თავის ილუსტრაციაც შექმნა:

„თამარა, რომელიც მაღალი იყო და ღრუბლებში ცხოვრობდა თავის ოცნებებს ლამაზ ყუთებში აგროვებდა. პირველად რომ დააპირა ოცნება ყუთში ჩაედო, არაფერი გამოუვიდა, მერე კი ასეთი რამ მოიგონა: იღებდა ხოლმე რაიმე ნივთს, აი მაგალითად, გასაღებს, უამბობდა ამ ნივთს თავის ოცნებას და მერე საგანგებოდ შერჩეულ ყუთში ინახავდა. ასე, თამარას უამრავი ყუთებში ჩაკეტილი ოცნება მოუგროვდა და თითქოს, ეს ოცნებები თამარასთან ერთად რაღაცას ელოდნენ. და ერთხელაც, თამარამ სანდრო გაიცნო. სანდროც მაღალი იყო და მასზეც ამბობდნენ როდესღაც, სანდრო ღრუბლებში ცხოვრობსო. თამარასგან განსხვავებით, სანდრო უბრალოდ ოცნებობდა და, სამწუხაროდ, მოუცლელობის გამო ოცნებების შეგროვებას ვერ ახერხებდა. მერე ერთხელ, თამარამ სანდროს თავისი ყუთების კოლექცია ანახა. თამარამ და სანდრომ ერთად გახსნეს ზოგიერთი ყუთი და თამარას რამოდენიმე ოცნება რეალობად აქციეს. და ამ დღის მერე, მათ საუკეთესო გართობად იქცა თამარას ოცნებების დათვალიერება და მათი რეალობად გადაქცევა".



ეროვნული ბიბლიოთეკა

დათო მაჭავარიანი (კაკადუ)

მხატვარი, ილუსტრატორი, დიზაინერი

დათო მაჭავარიანის შემოქმედებითი საქმიანობა განსაკუთრებით მრავალფეროვანია – წიგნისა და თამაშების ილუსტრაციები, საგაზეთო და საჟურნალო კომიქსები, ინტერიერისა და ექსტერიერის დიზაინი. მისი ილუსტრაციები შესულია „ვეფხისტყაოსნის“ განახლებულ გამოცემაში, რომელიც „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობას“ ეკუთვნის. მისი პერსონალური გამოფენა რამდენჯერმე მოეწყო თბილისში, თურქეთსა და აშშ-ში. 2003 წელს მისი ნამუშევრები მსოფლიო ბანკის მიერ გამართულ ჯგუფურ გამოფენაზე მოხვდა.

ილუსტრაცია, დათო მაჭავარიანისთვის პოპკულტურა უფროა, ვიდრე მაღალი ხელოვნება, ამიტომ, სხვადასხვა ლიტერატურული ტექსტებისა თუ თამაშების მხატვრული გაფორმებისას, ამ ნამუშევრებში საკუთარი თავის გამოვლენაზე თითქმის არასდროს ფიქრობს. სულ სხვაგვარად ხდება გრაფიკულ და ფერწერულ ნამუშევრებში. აქ მხატვარი ხშირად იმ მდგომარეობას გადმოსცემს, რომელიც ცხოვრების რომელიმე კონკრეტულ მომენტს ან ეტაპს ასურათებს. თუმცა ყოველდღიურ ცხოვრებაში მომხდარ ამბებს ხშირად სწორედ ილუსტრაციებით ყვება:

„რამდენიმე წლის წინ, მე და ბიძაჩემი კლუბის ქართველ მეპატრონეებთან აღმოვჩნდით შეხვედრაზე, რომლებიც ბიძაჩემს ამ კონკრეტული კლუბის პრომოუშენს ავალებდნენ. შეხვედრაზე მისვლისთანავე, ჩვენი მოლოდინები სრულიად საწინააღმდეგოდ განვითარდა. ბიძაჩემი ამერიკული კლუბის მუშაობის სტილისტიკაზე საუბრობდა, კლუბის მეპატრონეები კი სახინკლის მეპატრონეებს უფრო ჰგავდნენ, ვიდრე კლუბის გახსნით დაინტერესებულ ადამიანებს. სახლში რომ დავბრუნდი, მეუღლის მეგობრები დამხვდნენ, რომლებსაც ეს ამბავი ორ წუთში ილუსტრაციით მოვუყევი. ავიღე ფურცელი და ფანქარი და სრულად დავუხატე იქ მყოფი ადამიანები და ის სიტუაცია, რაც ამ მოულოდნელობებით შეიქმნა. ეს ილუსტრაცია შემდეგ ჩემს მეუღლეს ვაჩუქე“.

სპეცპროექტი
ეროვნული
ბიბლიოთეკა



მაია სუმბაძე

მხატვარი, მულტიმედია არტისტი

იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო კოლეჯის დასრულების შემდეგ მაია სუმბაძემ სწავლა ამსტერდამში, გერიტ რიტველდის სახელობის სამხატვარო აკადემიაში განაგრძო. მოგვიანებით კი სწავლა თბილისის სამხატვრო აკადემიაში, კინოსა და სატელევიზიო დიზაინის ფაკულტეტზე გააგრძელა. სხვადასხვა ქართული პერიოდული გამოცემებისთვის შესრულებული ილუსტრაციების გარდა, მაია სუმბაძე რამდენიმე აუდიო-ვიზუალური პროექტის ავტორადაც გვევლინება. მისი ნამუშევრები, სხვა მხატვარ-ილუსტრატორებთან ერთად, გამოიფინა პარიზის, ამსტერდამის, სტამბულის, ბერლინის, პრაღის, თბილისისა და ბათუმის საგამოფენო სივრცეებში.

კითხვას, თუ როგორ ხედავს თავის თავს მაია თავისსავე ილუსტრაციებში, ის ასე პასუხობს:

„დიდ, მზით განათებულ მაგიდაზე გაშლილია ნახაზები, ნაწერები, ნახატები, თხელი და სქელი ქაღალდები, ერთმანეთზე დაწყობილი წიგნები, ჟურნალები. L'architecture D'Aujourd'hui, მოვერცხლისფრო ნაცრისფერი ფანქრის ხაზები და რკალები, იისფერი მელნით დაწერილი ასოები, საშლელის ნამცეცები, გრაფიტის მტვერი. ბრტყელი დაყოფილი სივრცეები – სქემებში და გეგმებში. უკაცრიელი ადგილები და შენობები შავ-თეთრ ფოტოებში. მე ფეხზე ვდგავარ, მაგიდის ზედაპირი ძალიან ახლოსაა. პაპა მუშაობს. იქით ოთახში მუსიკაა ჩართული. ალბათ Blood, Sweat and Tears. მამა რეისფედერში ასხამს ჟოლოსფერ გუაშს და ავლებს სწორ ხაზს. დღეს ახალი წიგნები მომიტანა, ფერადი, ბევრი ნახატებით. მეც მინდა ესე ვხატავდე, როცა გავიზრდები“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიზუალური ნიშნების ენა

ავტორი სანდრო ასათიანი

სიტყვა ენის გაგონებაზე პირველ რიგში სხეულის ნაწილი გვახსენდება. არადა, ამ სიტყვას უამრავი განმარტება აქვს. ერთ-ერთის მიხედვით ენა კომპლექსური საკომუნიკაციო საშუალებაა. არსებობს ისეთი ენები, ანუ საკომუნიკაციო სისტემები, რომელთაც არანაირი კავშირი არა აქვთ სხეულის ნაწილ ენასთან. მაგალითად, ჟესტების ენა, რომელსაც სმენადაქვეითებული ადამიანები იყენებენ, ან კომპიუტერული ენები, რომელთაც განვითარების მეტად საინტერესო ისტორია აქვთ.

ადამიანი მუდამ ცდილობდა დაემკვიდრებინა ან შეექმნა ისეთი ენა, რომელზეც ყველა ისაუბრებდა, რომელიც ყველასთვის გასაგები იქნებოდა. ყველა იმპერიას სურდა თავისი ენა დაემკვიდრებინა უნივერსალურ საკომუნიკაციო საშუალებად.

ბიბლიაში საუბარია უნივერსალურ ენაზე, რომელზეც მთელი კაცობრიობა საუბრობდა. ზოგიერთი ლინგვისტი თვლის, რომ არსებობდა პროტოენა რომელიც შემდეგ სხვადასხვა ენად დაიყო.

გვახსოვს უნივერსალური საკომუნიკაციო საშუალების ხელოვნურად შექმნის მცდელობებიც. მაგალითად, ესპერანტო, ენა, რომელიც სხვადასხვა ენების ერთმანეთთან ხელოვნური გაერთიანების შედეგად შეიქმნა. ბევრი თვლიდა, რომ ასეთი სახით შექმნილი ენა ყველასთვის მისაღები კომპრომისი იქნებოდა და იგი საყოველთაო საკომუნიკაციო საშუალებად გადაიქცეოდა. დღესდღეობით ასეთ დომინანტად ინგლისური ენა გვევლინება, ამ ენაზე ხომ ჩვენი პლანეტის მოსახლეთა უმრავლესობა საუბრობს.

ნიშნების ენა

ამ ყველაფრის პარალელურად, ყოველგვარი ძალდატანების ან ხელოვნურად დამკვიდრების მცდელობის გარეშე, სრულიად ბუნებრივად იქმნება კიდევ ერთი ახალი ენა, რომელსაც არანაირი კავშირი არა აქვს ჩვენი სხეულის ნაწილთან. ეს ვიზუალური ნიშნების ენაა, რომელიც თითქოს შეუმჩნევლად, სრულიად ბუნებრივად იმკვიდრებს ადგილს.

ვიზუალური ნიშნების საყოველთაო გავრცელებას დიდად შეუწყო ხელი ელექტრომონყობილობებისა და კომპიუტერული ტექნიკის განვითარებამ. ჩვენ ხომ კომპიუტერთან ურთიერთობას ძირითადად სიმბოლოებით ვახერხებთ. სიმბოლოების საშუალებით ვაძლევთ დავალებას და, ხშირ შემთხვევაში, კომპიუტერი სიმბოლოებითვე გვიბრუნებს პასუხს.

მამაჩემმა პირველი რადიომიმღები რომ შეიძინა, გულდასმით წაიკითხა მომხმარებლის ინსტრუქცია. რადიო იმხანად საკმაოდ რთული, მაღალტექნოლოგიური აპარატი იყო, უამრავი ღილაკითა და გადასართავით. დღეს კი ბევრად უფრო რთული მოწყობილობის, სმარტფონის მომხმარებელი ინსტრუქციას არასდროს კითხულობს, ვინაიდან ჩვენ ადვილად შეგვიძლია ამოვიკითხოთ სასურველი ინფორმაცია შესაბამის სიმბოლოებში. თუკი ძველი მობილური ტელეფონების ეკრანებზე შესაბამისი სიმბოლოს ქვეშ ტექსტური განმარტება იყო მითითებული, დღეს ეს აუცილებელი არ არის. დღეს, ყველა, ვინც კომპიუტერთან ურთიერთობს, ფლობს ვიზუალური სიმბოლოების ენას.

ყოველგვარი ძალდატანების ან ხელოვნურად დამკვიდრების მცდელობის გარეშე, სრულიად ბუნებრივად იქმნება კიდევ ერთი ახალი ენა, რომელსაც არანაირი კავშირი არა აქვს ჩვენი სხეულის ნაწილთან. ეს ვიზუალური ნიშნების ენაა.

ვიზუალური რეპოტაჟი

გამოსახულების საშუალებით ინფორმაციის მოწოდებას არამარტო თანამედროვე მოწყობილობებში ვხვდებით. დღეს ტრადიციულ მედიაშიც აქცენტი ვიზუალურ მასალაზე გადადის. მაგალითად, 10 წლის წინანდელი გაზეთები დღევანდელ გამოცემებს რომ შევადაროთ, ვნახავთ, რომ ფოტოების ზომა საგრძნობლად გაიზარდა. ტექსტის ზომა კი, პირიქით, შემცირდა. აქ საუბარი იმაზე არ არის, რომ თანამედროვე გამოცემებში ბევრი ლამაზი ფოტოებია. უბრალოდ დღეს იმ ამბის ნაწილი, რომელსაც ადრე ტექსტით ჰყვებოდნენ, გამოსახულების საშუალებით არის გადმოცემული. თუკი თავიდან პრესას მასალებით მხოლოდ რეპორ-

მოწევა კლავს
მოწევა იწვევს კანის
ნაადრევ დაბერებას

ტიორები ამარაგებდნენ – ადამიანები, რომლებიც ტექსტის საშუალებით ჰყვებიან ამბავს, მოგვიანებით გამოცემებთან თანამშრომლობა ფოტოგრაფებმაც დაწყეს. მათ უბრალოდ ლამაზი ფოტოების გადაღება კი არ ევალებოდათ, არამედ ისეთი ფოტოების, რომლებიც ამბავს ჰყვებიან. შესაბამისად, მათ ფოტორეპორტიორები დაარქვეს. არც ისე დიდი ხნის წინ გაჩნდნენ გრაფიკოსრეპორტიორები, ანუ ადამიანები, რომლებიც ამბავს გრაფიკული გამოსახულების საშუალებით ჰყვებიან. ხშირად ისეთი ამბის მოსაყოლად, რომლისთვისაც რამდენიმე გვერდი ტექსტიც კი ცოტაა, შეიძლება ერთი გამოსახულება საკმარისი აღმოჩნდეს. ყველაფერთან ერთად, ასეთი გამოსახულებიდან, ე.წ. ინფორმაციის/მონაცემთა ვიზუალიზაციიდან ამბის ამოკითხვაც უფრო მარტივია.

რამდენიმე წლის წინ იაპონურ ატომურ ელექტროსადგურ ფუკუსიმაზე მომხდარი კატასტროფის შემდეგ სხვადასხვა გამოცემაში გრძელი სტატიები გრაფიკულმა რეპორტაჟებმა შეცვალა. იმის ნაცვლად, რომ ჟურნალისტებს ტექსტის საშუალებით განემარტათ მომხდარის გამომწვევი მიზეზები, პრესაში გაჩნდა ატომური ელექტროსადგურის სქემატური გამოსახულებები, რომლებზეც ისრების საშუალებით გაკეთებული იყო მინიშნებები. გამოსახულებას დართული ჰქონდა მოკლე განმარტებები.

მსოფლიოში ყველაზე პოპულარულ სოციალურ ქსელ Facebook-შიც ინტერფეისის ყოველ ახალ ცვლასთან ერთად ფოტოების ზომა და ზოგადად ვიზუალური შემადგენელი იზრდება.

საერთაშორისო აეროპორტებში საგრძნობლად იკლო ტექსტურმა მინიშნებებმა. დღეს მინიშნებები სიმბოლოების სახით არის წარმოდგენილი. სიმბოლოებისა, რომლებიც ყველა ენაზე მოლაპარაკისთვის გასაგებია.

ახალი საერთაშორისო ენა

ვიზუალურმა ნიშნებმა დამწერლობაშიც გადმოინაცვლეს. მაგალითად, ნაკლებობის ნიშანი და სამიანი „<3“ ნებისმიერ ენაზე დაწერილ ტექსტში ერთსა და იმავეს, სიყვარულს ნიშნავს. არითმეტიკულ სიმბოლოთა ეს წყობა ჯერ კიდევ 2011 წელს შეიტანეს ოქსფორდის ინგლისური ენის განმარტებით ლექსიკონში.

თუ კაცობრიობის ისტორიას გულისყურით გადავხედავთ, დავინახავთ, რომ ახალი გლობალური საკომუნიკაციო ენის შექმნა, ან სულაც უკვე არსებული, ბუნებრივი ენის ასეთად გამოცხადება, უსარგებლოა. ენა ცოცხალი ორგანიზმია, მას თვითრეგულაციისა და განვითარების გარკვეული პოტენციალი გააჩნია. ეს ეხება ვიზუალური კომუნიკაციის, ნიშნების ენასაც. პროცესი თავისით განვითარდება და მომავალში, შესაძლოა სტატიის დაწერა არა სიტყვებითა და ასოებით მომიწიოს, არამედ ამბავი ყველასათვის გასაგები ვიზუალური ნიშნებით მოვყვე.

TWIST
MARJANOVIĆ
ĐAVOLI
ZBOGOM, LJUBAVI
ITALIANO

zech Favourites
Lady Carnival
Good bye
and others


ПОЛАД БЮЛЬ·БЮЛЬ ОГЛЫ



ბლუზი მტკვრის პირას

ავტორი: ბიძინა მაყაშვილი
ილუსტრაცია: მაია სუმბაძე

„როკ-ჟურნალიზმი, ესაა, როცა ადამიანი, რომელმაც არ იცის წერა, ესაუბრება ადამიანებს, რომლებმაც არ იციან ლაპარაკი და ამის საფუძველზე აქვეყნებს სტატიებს იმ ადამიანების გასართობად, რომლებმაც არ იციან კითხვა“.

ფრენკ ზაპა

წინასიტყვაობა

იმის დაწერა, რასაც ახლა კითხულობთ, რამდენიმე მიზეზმა განაპირობა.

ეს მიზეზები დრომ გააჩინა. დრო კი ისეთი რამ არის, რომ შენ არაფერს გეკითხება, თვითონ გკარნახობს პირობებს და განსაზღვრავს შენი ცხოვრების წესს.

პირველ ყოვლისა, ჩემი დაბადებიდან გასული დროის ბრალია, რომ მომინდა სხვებისთვის გამეზიარებინა ის, რასაც ქვევით გაეცნობით. ამასთან ერთად, დროის განმავლობაში დაგროვდა ჩემთვის ხშირად დასმული რამდენიმე ტიპიური კითხვა, რომლებსაც შევეცდები, რომ ერთიანად გავცე პასუხი. და ბოლოს, რაც მთავარია, აქ მოთხრობილი ამბები დროში შეკუმშული ისტორიაა იმისა, თუ როგორ ვცდილობდი ქართულ დამოუკიდებელ მედიაში პოპულარული კულტურა ამესახა.

მაგრამ ესეც, ბევრი ჩემი სხვა იდეასავით განუხორციელებული დარჩებოდა, რომ არა ერთი ტექნიკური ფაქტორი: რაც დრო გადიოდა, სულ უფრო და უფრო მოუხერხებელი ხდებოდა ჩემი პუბლიკაციების არქივის გამოყენება სამუშაოდ. აშკარად საჭირო იყო, საწერი მაგიდის უჯრებში ჩალაგებული 1990-იანი წლების გაზეთების გაყვითლებულ ფურცლებზე დატანილი ტექსტები, რომელთა ორიგინალები კალმისტრით იწერებოდა, ვორდის ფაილებად მექცია და განმეთავსებინა კომპიუტერის კლავიატურით შექმნილი, მათი უფრო თანამედროვე „თანამოძმეების“ გვერდით.

ამ პროცესში, ჩემდა სამწუხაროდ, აღმოვაჩინე, რომ ბევრი წერილი, რომელიც თავის დროზე დადებითად მუშაობდა ჩემი იმიჯის ჩამოყალიბებაზე, დღეს სერიოზულ კონფლიქტს მიქმნიდა ჩემივე გემოვნებასთან. ამის პარალელურად ჩემმა შვილმა დაიწყო ამ სტატიების გაცნობა, რომ იქნებ რამენაირად გაეგო, როგორ შეიძლებოდა ყოფილიყო მათი ავტორი. რაღაცის, თუნდაც ისეთი მშვენიერი მოვლენის ექსპერტი, როგორიც როკია. ამასთან დაკავშირებით, რინგო სტარი გავიხსენე.



რინგოს ძალიან აღიზიანებდა ის, რომ, მისგან, 22 წლის ბიჭისგან, აინტერესებდათ მოესმინათ პასუხები ზოგადსაკაცობრიო პრობლემების, ბედნიერებასა და აბსოლუტური ჭეშმარიტების, მონარქიის არსისა და ქვეყნის პოლიტიკური მოწყობის შესახებ. „ამ დროს შენ გაუნათლებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხარ, არაფერი არ იცი; ერთადერთი, ჯოხებს სხვებზე ოდნავ უკეთ ურტყამ დოლებს“, ამბობდა ბრძენი რინგო. ის გაუნათლებელი იყო, სანამ „ბითლზს“ შეუერთებოდა და გაუნათლებელი დარჩა „ბითლზის“ შემდეგაც. უბრალოდ, ცხოვრებაა უდიდესი განათლება.

ალბათ უკვე მიხვდით, რას უნდა ელოდოთ ამ გაურკვეველი ჟანრის ნაწარმოებიდან, რომლის პუბლიკაციას ამ ნომრიდან და შემდგომი გაგრძელებებით იწყებს „ცხელი შოკოლადი“. თუ ვერ მიხვდით, კიდევ ერთ ამბავს გავიხსენებ. ერთხელ, ახალგაზრდა ჟურნალისტი, რომელმაც აღმოაჩინა, რომ განათლებით (დიპლომით) ფიზიკოსი ვარ, გაოცდა – კი მაგრამ ფიზიკის ფაკულტეტზე რაღას აკეთებდიო. ჟურნალისტს კი ვუპასუხე – რასაც ნიკოლსონი „კუკუშკაში-თქო“, მაგრამ დავფიქრდი – მართლა რამ განაპირობა ჩემი მედიაში მოსვლა და მასში სტაბილურად ყოფნა იმ საინტერსო პერიოდში, რომელსაც დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოებრიობის შენება ჰქვია.

ისე კი რინგო ტყუილად არ გამახსენდა, რადგან ეს ყველაფერი მუსიკის ბრალია; უფრო სწორედ – როკის.

მაგრამ მე რა საქმე მქონდა ყველაფერ ამასთან? ფაქტობრივად, არაფერი. იმიტომ, რომ ჩემნაირი, ანუ ისეთი, ვისაც გარკვეულ ასაკში გარშემომყოფებზე ცოტათი მეტად აინტერესებდა პოპულარული მუსიკა, ძალიან ბევრი იყო მსოფლიოში. მე ვიყავი უბრალო მსმენელი. ნუ, კარგი, ვთქვათ, უბრალოზე ოდნავ მეტად ინფორმირებული და მეტი არაფერი.

და ეს ყველაფერი „ბითლზიდან“ და ამ ოდნავ მეტიდან დაიწყო.

შესავალი

ალბათ ხშირად გაგიგიათ, როცა ვინმეს უნატრია, ნეტავ ამა და ამ ეპოქაში მეცხოვრაო, ან ცოტა ადრე (ან გვიან) დავბადებულიყავიო. ამ მხრივ, ვთვლი, რომ დასაჩივლი არაფერი მაქვს. ძირითადად იმიტომ, რომ ჩემი ბავშვობა, საბედნიეროდ, „ბითლზის“ ეპოქას დაემთხვა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ გინდოდა თუ არა, „ბითლზი“ აუცილებლად შემოიჭრებოდა შენს ცნობიერებაში.

იმაზე ლაპარაკი, თუ რა გავლენა მოახდინა ამ ჯგუფმა მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის პოპულარული მუსიკის და საერთოდ, ცნობიერების განვითარებაზე, შორს წაგვიყვანს. დანამდვილებით მხოლოდ ამის თქმა შემიძლია: რომ არა „ბითლზი“, ეს მიიპყრო ჩემი ყურადღება.

კარგად მახსოვს, როგორ ყიდიდნენ უცხოური ჟურნალებიდან გადაღებულ „ბითლზის“ შავ-თეთრ ფოტოებს 10 კაპიკად სკოლებთან მოდარაჯე ძიები. ასეთი უხარისხო არაფერი გენახოთ. მაგრამ თავისი საქმე გააკეთეს: ეს ოთხი სახე მკაფიოდ ჩაიბეჭდა მთელი თაობის მეხსიერებაში. ჩაიბეჭდა ძალიან დიდხანს – დღემდე.

მალე ასეთი ფოტოები უფრო მომრავლდნენ ჩემს ირგვლივ. კარგად მახსოვს, როგორ ყიდიდნენ უცხოური ჟურნალებიდან გადაღებულ „ბითლზის“ შავ-თეთრ ფოტოებს 10 კაპიკად სკოლებთან მოდარაჯე ძიები. ასეთი უხარისხო არაფერი გენახოთ. მაგრამ თავისი საქმე გააკეთეს: ეს ოთხი სახე მკაფიოდ ჩაიბეჭდა მთელი თაობის მეხსიერებაში. ჩაიბეჭდა ძალიან დიდხანს – დღემდე.

მათი ფერადი გამოსახულების ნახვა იმ პერიოდში მხოლოდ დისკებზე თუ შეიძლებოდა. ამ დისკების ნახვა კი ჩვენთან ძალიან ჭირდა. თუ არ ვცდები, პირველად მათი ფერადი ფოტო ფრანგი კომუნისტების ტექსტი დიდი ალბათობით არ იარსებებდა.

ახლა ნამდვილად ვერ გეტყვით პირველად როდის გავიგე ამ ჯგუფის არსებობის შესახებ, ან რა სიმღერა მოვისმინე. მახსოვს მხოლოდ მასთან დაკავშირებული უაზრო ეპიზოდები.

კომუნისტების ხანაში არსებობდა ყოველკვირეული გაზეთი Неделя – იმდროინდელ საბჭოთა პრესაში ალბათ ყველაზე პროგრესული მოვლენა იყო. ერთხელ, ჯერ კიდევ მაშინ, როცა რუსულად კითხვა წესიერად არც შემეძლო, იმ გაზეთში უცნაური ბიჭების ფოტომ მიიპყრო ჩემი ყურადღება. გაზეთის ბოლო გვერდზე, უცხოური მოზაიკა, თუ რაღაც მსგავსი ტუტუცობები რომ იბეჭდებოდა, იქ იყო. პატარა ფოტო და სამ-ოთხხაზიანი მინაწერი. თავს ვაიძულე და წავიკითხე: დაახლოებით ის გავიგე, რომ ეს ოთხი ბიჭი ლივერპულელები იყვნენ და რაღაც კავშირი ჰქონდათ ხოჭოებთან და მუსიკასთან. განსაკუთრებით, უცნაურმა ვარცხნილობამ

ჟურნალ „იუმანიტეში“ ვნახე. მაშინ კაპიტალისტური ქვეყნების კომუნისტური გამოცემები „სოიუზპეჩატის“ ჯიხურებში იყიდებოდა. ეს ნომერი ერთმა ბიჭმა გვაჩვენა. თან გვითხრა, სადაც ვიყიდე, იქ მეტი აღარ ჰქონდათო. ორიოდე ადგილას გვეგულებოდა და გავიქეცით საყიდლად, მაგრამ ყველგან გაყიდული დაგვხვდა. ერთ კიოსკში მოხუცმა გამყიდველმა კაცმა გვკითხა, დღეს ყველა რამ გადაგრიათო: „ძლივს ვასაღებ ხოლმე, დღეს კი მოდიან ბიჭები და სულ მაგას ყიდულობენ. სულ ფურცელ-ფურცელ დავათვალიერე – მეთქი პორნოგრაფია იქნება, რამე ტიტველი ქალები, მაგრამ შენც არ მომიკვდე. ვერაფერი გავიგე“.

მაგრამ, ალბათ „ბითლზით“ ყველაზე მეტად მაინც უფროსი თაობის, „ავტორიტეტების“ გამო დავინტერესდი. ერთხელ სკოლის მეგობარმა, რომელიც როგორც დღეს იტყოდნენ, ნამდვილად არასდროს არ გამოირ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩეოდა ლიბერალული ღირებულებებისადმი თაყვანისცემით, ზომაზე ოდნავ მეტად მოუშვა თმა. ვერ ვიტყვი, რომ უხდებოდა, მაგრამ ორიგინალური ნამდვილად იყო. ეხლა ეს მოდაშია, ყველაზე მაგარი ანსამბლი რომ არის, „ბითლზი", მისი წევრები ასე ატარებენო. „ბითლზს" მაშინ ფაქტობრივად, მხოლოდ ფოტოებით ვიცნობდი და ისიც არ ვიცოდი, რომ აუცილებლად უნდა მომწონებოდა.

მის უფროს ძმას სახლში უშველებელი „ბაბინებიანი" მაგნიტოფონი ჰქონდა, რომლებზეც „ბითლზის" ჩანაწერებს აკეთებდა. ერთხელაც გაკვეთილების შემდეგ მასთან შევიარეთ. ალბათ ეს იყო ჩემი პირველი „ოფიციალური" შეხვედრა ამ ანსამბლთან. არ ვიცი, კარგია თუ ცუდი, მაგრამ ეს არ იყო ის შეხვედრა, რომელზეც ტრაფარეტულად იტყვიან ხოლმე: „და იმ წუთიდან ჩემი ცხოვრება რადიკალურად შეიცვალა", ან „მაშინ მივხვდი, რომ აქამდე ტყუილად მიცხოვრია" და სხვა კლასიკური სისულელეები. მსგავსი არაფერი ყოფილა.

ძმამ მაგნიტოფონი ჩაგვირთო, თან ფოტოებს გვაჩვენებდა. უბრალო შავ-თეთრი ფოტოები იყო, მაგრამ მაშინ მათ უფრო დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს, ვიდრე მუსიკამ. ის ფოტოები დღესაც მახსოვს. მაშინ წარმოდგენა არ მქონდა, მაგრამ მოგვიანებით მივხვდი, რომ 1967-1968 წლებში იყო გადაღებული. ეს იყო სერჟანტ პეპერის, Magical Mystery Tour-, mahariS-ის პერიოდი. ამ ფოტოებზე ასახული სამყარო რადიკალურად განსხვავდებოდა ჩვენი რეალობისგან. მანამდე ნანახ ფოტოებზე, ანუ მათზე, რომლებსაც სკოლების წინ ყიდდნენ, „ბითლზის" წევრები უბრალოდ პოზირებდნენ. ეს იყო კოსტიუმებში გამოწყობილი ბიჭების სალონური ფოტოები.

მეგობრის ძმის ფოტოებზე კი აბსოლუტურად სხვა სამყარო აღმოვაჩინე: მარტო Sgt. Pepper's-ის ყდა რად ღირდა: პოპ-არტის ფანტასმაგორიული შედევრი! ე.წ. „მეჯიქალის" ფოტოებს სულ სხვა გარემოში გადავყავდით: ბრიტანული აბსურდი, ავღანური ქურთუკები, როიალი მდელოზე და სხვა არაორდინარული სიტუაციები. ასევე, თავისი ხიბლი ჰქონდა ინდოეთში, მაჰარიშისთან მედიტაციაზე გადაღებულ ფოტოებს: იოგებივით ფეხმორთხმული, თეთრ ინდურ სამოსში გამოწყობილი, ყვავილებით მორთული, გრძელთმიანი ახალგაზრდა კაცები, მეგობარ ქალებთან ერთად.

რაღაცეები ტელევიზორთან დაკავშირებითაც მახსოვს.

ცენტრალურ ტელევიზიას ჰქონდა გადაცემა „ობიექტივშია ამერიკა" და ანალოგიური პროგრამა დიდი ბრიტანეთის შესახებ. ჩემთვის საინტერესო ის იყო, რომ ამ გადაცემების მუსიკალურ ქუდებს შესაბამისად წარმოადგენდნენ სიმღერები – „ბითლზის" Can't Buy Me Love და საიმონის და გარფანკელის Sounds Of Silence. მაშინ ამაზე არ მიფიქრია, მაგრამ მოგვიანებით სულ მიკვირდა, რატომ შეარჩიეს პროგრამების ავტორებმა ამერიკის შესახებ გადაცემისთვის ბრიტანული ჯგუფის სიმღერა, ხოლო ბრიტანეთისთვის – ამერიკული.

საქართველოს ტელევიზიასაც ჰქონდა ერთი გადაცემა, რომელიც ჩემთვის ისევ „ბითლზთან" არის დაკავშირებული. ჩვეულებრივი, იდიოტური სახელი ერქვა - „მუსიკა თქვენი თხოვნით". ვუყურებდი ხოლმე, რადგან სულ იმედი მქონდა, რომ ოდესმე ისეთ რამეს მოითხოვდნენ, რაც მეც დამაინტერესებდა. ჰოდა, ერთხელაც გამოაცხადეს, ამის და ამის თხოვნით გთავაზობთ „ბითლზის" This Boy-სო. ცხადია, ეს სასიამოვნო სიურპრიზი იყო, მაგრამ სიხარული სანახევრო გამოდგა. საქმე ის არის, რომ ცოცხალი გამოსახულების ნაცვლად სიმღერას ფონად ედო „ბითლზის" ფოტო.

კიდევ უამრავი რამის გახსენება შეიძლება ამ ჯგუფთან დაკავშირებით, მაგრამ უმჯობესია ყველაფერს ქრონოლოგიურად მივყვეთ.

1960-იანები

ალბათ 6-7 წლის ვიქნებოდი, როცა მუსიკას პირველად მივაქციე ყურადღება. რა მუსიკალური გარემო მერტყა მაშინ? სახლში მუსიკის რა მდენიმე წყარო მქონდა: ძველი, დამტვერილი გრამოფონის ფირფიტები (გრამოფონის გარეშე), რადიო, ტელევიზორი და „ბეკერის" როიალი, რომელსაც ჩემი და იძულებით აწვალებდა. ამ ჩამონათვალიდან განსაკუთრებით არაფერი მიზიდავდა. მაგრამ, ალბათ მაინც ტელევიზორი იყო პირველი, რამაც მუსიკით დამაინტერესა. თუმცა ეს მისი პირდაპირი დანიშნულებით არ მომხდარა.

საქმე ის არის, რომ 1960-იან წლებში საქართველოს ტელევიზია საღამოს მაუწყებლობას ექვს საათზე იწყებდა. გადაცემების დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე ეკრანზე ჩნდებოდა დასარეგულირებელი ბადე, რომელსაც ფონად უცხოური სიმღერები დაჰყვებოდა. ცხადია, დიდი არაფერი სიმღერები იყო. ძალიან მიკვირს, მაგრამ ზოგიერთი მომღერლის სახელი ეხლაც მახსოვს. მარინო მარინი, ჯორჯე მარიანოვიჩი, რადმილა კარაკლაიჩი, ლილი ივანოვა, კარელ გოტი, იოვანა, რაფაელი, მიჩელი, რობერტინო ლორეტი... ეს იყო ჩემი პირველი შეხება უცხოურ პოპ-მუსიკასთან. სამწუხაროდ, არცთუ წარმატებული. ცხადია, ამ მუსიკოსებმა კარგად იცოდნენ თავიანთი საქმე, პროფესიონალები იყვნენ, ზოგიერთი ვარსკვლავიც კი (მაგალითად იტალიელი ვოკალური ვუნდერკინდი რობერტინო), მაგრამ მაშინვე ვგრძნობდი, რომ ეს იყო ერთგვარად მეორე პლანი, რომ სადღაც იყო უფრო მხიარული, უფრო ნამდვილი მუსიკა. ეს „სხვაგან" პირველ რიგში ამერიკა იყო, ინგლისი და დასავლეთ ევროპა. „ჩემი ბავშვობის" მუსიკოსები კი ხმელთაშუა ზღვის ევროპას (ესპანეთს, იტალიას და საბერძნეთს) და სოციალისტურ ქვეყნებს (იუგოსლავია, ბულგარეთი, ჩეხოსლოვაკია) წარმოადგენდნენ.

ამ მომღერლებიდან ზოგიერთი არაერთხელ ჩამოსულა თბილისში და კონცერტებზე მრავალრიცხოვანი აუდიტორია შეუკრებია. ამ სიაში შეგნებულად არ შევიყვანე პერუელი მომღერალი იმა სუმაკი, რომელსაც თურმე უნიკალური ვოკალური მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაცემები ჰქონია, რაც საშუალებას აძლევდა, ერთგვარად, ორი ხმით ემღერა. ამის შესახებ მოგვიანებით მომიყვა დედაჩემმა, როცა თავისი უჯრის დალაგებისას, სხვა ანალოგიურ ფურცლებთან ერთად, მისი კონცერტის პროგრამა (დღეს რომ ფლაერს ვეძახით) იპოვა. სამწუხაროდ, არც ერთი ფურცელი იმ უჯრიდან არ შემინახავს. იმა სუმაკის შესახებ კი კარგა ხნის შემდეგ შემახსენა ქართული როკის პატრიარქმა, ბაჩი ქიტიაშვილმა. მისი სიტყვებით, ნამდვილი 6-სიმიანი გიტარა პირველად 14 წლის ასაკში ნახა, 1960 წელს, იმა სუმაკის კონცერტზე.

თბილისში ჩამოსულ გასტროლიორებზე იმ პეროდში ისევე ვრცელდებოდა ლეგენდები, როგორც მოგამოჩნდა, ამერიკელი მომღერალი დინ რიდი იყო. მის ანგაჟირებას საბჭოთა კავშირში უფრო პოლიტიკური მოტივები ედო საფუძვლად, ვიდრე მუსიკალური: ანტიამერიკული აქტიურობის გამო, მას სამშობლოში აღარ დაედგომებოდა. ხან ჩილეში სახალხოდ რეცხავდა ამერიკის დროშას, ხან გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში იღებდნენ ვესტერნებში და ხან საპროტესტო მარშებში მონაწილეობდა.

თვითონ ტელევიზიის მუსიკალური პროგრამები მაშინ ძირითადად კლასიკური და ხალხური მუსიკით და საბჭოთა და ქართული ესტრადით შემოიფარგლებოდა. არააქაურებიდან რატომღაც ყველაზე უკეთ მახსოვს აზერბაიჯანული ვოკალური

რა მუსიკალური გარემო მერტყა მაშინ? სახლში მუსიკის რამდენიმე წყარო მქონდა: ძველი, დამტვერილი გრამოფონის ფირფიტები (გრამოფონის გარეშე), რადიო, ტელევიზორი და „ბეკერის“ როიალი, რომელსაც ჩემი და იძულებით აწვალებდა.

გვიანებით რეალურ ვარსკვლავებზე. მაგალითად, მარიანოვიჩი თურმე ნარკომანი იყო. ვეჭვობ, ამ ინფორმაციას ჩემთვის რაიმე ღირსებით შეემკო მომღერალი, მაგრამ იმას კი აშკარად ვგრძნობდი, რომ მარიანოვიჩი ნამდვილი მუსიკისგან შორს იყო. ამ ჭორების საფუძველი საბჭოთა ბავშვების აულაგმავი და იმავდროულად შეზღუდული ფანტაზია იყო, რასაც მათი სტერეოტიპული აზროვნება და მარიანოვიჩის სცენური იმიჯი ასაზრდოებდა: ის კონცერტის დროს პიჯაკს იხდიდა და სცენაზეც კი წამოწვებოდა! რაც შეეხება ლილი ივანოვას, ძალიან მომწონდა მისი ერთი სიმღერა. მაგრამ როცა გავიზარდე, აღმოვაჩინე, რომ ეს იყო „ბითლზის“ Night Before, რომელსაც ივანოვა ბულგარულად ასრულებდა.

ნამდვილად ღირებული დასავლური პროდუქცია ოფიციალური წყაროებით თითქმის არ ვრცელდებოდა. ერთ-ერთი პირველი, ვინც ტელეეკრანებზე და ფირფიტებზე კვარტეტი „გაია“ და მათივე მომავალი კულტურის მინისტრი ფოლად ბულბულ-ოღლი. რუსებიდან ჩემს მეხსიერებას იოსიფ კობზონი, ედუარდ ჰილი და ისევ აზებაიჯანული წარმოშობის მუსლიმ მაგომაევი შემორჩნენ. მოგვიანებით ლევ ლეშჩენკო გამოჩნდა. ხშირად აჩვენებდნენ ჩეხოსლოვაკელ მომღერალს, კარელ გოტს. ქართველებიდან ყველაზე კარგად მახსოვს მომღერლები – ლილი გეგელია, გიული ჩოხელი და სულიკო კოროშინაძე, და ე.წ. ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლები – „დიელო“ და „ორერა“. მაშინ, ცხადია, ამას ვერ ვაცნობიერებდი, მაგრამ დღეს ვთვლი, რომ გიული ჩოხელის დონის ვარსკვლავი საქართველოს პოპულარულ მუსიკას არ ჰყოლია. „ორერა“ და „დიელო“ თავიდანვე პოპულარულები იყვნენ, თუმცა „ორერამ“ პოპულარობის პიკს მოგვიანებით მიაღწია. ამ ჯგუფებს ქვევით ისევ შევხვდებით, ახლა კი ჩემი იმდროინდელი მუსიკალური გარემოს სხვა კომპონენტებზე ვსაუბრობ.

ერთ უაზრო კარადაში გრამოფონის ორმოციოდე ფირფიტა იდო – ძირითად, რუსული რომანსები და საოპერო არიები. ორი მათგანის გარდა, ყველა საბჭოთა კავშირში იყო დამზადებული. იმ ორს კი ცნობილი ამერიკული ფირმის „ქოლამბიას“ ემბლემა ამშვენებდა. მიუხედავად იმისა, რომ ორივე ქვეყნის ფირფიტები დაახლოებით ერთ პერიოდში იყო დამზადებული, ისინი გარეგნულად ძალიან განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან. უპირატესობა აშკარად ამერიკელების მხარეს იყო: მასალა, რისგანაც ფირფიტა იყო დამზადებული უფრო რბილი და დრეკადი იყო, ვიდრე საბჭოთა; ღარები, რომელშიც გრამოფონის ნემსს უნდა ემოძრავა – უფრო ვიწრო და დაბალკედლიანი; აღარაფერს ვიტყვი ფირფიტის ცენტრში დაკრული საინფორმაციო ეტიკეტის გაფორმებაზე: ისინი ისევე განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან, როგორც გახუნებული, ნაცრისფერი საბჭოთა კავშირი, ნათელი, მრავალფეროვანი ამერიკისგან. მოკლედ, ამ მიმართულებით თავიდანვე პროდასავლური განწყობა ჩამომიყალიბდა. ახლა ეს ფირფიტები სად არის, არ ვიცი. დანამდვილებით მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ რამდენიმე მათგანი ეზოში ჩავიტანე და მეზობელ ბავშვებთან ერთად მათ საფრენ თვისებებს ვამოწმებდი. ისინი მშვენივრად დაფრინავდნენ, მაგრამ ასფალტთან შეხებისას ასევე მშვენივრად იმსხვრეოდნენ. დღეს, რა თქმა უნდა, ძალიან ვნანობ ჩემს მაშინდელ საქციელს და მიუხედავად იმისა, რომ სახლი სავსე მაქვს მუსიკალური ინფორმაციის თანამედროვე მატარებლებით, ჩემი კოლექციის რეალურ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიამაყეს წარმოადგენს გრამოფონის ფირფიტების უშუალო შთამომავალი – ვინილის ფირფიტები.

მუსიკის კიდევ ერთი წყარო ჩვენს ოჯახში მაშინ ქსელის რადიო იყო: ერთობ საყვარელი, რაღაცნაირად მოკუსული ნივთი; მოფერება რომ მოგინდება, ისეთი. ეხლა რომ ეგეთი ფორმის რადიო გამოუშვან, ნამდვილად შევიძენდი, თუნდაც დეკორატიული თვალსაზრისით. კედელზე ეკიდა, როიალის თავზე. ავძვრებოდი როიალზე, ჩართვის ღილაკს გადავატრიალებდი და ხმას რომ ამოიღებდა, ხელს ვუსვამდი ხოლმე. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი სითბოთი ვიხსენებ, იქიდან მოსმენილი სიმღერა არ მახსოვს. უფრო ქართულ ხალხურ მუსიკას გადმოსცემდნენ და კიდევ რადიოდადგმები მახსოვს. ემოციურად ყველაზე დიდი შთაბეჭდილება ზუსტი დროის სიგნალებმა დამიტოვეს, რომელთა ყრუ ხმას დიქტორის სიტყვები მოჰყვებოდა: „თბილისის დროით საღამოს 5 საათია, მოისმინეთ...". და სევდიანი ხმით კითხულობდნენ ახალ ამბებს. ამ ამბებს, რა თქმა უნდა, არ ვუსმენდი; მეც ძალიან სევდიანი ვიყავი ხოლმე, მაგრამ ვიცოდი, რომ ამ სიგნალების გაგონებიდან დაახლოებით ერთ საათში მშობლები უნდა დაბრუნებულიყვნენ სამსახურებიდან. იმ დროისთვის სულ ეს იყო, მაგრამ მოგვიანებით ამ რადიომაც თავისი როლი ითამაშა ჩემს ჩამოყალიბებაში, ამიტომ ქვევით მას ისევ შევხდებით.

რაც არ უნდა უცნაურად ჟღერდეს, ერთადერთი, რაც მართლა მაღიზიანებდა, ჩვენი მშვენიერი, მაგრამ თითქმის მუდმივად აუწყობელი როიალი იყო (და ჯერ კიდევ არის) – „ბეკერი". ერთია, რომ ის მიყვარდა მაშინ, როცა მტვრისგან გასაწმენდად თავსახურს ახდიდნენ. შიგნით ძალიან ბევრი საინტერესო დეტალი იდო. განსაკუთრებით სიმებზე ხელის გადასმა მიზიდავდა. კიდევ მომწონდა ნოტების დასადები. ერთხელაც მშობლებმა გადაწყვიტეს ჩემი მუსიკაზე შეყვანა, მაგრამ ისეთ სასტიკ წინააღმდეგობას წაანყდნენ ჩემგან, რომ განზრახვაზე ხელი აიღეს. ვერ გეტყვით, ჩემი და უფრო დამყოლი აღმოჩნდა, თუ მუსიკა ჩემზე მეტად უყვარდა, მაგრამ მან დაიწყო ფორტეპიანოს ათვისება. განსაკუთრებით „სასიამოვნო" მოსასმენი იყო, როცა გამებში ვარჯიშობდა. ეს კოშმარი შვიდი წელი გაგრძელდა. ყველაფრის მიუხედავად, რაღაც პერიოდში მეც მივეპარე როიალის კლავიატურას. თუმცა ეს მოგვიანებით მოხდა, როცა ვცადე რომელიღაცა პოპულარული სიმღერის მელოდიის აწყობა ცალი თითით. აქედან რაც გამოვიდა, არავისთვის არ არის საინტერესო, მაგრამ მაშინ კი ნამდვილად შემშურდა ჩემი დის.

ახლა ძნელი სათქმელია, კონკრეტულად იმ პერიოდმა რა გავლენა მოახდინა ჩემზე, მაგრამ ერთი რამ ცხადია, – საქართველოში რაღაც ღირებული მაინც აღწევდა დასავლეთიდან. სხვანაირად ვერაფრით ავხსნი იმ დიდ ზეგავლენას, რომელიც დასავლურმა პოპ-მუსიკამ ბავშვობაში მოახდინა ჩემზე.

ერთ ზაფხულს კიკეთში ვისვენებდით და ჩემზე 10-12 წლით უფროს რამდენიმე ბიჭთან ერთად ფიჭვნარში ტრანზისტორ „სპიდოლას" ვუსმენდი. მაშინ დასავლურ სადგურებს გულმოდგინედ ახშობდნენ, მაგრამ იყო ორიოდე სადგური, რომელთა მოსმენა მეტ-ნაკლებად ხერხდებოდა. ჰოდა, მოულოდნელად გაისმა ჩეკერის ცნობილი ტვისტი Let's Twist Again. ცხადია, იმ დროს არც სიმღერის სახელი ვიცოდი და არც მისი შემსრულებლის (დარწმუნებული ვარ, არც უფროსმა მეგობრებმა იცოდნენ). ეფექტი სრული იყო. სიმღერა ძალიან მომეწონა, მაგრამ ორნახევარი წუთი, რამდენ ხანსაც ის გრძელდებოდა, აშკარად ძალიან ცოტა იყო მისგან სრული სიამოვნების მისაღებად, ამიტომ გულუბრყვილო მიამიტობით განვაცხადე, კიდევ მინდა-მეთქი.

პატარა ვიყავი, მაგრამ არც იმდენად, რომ არ მცოდნოდა – თუ რამის მეორედ ან რამდენჯერმე მოსმენა გინდოდა, მაგნიტოფონი ან ფირსაკრავი და ცხადია, შესაბამისი ჩანაწერი უნდა გქონოდა. მაშინ არც ერთი არ მქონდა. თუმცა სწორედ მაშინ გავაცნობიერე მათი საჭიროება.

არც ბავშვობაში და არც მოგვიანებით მაგნიტოფონები რატომღაც არ მიყვარდა. ვთვლიდი, რომ ჩანაწერების კეთებას ფირფიტებიდან და, მით უმეტეს, სხვა ჩანაწერებიდან, უმჯობესია ფირფიტები გქონოდა. თავიდან მხოლოდ ე.წ. „ბაბინებიანი" მაგნიტოფონები არსებობდა. რაღაც დიდები და უშნოები იყო. მაგნიტოფონები ზოგჯერ მაგნიტოლების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო ხოლმე, ისევე, როგორც ფირსაკრავები – რადიოლების. არც ასეთი კომბინირებული მოწყობილობები მომწონდა. ისინი თბილისის უამრავ ოჯახში ჰქონდათ, ჩვენ კი იმ პერიოდში არ გვქონდა. თუმცა...

მუსიკის კიდევ ერთი წყარო ჩვენს ოჯახში მაშინ ქსელის რადიო იყო: ერთობ საყვარელი, რაღაცნაირად მოკუსული ნივთი; მოფერება რომ მოგინდება, ისეთი. ეხლა რომ ეგეთი ფორმის რადიო გამოუშვან, ნამდვილად შევიძენდი, თუნდაც დეკორატიული თვალსაზრისით.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კოენზიმ Q10

ახალგაზრდობის ელექსირი

გარეგნული და შინაგანი სილამაზე და ახალგაზრდობა

რომ გამოვიყურებოდეთ მომხიბვლელად, საკმარისი არ არის მხოლოდ გარეგნული მოვლა. მნიშვნელოვანია ის, თუ რით ვიკვებებით.

ყველასთვის ცნობილი ფრაზაა, „რით უნდა ვიკვებოთ რომ კარგად გამოვიყურებოდეთ? “ვიტამინების და მინერალების დეფიციტმა შეიძლება გამოიწვიოს ისეთი უსიმოვნო მდგომარეობები,როგორიცაა დაღლილობა, აგზნებადობა, კანის მდგომარეობის გაუარესება და ა.შ. განსაკუთრებით ეს უნდა გვახსოვდეს გაზაფხულზე, როცა ორგანიზმი დასუსტებული და გამოფიტულია.

სილამაზისთვის მნიშვნელოვანია 8 აუცილებელი კომპონენტი:

კალციუმი ▪ ომეგა-3 ის ცხიმოვანი მჟავები ▪ ფოლიუმის მჟავა ▪
B ჯგუფის ვიტამინები ▪ **კოენზიმ Q10;** ▪ D ვიტამინი ▪ ლუთეინი ▪ E ვიტამინი.

კოენზიმ Q10 (უბიქინონი) ცოცხალი ორგანიზმის ყველა უჯრედში შემავალი მძლავრი ბიოლოგიური ანტიოქსიდანტია,რომლის გარეშეც წარმოუდგენელია ორგანოების ფუნქციონირება და სიცოცხლისუნარიანობა. მონაწილეობს ატფ-ის სინთეზში და ენერგიის ძირითადი წყაროა ადამიანის ორგანიზმში. დადგენილია,რომ 25-30 წლიდან კოენზიმ Q10 ორგანიზმში ასაკის მატებასთან ერთად იკლებს და ვითარდება მისი დეფიციტი,რაც შემდგომ დაკავშირებულია მრავალ პათოლოგიასთან და დაბერების პროცესებთან: ნაოჭები, ჭაღარა, თმის ცვენა...

კოენზიმ Q10 აუცილებელია ყველა ჯანმრთელი ადამიანისათვის.

მისი გამოყენება იწვევს:

ფიზიკური და ენერგეტიკული ტონუსის ამაღლებას,

ნივთიერებათა ცვლის, იმუნური სისტემის გაძლიერებას,

ნაადრევი სიბერის პრევენციას.

ბიზნესი GPC სითი ფარმა CITY PHARMA

ინფორმაციისთვის დარეკეთ 2710707

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამგზრახველები

ავტორი ჯულიან ბარნსი
ინგლისურიდან თარგმნა ირმა ტაველიძემ
ფოტო ნიკო ტარიელაშვილი

ბავშვობაში, სლოკინი რომ ამიტყდებოდა, დედაჩემი უკანა კარის გასაღებს გამოიტანდა, კისერთან საყელოს გადამიწევდა და ცივი ლითონის ნივთს ზურგზე ჩამისრიალებდა ხოლმე. მაშინ ეს ჩვეულებრივი სამედიცინო პროცედურა მეგონა, რომლის შესრულება დედებსაც შეეძლოთ. მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ დავფიქრდი იმაზე, სლოკინის შეწყვეტას, უბრალოდ, ყურადღების გადატანა ხომ არ იწვევდა. ალბათ მედიცინის ენაზე ამას სხვა ახსნაც მოეძებნებოდა – ერთი შეგრძნება ხომ უშუალოდ ზემოქმედებს მეორე შეგრძნებაზე.

ოცი წლისა უიმედოდ ვიყავი შეყვარებული ერთ გათხოვილ ქალზე, რომელსაც წარმოდგენაც არ ჰქონდა, როგორ მიყვარდა და რა სურვილები მწვავდა. აი, სწორედ ამ დროს კანზე რაღაც დამემართა – რაღაც სენი შემეყარა, რომლის სახელიც აღარ მახსოვს. მაჯებიდან კოჭებამდე ტანი ერთიანად ამიწითლდა. პირველ დღეებში ქავილს კალამინიანი ლოსიონიც ვერ მიქრობდა, მერე კანი ნელ-ნელა ამექერცლა, ბოლოს კი ერთიანად გადამძვრა და ტრანსფორმაციის პროცესში მყოფი ქვეწარმავალივით ტყავი გამოვიცვალე. სად აღარ ეყარა ჩემი წვრილ-წვრილი ნაფლეთები: ჩემსავე პერანგებსა თუ შარვლებზე, საწოლის თეთრეულზე, ხალიჩაზე. მხოლოდ სახე არ მეწვოდა და არ მექავებოდა და კიდევ – ხელის მტევნები, ტერფები და საზარდული. ექიმისთვის არ მიკითხავს, რა უნდა ყოფილიყო ამის მიზეზი და არც იმ ქალისთვის ამიხსნია სიყვარული.

როცა ცოლს გავშორდი, ჩემმა ექიმმა მეგობარმა, ბენმა მთხოვა, ერთი, შენი ხელები მაჩვენეო. ვკითხე, თანამედროვე მედიცინა ისევ ქირომანტიასა და წურბელებით მკურნალობას ხომ არ დაუბრუნდა-მეთქი და ისიც დავამატე, თუ ასეა, მაშინ ასტროლოგია, ჰუმორალიზმი და მაგნეტიზმის თეორია კარგა შორს ჩამოუტოვებია-მეთქი. მან კი მიპასუხა, შენი ხელის მტევნებისა და თითის წვერების ფერი იმაზე მეტყველებს, რომ ძალიან ბევრს სვამო.

ცოტა ხნის შემდეგ დავეჭვდი: იმიტომ ხომ არ მომატყუა, რომ ნაკლები დამელია. ვკითხე, მაშინ იხუმრე

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ უბრალოდ, მიხვდი-მეთქი. ხელის მტევნები ამომიბრუნა, ხელისგულებზე დამხედა და კმაყოფილების ნიშნად, თავი დაიქნია. მითხრა: გადავხედავ ერთი, გასათხოვარ ქალ ექიმებს შორის ვინმე ისეთი ხომ არ არის, ვისაც შენზე გული მიუვა და ძალიან აუტანელიც არ მოეჩვენებიო.

ის ქალი სწორედ ბენის წვეულებაზე გავიცანი. დედასთან ერთად იყო მოსული. დაკვირვებიხართ წვეულებაზე ერთად მოსულ დედებს და ქალიშვილებს? გიცდიათ იმის გარკვევა, ვინ ვისზე ზრუნავს? ქალიშვილი დედას იქაურობას ათვალიერებინებს თუ დედა ეძებს იმ კაცებს, რომლებსაც მისი ქალიშვილი გულში ჩაუვარდებათ? იქნებ ასეც არის და ისეც. მაშინაც კი, როდესაც საუკეთესო მეგობრებივით იქცევიან, მათ ურთიერთობაში ზედმეტი ფორმალურობა მაინც შეინიშნება. უკმაყოფილებას საერთოდ არ გამოთქვამენ, ან მეტისმეტად ცხადად გამოხატავენ: თვალებს აატრიალებენ, თეატრალურ პოზას მიიღებენ და ამბობენ: „ვერც კი ამჩნევს, აქ თუ ვარ“.

ერთად ვიდექით და ვიღაც მეოთხეც იდგა ჩვენ გვერდით – აღარ მახსოვს, ვინ იყო. ის ქალი პირისპირ, დედამისი კი მარცხნივ მედგა. ვცდილობდი, ბუნებრივად მოვქცეულიყავი, ის ვყოფილიყავი, ვინც ვარ და აი, ეს კაცი ყველასთვის მისაღები ყოფილიყო, დიდად სასიამოვნო თანამოსაუბრე თუ ვერ იქნებოდა. იმას ვგულისხმობ, დედის თვალში სასიამოვნო თანამოსაუბრედ თუ ვერ გამოჩნდებოდა. იმდენად გამბედავი არ ვიყავი, რომ ქალის გული ასე პირდაპირ მომეგო, მით უფრო, სხვების თანდასწრებით. არ მახსოვს, რაზე ვსაუბრობდით, მაგრამ საუბარი კი მშვენივრად ავაწყვეთ – ალბათ იმ დავიწყებულმა მეოთხემ იმარჯვა. ჰოდა, აი, რა მახსოვს: ქალს მარჯვენა მკლავი ჩამოშვებული ჰქონდა და როდესაც დაინახა, რომ შევხედე, ჩუმად მაჩვენა მწეველების ჟესტი – საჩვენებელი და შუა თითები გამოშლილი და ერთმანეთისგან ოდნავ დაშორებული რომ არის, ცერი და დანარჩენი თითები კი მოღუნული და დამალულია. გავიფიქრე, ექიმი რომ ეწევა, ეს კარგი ნიშანია-მეთქი. საუბრის დროს „მარლბორო ლაითის“ კოლოფი ამოვიღე და მისთვის არც შემიხედავს – ხელი მეც ჩამოშვებული მქონდა და ყველაფერს ისე ვაკეთებდი – ერთი ღერი სიგარეტი ამოვაძვრე, კოლოფი ისევ ჯიბეში ჩავიდე, ის ღერი ფილტრით დავიჭირე, დედამისის ზურგს უკან გავაცურე და ვიგრძენი, როგორ გამომაცალეს თითებიდან. შევნიშნე, რომ ქალი შეყოვნდა და ხელი ისევ ჯიბეში ჩავიყავი, ახლა ასანთის თხელი კოლოფი ამოვიღე, იმ ბოლოთი დავიჭირე, რომელზე გაკვრითაც ცეცხლი ჩნდება და ისევ ვიგრძენი, როგორ გამომაცალეს თითებიდან. მერე დავინახე, როგორ მოუკიდა, როგორ შეისუნთქა ბოლი, როგორ დახურა ასანთის კოლოფი და დედამისის ზურგს უკან გამომიწოდა. ფრთხილად გამოვართვი – ისევ იმ ბოლოთი, რომლითაც გავუწოდე.

ისიც უნდა ვთქვა, რომ დედამისისთვის ცხადზე ცხადი იყო, რასაც ვაკეთებდით. მას არაფერი უთქვამს, არც ამოუოხრია, არც მკაცრად შემოუხედავს, არც ნარკომოვაჭრეობაში ვუმხელივარ. ამის გამო მაშინვე მომეწონა და გავიფიქრე, რომ ეს ქალი ჩემი და მისი ქალიშვილის თანამზრახველობას ამართლებდა. იქნებ სულაც სტრატეგიული მიზნით, განზრახ შეგვაქცია ზურგი. თუმცა ეს სულ არ მანაღვლებდა, უფრო სწორად, მეგონა, რომ არ მანაღვლებდა და მერჩივნა, უბრალოდ, მისი თანხმობა მიმეღო. არა, სულ სხვა რამის თქმა მინდოდა. დედამისი რა შუაში იყო?! მთავარი ის სამი წამი იყო, როდესაც ნივთმა ერთი ადამიანის თითებიდან მეორის თითებში გადაინაცვლა.

იმ საღამოს და მომდევნო კვირებშიც ქალს ამაზე მეტად ვერ მივუახლოვდი.

გითამაშიათ ის თამაში, როცა თვალდახუჭულები ან თვალახვეულები წრეში სხედხართ და მხოლოდ შეხებით უნდა გამოიცნოთ, რა ნივთი გიჭირავთ ხელში? მერე სხვას რომ უნდა გადააწოდოთ ის ნივთი და იმ სხვამაც რომ უნდა გამოიცნოს? ვარაუდებს მანამდე არ ამხელთ, სანამ პასუხს ყველა მოთამაშე არ მოიფიქრებს, ბოლოს კი ყველა ერთად ამბობთ. ბენმა მითხრა, ერთხელ, თამაშის დროს, მოცარელა ჩამოატარეს და სამმა მოთამაშემ თქვა, ძუძუს იმპლანტანტიაო. შეიძლება ახლა სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტები გეხუმრონ, მაგრამ როცა თვალებს ხუჭავ, რაღაცნაირად უფრო დაუცველი ხდები და წარმოსახვაც შავ-ბნელ სურათებს წამოგიშლის – განსაკუთრებით მაშინ, თუ ჩამოტარებული ნივთი რბილი და სლიპინაა. ეს თამაში ბევრჯერ მითამაშია და გამოსაცნობად ყველაზე რთული რამ, რაც ყველას გულს გაუხეთქავდა, გათლილი ჩინური ხილი – ლიჩი იყო.

არ ვიცი, რამდენი წელი გავიდა მას შემდეგ – ათი? თხუთმეტი? – რაც ბრუტალისტურად დადგმული „მეფე ლირი“ ვნახე იმ სცენაზე, რომლის სიღრმეშიც მხოლოდ აგურის კედლები იყო აღმართული. არ მახსოვს, ვინ დადგა ან მთავარ როლს ვინ თამაშობდა, მაგრამ გლოსტერის დაბრმავება კი კარგად მახსოვს. ამ დროს გრაფი, ჩვეულებრივ, ხელებშეკრული და სკამზე დამხობილია ხოლმე. კორნუოლი მსახურებს ეუბნება: „მოდით, დამიჭით“*, მერე კი გლოსტერს მიმართავს: „ჯერ მაგ შენს თვალებს გაგისრესავ ჩემის ფეხითა“. ერთ თვალს ამოსთხრის და უცებ რეგანას შემზარავი სიტყვები ისმის: „მეორეცა და!... თორემ დაშრეტილს თვალს დაუწყებს იგი დაცინვას“. რამდენიმე წუთში ცნობილი რეპლიკის დრო დგება: „გა და გაერთხი დედამიწას, მურტალო ლორწო!“ გლოსტერს ფეხზე წამოაყენებენ და ყველა ხედავს, როგორ ჩამოსდის სახეზე რაღაც სისხლის მსგავსი.

იმ წარმოდგენაში, მე რომ ვნახე, გლოსტერს თვალებს კულისებში სთხრიან. მახსოვს, როგორ იქნევდა ფეხებს, რომლებიც აგურის ერთ-ერთი კედლის უკნიდან ჰქონდა გამოყოფილი, თუმცა შეიძლება ეს ჩემი წარმოსახვის ნაყოფიც იყოს. მახსოვს გლოსტერის კივილი, რომელიც წარმოუდგენლად თავზარდამცემი იყო იმის გამო, რომ კულისებიდან ისმოდა – ალბათ ის, რასაც ვერ ხედავ, უფრო მეტად გაშინებს, ვიდრე ნანახი. პირველი თვალის ამოთხრის შემდეგ ეს თვალი სცენაზე გადმოადგეს. წარმოსახვით – გონების თვალით – ახლაც ვხედავ, როგორ მოგორავს ის მაყურებლებისკენ და სულ ოდნავ პრიალებს კიდეც. ისევ კივილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ახლა მეორე თვალი გადმოადგეს აგურის კედლის უკნიდან.

მიხვდებოდით, ესენი გათლილი ჩინური ლიჩები იყო და სხვა არაფერი. მერე კი, აი, რა მოხდა: აწოწილმა და ერთიანად გამხეცებულმა კორნუოლმა სცენაზე გამოალაჯა, ლიჩები მოძებნა და გლოსტერს თვალები მეორედ დაუვსო – სულ ფეხით ჩაუჩეჩქვა.

კიდევ ერთი თამაში მახსენდება, რომელსაც მაშინ ვთამაშობდი, დაწყებითი სკოლის ერთი სლოკინა მოსწავლე რომ ვიყავი. დილის შესვენებაზე ავტორალებში მონაწილე ავტომობილების მოდელებს ვაჯიბრებდით ხოლმე ასფალტით დაფარულ მოედანზე. ლითონისგან ჩამოსხმული ოთხდუიმიანი მანქანები იყო, წითელი რეზინის საბურავებით, რომლებსაც სულ იოლად მოხსნიდი, თუ თამაშის დროს მანქანის გარაჟში გაჩერება და ნაწილების გამოცვლა მოგინდებოდა. სათამაშოებიც ისეთივე ხასხასა ფერებად იყო შეღებილი, როგორც ავტორალებში მონაწილე იმდროინდელი მარკები: ალისფერი „მასერატი“, მწვანე „ვანუოლი“, ცისფერი... ალბათ რომელიმე ფრანგული მარკა.

მარტივი თამაში იყო: ვისი მანქანაც ყველას გაასწრებდა, მოგებულიც ის იყო. ცერს მოგრძო კაპოტის შუაში აჭერდი და დანარჩენ თითებს ოდნავ ღუნავდი, მერე კი, დათქმულ ნიშანზე, მანქანას ცერით სწრაფად უბიძგებდი ისე, რომ წინ, რაღაც მანძილზე გასრიალებულიყო. არსებობდა გარკვეული ტექნიკა, რომლის წყალობითაც მანქანისთვის მაქსიმალური ბიძგის მიცემა შეგეძლო. არსებობდა საფრთხეც, რომ შუა თითის სახსარი, რომელიც მოედნის ასფალტს მხოლოდ ერთი დუიმით სცდებოდა, მას გაეხახუნებოდა, კანი გადაგეგლიჯებოდა და ავტორალს გამოეთიშებოდი. ნატკენ ადგილას კანი მოგიხმებოდა და ახლა სხვანაირად უნდა დაგეჭირა ხელი, საფრთხეში მეოთხე თითის სახსარი უნდა ჩაგეგდო. თუმცა ასე საჭირო სისწრაფეს ვერ აღწევდი და ამიტომ მალევე უბრუნდებოდი ჩვეულ ტექნიკას, რომლის დროსაც ისევ შუა თითის იმედი გქონდა. ხშირად ისეც ხდებოდა, რომ ახლად პირმომხმარ იარაზე კანი ხელმეორედ გძვრებოდა.

მშობლები სწორ გაფრთხილებებს არასდროს გაძლევენ, არა? ან მხოლოდ მაშინ გაფრთხილებენ, თუ საფრთხე იქვე, იმავე წამს გემუქრება. მარჯვენა შუა თითის სახსარს გიხვევენ და გეუბნებიან, თუ არ გაფრთხილდი, შეიძლება ინფექცია შეგეჭრასო. გიხსნიან, რომ კბილის ექიმი კი გატკენს, მაგრამ ეს ტკივილი მალე გაგივლის. საგზაო მოძრაობის წესებს გასწავლიან, ყოველ შემთხვევაში, იმ წესებს მაინც, რომლებიც მცირეწლოვანმა ქვეითად მოსიარულეებმა უნდა იცოდნენ. ერთხელ მე და ჩემი ძმა ქუჩაზე უნდა გადავსულიყავით, როცა მამამ მტკიცე ხმით გვითხრა: „დადექით ტროტუარის ნაპირზე!“ მაშინ იმ ასაკში ვიყავით, როცა ენის პრიმიტიულად აღქმას მისი შესაძლებლობებით გამოწვეული თავბრუსხვევა ემატება. მე და ჩემმა ძმამ ერთმანეთს შევხედეთ და დავიყვირეთ: „თათები ტროტუარის ნაპირზე!“ მერე კი ჩავიცუცქეთ და გაშლილი ხელები ქუჩისა და ტროტუარის გამყოფ ზოლზე დავაწყვეთ. მამას ეს დიდ სასულელედ მოეჩვენა, ალბათ იმის გამოთვლაც კი დაიწყო, რამდენ ხანს ვიმასხრებდით ასე.

ბუნება გვაფრთხილებდა, მშობლები გვაფრთხილებდნენ. მივხვდით, რომ სახსართან კანის მოშუშება და ქუჩაში მოძრაობის წესების ცოდნა საჭირო იყო. ვისწავლეთ, რომ კიბეზე ასვლისას ფრთხილად უნდა ვყოფილიყავით, რათა ცუდად დაფენილი საფენისთვის ფეხი არ წამოგვეკრა. ერთხელ ბებომ კინაღამ კისერი მოიტეხა, როცა ერთ-ერთი თითბერის ჯოხი, კიბეზე დაფენილ ხალიჩას რომ აკავებდა, მორიგი ყოველწლიური გაპრიალების შემდეგ წესიერად არ დაამაგრეს. ვისწავლეთ, რომ შეიძლება თხელი ყინული ჩაგვიტყდეს, შეიძლება ზამთარში კიდურები მოგვეყინოს, თავზეხელაღებულმა ბიჭებმა კი შეიძლება კენჭები და საპარსი ფირფიტები ჩადონ თოვლის გუნდებში, თუმცა მსგავს რამეებს არასდროს გადავყრივართ და არც ეს გაფრთხილებები გამოგვდგომია. ვისწავლეთ, რომ ჭინჭარსა და ნარშავას უნდა ვერიდოთ, რომ ისეთი უწყინარი რამეც კი, როგორიც ბალახია, შეიძლება უცებ ქაღალდივით ბალიდეს და ცეცხლში გაგვხვიოს. გაგვაფრთხილეს, რომ დანებსა და მაკრატლებს ხიფათის მოტანა შეუძლიათ, ისევე, როგორც ერთმანეთზე გადაბმულ ფეხსაცმლის ზონრებს. გაგვაფრთხილეს, შეიძლება სხვანაირმა კაცებმა ავტომობილებში ან სატვირთო მანქანებში შეგიტყუონო, ჩვენ კი წლები დაგვჭირდა იმის მისახვედრად, რომ „სხვანაირი“ არ ნიშნავდა „უცნაურად ჩაცმულს“, „კუზიანს“, „დორბლიანს“, „ჩიყვიანს“ – კიდევ როგორი შეიძლება იყოს სხვანაირი ადამიანი? – ამ შემთხვევაში, ის, უბრალოდ, „სხვას, უცნობს“ ნიშნავდა. გაგვაფრთხილეს, ცუდ ბიჭებს არ გადაეყაროთო, მოგვიანებით დაამატეს – არც ცუდ გოგოებსო. ბუნებისმეტყველების მასწავლებელმა მორცხვად გვითხრა, ვენერიულ სნეულებებს უფრთხილდითო და თან შეცდომით აგვიხსნა, რომ ამ სნეულებებს „აღვირახსნილი სექსუალური კავშირი“ იწვევდა. გაგვაფრთხილეს, რომ ღორმუცელები და ზარმაცები არ უნდა ვყოფილიყავით და სკოლის მოლოდინი არ უნდა გაგვეცრუებინა, რომ ძუნწები და ხარბები არ უნდა ვყოფილიყავით და ოჯახის მოლოდინი არ უნდა გაგვეცრუებინა, რომ შურიანები და რისხვით ანთებულები არ უნდა ვყოფილიყავით და სამშობლოს მოლოდინი არ უნდა გაგვეცრუებინა.

არავის გავუფრთხილებივართ, რომ შეიძლებოდა საყვარელ ადამიანს ჩვენთვის გული ძალიან ეტკინა.

ზემოთ სიტყვა „თანამზრახველობა“ ვიხმარე. მომწონს ეს სიტყვა. ჩემთვის ის ორ ადამიანს შორის უსიტყვო გაგებას, თუ გნებავთ, სიახლოვის ერთგვარ წინათგრძნობასაც კი აღნიშნავს. ეს პირველი ნიშანია, რომელსაც შეიძლება ჩაეჭიდო, სანამ იმ გრძელ გზას შეუდგები, რომლის გავლისასაც თანდათან გაარკვევ, გაქვთ თუ არა „საერთო ინტერესები“, ერთნაირი მეტაბოლიზმი, სექსუალურად შეთავსებადი წყვილი ხართ თუ არა, ორივეს გინდათ შვილების ყოლა თუ არა – განა სწორედ ასეთი გაცნობიერებული რამეებით არ ვამართლებთ ხოლმე გაუცნობიერებლად მიღებულ ჩვენს გადაწყვეტილებებს? მერე, როცა უკან მოვიხედავთ,

რესტორანში შესვლისას მისი სუნამოს სუნი ვიგრძენი, მაგრამ რომ გეკითხათ, როგორი სუნი იყოო, საგონებელში ჩავვარდებოდი. არადა, სუნის აღსაწერად მარტივ სიტყვებს ვიყენებ ხოლმე: მშვენიერი, აუტანელი, სასიამოვნო, სექსუალური, ყველაფრის წამლეკავი, გულისამრევი – სულ ეს არის სუნთან დაკავშირებული ჩემი ლექსიკა.

გავაფეტიშებთ და ცამდე ავიყვანთ პირველ შეხვედრას, პირველ კოცნას, ერთად გატარებულ პირველ უქმეებს, სინამდვილეში კი ყველაზე მნიშვნელოვანი სწორედ ის არის, რაც საჯაროდ გაცხადებულ ამბამდე მოხდა: ის წამი, როცა ფიქრს წინ გრძნობამ გაუსწრო და... ჰო, ამ ქალთან... ჰო, ამ კაცთან...

წვეულებიდან ერთ-ორ დღეში ბენისთვის ამის ახსნა ვცადე. ბენმა, რომელიც კროსვორდების მოყვარული, ლექსიკონებზე შეყვარებული პედანტია, განმიმარტა, რომ „თანამზრახველობა“ დანაშაულში, ცოდვაში ან რაიმე უღირს ქმედებაში თანამონაწილეობას გულისხმობს. ის რაღაც ცუდის ერთობლივად დაგეგმვას ნიშნავს.

მე კი მირჩევნია, ისე ვიხმარო ეს სიტყვა, როგორც მესმის. ჩემთვის ის რაღაც კარგის ერთობლივად დაგეგმვას ნიშნავს. მე და ის ქალი თავისუფალი, ზრდასრული ადამიანები ვიყავით და შეგვეძლო, გადაწყვეტილებებიც თავად მიგვეღო. აქამდე რაღაც ცუდის დაგეგმვაზე ვინმემ რამე თქვა?

კინოში წავედით. ჯერ კიდევ არ მქონდა მკაფიო წარმოდგენა ამ ქალის ხასიათსა თუ ჩვევებზე. ვერ გეტყოდით, პუნქტუალური იყო თუ არაპუნქტუალური, უდარდელი იყო თუ ნერვიული, დამთმობი იყო თუ მომთხოვნი, მხიარული იყო თუ დეპრესიული, საღად აზროვნებდა თუ მაგრად ჰქონდა გარეკილი. შეიძლება ამას უხეშად ვამბობ – მეორე ადამიანის გაგება ხომ პასუხების გასწვრივ ცარიელი გრაფების შევსება არ არის. სულ თავისუფლად შეიძლება, რომ ის მხიარულიც იყოს და დეპრესიულიც, უდარდელიც იყოს და ნერვიულიც. მე მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ ამ ქალის ხასიათის ძირითადი თავისებურებების გარკვევას ვცდილობდი.

დეკემბრის ცივი შუადღე იყო. კინოში მანქანებით ცალ-ცალკე მივედით, რადგან შეიძლებოდა ის ნებისმიერ წუთს საავადმყოფოში გამოეძახებინათ. ვიჯექი და ფილმს ვუყურებდი, თან მის რეაქციებს ფხიზლად ვაკვირდებოდი: ღიმილი, სიჩუმე, ცრემლები, ძალადობის სცენების დროს შეკრთომა – ეს ყველაფერი უხმო ნიშნები იქნებოდა, რომლებიც ინფორმაციას მომაწვდიდნენ. კინოთეატრში საკმარისი სითბო არ იყო და სანამ იქ ვისხედით და სავარძლის სახელურზე იდაყვები გვერდიგვერდ გვედო, იმაზე ვფიქრობდი, თუ რა იყო ჩემსა და ამ ქალს შორის. პერანგის სახელო, სვიტერი, ქურთუკი, საწვიმარი ლაბადა, დაბამბული ქურთუკი, ჯემპრი – სხვა რა? ნუთუ მეტი არაფერი იყო სხეულიდან სხეულამდე? მაშ, სულ ექვსი ფენა ყოფილა ჩვენ შორის, იქნებ შვიდიც, თუ პერანგის ქვეშ რაღაც გრძელმკლავიანი ეცვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფილმი დამთავრდა. მისი მობილური ტელეფონი არც კი შერხეულა. მომწონდა, როგორ იცინოდა. უკვე ბნელოდა, გარეთ რომ გამოვედით. მანქანებისკენ ნახევარი გზა გავლილი გვქონდა, როცა გაჩერდა, მარცხენა ხელი ასწია და ხელისგული მაჩვენა.

– შეხედე, – მითხრა.

არ ვიცოდი, რისთვის უნდა შემეხედა: ალკოჰოლიზმის კვალი უნდა მეძებნა თუ სიცოცხლის ხაზი? ახლოს მივედი და ქუჩაში მიმავალი მანქანების შუქზე შევნიშნე, რომ მისი საჩვენებელი თითის, შუა თითისა და არათითის წვერებს მოყვითალო ფერი ედო.

– ოცი იარდი გავიარე ისე, რომ ხელთათმანები არ მკეთებია, – მითხრა, – იმის მერე ასე მემართება.

სინდრომის სახელიც თქვა. ამის მიზეზი სისხლის მიმოქცევის დარღვევა იყო, სიცივის დროს სისხლძარღვები ვიწროვდებოდა და სისხლს მცირე რაოდენობით ატარებდა.

ჯიბეებში ხელთათმანები მოძებნა: როგორც მახსოვს, მუქი ყავისფერები იყო. ცოტა არ იყოს, უმიზნოდ ჩაიცვა, მერე კი თითები ერთმანეთს გადააჭდო, რათა შალის ქსოვილი თითოეულის ძირამდე ჩასულიყო. გავისეირნეთ, ფილმი განვიხილეთ, შევჩერდით, ერთმანეთს გავუღიმეთ, ისევ შევჩერდით და ერთმანეთს დავშორდით. ჩემი მანქანა მისი მანქანიდან ათი იარდის დაშორებით იყო გაჩერებული. როცა კარს ვაღებდი, დავინახე, რომ ის ისევ ტროტუარზე იდგა და ქვემოთ იხედებოდა. ორიოდე წამს მოვიცადე, მერე კი გადავწყვიტე, რომ რაღაც დაემართა და ისევ მასთან დავბრუნდი.

– მანქანის გასაღები, – ისე მითხრა, ჩემთვის არ შემოუხედავს. იქაურობა ცუდად იყო განათებული და ქალი ჩანთაში იქექებოდა, რაღაცას ასე, ხელით ეძებდა.

– რა დებილი ხარ, რა, – მოულოდნელი გააფთრებით თქვა.

წამით დავიჯერე, რომ მე მეუბნებოდა. მერე მივხვდი: მხოლოდ საკუთარ თავზე ბრაზდებოდა, საკუთარ თავზე ეშლებოდა ნერვები – იმაზე, რომ გასაღებს ვერ პოულობდა და ალბათ იმაზეც, რომ მის გაბრაზებას მე შევესწარი. ჩემს თვალში კი ამ ქალს არაფერი დაკლებია. იქ რომ ვიდექი და მის თავგანწირულ მცდელობას ვუყურებდი, ორი რამ მოხდა: რაღაც ისეთი ვიგრძენი, რასაც სინაზეს დავარქმევდი, ასეთი მძაფრი რომ არ ყოფილიყო და ეს ჩემი სირიც მოულოდნელად ამიდგა.

გამახსენდა, კბილის ექიმმა ნემსი პირველად რომ გამიკეთა. სანამ გამაყუჩებელი იმოქმედებდა, ის კაცი გარეთ გავიდა, ცოტა ხანში კი ოთახში ენერგიულად შემოაბიჯა, პირში თითები ჩამიყო, იმ კბილის ძირი მომისინჯა, რომლის ამოღებასაც აპირებდა და მკითხა, რამეს თუ გრძნობო. გამახსენდა ის გაშეშება, რომელიც მაშინ გემართება, როცა ძალიან დიდხანს ზიხარ ფეხზე ფეხშემოდებული. გამახსენდა იმ ექიმების მონათხრობი, რომლებსაც პაციენტისთვის ფეხში ქინძისთავი უჩხვლეტიათ, იმას კი საერთოდ ვერაფერი გაუგია.

ძალიან მინდოდა, მცოდნოდა: უფრო გამბედავი რომ ვყოფილიყავი, მარჯვენა ხელი ისე რომ ამეწია, როგორც ქალმა ასწია მარცხენა, ხელისგული ფრთხილად რომ მიმედო მის ხელისგულზე, თითებით მის თითებს ისე რომ შევხებოდი, როგორც შეყვარებულებს სჩვევიათ, მერე კი ჩემი საჩვენებელი თითის, შუა თითის და არათითის წვერები მისი ამავე თითების წვერებისთვის რომ მიმედო, ნეტა რამეს იგრძნობდა? ნეტა რა შეგრძნებაა, როცა ვერაფერს გრძნობ? საინტერესოა, ის რას იგრძნობდა და მე რას ვიგრძნობდი. ის ხედავს, როგორ ვეხები თითებით მის თითებს და ვგრძნობ ამ შეხებას, მაგრამ ვიცი, რომ ვერაფერსაც ვერ გრძნობს.

და, რა თქმა უნდა, საკუთარ თავს კიდევ ერთ შეკითხვას ვუსვამდი, უფრო მრავლისმომცველსა და შემაშფოთებელს.

იმაზეც ვფიქრობდი, როცა ერთ ადამიანს ხელთათმანები აცვია და მეორეს არა – რა შეგრძნებაა, კანს რომ შალი ედება და შალს კანი?

ვცდილობდი, ყველა ის ხელთათმანი წარმომედგინა, რომელსაც ჩაიცვამდა, ახლაც და მომავალშიც, თუ საერთოდ იქნებოდა ისეთი მომავალი, რომელშიც მეც ვიგულისხმებოდი.

ყავისფერი შალის ხელთათმანები უკვე ნანახი მქონდა. გადაეცყვიტა, რომ, მისი მდგომარეობის გათვალისწინებით, რამდენიმე წყვილი სხვადასხვა ფერის ხელთათმანი უნდა ჰქონოდა. ცივი დღეებისა და ღამეებისთვის ამობრუნებული ტყავის თბილი ხელთათმანები ექნებოდა, რომლებიც, ჩემი წარმოდგენით, შავი უნდა ყოფილიყო – მის შავ თმას ასეთი მოუხდებოდა – ჭრელი კურდღლის ბეწვით გაწყობილი, სათითურების გაყოლებაზე მსხვილი თეთრი ნაკერით. ალბათ ერთი წყვილი ისეთი ხელთათმანიც ექნებოდა, თათებს რომ ჰგავს – ცერისთვის გამოყოფილი სათითურით, დანარჩენი თითებისთვის კი ერთიანი გასაყოფით.

სამსახურში, სავარაუდოდ, ქირურგის ხელთათმანები ეცმებოდა – თხელი ლატექსისა, რათა, რაც შეიძლება, მცირე ბარიერი ყოფილიყო ექიმსა და პაციენტს შორის, მიუხედავად იმისა, რომ უმცირესი ბარიერიც კი მთლიანად სპობს სხეულების შეხებისას გაჩენილ განცდას. ქირურგებს მჭიდროდ მორგებული ხელთათმანები აცვიათ, დანარჩენ ექიმებსა თუ ექთნებს კი – ნაკლებად მოჭერილი, აი, ისეთი, დელიკატესების მაღაზიებში მომუშავეები რომ იცვამენ, როცა ლორს სპეციალური მბრუნავი საჭრელით თხელ ნაჭრებად ჭრიან.

ნეტა მებაღეობით გატაცებული ხომ არ იყო, ან მომავალში ხომ არ იქნებოდა? ალბათ სწორედ ლატექსის ხელთათმანებს ჩაიცვამდა გაფხვიერებულ მიწაზე მსუბუქი სამუშაოების შესრულებისას, ბოლქვების, ჩითილებისა და ნორჩი ფოთლების გადარჩევისას. თუმცა მერე, შედარებით მძიმე სამუშაოებისთვის, უფრო გამძლე ხელთათმანებიც დასჭირდებოდა – ალბათ თხელი ტყავისგან და დაზოლილი ბრეზენტისგან შეკერილი – გასხვლისთვის, მოფოცხვისთვის, ხვართქლისა და ჭინჭრის ფესვიანად დაგლეჯისთვის.

ნეტა ისეთ ხელთათმანებს თუ იცვამდა, რომლებსაც თითების გასაყოფები წაჭრილი აქვთ? მათ ჩაცმაში დიდ აზრს ვერსადროს ვხედავდი. ვინ იცვამს ასეთებს, რუსი მემარხილეებისა და იმ ბებერი ძუნწების გარდა, დიკენსის სატელევიზიო ეკრანიზაციებში რომ გვხვდებიან? თუ იმასაც გა-

ნეტა სისხლის მიმოქცევა ტერფებშიც დარღვეული ხომ არ ჰქონდა? ამ შემთხვევაში, საწოლში წინდები ეცმებოდა. როგორი იქნებოდა ის წინდები? იქნებ დიდი და შალისა – ყოფილი საყვარლის რაგბის წინდები, რომლებიც კოჭებთან ჩამოეჩაჩებოდა, როგორც კი ეს ქალი საწოლიდან წამოდგებოდა?

ვითვალისწინებთ, რაც ამ ქალს თითის წვერებზე დაემართა, საფიქრებელია, რომ ასეთებს არ ჩაიცვამდა.

ნეტა სისხლის მიმოქცევა ტერფებშიც დარღვეული ხომ არ ჰქონდა? ამ შემთხვევაში, საწოლში წინდები ეცმებოდა. როგორი იქნებოდა ის წინდები? იქნებ დიდი და შალისა – ყოფილი საყვარლის რაგბის წინდები, რომლებიც კოჭებთან ჩამოეჩაჩებოდა, როგორც კი ეს ქალი საწოლიდან წამოდგებოდა? ან იქნებ ქალური, ფეხზე კოხტად მომდგარი წინდები ეცვა? ერთი გაზეთის საოჯახო დამატებაში ფერადი წინდები ვნახე, რომლებსაც ფეხის თითოეული თითისთვის ცალკე სათითური ჰქონდა. ნეტა ასეთი რამე ჩვეულებრივად მომეჩვენებოდა, კომიკურად თუ ცოტა ეროტიკულად?

კიდევ რა? იქნებ თხილამურებზე სრიალი უყვარდა და ერთი წყვილი გაბერილი ხელთათმანი ჰქონდა, რომელიც მის გაბერილ ქურთუკს უხდებოდა? ჰო, რა თქმა უნდა, რეცხვისას გამოსაყენებელი ხელთათმანები – ასეთები ხომ ყველა ქალს აქვს! ისინი ყოველთვის მყვირალა ფერისაა: ყვითელი, ვარდისფერი, ღია მწვანე, ღია ლურჯი. როგორი გარყვნილი უნდა იყო, რომ რეზინის ხელთათმანები ეროტიკულად მოგეჩვენოს. როგორი ეგზოტიკურიც არ უნდა იყოს – ბორდოსფერი, შაბიამნისფერი, თამბაქოსფერი, წვრილად დაზოლილი თუ შოტლანდიური კუბოკრული – ჩემზე სულ მცირე ზემოქმედებასაც კი ვერ მოახდენს.

არავინ ამბობს: „ხელით მოსინჯე პარმეზანის ნაჭერი“ – ასეა, არა? თუმცა ალბათ პარმეზანის ოსტატები ამბობენ.

ზოგჯერ, როცა ლიფტში მარტო ვარ, ღილაკებს თითებით მსუბუქად გადავურბენ ხოლმე. ისე კი არ ვაწვები, რომ კარი სხვა სართულზე გაიღოს, უბრალოდ, ბრაილის შრიფტის ამობურცულ წერტილებს ვეხები. ვფიქრობ, ნეტა როგორია, როცა ამათ ეხებიან-მეთქი.

როცა პირველად დავინახე სათითე ვიღაცის ხელზე, ვერ ვიჯერებდი, რომ მის ქვეშ ნამდვილი თითი იყო.

სულ ოდნავადაც რომ დაგიზიანდეს ყველაზე უმნიშვნელო თითი, მთელი ხელი გაწუხებს. უმარტივესი მოქმედებების შესრულებაც კი – წინდის ჩაცმა, ღილის შეკვრა, ტანსაცმლის გამოცვლა – რთული და საწვალებელი ხდება. ხელი ხელთათმანში ვერ გეტევა, რეცხვისას თავს გახსენებს, ღამით ისე უნდა გედოს, რომ ზედ არ დააწვე და ასე შემდეგ.

წარმოიდგინეთ, რა იქნება სექსი იმ დროს, როცა მკლავი მოტეხილი გაქვს.

უცებ ისეთი მწველი სურვილი ვიგრძენი, რომ ამ ქალს ცუდი რამე არასდროს დამართოდა.

ერთხელ მატარებელში ერთი კაცი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავინახე, რომელსაც ხელის ნაცვლად კაუჭი ჰქონდა. თერთმეტი-თორმეტი წლისა ვიყავი და კუპეში მარტო ვიჯექი. იმ კაცმა დერეფანი გამოიარა, კუპეში შემოიხედა, ნახა, რომ დაკავებული იყო და გზა გააგრძელა. იმხანად თავში სულ მეკობრეები და საფრთხეები მიტრიალებდა. მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ დავფიქრდი იმაზე, რამდენ რამეს ვერ გააკეთებ უხელოდ. გავიდა დრო და იმ ადამიანების არარსებულ, მოჩვენებით ტკივილებზეც დავფიქრდი, რომლებსაც მოჭრილი კიდურები აქვთ.

ჩვენმა თითებმა, ისევე, როგორც ჩვენმა გრძნობებმა, ერთობლივად უნდა იმოქმედონ. თითოეული მათგანი თავის საქმეს აკეთებს, მაგრამ ამავე დროს ერთგვარ წინათგრძნობასაც უჩენს დანარჩენებს. ხილის სიმწიფეს შეხებით ვგრძნობთ, ხორციანი კერძის მომზადებისასაც ხელით ვსინჯავთ სახსარს, რათა მივხვდეთ, მზად არის თუ არა. ჩვენი შეგრძნებები ერთობლივად მოქმედებენ და კარგ საქმესაც აკეთებენ: მე ვიტყოდი, რომ ისინი თანამზრახველები არიან.

იმ საღამოს ქალს თმა აწეული და კუს ბაკნის სავარცხლებით დამაგრებული ჰქონდა, თან ოქროს სამაგრიც ეკეთა. ეს თმა მისი თვალებივით შავი არ იყო, მაგრამ მის ფონზე სელის პიჯაკი გახუნებული და მოთელილი მოუჩანდა. ჩინურ რესტორანში ვისხედით და მიმტანები სათანადო ყურადღებას უთმობდნენ. იქნებ მისი თმა ჩინელისას წააგავდა. ან იქნებ მათ იცოდნენ, რომ უფრო მნიშვნელოვანი იყო, მისი გული მოეგოთ, ვიდრე ჩემი. ალბათ უფრო ის იცოდნენ, რომ მის გულს თუ მოიგებდნენ, ამით ჩემს გულსაც მოიგებდნენ. რადგან აქაურობის ხშირი სტუმარი გახლდით, ქალმა მთხოვა, კერძები შენ შეუკვეთეო და მეც, ტრადიციულად, ის ავირჩიე, რაც მიყვარდა: წყალცენარეების სალათი, ბლინები ბოსტნეულისა და ხორცის გულსართით, მწვანე ლობიო ყვითელი ლობიოს სოუსით, დაბრაწული იხვი, ჩაშუშული ბადრიჯანი და მოხარშული ბრინჯი. გარდა ამისა, ერთი ბოთლი „გევიურცტრამინერი“ და წყალიც შევუკვეთე.

რესტორანში შესვლისას მისი სუნამოს სუნი ვიგრძენი, მაგრამ რომ გეკითხათ, როგორი სუნი იყოო, საგონებელში ჩავვარდებოდი. არადა, სუნის აღსაწერად მარტივ სიტყვებს ვიყენებ ხოლმე: მშვენიერი, აუტანელი, სასიამოვნო, სექსუალური, ყველაფრის წამლეკავი, გულისამრევი – სულ ეს არის სუნთან დაკავშირებული ჩემი ლექსიკა. ყოველ შემთხვევაში, რესტორნის სუნმა მალევე გადაფარა ქალის სუნი – მაშინვე, როგორც კი სხვა მაგიდისკენ მიმავალმა მიმტანმა ლანგარზე დახვავებული ღორის ნეკნები ჩვენს მაგიდასთან ჩაატარა. ალბათ ჩინური კერძების სუნს უფრო მძაფრად ვგრძნობთ, ვიდრე სხვა ქვეყნების ტრადიციული კერძებისას, რადგან თასი პირთან უფრო ახლოს მიგვაქვს, ნებისმიერი ფორმის თეფშისაგან განსხვავებით. იმ ღამით მოხარშულ ბრინჯსაც კი რაღაც სახასიათო და თავისებური სუნი ასდიოდა.

მუსიკა, რომელიც ჩვენს ვახშამს ფონად გასდევდა, სავარაუდოდ, ბაზრის კვლევის შედეგად უნდა ყოფილიყო შერჩეული: მსუბუქი ჩინური და მარტივი დასავლური მელოდიები ერთმანეთს ენაცვლებოდა. ყურადღებას არც კი მიაქცევდი, თუ ყურს რამე კარგად ნაცნობი არ მოხვდებოდა. აღვნიშნე, რომ თუ „ლარას თემას“ გაუშვებდნენ „ექიმი ჟივაგოდან“, მაშინვე უნდა გავქცეულიყავით და ის სასამართლოში უნდა დაგვეცვა. ქალმა გამიღიმა და მკითხა, ნუთუ კანონი ნამდვილად იცავს მათ, ვისაც რაღაცის გაკეთებას აიძულებენო. ამაზე ძალიან დიდხანს ვილაპარაკე. მერე პროფესიულ სფეროებს შევეხეთ და იმის გარკვევა ვცადეთ, როდის იჭრებოდა კანონი მედიცინაში და როდის – მედიცინა კანონში. მოწევაზეც ვისაუბრეთ და იმაზეც, ზუსტად როდის მოვუკიდებდით სიგარეტს, მოწევა აკრძალული რომ არ ყოფილიყო საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში. მთავარი კერძისა და ბოსტნეულის სალათების შემდეგ, დესერტის შემოტანამდე (სულ ერთია, დესერტს მოვინდომებდით თუ არა) – ასე შევთანხმდით. რა აღარ ვთქვით: სიგარეტმა შეიძლება საკვების მონელებას შეუწყოს ხელიო, შეიძლება ყელი ჩაგვიწმინდოსო. ერთიც და მეორეც ვთვლიდით, რომ მსუბუქი მწველები ვიყავით. მერე კიდევ ბაღეობაზეც ვილაპარაკეთ, ოღონდ ძალიან ფრთხილად. ვკითხე, რამდენი წლის იყავი, როცა სიცივეში თითის წვერების გაყვითლება დაგეწყო-მეთქი და ისიც ვკითხე, ბევრი ხელთათმანი გაქვს თუ არა-მეთქი. ამაზე, რატომღაც, გაეცინა. კინაღამ ამ ხელთათმანების აღწერაც ვთხოვე, მაგრამ გავიფიქრე, რომ სწორად ვერ გამიგებდა.

შუა ვახშმობისას მივხვდი, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა, თუმცა „ყველაფერში“ მხოლოდ საღამოს ერთად გატარებას ვგულისხმობდი და სხვას არაფერს. არცერთს უცებ მთქნარება არ აგვიტყდებოდა, არც შინ დაბრუნება მოგვინდებოდა, არც ხელის ჩაქნევამდე მივიდოდა საქმე. ალბათ ისიც ამავეს გრძნობდა, რადგან როცა დესერტის დრო მოვიდა, გადაიფიქრა და თქვა, კი, მინდაო. ოღონდ რაღაც წებოვანი და კრემიანი არ უნდოდა, ჰოდა, ჩინური ლიჩები მიირთვა. გადავწყვიტე, მისთვის არაფერი მეთქვა იმ თამაშზე, დიდი ხნის წინ რომ ვითამაშე და არც „მეფე ლირის“ იმ დადგმაზე, თუმცა გავიფიქრე: თუ აქ კიდევ მოვალთ – არა, მომდევნო შეხვედრაზე კი არა, სულ სხვა დროს – მაშინ შეიძლება ვუთხრა-მეთქი. იმედი მქონდა, რომ ბენთან ის თამაში არასდროს ეთამაშა და არც მოცარელა დაეჭირა ხელში.

სწორედ ამაზე ვფიქრობდი, როცა ხმის გამაძლიერებლებიდან „ლარას თემა“ გადმოიღვარა. ერთმანეთს შევხედეთ და გავიცინეთ, მან კი უცებ ისეთი მოძრაობა გააკეთა, თითქოს სკამის უკან გაწევას და წამოდგომას აპირებდა და ალბათ შიშიც შენიშნა ჩემს თვალებში, რადგან მაშინვე გამიცინა და ხელსახოცი ხუმრობით დააგდო მაგიდაზე. ამ მოძრაობის შესრულებისას ხელი მაგიდის შუამდე გამოშალა.

არც წამომდგარა და არც სკამი გაუწევია უკან, უბრალოდ, იღიმებოდა და ხელი ისევ ხელსახოცზე ედო, ოდნავ მოხრილი თითებით, ჩემკენ მომართული თითის წვერებით. და, აი, მაშინ შევეხე.

** ივანე მაჩაბლის თარგმანი.*

ALTHAUS

ჩაის სახლი

კაფე მალაზია

ქიაჩელის 4/1
ტელ: +995 32 218 23 18
info@althaustea.ge

სამუშაო საათები:
09:00 – 23:00

facebook/althaustea.ge
www.althaustea.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის თუ არა სიყვარული ვერტიკალური და ბრუნვადი

პეტერ ჰირხეს მოუთელავი პიესა ნინო ბურდულის ექსპერიმენტული ზრახვებით

ავტორი დავით ბუხრიკიძე

ძნელია ამტკიცო, მართლა ექსკლუზიურია თუ არა „თეატრალური საღამო მამაკაცებისა და ქალებისთვის“, როგორც აღნიშნავდა მსახიობი და რეჟისორი ნინო ბურდული საკუთარი ახალი სპექტაკლის – „Amor, უცნაური სიყვარულის ისტორია“, შესახებ. ისევე, როგორც ძნელია, ხელშესახებად ამტკიცო რამდენად შევეჩვიეთ აბსურდისა და ეგზისტენციური პიესების სცენურ „წაკითხვას“... მიუხედავად იმისა, რომ XXI საუკუნეში, წესით, კარგა ხანია უნდა დავშორებოდით თურქულ-კოლუმბიური ტელესერიალების სიმბიოზს და ყველანაირ ვანოს შოუებს.

ვანოზე გამახსენდა. ზოგადად მაყურებელ ანოსა თუ მაყურებელ ვანოს რეაქციასა და გემოვნებაზე, ცხადია, პასუხს ვერ ვაგებ, მაგრამ გერმანულ დრამატურგიასა და ზოგადად, გერმანულ კულტურასთან ერთობ გაშინაურებული ნინო ბურდულის თითქმის განწირული სულისკვეთება პუბლიკის გასაჯანსაღებლად (შედეგის მიუხედავად) მნიშვნელოვნად მომეჩვენა. მაყურებლისთვის საკმაოდ რთულად მოსანელებელი, მაგრამ კომპაქტური და არასალაღობო სპექტაკლი ორი მსახიობის, ქეთი ასათიანისა და პაატა ინაურის მონაწილეობით, თუმანიშვილის თეატრის სარეპეტიციო დარბაზში თამაშდება.

სპექტაკლის სათაური არანაკლებ დამაინტრიგებელია, ვიდრე საკუთრივ პიესის სახელწოდება – „მსოფლიოში ყველაზე უცნაური სიყვარულის ისტორია“. პიესა ჩვენში თითქმის უცნობმა გერმანელმა მწერლმა, პეტერ ჰირხემ (თუმცა მწერლის გვარი გამოითქმის როგორდ ჰირჰე), ჯერ კიდევ XX საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში დაწერა.

ჰირხე 1923 წელს დაიბადა. მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომში რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორც რიგითი ჯარისაცი; რამდენ-ჯერმე დაიჭრა კიდეც. ტყვედაც ჩაუვარდა საბჭოთა ჯარებს, ხოლო ომის დამთავრების შემდეგ, 1947 წელს აღმოსავლეთ ბერლინში დასახლდა. მუშაობდა თარჯიმნად და თან რადიოპიესებს წერდა. სახელი გაუთქვა სწორედ რადიოპიესამ „მსოფლიოში ყველაზე უცნაური სიყვარულის ისტორია“, რომელიც დაიდგა გერმანიის სხვადასხვა ქალაქში. ხოლო მოგვიანებით – სცენაზეც. რადიოსა და ტელევიზიისათვის რამდენიმე ძალიან თავისებური, უფრო კი მუსიკალური სტუქტურით გამორჩეული პიესა დაწერა: „დაბრუნება სახლში“, „მარადისობის ღიმილი“, „ტრიუმფი 1000 წელში“ (რომელშიც ნაცისტი ოფიცერის აღსარებაა), „Miserere“, „მეოცნებე“ და ა.შ. დაჯილდოებულია გერჰარდ ჰაუპტმანის სახელობის პრესტიჟული ლიტერატურული პრემიითაც.

„დრამატურგი 50-იანი წლების გერმანიის ახალგაზრდა თაობის ტრავმებს აღწერს. ეს ის დროა, როდესაც ადამიანები ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლდნენ მეორე მსოფლო ომის ფსიქოლოგიური და ემოციური ტყვეობისგან. ალბათ ამიტომაა პერსონაჟებისთვის ასეთი მძაფრი სიყვარულის მონატრება. სიყვარული პიესაში ნორმალურ, ადამიანურ ცხოვრებაში დაბრუნების სიმბოლოა, რომელსაც თავისთავად, უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს და ის არ არის დამოკიდებული სოციალურ თუ პოლიტიკურ რეალობაზე“ – ამბობს რეჟისორი.

თუმანიშვილის თეატრის სარეპეტიციო სივრცე ნინო ბურდულისთვის კარგადაა ნაცნობი. მან გასულ წელს ერთ-ერთი მთავარი როლიც ითამაშა სარა რულის პიესაში „სუფთა სახლი“ (რეჟისორი ნინი ჩაკვეტაძე). ამდენად, ახალი პიესის ფორმის ძიება მისთვის მშობლიურ, დავიწყებულ სახლში წამოწყებულ სარემონტო სამუშაოების დაწყებას ჰგავდა. სხვათა შორის, ამგვარი „რემონტი“ უცნობი „მასალითა თუ საღებავებით“ არც ისე სახალისოა, მაგრამ შემოქმედებითად ზრდის რეჟისორსაც და მის თანამოაზრე მსახიობებსაც. ამდენად, ზოგჯერ ის აუცილებელიცაა. სხვათა შორის, დადგმაც, თარგმანიც, სცენოგრაფიაც, კოსტიუმებიც და მუსიკალური გაფორმებაც ნინო ბურდულს ეკუთვნის. მხოლოდ ქორეოგრაფიულ ნახაზის ათვისება ვერ შეძლო, რომელიც თანამედროვე ცეკვის თეატრში განაფულმა მარიამ ალექსიძემ დამტვრეული ტანგოს ელემენტებით გააწყო.

ტანგოს გარდა სპექტაკლში ჟღერს ცნობილი კონტრ-ტენორის, კლაუს ნომის მიერ შესრულებული არია ჰენრი პერსელის ოპერიდან „მეფე არტური“, 30-იანი წლების გერმანული მუსიკა, ტაიგერ ლის კომპოზიცია და ბოლოს, „ბითლზის“ ალბათ ყველაზე ცნობილი სიმღერა, როგორც ერთმოქმედებიანი თეატრალური ქადაგების ყველაზე დასამახსოვრებელი, ფინალური ფრაზა – „ყველაფერი რაც გჭირდება, სიყვარულია“!

ასეთი გადაჭარბებული მუსიკალური ფონი ნაკლებად უტოვებს მსახიობს დროსა და საშუალებას ჩაღმავება-რეფლესიისთვის, თუმცა თავად პიესის ტექსტი იმდენად რთულია და ზოგჯერ ისეთი ასოციაციებითაა დატვირთული, რომ ძნელია თუმანიშვილის სახელობის თეატრში გამოზდილი მსახიობი მას მოერიოს. ხშირად პერსონაჟთა დიალოგებს გადაკვეთის წერტილები არა აქვთ და ტექსტი სადღაც პარალელურ სივცეში იკარგება; მეტწილად პიესის ტექსტი ისე ჟღერს, როგორც მუსიკალური კონტრაპუნქტი, რომლის ქმედებაში გადატანა რეჟისორისთვის თავსატეხს წარმოადგენს. თავად ფაქტი, რომ პიესა „მსოფლიოში ყველაზე უცნაური სიყვარულის ისტორია“ 1953 წელს დაიწერა, ანუ ლამის ბეკეტის „გოდოსთან“ სინქრონში, მართლაც მრავლისმეტყველია და დღევანდელი გადასახედიდან თითქმის ავანგარდისტულ წინასწარმეტყველებად აღიქმება.

...ვნებით, ახირებებით და მარტოობით გათანგული ქალისა (ქეთი ასათიანი) და ოდნავ ცივი, უგრძნობი და საკუთარ კომპლექსებში გამოკეტილი მამაკაცის (პაატა ინაური) ისტორია რეჟისორმა ორად გაყოფილ სივრცეში წარმოადგინა. მაყურებელიც უზარმაზარი თოკებით „გადატიხრულ“ ოთახში მოვლენებს მამაკაცისა და ქალის რეაქციებიდან გამომდინარე აფასებს. ამდენად, სრული სურათისა თუ წარმოსახვის „შესავსებად“, მას მეორე წერტილი, ანუ მეორე მხრიდან დანახული წარმოდგენაც ჭირდება, რათა ამბავი ორივე პერსონაჟის თვალით აღიქვას. ვერ გეტყვით რამდენად მომგებიანია ეს ხერხი რეჟისორული თვალსაზრისით, მაგრამ გარკვეულ ინტრიგას მაყურებელში მაინც ქმნის.

ქალიც და მამაკაციც (მათ პიესაში სახელები არა აქვთ) თითქოს საკუთარ სამყაროში გვექაჩებიან. მათ საკუთარი „სიმართლით“ შემოფარგლული ტერიტორია აქვთ, რომელშიც შეჭრა აკრძალულია. სპექტაკლიც ისე ჩაივლის, რომ ეს ხილული თეატრალური საზღვარი არ დაირღვევა. მხოლოდ ფინალში შეიჭყიტება ქალი მამაკაცის მხარეს და კაციც თვალს გააპარებს თოკების მიღმა სივრცეს, საიდანაც ღვინის, ვნებისა და თავისუფლების დამათრობელი სურნელი მოდის... მაგრამ რადგან რეჟისორის წარმოსახვითა თუ კონცეფციით მათი ურთიერთობა პარალელურ სივრცეში და შესაბამის მიზანსცენებზეა აგებული, სრულფასოვან კავშირს ამყარებენ არა ერთმანეთთან, არამედ საკუთარ წარმოსახვასთან, ფანტაზიასთან. ეს კიდევ უფრო ამძაფრებს მათი წარმოსახვისა და მიზიდულობის ძალას.

მაგალითად, ქალი უფრო ფიზიკური, კონკრეტული და გასაგები ურთიერთობისკენ ილტვის, კაცი – საკუთარი მეტაფიზიკურობით იტანჯება; ქალს უნდა წესრიგი და აკრძალვა დაარღვიოს, ოდნავ მაინც გაგიჟდეს და ვნებაში გადაეშვას, კაცს – სიღარიბეში ნაშობი წესრიგისა და ეგზისტენციური მარტოობიით ნაგები საკუთარი ბინა ურჩევნია. მასთან მობინადრე კუს ზოგჯერ უფრო გასაგებ სულიერ არსებებად მიიჩნევს, ვიდრე ქალს, რომლისგანაც რაღაც ირაციონალურ საფრთხეს გრძნობს. ამ „აცდენილ გრძნობათა“ გადაკვეთის მცდელობაში ჩაივლის სპექტაკლის 70 წუთიც, რომელსაც მსახიობები მეტ-ნაკლები სიცხადით შეიგრძნობენ.

თუ ქალისა და მამაკაცის მარადიულ, მაგრამ ბანალურ ლტოლვას რეჟისორის ეშმაკურად მოფიქრებულ „ტერიტორიულ აკრძალვას“ დავუმატებთ, მართლაც უცნაური სიყვარულის ისტორიას მივიღებთ. ანუ ჩვენებურად რომ ვთქვათ, სიყვარული გაბრიაძის იმერეთშიც და ომისშემდგომ გერმანიაშიც ვერტიკალურია და ბრუნვადი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიგნები

ავტორი სალომე აფხაზიშვილი

ქართულენოვანი გამოცემები

სერია „მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა“

„ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“

წიგნების სერია „მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა“ მკითხველს უნიკალური პირადი ბიბლიოთეკის შექმნის საშუალებას აძლევს. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის ლიტერატურული პროექტი 100 ტომს მოიცავს, რომელიც, ანტიკური დროიდან მოყოლებული XVIII საუკუნის ჩათვლით, ყველა მნიშვნელოვან ლიტერატურულ ტექსტს აერთიანებს. ასტომეული 5 სერიად იყოფა, რაც მკითხველს საშუალებას აძლევს თავად აირჩიოს სასურველი სერია შემდეგი ჩამონთვალიდან: ანტიკური მწერლობა (33 ტომი), აღმოსავლური კლასიკური მწერლობა (22 ტომი), შუა საუკუნეების ევროპული ლიტერატურა (15 ტომი), ძველი ქართული მწერლობა (10 ტომი), აღორძინების ხანის და XVII საუკუნის ევროპული მწერლობა (20 ტომი).

სერიაში შემავალი წიგნების თარგმნაში მონაწილეობას 120 მთარგმნელი იღებს, თუმცა მათ შორის წინა წლებში შესრულებული საუკეთესო ქართული თარგმანებიც მოხვდა. მასშტაბური ლიტერატურული სერია ანტიკური მწერლობის ქვესერიით, აპრილის დასაწყისში გაიხსნა, და ჰომეროსის „ოდისეათი“ და „ილიადათი“ იწყება. ჰომეროსის პოემებთან ერთად, ანტიკური მწერლობის კიდევ ორი ნიმუში – „პინდაროსის ოდები“ და „ძველი ბერძნული ლირიკის ნიმუშები“ გამოვიდა.

„ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ კაცობრიობა სწორედ ამ წიგნებზე დგას. ეს წიგნები გვეხმარებიან იმაში, რომ ადამიანები გავხდეთ. ძალიან ცნობილი ფილოსოფიური მოსაზრებაა, რომ საკაცობრიო ისტორია – ეს არის ადამიანად გახდომის ისტორია. ადამიანის სრულყოფის პროცესში მნიშვნელოვანი წილი სწორედ ამ ლიტერატურას აქვს. ეს იმ ტიპის წიგნებია, რომლის სახლში შემოტანითაც ჩვენ შემოგვაქვს სასიამოვნოდ საკითხავი ტექსტები და გვეძლევა საშუალება, სახლში დავატიოთ საკაცობრიო განვითარების ისტორია“ – აღნიშნავს მწერალი ლაშა ბუღაძე წიგნების ამ სერიის შესახებ.

წლის ბოლომდე ლიტერატურული გურმანები მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკაში ისეთ ავტორებსა და წიგნებს იხილავენ, როგორებიცაა: პლატონი, სოფოკლე, ევრიპიდე, არისტოფანე, აპიანე, ტიტუს ლივიუსი, ვისრამიანი, ძველი ინდური და ჩინური პოეზიის ნიმუშები, ფრანსუა რაბლე, პიერ კორნელი, ჟან რასინი, ჟან-ბატისტ მოლიერი, ჯონ ფლეთჩერი და ა.შ. სერიის სხვა წიგნების შეძენა მკითხველს ყოველი თვის დასაწყისში წლის ბოლომდე შეეძლება. თითოეული ტომის ფასი 15 ლარია.


ეკონომიკა
ეკონომიკა
ეკონომიკა

„ქერუბიმელი მოგზაური“

ANGELUS SILESIUS

„სიესტა“

„ადამიანი ამქვეყნად ყველაზე საოცარია
მასში ღმერთი და ეშმაკი მეზობლად არიან“, –

ეს მცირე ამონარიდია წარმოშობით გერმანელი რელიგიური პოეტის – იოჰანეს შეფლერის პოეზიიდან, რომელიც თავის ლექსებში ძირითადად ღმერთისა და ადამიანის ურთიერთობებზე გვიყვება. ამ სახელითა და გვარით მას უფრო ნაკლებად იცნობენ, რადგან პოეტურ კრებულებში ის ანგელუს სილეზიელის სახელით წარადგენს საკუთარ თავს, რაც ლათინურად სილეზიელ მოციქულს ნიშნავს. მისი ორტაეპიანი ლექსების გაცნობა კრებულის სახით დღეიდან უკვე ქართველ მკითხველსაც შეუძლია. ქართულ ენაზე გამოცემული კრებულის სახელწოდებაა „ქერუბიმელი მოგზაური“, რომელიც ექვსი წიგნისგან შედგება და ტრაქტატის ხასიათს ატარებს. „ლექსებში გატარებული ურთიერთსაწინააღმდეგო აზრების გამო მკითხველი სიძნელეებს აწყდება. ამის ნიადაგზე იბადება საეჭვოდ საკამათო შეხედულებები: სამყაროსა და ადამიანის ურთიერთკავშირი, უფალთან შეერთება, ღვთაებრივი მსგავსება, განღმრთობა, თითოეული ადამიანის ღირსების აღიარება. აი, ის თემები, რომლებიც კათოლიციზმის საეკლესიო დოქტრინებს ერთგვარად სცილდება და მის თავისუფალ პოეზიაში წარმოჩინდება“ – ამბობს პოეტის შესახებ მისი მთარგმნელი, მარიამ ქსოვრელი.

„სრული გასხივოსნება“

ჯონათან საფრან ფოერი

„დიოგენე“
408გვ.

„გამაოგნებელი წიგნი“ – ასეთი ეპითეტით შეაფასა ჯონ აპდაიკმა 26 წლის ამერიკელი მწერლის ჯონათან საფრან ფოერის ეს რომანი, რომელიც უკრაინის ერთ-ერთ გამქრალ ებრაულ დასახლებაში ჩასული ამერიკელისა და უხეირო ინგლისურით მოლაპარაკე მისი ოდესელი თარჯიმნის ისტორიას მოგვითხრობს. ამერიკელი-ებრაელი უკრაინაში ახალგაზრდა ქალის საძებნელად ჩადის, რომელმაც ნაცისტური რეპრესიების დროს მამამისის სიცოცხლე გადაარჩინა. „სრული გასხივოსნება“ (Evrything is Iluminated) 25 წლის მწერლის პირველი რომანი გახლავთ, რომელიც 2002 წელს გამოიცა. წიგნის მიხედვით 2005 წელს ლივ შრაიბერმა ამავე სახელწოდების ფილმიც გადაიღო, რომელშიც მთავარ როლს ამერიკელი მსახიობი ელაიჯა ვუდი თამაშობს. ფოერის ეს რომანი დღეს „ნიუ-იორკ თაიმსის“, „გარდიანის“ და „ამაზონ.ქომის“ ბესთსელერთა სიაშია. წიგნის ქართული თარგმანი გია ჭუმბურიძეს ეკუთვნის.



„პორტნოის სინდრომი“

ფილიპ როთი

„დიოგენე“
340გვ.

ფილიპ როთის რომანის მთელი სიუჟეტი ფსიქოთერაპიის სეანსს აღწერს. ამის შესახებ წიგნის მთავარი გმირის, ებრაელი ახალგაზრდის – ალექს პორტნოის უწყვეტი მონოლოგიდან ვიგებთ, რომელსაც ის ბავშვობის მოგონებებით იწყებს. „ფსიქოთერაპიის კურსის დროს, პაციენტის შეფასების გასაჯაროების უფლებამ მომცა საშუალება, ჩემს ნოველაში ინტიმურ, ხშირად სამარცხვინო დეტალებზე მესაუბრა და უწმაწური ლექსიკა გამომეყენებინა, რის გამოც პორნოგრაფი, ექსგიბიციონისტი და უზრდელი ადამიანი მიწოდეს და საზოგადოებიდან გამრიყეს“ – ამბობს რომანის შესახებ თავად ფილიპ როთი. სექსუალური შეგრძნებების გულწრფელი გაშიშვლება, ერთი მხრივ ეპოქალურ პროცესებთანაც იკვეთება, რადგან რომანის გამოქვეყნების წელი (1969 წ.), 60-იან წლებში დასავლეთში დაწყებულ სექსუალურ რევოლუციას უკავშირდება. მნიშვნელოვანია ისიც, რომ წიგნის გამოქვეყნებისთანავე აგორებულმა პროტესტის ტალღამ, რომლის ადრესატი სწორედ ფილიპ როთი გახლდათ, ამერიკულ საზოგადოებაში დაახლოებით ისეთი დონის ვნებათაღელვა გამოიწვია, როგორიც თავის დროზე ვლადიმირ ნაბოკოვის „ლოლიტამ“ და ჰენრი მილერის „კირჩხიბის ტროპიკმა“.

ქართველი მკითხველი ამერიკული ლიტერატურის ცოცხალი კლასიკოსის ამ სკანდალური რომანის გაცნობას, ქეთი ქანთარიას მიერ შესრულებული თარგმანით შეძლებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოურენოვანი გამოცემები



„სხარტი შეკითხვა“

ჯონ ეშბერი

128გვ.

ჯონ ეშბერის „სხარტი შეკითხვა“ ერთგვარი პოეტური ანდერძია, რომელიც ორმოცდაათიანი წლების ამერიკაში მოღვაწე არტისტებისა და პოეტების ერთობლივ მუშაობას ეძღვნება. ავტორი მათ შორის მხატვარს – ჯეინ ფრეილიშერს (Jane Freilicher) გამოარჩევს. წიგნი ამერიკის ყოველდღიური, ურბანული ცხოვრების ამსახველ დეტალებს აერთიანებს, თუმცა, მეორე მხრივ, ამ მიმზიდველ ყოველდღიურობაში ბევრ ადამიანურ სისუსტეს, მარცხსა და საფრთხეს აღმოაჩენთ. დიდი ამერიკელი პოეტის, ცოცხალი კლასიკოსის, ჯონ ეშბერის განსაკუთრებულობა რამდენიმე მნიშვნელოვანი პრემიითაც აღნიშნეს, რომელთა შორის ხაზგასასმელია – პულიცერის პრემია, წიგნის ეროვნული ჯილდო, გრიფინის პოეზიისა და წიგნის კრიტიკოსთა გაერთიანების ეროვნული ჯილდოები. ლექსების ამ ახალი კრებულის გამოქვეყნება პოეტის 85 წლის იუბილეს მიეძღვნა, რითაც ეშბერიმ თავის მკითხველებს კიდევ ერთხელ დაუმტკიცა, რომ ასაკის მატებასთან ერთად მისი კრეატიული ძალისხმევა უფრო და უფრო მატულობს.



„სოლ ბელოუს გული: მემკვიდრის მემუარები“

გრეგ ბელოუ

240 გვ.

მოგონებები, რომელიც ნობელის, პულიცერისა და კიდევ რამდენიმე პრესტიჟული ლიტერატურული პრემიის მფლობელს, ამერიკელ მწერალს სოლ ბელოუს მიუძღვნა მისმა უფროსმა ვაჟმა, მწერლის შინაგანი სამყაროს განსხვავებულ მხარეებს წარმოაჩენს. მიუხედავად იმისა, რომ გრეგ ბელოუ პროფესიით ფსიქოთერაპევტია, ის ლიტერატურული გულწრფელობით მაინც ახერხებს მწერლის ხედვა გამოავლინოს, რაშიც მას ავტობიოგრაფიული ჩანაწერები, ინტერვიუები და პირადი მოგონებები ეხმარება. ავტორი ცდილობს სოლის შინაგანი ცვლილებების ყველა ეტაპს მიჰყვეს და დაუფარავად გააცნოს ის მკითხველს. ამისათვის ის ორ განსაზღვრებას იყენებს – „ახალგაზრდა სოლი“, რომელიც რევოლუციური სულისკვეთებით, სოციალური ღირებულებების თანასწორობის იდეით, კრიტიკული შეხედულებებითა და ამბიციურობით გამოირჩევა; და „მოხუცი სოლი“ – რომელსაც წლების მატებასთან ერთად შეცვლილ და დასუსტებულ შინაგან ძალისხმევას მიაწერს და რომელსაც მსოფლიო ლიტერატურული საზოგადოება იცნობდა.



„ცხოვრების ეტაპები“

ჯეიმს ბარნსი

144 გვ.

თანამედროვე ინგლისელი ავტორის ჯულიან ბარნსის ახალი წიგნი იმ მწუხარების შესახებ უყვება მკითხველს, რომელიც ავტორმა მეუღლის, ლიტერატურული აგენტის – პეტ კავანას (Pat Kavanagh) გარდაცვალების შედეგად განიცადა. „40 წლის განმავლობაში პეტი ჩემი აგენტი იყო, ამიტომ მასზე საუბრისას, რთულია შეინარჩუნო ობიექტურობა. მე ეს წიგნი მათთვის არ დამიწერია, ვინც პეტს დიდი ხანია იცნობს. აქ იმ ამბებს არ ვყვები, რაც მის გარდაცვალებამდე კარგა ხნით ადრე ხდებოდა მის ცხოვრებაში. ჩემს ახალ წიგნში ვსაუბრობ ბოლო დღეებზე, რომელიც მასთან ერთად გავატარე“ – ამბობს ბარნსი წიგნის შესახებ, რომელშიც, მიუხედავად იმისა, რომ საკუთარ მწუხარებას განსაკუთრებული გულწრფელობით გადმოსცემს, ის მაინც იცავს პირადი ცხოვრების უფლებას. Levels of Life – ეს არის ამბავი სიყვარულის, ორი ადამიანის გაერთიანების და მათი ტრაგიკული განშორების შესახებ. მეუღლის გარდაცვალებით გამოწვეულ სირთულეებს ჯულიან ბარნსმა მემუარული ჟანრის წიგნი (The sense of another ending) გასულ წლებშიც მიუძღვნა, რომლისთვისაც 2011 წელს ბრიტანელ ავტორს ბუკერის პრემია გადასცეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„იესოს ბავშვობა“

ჯონ მაქსველ კუტზეე

288გვ.



„იესოს ბავშვობა“ სამხრეთ აფრიკელი ნოველისტის, ესეისტისა და ლინგვისტის ჯონ მაქსველ კუტზეეს ახალი რომანია, რომელიც საშუალო ასაკის მამაკაცის – სიმონისა და ხუთი წლის ბიჭის – დევიდის მოგზაურობას აღწერს. ისინი ოკეანის გავლით მეტად უცნაურ ქვეყანას მიადგებიან. ამ ორ ადამიანს ერთმანეთთან არაფერი აკავშირებთ, რადგან პირველად ერთმანეთს ნავზე ხვდებიან. დევიდი დედას ეძებს, რომლის პოვნა წერილის საშუალებითაა შესაძლებელი. მასში დედამისის სახელი წერია, თუმცა ნავზე ასვლისას ის აღმოჩანს, რომ ბარათი დაკარგა. უახლოესი ადამიანის პოვნაში პატარა ბიჭუნას დახმარებას სიმონი სთავაზობს. ასე იწყება წიგნის ორი მთავარი გმირის მოგზაურობა ქალაქ ნოვილაში, რომელიც, ერთი შეხედვით, უტოპიურ ქალაქს ჰგავს. აქ ადამიანები ბლოკებით აშენებულ საერთო საცხოვრებელში ცხოვრობენ და საკვებად მხოლოდ პურს იყენებენ.

კუტზეეს მიერ აღწერილი სამყარო არარეალურია: გმირები ერთმანეთს არ იცნობენ, მათ შორის არანაირი კავშირი არ არსებობს. ყოველ მომდევნო თავში მწერლის მიერ გამოგონილ ახალ და განსხვავებულ სირთულეებს ვაწყდებით, რომელთა გადაჭრის გზებსაც ნოველისტი იქვე გვთავაზობს. ერთმანეთისგან დამოუკიდებელი გმირები და არაერთგვაროვანი ისტორიები ის დეტალებია, კითხვისას რომ გროვდება და მათზე დაფიქრებისკენ გვიბიძგებს.

ამ მოტივით მკითხველი მწერლის მიერ დასმული მთავარი ამოცანის ამოხსნისკენ მიდის, რომელიც ასე ჟღერს: წიგნში აღწერილი ამბები და დეტალები სამყაროს განასახიერებს, რომელსაც წიგნის წაკითხვის შემდეგ უკეთესად გაიცნობთ.

b 51/19

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუსიკა

ავტორი სალომე აფხაზიშვილი

Delta Machine
Depeche Mode
Synthpop, New wave, Alternative Dance
Columbia, Mute

Delta Machine – Depeche Mode-ის ახალი ალბომის სახელწოდებაა, რომელიც 17 ახალ კომპოზიციას აერთიანებს. ჯგუფის რიგით მეცამეტე ალბომი, წინა სტუდიური ნამუშევრების მსგავსად, ბლუზისა და გოსპელის გავლენით შეიქმნა. ამ ალბომით ჯგუფი ასრულებს სტუდიური მუშაობის ტრილოგიას, რომელიც პროდიუსერ ბენ ჰილიერს უკავშირდება. კრიტიკოსების მიერ საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ სტუდიურ ნამუშევრად შეფასებული ალბომი კვლავ იმ მძიმე, მუქ და დეპრესიულ ესთეტიკას აგრძელებს, რომლითაც Depeche Mode-მა თავის დროზე გაითქვა სახელი.

Charles Lloyd/Jason Moran
Hagar's Song
Modern Jazz
ECM Records

Hagar's Song საქსოფონისტისა და კომპოზიტორის, ჩარლზ ლოიდისა და პიანისტის ჯეისონ მორანის ახალი სტუდიური ალბომია. ალბომი ჯაზისა ლეგენდების – ბილი სტრეიჰორნის, დიუკ ელინგტონის, ტელონიუს მონქის, ჯორჯ გერშვინის, ბობ დილანის, ბრაიან ვილსონის, ტონი აშერის და კიდევ რამდენიმე მუსიკოსის მუსიკალურ პორტრეტებს გვთავაზობს. ალბომში ასევე მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ხუთი კომპოზიციისგან შემდგარი მთავარი თემა. იგი მთლიანად ლოიდის ბებიის ბებიას ეძღვნება, რომელმაც ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი მონობაში გაატარა. კომპოზიციებში მორანის მიერ შექმნილ ჰარმონიას ლოიდის ლირიკული ხაზი აგრძელებს, რომელიც რეფრენივით ჟღერს და, რომლითაც ლოიდი თავისი ცხოვრების სამხრეთ კალიფორნიულ პერიოდს ეხმაურება. ეს ალბომი ჩარლზ ლოიდისა და ჯეისონ მორანის განსაკუთრებულ გულწრფელობას ავლენს, რის ფონზეც მსმენელი ორი მუსიკოსის ინტიმური დიალოგის თავისებური მსმენელი ხდება.

Rokia Traore / Beautiful Africa / World Music / Nonesuch



პირველი, რაც აფრიკელი მუსიკოსის, როკია ტრაორეს ახალი ალბომში შესული კომპოზიციების მოსმენისას თქვენს ყურს მოხვდება – დრამის ხმაა, რომელიც რამდენიმე წამს გრძელდება, მანამდე, ვიდრე ეს სუფთა და შეუღამაზებელი ბგერები გიტარის ჟღერადობით დაიფარება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ამ მუსიკას კარი იმაზე ადრე გავუღეთ, ვიდრე ის ამისთვის მოემზადებოდა. ტრაორეს ახალი სტუდიური ჩანაწერები მსმენელს მუსიკასთან განსაკუთრებულად აახლოებს, საშუალებას აძლევს თამამად შეაბიჯოს მის სივრცეში და მუსიკით იარსებოს. თითქმის ყველა კომპოზიცია აფრიკული მუსიკალური ინსტრუმენტის – ნგონის (n'goni) რიტმებით სრულდება. მუსიკოსისა და მისი პროდიუსერის დამსახურებაც სწორედ ისაა, რომ ისინი ამ ინსტრუმენტის ყველა შესაძლებლობის გამოყენებას ცდილობენ. აფრიკული მოტივების მიუხედავად, როკია ტრაორეს მუსიკალურ ჟღერადობა მაინც საერთაშორისო მუსიკისთვის, უფრო მეტიც, პოპ მუსიკისთვის დამახასიათებელი ნიშნებს ატარებს, განსხვავებით წინა ალბომებისგან, რომლებშიც მუსიკოსმა მელომანებს თავისი ინდივიდუალური, ბუნებრივი მუსიკალური ნიჭი გააცნო.

Haxan Cloak / Excavation / Rock / Nick Nayland

როგორი შეიძლება იყოს გზა, რომელიც სიკვდილთან მიდის – ეს ის თემაა, რომელსაც ბრიტანული როკ-მუსიკის წარმომადგენელი – Haxan Cloak თავისი ახალი ალბომით გვთავაზობს. სიკვდილის შემდგომ მოგზაურობას Haxan Cloak-ის პროდიუსერი – ბობი კრლიკი (Bobby Krlic) 2011 წლის სადებიუტო ალბომშიც შეეხო, რომელიც ადამიანის პლანეტაზე ყოფნის უკანასკნელ დღეებს აღწერდა. Excavation ცალკეულ ტრეკებს არ აერთიანებს, ეს უფრო მეტად საშიში სამყაროსთვის დამახასიათებელი საუნდტრეკებია, რომელიც მძიმე სიჩუმიდან ისმის. ელექტრონული ინსტრუმენტებით შექმნილ კომპოზიციებში, ზოგჯერ სიმებიანი საკრავის ხმაც ჟღერს: „მუსიკა, რომელიც ძალიან მოგვწონს, ხშირად შურისძიების გრძნობით გვავსებს, რის გამოც, სასწრაფოდ მისი გამორთვის სურვილი გვიჩნდება. თუმცა აქვე აუცილებლად უნდა გვახსოვდეს, რომ მუსიკა, რომელიც გასათავისუფლებლად გვჭირდება, საკმაოდ დიდ ძალას ფლობს. Haxan Cloak-ის აღნიშნულ ალბომი იმ მუსიკალურ ალბომებს შორისაა, რომელიც მსმენელისგან სპეციალურ მომზადებას მოითხოვს და რომლისთვისაც სპეციფიკური დროის, ადგილისა და განწყობის შერჩევაა აუცილებელი“ – აღნიშნულია ალბომის ერთ-ერთ უცხოურ მიმოხილვაში.

Shaggie Otis / Inspiration Information: Wings of Love
Soul/Funk/Psychedelic R&B / Epic Records

„მუსიკოსის შემოქმედებითი ცხოვრების ალბათ ერთ-ერთი ყველაზე დიდი უიღბლობა ისაა, რომ ნებისმიერ არაპროფესიონალს აქვს შესაძლებლობა ორიგინალური შესრულების ქავერი შექმნას. ამ სიყალბის ერთადერთი გამართლება ალბომის განახლებაა!“ – ასე შეაფასეს ამერიკელი მუსიკოსის, მულტიინსტრუმენტალისტის – შაგი ოტისის 2013 წელს განახლებული ალბომი, რომელიც ამავე სახელწოდებით, პირველად 1974 წელს გამოვიდა. ინსპირაციის თემით ოტისი ჯერ კიდევ თინეიჯერობის პერიოდში დაინტერესდა, როდესაც R&B-ის მიმდევარ მამასთან – ჯონი ოტისთან ერთად ამავე სახელწოდების პროექტი წამოიწყო. თუმცა ამის შემდეგ, შაგის მუსიკალური ინტერესები სხვა მიმართულებით განვითარდა. ალბომი, რომელიც შაგი ოტისმა 1974 წელს გამოუშვა, უკვე შორს იყო ტრადიციული ბლუზისგან და თანამედროვე ელექტრონულ მუსიკას უახლოვდებოდა. მნიშვნელოვანია, რომ ალბომის გამოსვლისთანავე გაჩნდა მუსიკალური შედარებები სტივი უანდერთან და მერვინ გეისთან (Marvin Gay). Inspiration Information-ის განახლებული გამოცემა 14 კომპოზიციას აერთიანებს, რომელიც ოტისმა 1975-2000 წლებში ჩაწერა. ალბომი 1970-იანი წლების ერთგვარ კალეიდოსკოპს წარმოადგენს, რომელშიც ჟღერს მაილს დევისის, ბობ მარლის, ლორელ ქენიონის (Laurel Canyon) და ფოლკ-როკის სხვა წარმომადგენლების მოტივები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხელი შოკოლადი - ახლა უკვე თქვენს iPhone, iPad და iPod Touch-ზე

იოტა iOS-ისთვის

იკითხე ყველგან!

იკითხე კომფორტულად!

www.lit.ge

იოტა iOS-ისთვის საშუალებას გაძლევთ მარტივად იკითხოთ lit.ge-ს წიგნები და პერიოდიკა თქვენს iPhone, iPad და iPod Touch-ზე

აპლიკაციის გადმოსაწერად, თქვენი მოწყობილობიდან iTune-ზე მოძებნეთ „IOTA READER"

lit.ge

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცხელი
შოკოლადი
98.5 FM
www.facebook.com/RadioTskheliShokoladi

98.5